მათე ზალკა

მარადიული ზავი

გრ. როგაჭიძის
თარგმანი რუსულიდან

სახელგამი 1930 ტფილისი

პოლიგრ. ტრ· 1-ლი სტამბა
პლეხანოვის გამზირი № 91.
მთავლ· 1837, შეკ. № 388,
ტირაჟი 3000.

მარადიული ზავი

მდიდრულად მორთულ დამცველთა სარაიონო კამერის თავმჯდომარის კაბინეტში თითქმის ყველას მოეყარა თავი და ეცნობოდენ თავმჯდომარისგან მიღებულ სამოსამართლო საქმეებს ბრალდებულთა დასაცავად. ეს იყო ისეთი საქმეები, რომელთაც დამცველი ვერ ჰპოვეს. ეხლა იძულებული იყვენ ურთიერთშორის გაენაწილებინათ.

მაისის ბრწყინვალე დღე იდგა ქალაქში. აბრეშუმის ქაფოვან ფარდებში შემოჭრილიყო მზის თვალმომჭრელი პრიალი, იმსხვრეოდა მინის წახნაგულ კუთხეებზე და ცისარტყელასავით კამკამებდა იატაკზე. სიჩუმეში შრიალებდა ოქმების გამხმარი ფურცლები. თავმჯდომარე ფანჯარასთან მივიდა და ფარდას ამოეფარა. ერთი წამით ოთახში მჭრელი სინათლე შემოიჭრა. ამის შემდეგ მქრქალი შუქი უფრო საამური გახდა ოთახში. სარკმლის იქით მოსჩანდა სატახტო ქალაქის ქუჩის ნაწილი. თავმჯდომარე ხარბი თვალებით ეწაფებოდა ქალაქის კუთხურ ჩრდილებს, ოთხკუთხი ჯირკფენილი ქუჩების საოცრად სუფთა ფარდაგებს, ტრამვაის ლიანდაგის კოხტად მოღუნულ ხაზებს. ნოტების ხაზებივით გარბიან სატელეფონო და სატელეგრაფო მავთულების პარალელები, მორთული მელოდიის ქაშანური პწკალებით. ქვეით მოსჩანს მოვლილი ხეების

გადაბელილი თავები, რამდენიმე ლბილად მიმსრეალე ავ-ტომობილი და სწრაფად მიმავალი ადამიანი.

ამ უბანში ძალიან ცოტაა დაწესებულება. ამასთანავე ჯერ კიდევ ადრეა. ქალაქის შუაგულში მუშაობა ჯერ არ გათავებულა და ჯერ არ დამდგარა ის დრო, როცა ქუჩებს დაღლილი ხალხი ავსებს.

ყველგან მზეა. შიგ ტვინში იჭრება ქვისებური ჩლუნგი სიცხე, რომელიც ხშირად იწვევს ოცნებას ზღვის საბანაოზე, საგრილოზე, საზაფხულო დასვენებაზე.

თავმჯდომარე მოუბრუნდა ოთახში მსხდომარეთ.

საწერ მაგიდის ნაპირზე გულმოდგენით სწერს ახალგაზდა კაცი, რომელიც ან ვექილის პრაქტიკანტი უნდა იყოს, ან და ჟურნალისტი. ირგვლივ სხედან საქმიანი და სადად, მაგრამ კოხტად ჩაცმული კაცები. ყველანი დიდი ხანია ერთმანეთს იცნობენ: ერთის ხელობისა არიან. ღრეა სავარძლის საზურგელიდან ხვეულებად ამოდის თამბაქოს ბოლი. ის, ვინც პაპიროზს სწევს, ეტყობა, მოწყენილია: ის რაღაც სხვაზე ფიქრობს.

კარი გაიღო. ოდნავ გამოცოცხლებული თავმჯდომარე მოსწყდა ფანჯარას. გულითად გაუწოდა შემოსულს ორივე ხელი, საამურად ჩაიღიმა ფრანგულ მძიმე ულვაშებში და მიესალმა ვექილს ფერერს.

მართალი რო ვთქვათ, აქ არ ელოდდენ ლუი ფერერს, ამ გამოჩენილ ვექილს, რომელიც უკანასკნელ დროს უფრო ოვალნათლივ ააშკარავებს თავის კარიერას: იგი მას იურიდიული საფუძვლიდან პოლიტიკურზე გადააქვს. მისი მოსვლა სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. რამდენიმე გაცვეთილი მისალმების შემდეგ ვექილი მივიდა მაგიდასთან და შეუდგა საქმეების აჩქარებით გადაფურცვლას. ესარის, ეხლა დასდო მაგიდაზე თავისი პორტფელი, რომე-

ლიც თავის სიდიდით ასეთ შთაბეჭდილებას ახდენდა კლიენტებზე, და უნდოდა ხელი მოეკიდა პორტფელში ჩადებულ ერთერთ საქმისათვის. ამ დროს ერთი ყველასთვის ცნობილი საბირჟო ხნიერი ვექილი მძიმედ გადმოიხარა და დაუფარავი მოწყენილობით დააგდო მაგიდაზე სქელი „საქმე“.

ალბად ეს იყო უბრალო შემთხვევა. მოხუცმა ბრუნმა ისე უხერხულად გადმოაგდო საქმე, რომ იგი მაგიდიდან ჩამოცურდა და ხალიჩაზე დავარდა. ფურცლები მოკლული ფრინველის ფრთებივით გაინართხა. ორი ხელი დასწვდა მათ: ერთი — ფერერის, ხოლო მეორე — იმ ახალგაზდა ვაჟის, რომელიც მაგიდაზე სწერდა. ფერერს სურდა უმნიშვნელო თავაზით გადაეცა იგი ახალგაზდასთვის, მაგრამ უცბად შეჩერდა. მოხდა რაღაც უცნაური და მნიშვნელოვანი. ფერერმა ყურადღებით და აღელვებითაც დახედა გადაშლილ საქმის გვერდს, და არც ისე სწორი ხმით ჰკითხა არეულ ახალგაზრდას:

— თქვენ ეს საქმე გაინტერესებთ?

ახალგაზდა ოდნავ შეწითლდა და უნებურად მიუგო:

— ინებეთ, ინებეთ, ვექილო, მე შემდეგაც გადავათვალიერებ.

დაინტერესებული ჟერერი მახლობელ სკამზე ჩამოჯდა, საქმე გადაშალა და ფურცვლა დაუწყო. შემდეგ გახსნა თავისი პორტფელი და ამოიღო გრძელი საწერი წიგნაკი. უცებ გადააბრუნა საქმე და გარეკანს დახედა. მოხუცმა ბრუნმა, რომელსაც წელან ეს საქმე ათიოდე წუთს ეჭირა, პირველად დაინახა მისი წარწერა: „საარვალდაუენის კომუნისტური ჯანყი“. საქმემ, ეტყობოდა. სრულიად გაიტაცა ფერერი. დიდ ხანს ფურცლავდა, რაღაცას სწრაფად აწერდა, და ხშირად უბრუნდებოდა იმ გვერდს, რომელიც

საქმის ჩამოვარდნისას გამოჩნდა. ამ გვერდზე დაწებებული იყო პატარა ფოტო-სურათი. სწორედ ამ სურათმა დაიპყრო ფერერის ყურადღება და მანვე გადასჭრა საქმის დაცვის ბედი.

ფოტო-სურათზე გამოსახული იყო ახალგაზდა კაპრალი გერმანელი ეგერი, მუნდირიანი. ფოტო-სურათზე მოსჩანდა წარწერა „1915 წელი". ფერერი დიდ ხანს დასცქეროდა სურათს. ერთხელ კიდევ გადაფურცლა სწრაფად საქმე, დახურა, თავმჯდომარისაკენ გადაიღუნა და უთხრა ჩუმად:

— ნება მიბოძეთ თან წავიღო ეს საქმე გასაცნობად.

— ინებეთ. მხოლოდ პასუხი მაცნობეთ ადრე.

— ვეცდები.

— დიახ, ძალიან გთხოვთ, რადგან მსაჯულები გვაჩქარებენ.

ფერერი სწრაფად წამოდგა, გამოეთხოვა ყველას და ჰიპოპოტამ-პორტფელმა საარვალდაუენის კომუნისტური ჯანყის საქმე ჩაყლაპა.

როცა ფერერმა კარი გაიხურა, მოხუცმა ბრუნმა ხმამაღლა შენიშნა:

— სრულებით უიმედო საქმეა.

— ნუ დარდობთ ფერერისათვის, რაკი აიღო, მაშ ღირს კიდევაც, — სთქვა ფერერის ერთმა მეგობარმა.

მოხუც ბრუნს თითქოს უკბინეს, ჩაახველა და:

— აიღოს, აიღოს, დამიჯერეთ, ოფლში გაიწურება.

— მერე რა? კიდევაც არგებს.

— მაგარი კაკალია.

— აი ნახავთ, ბატონებო, უმნიშვნელოც რომ იყოს ეს საქმე, ფერერი მას მაინც სასენსაციოდ გახდის.

მსუბუქმა კამათმა სიოსავით შეარხია მოწყენილობა. ვექილები ბანაკებად დაიყვენ. ერთნი ამტკიცებდენ, რომ

ეს საქმე ყოვლად უიმედოა, მეორენი იზიარებდენ ისეთ აზრს: რადგან ამ საქმემ ფერერის ინტერესი გამოიწვია. მაშ რაღაც ფასიც ჰქონია, და უეჭვალად მასში ისეთი რამ იმალება, რაც სხვებმა ვერ შენიშნეს.

დიახ, დიახ რაღაც ვერ შენიშნეს.

სახუმარო გაკამათება ბოლოს გამძაფრდა. სიტყვის ქაცვი სულ ბრუნს ხვდებოდა:

.— ჰეი; მოხუცო, შენ ფერერს აძლევ რაღა საქმეებს!

მოხუცი უკმაყოფილოდ ბურტყუნებდა, მაგრამ ცდილობდა საოხუნჯო კილო შეენარჩუნებინა, რათა არ გადაქცეულიყო მახვილი ენისა და დაცინვის საგნად. ოხუნჯობა დიდ ხანს არ გაგრძელებულა. იმ წუთს, როცა თავმჯდომარეს სურდა საუბარში ჩარეულიყო, მაგიდაზე ტელეფონი აწკარუნდა.

— ალლო, დიახ, დიახ, ინებეთ. საქმეს თქვენზე ჩავწერ. დიდათ მოხარული ვარ. ნახვამდის, ნახვამდის.

მოკამათენი თავმჯდომარეს მიუბრუნდენ.

— ფერერმა დამირეკა. ამ საქმის დაცვას ჰკისრულობს. ამბობს, საქმე საკმაოდ გავიცანი ავტომობილში, სანამ შინ მივიდოდი, და დავრწმუნდი, რომ საქმის დაცვა მნიშვნელოვანი და საგულისხმიეროაო.

ფერერის სწრაფმა გადაწყვეტილებამ შესამჩნევად არია მოხუცი ბრუნი. ამ შემთხვევამ დამსწრენი თითქოს ელექტროდენით გაჟღინთა. ბრუნი მიყუჩდა. ვექილებიც თითქო მიჩუმდენ და მოხუცის უკან შეუმჩნევლად ერთმანეთს თვალს უქნევდენ. ბრუნმა იგრძნო უხერხულება, ადგა და გამოესალმა. წინკარში გამოართვა თავის მძიმე ჯოხი და მოძველებული პანამა-ქუდი მეკარეს, და ქუჩაში რომ გავიდა, გულახდით უსაყვედურა თავის თავს:

— აი შე გამოყრუებულო ბებერო!

'ფოტო-სურათი, რომელმაც გადასწყვიტა დაცვის ბედი საარვალდაუენის ჯანყისა, გამოსახავდა პაულ კორბსს, ეგერთა მუნდირში. 1915 წლის კაპრალს. სურათმა გაახსენა ფერერს ის დღე, როცა იგი პირველად შეხვდა კორბსს.

„ჰო, მაგონდება, ერთხელ უკვე დავიცავი ეს კაცი ფრანგულ შოვინიზმისგან. შემთხვევა მეორეჯერ მავალებს ამავე საქმეს. ვნახოთ“.

ავტომობილში იჯდა და ყველაფერი გაზომა. ერთხელ კიდევ მოუყარა თავი ამ მძიმე ბრალდებას, რომელიც საფრანგეთის პროკურატურამ წაუყენა გერმანელ აფიცერს: სამშობლოს ღალატი, ცეცხლის წაკიდება, ცდა ინჟენერის მოკვლისა, ტერორისტულ აქტებში მონაწილეობა, ჯაშუშობა, კომუნისტური ჯანყისათვის წაქეზება.... ძალიან ბევრია. ერთი ბრალდების დამტკიცებაც საკმარისია, რათა კორბსს მიუსაჯონ ხუთმეტი ან ოცი წლის კატორღა. ფერერმა ერთხელ კიდევ დახედა სურათს.

„ჰო, ის არის, სწორედ ის არის. მიამიტი ბავშური თვალები, ჭაბუკური ტუჩების უმანკო მოხაზულობა, ოდნავ შოკუთხული მხრები, გრძელი თითები, თხელი ნიკაპი — ჰო, ის არის, სწორეთ ის, პაულ კორბსი, რომლის სახეც უკანასკნელი წლების ამბავთა ღვარში არ დაიკარგა“.

— ძვიფასო ბორარდ, — შესძახა ფერერმა კიბეზე ასვლილსას მდივან-პრაქტიკანტს, რომელიც ჩქარობდა მას მიჰგებებოდა. — ჩემო კარგო ბორარდ, მინდა გითხრათ რაღოდენიმე სიტყვა. გთხოვთ ჩემს კაბინეტში შევიდეთ. იქ მოვილაპარაკოთ.

— მოუთმენლად მოგელიან ქალები: ცოლი და და.

— მახსოვს. დღეს იაპონურ თეატრის გასტროლია. არ შემიძლია.

— მაშ, იქნება მე....

— არა, ჩემო კარგო, ვერც თქვენ წახვალთ. დღეს ბევრი საქმე გვექნება. ორი კვირის შემდეგ დიდი პროცესი გვექნება, ამიტომ.....

— გავიგე.

— ჰო, ყველაფერს ეხლავე გაიგებთ, ძვირფასო კოლეგა, — სთქვა ფერერმა. — აიღე თქვენი უბის-წიგნაკი და ამოიღეთ საქმე, რომელიც დევს ჩემს პორტფელში, შუაში. აბა წერა დავიწყოთ.

ფერერმა რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში, მისწია გვერდით წინ-შეხვედრილი სკამი, და წარმოსთქვა, თითქო საბოლოოდ გაეზომოს გადაწყვეტილება:

— ამ საქმეს საზოგადოებრივი თვალსაზრისით უნდა გაესვას ხაზი, და, თუ საჭირო იქნა, პოლიტიკურადაც.

— დავსწერო?

— არა, არა, ეს საჭირო არ არის. მაგრამ, რასაც ეხლა ვიტყვი, ჩასწერეთ. ერთი სიტყვით, ჯერ მიშოვეთ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წესდების ერთი ცალი და კომინტერნის უკანასკნელი პროკლამაცია.

— შეუძლებელია შოვნა, — სთქვა მდივანმა.

— რას ამბობთ, ბორარ? მიკვირს, რათ ვერ ისწავლეთ აქამდე, როგორც წესია, გაზეთების კითხვა.

ფერერმა ყურადღება არ მიაქცია მდივნის გაოცებულ თვალებს.

— გარდა ამისა, მჭირდება პაციფისტების საერთაშორისო ლიგის რამდენიმე გამოცემა და ერთა ლიგის განიარაღების კომისიის ზოგიერთი ოქმი. თუ შესაძლოა, მიშოვეთ სტენოგრამის სრული კომპლექტი. თუმცა საეჭვოა. რომ მიშოვოთ. ჰო, მართლა, კეთილ ინებეთ და მიშოვეთ ოქმები საფრანგეთის ფრონტელთა კავშირისა. და პროგ-

რამები გერმანიის წითელ ფრონტელების და პაციფისტურ ორგანიზაციისა. ჩასწერეთ?

— დიახ.

— ჰო, კიდევ რამდენიმე წიგნის შესწავლა დაგვჭირდება.

აქ ფერერმა ჩაიხედა უბის-წიგნაკში და განაგრძო:

— უნდა ვიშოვოთ ვილსონის წიგნი, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების ნაპრეზინდენტალის განთქმული „თოთხმეტი მუხლი ზავზე". და გარდა ამისა, პროფესორის ლაფონტენის წიგნი პაციფიზმის შესახებ.

ნობელის პრემია რომ მიიღო?

— დიახ, აი თქვენაც ზოგი-რამ გცოდნიათ. უეჭველად უნდა ვიშოვოთ ფრანგულ ენაზე, თუმცა შესაძლოა ინგლისურიც იყოს, ან გერმანულიც, თუ შეგხვდათ, — წიგნი ამ სათაურით „ფრონტის სალდათის წერილები": ავტორი პაულ კორბსია. შემდეგ ჩასწერეთ, თუმცა ეს აუცილებელი არაა: წიგნი დოქტორის ლუდვიგ კიდესი, გერმანელი პროფესორის — „პაციფიზმის იდეა კაცობრიობის განვითარებაში". ჯერჯერობით ესეც საკმარისია.

მდივანმა ჩასწერა უკანასკნელი სახელწოდება და შეკითხვით შეხედა თავის პატრონს. თვალებში განცვიფრება ესახებოდა — ნუ თუ შესაძლებელია ყოველივე ამის წაკითხვა? მაგრამ მწარე გამოცდილებით ნაცადმა ეს კითხვა ჩაყლაპა, და, მოდრეკილი ამ მძიმე დავალებით, მორჩილებით ელოდა ახალ განკარგულებას. ფერერმა დახედა საათს და ჩაილაპარაკა:

— დღეს უკვე გვიანაა, მაგრამ ხვალ უთუოდ უნდა ვნახო ბრალდებული, ეხლა კი თავისუფალი ბრძანდებით, ძვირფასო ბორარდ. შეგიძლიათ წაბრძანდეთ. ავტო თქვენ განკარგულებაშია. ჰო, მართლა, ჩემი ცოლი და და...

გთხოვთ მოითმინოთ... ალლო! თქვენა ხართ მარგარიტა? მაპატიეთ ძვირფასო, არ მცალია. წაიყვანეთ ჩემს მაგიერ თქვენი მეგობარი, მხიარულად გაატარებთ დროს. სამწუხაროთ, ჩემს ავტოს არ სცალია..... ბორარდი? არა, არც იმას სცალია, ნახვამდის ძვირფასო! — ხომ ხედავთ, ძვირფასო მეგობარო, — მიმართა ბორარდს, — ქალები არ გივიწყებენ, ეს ალბად თქვენთვის სასიამოვნოა. ეხლა კი დაბეჯითებით გთხოვთ, რაც შეიძლება მალე გაჰქრეთ, და წიგნებსა და მასალებს რომ იშოვით, უმალვე დაბრუნდეთ.

როცა მდივანი კაბინეტიდან გავიდა, ფერერმა ტელეფონით გამოიწვია დამცველთა კამერის თავმჯდომარე და თავისი გადაწყვეტილება შეატყობინა. შემდეგ ტელეფონი კიდევ რამოდენჯერ აწკარუნდა. ფერერმა სასტიკი პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ სამხედრო პროკურატურა აპირებდა ჩარეულიყო საარვალდაუენის ჯანყის საქმეში და თავის ბრალმდებელი გამოეყვანა. ფერერი მოითხოვდა, რომ ამ შემთხვევაში უფლება მისცემოდათ თავის მხრივ საზოგადოებრივი დამცველი წამოეყენებინა იმ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომელთაც ეს საქმე ეხებოდათ. ეს საუბარი ფერერის სრული გამარჯვებით დასრულდა. და მან, როგორც ნამდვილმა სარდალმა, ახლად აღებული ციხე დაუცველი არ დასტოვა. მეორე ზარით სახელმწიფო მდივანს მიმართა, რომელიც იყო მისი პირადი მეგობარი, და შეატყობინა, რომ მან კორბსის დაცვა იკისრა, და სთხოვა, მოეგერებინა ეს საქმე სამხედრო პროკურატურის გადამეტებული ძალისაგან. ფერერი აჯერებდა მდივანს, რომ ის მოლაპარაკებოდა იუსტიციის სამინისტროში ზოგიერთ გავლენიან მოხელეს, რომელთაც ეხებოდა ეს საქმე და რომელნიც სახელმწიფო მდივნის ჯეროვან სიტყვას უთუოდ ანგარიშს გაუწევდენ.

ეტყობოდა, ფერერი სავსებით დააკმაყოფილა სახელმწიფო მდივნის პასუხმა, თუმცა ამავე დროს მდივანმა უსაყვედურა ამ ჭუჭყიან საქმის დაცვა და მიუთითა მას ის გარემოება, რომ მისი ნაბიჯი მინისტრს არ მოეწონებოდა. მდივანმა ისიც აგრძნობინა გადაკვრით, რომ ფერერის საქციელს ლიბერალური პრესა ოპოზიციად ჩასთვლის, და ამისათვის ალბად ძალიან გაუძნელდება მომავალ არჩევნებში წამოყენება თავის კანდიდატურისა, რომელიც თითქმის უეჭვო იყო.

ფერერის ხმაში ისმოდა ნაღვლიანი სინანული. ის იცავდა ლიბერალურ პრესას ასეთი ბრალდებისაგან, მაგრამ ამავე დროს ცუღლუტურად უბრწყინავდა თვალები, და როცა ტელეფონის სასმენი დასდო, მის სახეზე ეშმაკური და კმაყოფილების ღიმილი გაიშალა.

ციხის უფროსი ხაზგასმული ყურადღებით დაუხვდა ცნობილ ვექილს, და გასცა ბრძანება, უმალვე გაეღოთ საკანე, რომელშიაც მაშინვე შეიყვანეს პატიმარი პაულ კორბსი. ფერერმა სთხოვა უფროსს ნება მიეცა მისთვის სავსებით გამოეყენებინა პატიმარის სანახავად მიცემული დრო, რათა კარგად გაცნობოდა საქმეს. უფროსმა უპასუხა, რომ მას მეტად ესიამოვნება სამსახური გაუწიოს ბატონ ვექილს, და უბრძანა მორიგეს, რომ ხელი არ შეუშალოს ფერერს კორბსთან საუბარის დროს. თუნდაც იგი უფრო მეტ ხანს გაგრძელებულიყო, ვიდრე წესდებით ჰქონდა ნებადართული.

ბორარდს „პრაქტიკაში“ ასეთი პოლიტიკური საქმე არ ჰქონია და ამის გამო ვერ დამალა მღელვარება. მან რამ-

დენჯერმე დახედა კორბსის სურათს, და დარწმუნდა, რომ ამ აყლაყუდა გერმანელს, ასეთი სანიმუშო, უფერული, არას-მეტყველი, მკრთალი სახით, არ შეეძლო რაიმე განსაკუთრებული ჩაედინა. ამ წუთს ბორარდს ეგონა, რომ ფრანგული იურისპრუდენცია შოვინისტურია და შეზღუდული, და მზად იყო, თუნდ იმავ წამს გაენთავისუფლებია კორბსი, მაგრამ მაინც მას შემდეგ, როცა ფერერი წარმოსთქვამდა დიდებულ დასაცავ სიტყვას.

როცა მდივანი და ფერერი შევიდენ პატიმარის ოთახში, ბორარდს თავზარი დაეცა. მათ დასახვედრად წამომდგარი კაცი სრულიად არ ჰგავდა იმ ჭაბუკს, რომლის ნახვა ეგულებოდათ შესულებს. მხოლოდ აყლაყუდა მოყვანილობა აგონებდა მათ კორბსს, მაგრამ იგი სრულიად არ იყო ის გერმანელი გაჭიმული კაპრალი, რომელიც ორივემ სურათზე ნახეს. ეს იყო მოღუნული, მჩატე კაცი. საოცარი იყო მისი სახე. მას არც ერთი ნაკვთი ადამიანისა არ შერჩენოდა. ეს იყო უფრო ხლართი კუნთების, რომელთაც კანი გააძვრეს. იგი წააგავდა ანატომიურ ატლასის ნახაზს: მარტოდ-მარტო შიშველი კუნთები, აქა-იქ გადარჩენილი კბილები, რომელნიც ჩამოგლეჯილ ტუჩიდან მოსჩანდენ. თმა მხოლოდ ნახევარ თავზე ჰქონდა, იგი ჰფარავდა მარცხენა მხარეს და კულულად ჩამოშვებული იყო გადარჩენილ ყურამდე. ხოლო მეორე ნახევარზე თმა სრულებით არ ჰქონდა. საზარელი სანახაობა იყო.

— პაულ კორბსი თქვენ ბრძანდებით?

— მე ვარ, — გაისმა სუსტი ხმა.

— ყოფილი გერმანელი კაპრალი, ეგერთა უნტერ-აფიცერი?

— დიახ, ეს საქმიდანაც სჩანს.

— თქვენ 1915 წელს ტყვედ ჩავარდით, არა?

— დიახ, ეს მე უკვე მოვახსენე წინასწარ გამოძიების დროს.

— გახსოვთ, სად ჩაუვარდით ტყვედ, რომელ ალეგას? არ გახსოვთ? ნება მიბოძეთ, გაგახსენოთ. ირის მახლობლად, 260-ის სიმაღლეზე, 20 ივნისს, სოფელ კოტროს აღების შემდეგ, მდინარე კოტროს ნაპირზე, ფრანგების კონტრ-იერიშის დროს.

— მართალია.

— გახსოვთ ფრანგი ლეიტინანტი, როცა თქვენ....

— ეს ხომ თქვენა ხართ! — და სიკვდილის ნიღაბმა გამოსახა ღიმილის მსგავსი რამ, რამაც ორივენი უარესად შეაძრწუნა. — გიცანით.

— დიდათ მოხარული ვარ. მხოლოდ ნუ აღელვდებით.

— არა, არა... ძალიან მესიამოვნა... არ ვღელავ... თუ არ ვცდები, თქვენ ჩემი დამცველი ბრძანდებით? გულწრფელად მიხარია, მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ არავითარი იმედი არა მაქვს ჩემი გამართლებისა. ჩემი დანაშაული მეტად ნათელია და მისი უარყოფა შეუძლებელია...

— იქნება ერთ რამეში მაინც შევთანხმდეთ. მე ვფიქრობ, მე და თქვენ ერთი განზრახვა გვაქვს. საქმე ის არის, რომ თქვენ საქციელს მე კანონის თვალით არ ვუყურებ. მე ვხსნი ამ საქციელს სასოწარკვეთილებით იმ ადამიანისა, რომელიც სიმართლეს ეძებდა.

— ეგ მართალია.

— ეძებდა სიმართლეს და შეხვდა ძალადობას, ცინიკურს, უხეშ ძალადობას, მსუნაგ, უკეთურ ხელისუფალთ. მართალია?

— სრული სიმართლეა.

— აქედან თქვენ ხედავთ, რომ მე თქვენ საქმეს არ ვუ-
ღგები ვიწრო ვექილური მხრით. საქმის მნიშვნელობა მე
უფრო ფართოდ მეჩვენება. თქვენი საქციელის მიზეზები,
ჩემი ფიქრით, ღრმადაა დამალული.

— ეს მართალია, მაგრამ ამ ხანში დიდი ცვლილება
მოხდა ჩემში. მე აღვიარებ ჩემი საქციელის უმართებუ-
ლობას.

— როგორ? თქვენ თვითონვე უგდებთ თქვენ თავს სა-
ფრანგეთის სასამართლოს?

— არა, არც ეგრეა, თუმცა მე არ შემიძლია რაიმე ვი-
ღონო წინააღმდეგ აუცილებელი განაჩენისა.

— როგორ გავიგო თქვენი სიტყვები?

— ეხლავ აგიხსნით. მე ვცანი უმართებულება ჩემი
საქციელისა იქვე, ალაგობრივ, როცა ჩემმა ძვირფასმა ამ-
ხანაგებმა გადამარჩინეს. მე მაშინვე აღვიარე ჩემის საქ-
ციელის უმართებულება, მარტოხელა, სასოწარკვეთილი
ადამიანის საქციელისა. ნამდვილი რევოლიუციონერი ასე
არ იქცევა. ასე არ იქცევიან უმთავრესად კომუნისტები,
რომელთაც მე იმ დღიდან ვეკუთვნი.

— რაო? თქვენ საფრანგეთის კომუნისტური პარტი-
ის წევრი ხართ?

— არა, ჯერ კიდევ არა. რწმენით კომუნისტი ვარ, მა-
რამ სამწუხაროდ ჯერ არსად ვარ აღრიცხული.

— გარდა გამომძიებლის ოქმისა?

— იქაც ესევე ვთქვი.

— მაშ ეგეც საკმაოა, რომ თქვენი საქციელი გადაბან
„მოსკოვის ოქროს“.

კორბსის სახეზე ისევ გრიმასა აიხაზა, და მხოლოდ
მხრების მოძრაობით, თავის დახრით და ხელების ქნევით

შეიძლებოდა მიხვედრა, რომ იგი ალბად გაოცებული იყო და იღიმებოდა.

— აბა მე რა შემიძლია? რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ბატონ გამომძიებლის გახურებული ფანტაზიაა და მეტი არაფერი.

— ერთი სიტყვით, ჩვენ ერთმანეთისა გავიგეთ, არა?

— სავსებით.

— მე კი ოდნავ შიში შემეპარა. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ უცებ „პატიოსანი“ სინანული გეგრძნოთ!

— რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში თქვენი დაცვის ძირითადი იდეა ყოველივე მნიშვნელობას დაჰკარგავდა.

— ან და, ალბად იძულებული ვიქნებოდით საქმე გადაგვეკეთებია თავიდან ბოლომდე, — სთქვა ბორარდმა მოულოდნელად. აქამდე კი ის დაძაბული სდუმდა.

— ბოდიშს ვიხდი, თქვენ ერთმანეთს არ იცნობთ: ბ-ნი ბორარდი, ჩემი კოლეგა.

— დიდათ მოხარული ვარ, — მიესალმა იავარდის-ფერი თავის-ქალა.

— მაშ ასე, გავათავეთ. გთხოვთ, ყველაფერი შემატყობინოთ. რაც დაგჭირდებათ. ბ-ნი ბარარდი ყოველდღე გინახულებთ. ხოლო სამი-ოთხი დღის შემდეგ მეც მოვალ.

ვექილისა და ბრალდებულის გამოთხოვება ჰგავდა გულითად მეგობრების დაშორებას.

საქმე ირჩეოდა ივლისის სიცხიან დღეს, დაახლოებით იმ დროს, როცა საქმიანი დედა-ქალაქი, პარლამენტიდან მოყოლებული გალანტერეის ვაჭრამდე, ზღვის ნაპირზე იმყოფება საბანაოდ.

პრესა უნდილად შეუდგა ამ პროცესს. წინადღით ფეერერმა გადაათვალიერა გაზეთები, და შეამჩნია, რომ მინისტრის გაზეთი სდუმდა, ნაციონალური პრესა სისინებდა. ლიბერალური გაზეთები ღრუტუნებდენ, ოხრავდენ, არწყევდენ. დემოკრატების ორგანოებს უკვირდათ და ხელს იბანდენ. საერთოდ, მემარცხენე პრესა დაეჭვებული იყო, ხოლო კომუნისტური არსებითად ხედავდა ამ საქმეს და ამტკიცებდა პროკურატურის საპროვოკაციო მონათხზავს. მართალია, მეტად ფიცხად შეუდგა იგი ამ საქმეს, მაგრამ ტონი მთელ პროცესს მისცა დილის პატარა გაზეთმა, რომელმაც გახსნა ინფორმაცია ასეთი სათაურით: „ისევ გერმანელთა ჯაშუშობა“.

მოსამართლეთა გამოსვლის წინ ბორარდმა თვალი გადაავლო დარბაზს, შემდეგ მაგიდაზე დაიხარა, და, თითქო თავის ქაღალდებში იხედებაო, ჩუმათ უთხრა ფერერს:

— აქ მე ვხედავ დამცველთა კოლეგიის მრავალ წარმომადგენელს.

— ნუ თუ? — დინჯათ ჰკითხა ფერერმა.

— დიახ, და მათ შორის ვხედავ ისეთებსაც, რომლებიც, ჩემი ფიქრით, გუშინ პარიზში არც კი ყოფილან. ისინი ზღვის ნაპირზე იყვენ და იქ ზღვის სიგრილით ნებივრობდენ.

— მოდი, ჩემო ძვირფასო, ამაზე ნულარაფერს ვიტყვით. ხომ ხედავთ, სამოსამართლო ბოქაული მეტად ფიცხობს. სხვათა შორის, გადაეცით კორბსს კოლოფი საგრილებელი კანფეტებით?

— დიახ, დიდ მადლობას გითვლისთ.

ბრალდებულის გარეგნობა სხვადასხვა გრძნობას იწვევდა დარბაზში. ერთნი შესცქეროდენ სიკვდილის ამ ნიღაბს სიბრალულით, მეორენი გამახვილებული მტრობით,

საერთოდ კი, ყველა სულგანაბული იყო მწვავე ცნობის-მოყვარეობით.

ფერერმა დაკვირვებით აათვალიერა პირველ რიგში მსხდომარენი და ფიცხლივ დაიწყო რაღაცის წერა თავის გრძელ ბლოკნოტში.

მოწმეთა სკამებზე ისხდენ პროცესის ცნობილი მონაწილენი. მოწმეები გაიყვნენ მძაფრ-გარკვეულ ჯგუფებად და მოსამართლეთა გამოსვლამდე ცხარედ ბაასობდენ.

ცალთვალა ვილლი კლემენსს ცივად ეჭირა თავი და მხოლოდ ხანდახან ესროდა რეპლიკებს საფრანგეთის კომპარტიის ცნობილ წარმომადგენელს ალისა მილლენს. მექარხნე ფერსტერი აშკარად ნერვიულობდა, ატრიალებდა ყოველ მხრით თავის ჭაღარა თავს, შემდეგ ასევე ნერვიულად იხრებოდა წინ და უაზროდ დასცქეროდა იატაკს. მაღალმა მოხდენილმა ქალმა, რომელსაც გაცხოველებით ელაპარაკებოდა ფრანგული ჯარის კაპიტანი, მხოლოდ ერთხელ შეხედა ბრალდებულს. ამ შეხედვაში ფერერმა დაიჭირა სიბრალული და საშინელება. ქალმა შეხედა კორბსს მოკრძალებული და გაოცებული თვალებით და წამსვე თავი იბრუნა.

— ის ქალი ძალიან ფიცხობს. — შენიშნა ბორარდმა.

— მეც აგრე ვფიქრობ. ნახავთ, შემდეგ კიდევ უფრო აფიცხდება, — სთქვა ფერერმა.

— ერთი შეხედეთ, ინჟენერი ბარნეტი როგორ ესაუბრება ლეიტინანტ პორელლის.

— იცით, რომ ლეიტინანტი პორელლი საფრანგეთის ცნობილი ფაშისტია?

— როგორ არა, შარშან მას დიდი სკანდალი შეემთხვა მაისის დღესასწაულზე. მგონი. სცემეს.

— გთხოვთ წამოდგეთ, მოსამართლენი მოდიან,—დაიძახა კართან გაჭიმულმა სასამართლოს ბოქაულმა, მედიდური, მკაცრი, უფრო კი შეშინებული სახით.

პროცესის პირველი ნაწილი შეიძლებოდა მეტად მოკლედ მიგვეჩნია, და საზოგადოება გულგატეხილი დაიშლებოდა ალბად, ფერერი, რომ დასაწყისშივე არ აეხედრებულიყო თავმჯდომარის შაბლონურ აჩქარების წინააღმდეგ. თავმჯდომარეს პროკურატურის ბრალდება მიაჩნდა ამომწურავად და ამიტომ მოწმეთა დაკითხვა — ქ-ნ ემმა ბარნეტის, ბ-ნ კარლ ფერსტერის და ქალიშვილის ალისა მილლენის — სთვლიდა სრულებით ზედმეტად. ფერერის პასუხი იყო სწრაფი და მომხვედრი. თავმჯდომარე ოდნავ კიდეც აღელდა: ალბად იგრძნო, რომ ფერერთან არ ღირდა უნაყოფო ბრძოლის გამართვა და დაუთმო მას. საბრალდებულო ოქმის კითხვის დროს ფერერი რაღაცას სწერდა სწრაფად. ბორარდის ხელით მან წერილი გადასცა კორბსს, რომელმაც იგი ისევ ფერერს დაუბრუნა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. იქვე მჯდომმა ხნიერმა და მსუქანმა დედაკაცმა ხმამაღლა წაილაპარაკა:

— რა საშინელი გონჯია: ასეთს ადამიანს სასიკვდილო განაჩენისაც არ შეეშინდება.

— არა ქალბატონო, სიცოცხლე ყოველ სულიერს სწყურია. წარმოიდგინეთ თქვენი თავი მის მაგიერ, — მიუგო მარჯვნივ მჯდომარე უბრალო კაცმა.

კორბსის დაკითხვა დიდ ხანს არ გაგრძელებულა. მისი სუსტი ხმა პირველ რიგებსაც ძლივს წვდებოდა. ცნობისმოყვარეობა მატულობდა. ხალხი პირველ რიგთან თავს იყრიდა. ხმაურობამაც იმატა. ხმაურობის მოსასპობად საზო-

გადოებაში გაისმა სტვენა, რამაც უფრო მეტად შეუშალა ხელი კორბსს ლაპარაკში. დარბაზი ჰგავდა ვეფხების გალიას კვების წინ.

პროკურორის ურიცხვ შეკითხვების შემდეგ ფერერმა მიმართა კორბსს სულ რამდენიმე სიტყვით:

— ბრალდებულო კორბს, სთქვით: თქვენ ხართ წევრი საფრანგეთის, ან გერმანიის, ან იქნება სხვა რომელიმე ქვეყნის კომპარტიის, მესამე ინტერნაციონალში შემავალისა?

— არა, მე პარტიის წევრი არა ვარ.

თავმჯდომარის თვალებში ეშმაკურმა ნაპერწკალმა გაიელვა. უცბად შეეკითხა:

— შესაძლოა.... ისეთი კომუნისტური პარტიისა იყოთ, რომელიც არ შედის მესამე ინტერნაციონალში...

— ასეთი კომპარტია არ არსებობს,—შესძახა მილლენმა მოწმეთა სკამიდან.

კორბსმა ხელი ასწია. სიჩუმე ჩამოწვა:

— ასეთი პარტია რომ არსებობდეს კიდევაც, მე მისი წევრი არ ვიქნებოდი.

— ამაზე მეტს აღარაფერს ვკითხავ, — მიმართა ფერერმა თავმჯდომარეს.

მოწმეთა დაკითხვა დიდ ხანს არ გაგრძელებულა, ვილლი კლემანსის გარდა. მას ორჯერ ისეთი კითხვები დაუსვეს, რომ მან გადაჭრით უარი განაცხადა პასუხზე.

მოწმეთა დაკითხვისას ფერერმა გამოიჩინა მასალის ბრწყინვალე ცოდნა. მოხერხებით და უმჩნევად ეკითხებოდა ინჟენერ ოტტო ბარნეტს, რომელიც უნებურად გამოტყდა, რომ ის მართლაც წევრი იყო საფრანგეთის ფაშისტური ლიგისა და მომწყობი ამ კორპორაციისა საარვალდაუენში. ბარნეტი ისე გაფიცხდა, რომ ყურადღება არ მიაქცია პროკურორის საპროტესტო შეძახილს. ბარნეტის გა-

მოტეხის შემდეგ ფერერმა ღიმილით დაუკრა მას თავი და მადლობა გადაუხადა ინფორმაციისათვის. შემდეგ მიუბრუნდა თავმჯდომარეს და ძალდატანებული თავაზით წარმოსთქვა:

— ნება მიბოძეთ, ბ-ნო თავმჯდომარე, გთხოვოთ სიტყვა-სიტყვით შეიტანოთ ოქმში ბ-ნ ბარნეტის ჩვენება.

თავმჯდომარემ უმწეოდ გადახედა პროკურორს და შემდეგ ბრაზით მიუგდო ოქმის შემდგენელს:

— ჩასწერეთ.

დანარჩენ მოწმეთა დაკითხვამ უბორძიკოთ ჩაიარა.

მოწმე ლიბერმანი მრავალსიტყვიერად უპასუხებდა კითხვებზე, რის გამო ორჯერ მიიღო შენიშვნა თავმჯდომარისაგან.

როცა ჯერი მიდგა ემმა ბარნეტზე, ფერერმა მხოლოდ ერთი კითხვა მისცა მას, რომელიც საზოგადოებას მოეჩვენა მეტად უბრალოდ და თითქოს უმნიშვნელოდ:

— დეე მოწმემ მიპასუხოს: 1914 წელს, იმ დღეს, როცა ბრალდებული ფრონტზე უნდა წასულიყო, გადასცა თუ არა მან კორბსს, როცა მარტონი იყვენ, სუნნელოვანი არშიანი ცხვირსახოცი და თავის ფოტო-სურათი?

— დიახ, მივეცი, — მიუგო მოწმემ და მის ხმაში ცრეცლი გაისმა.

კორბსს თავი მეტად მშვიდად ეჭირა. მის წინ კოლოფი იდო მაგიდაზე და დროგამოშვებით იქიდან კანფეტს იღებდა. მის უკან მდგომი ჟანდარმი ყოველ მის მიმოხვრას თვალს ადევნებდა მტრულად და ეჭვით.

პროკურორის სიტყვის შემდეგ 'მესვენება გამოცხადდა. ტალანში დაიწყო კამათი. ზოგის აზრით საქმე უიმედო იყო ტალანის ერთ ბოლოში დამცველთა კოლეგიის წევრებმა მოიყარეს თავი, ჩურჩულებდენ და ერთხმად ადას-

ტურებდენ, რომ საქმე უფრო სერიოზული იყო, ვიდრე წინად ეგონათ.

— ჩემის აზრით შესაძლოა მხოლოდ ორმაგი მდგომარეობა შეიქნეს: ან იურიდიული სენსაცია, ან კიდევ სასამართლოს სიკვდილი.

— უფრო კი უკანასკნელი.

— თავმჯდომარე მაინცა და მაინც ვერ სწვდება მაღალ ფარდებს.

— ნაფიც მსაჯულთა შორის მე პარლამენტის ორი წევრი დავინახე.

ბორარდი, თითქოს გულგრილი, ხალხში დაბორიალებდა და დროგამოშვებით სადღაც იკარგებოდა.

— კალედონია 15 წლით მინიმუმია.

— ასეთ შემთხვევაში ვექილი მხოლოდ მოსაჩვენებლად ჰკისრულობს დაცვას.

— თქვენ, ჩემო ძვირფასო, კარგად ვერ იცნობთ ფერერს. იცით, რამდენი დრო მოითხოვა მან თავის სიტყვისათვის?

— რამდენი?

— ოთხ-ნახევარი საათი. აქედან სჩანს, რომ მას მოსაჩვენებლად არ მოუკიდია ხელი ამ საქმისათვის.

— მერე, რა აქვს მიზნად?

— ჰე, ჩემო ძმაო, ფერერი ამ საქმეზე უეჭველად პოლიტიკას ააშენებს. ეს უკვე ცხადია. მაგრამ როგორს — ეს სხვა საკითხია. ამას ჩვენ მხოლოდ მისი სიტყვის შემდეგ გავიგებთ.

ტალანში ზარი გაისმა.

— მოქალაქენო, პატივცემულნო მოსამართლენო და ღრმად პატივცემულნო ნაფიც-მსაჯულნო, — დაიწყო ფე-

რერმა. მან ისეთი კილო აიღო მიმართვისა, რომ გამოუცდელებიც კი მშვენივრად შენიშნავდენ, ვისკენ იყო უმთავრესად მიმართული მისი სიტყვა.

— ნაფიც მსაჯულებს აწვება, — ჩუმად შენიშნა ერთმა ვექილმა.

— ძალიან გთხოვთ, ყურადღებით მომისმინოთ და მაპატიოთ, თუ ჩემი სიტყვა მოკლე არ იქნა. მე იძულებული ვარ ზედმიწევნით და შეიძლება დაწვრილებითაც გადავშალო თქვენს წინაშე ამ საქმის სარჩული, მით უმეტეს იმიტომ, რომ არც მოქალაქე მოსამართლეებმა და არც ბ-ნმა ბრალმდებელმა არ გამოიჩინეს მისდამი საკმაო ცნობისმოყვარეობა. საბრალმდებლო ოქმი გვიჩვენებს საქმის აწერის უხეშ არევდარევას და იმასაც, რომ ბ-ნი ბრალმდებელი გასაოცარი სიზერელით მოპყრობია მას. ეს არევდარევა მე შემიძლია სამნაირად ავხსნა: ან ბ-ნი ბრალმდებლის წინააზრით, ან სრული გაუგებრობით იმ სოციალურ გარდატეხათა ფესვებისა, რაიც ეხლა ხდება კაცობრიობაში, ან კიდევ უგულველყოფით ამ სოციალურ გარდატეხათა მიმართ, ეს კი ადასტურებს ჩემს პირველ მოფიქრებას.

— აი, აკი გითხარით, აკი გითხარით? ძალიან საინტერესო იქნება მეთქი, — ჩასჩურჩულებდა სრული მოქალაქე გვერდით მჯდომ ახალგაზდა ქალს, რომელიც თვალებით სჭამდა ფერერს.

— რა სთქვა ბატონმა ბრალმდებელმა? მან ბრძანა, რომ ვინმე გერმანელმა, ეგერთა კაპრალად ნამყოფმა, ვიწრო შოვინისტური და ირრედენტური [1]) მიზნით ცეცხლი

[1]) ირრედენტიზმი გავრცელებული მოძრაობაა იძულებით შემოერთებულ ოლქებში: ელზას-ლორენში, საარის მხარეს, ტრანსილვანიაში და სხვ.

წაუკიდა ფერსტერის ფაბრიკას, რომელიც, გაკვრით რომ ითქვას, — რაიც ხაზგასმით აღნიშნა ბრალმდებელმა, — მუშაობს სამხედრო უწყებისათვის. ბ-ნი ბრალმდებელი ამ დანაშაულში ხედავს საფრანგეთის რესპუბლიკის სამხედრო ძალის შესუსტების ცდას. ბ-ნ ბრალმდებელის სიტყვით, აქ ჯაშუშობაც არის, და ბ-ნი ბრალმდებელი ამ საქმეში ნათლად ხედავს ბერლინის თაოსნობას და უმთავრესად კი „მოსკოვის" წყეულ ხელს. ბ-ნ ბრალმდებელის სიტყვაში რომ არ ყოფილიყო სიტყვები: მოსკოვი, ბერლინი, მუშათა ჯანყი, ირრენდენტიზმი, — მაშინ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენ 1913 წ. ვცხოვრობთ. მაგრამ ომის შემდეგ ჩვენ გადავიტანეთ მთელი ათეული წელიწადი, ათეული, რომელმაც შეარყია ჩვენი ცხოვრება და ჩვენი თაობა დააყენა წინაშე ახალი და უძნელესი საკითხებისა.

მოქალაქენო, საქმე, რომელსაც ეხლა თქვენ ისმენთ, ღრმად იჭრება თითქმის მთელი უკანასკნელი ათეული წლის ისტორიაში და არ შეიძლება მასთან მისვლა ცალმხრივ — ძველი კანონების საზომით. „15 წელი კალედონიაში" — წინასწარმეტყველებენ იურისტები. ეს იქნებოდა სასაცილო, უაზრობა, უხეშობა, და ასეთი განაჩენი შეარცხვენდა რესპუბლიკანურ საფრანგეთის სასამართლოს. ეს ამბავი უარმყოფელი იქნებოდა რევოლიუციონური საფრანგეთის სასამართლოს სახელოვანი წარსულისა. არა, აქ ღრმა ჩახედვაა საჭირო. ჩვენ პირისპირ ვდგევართ ადამიანურ დოკუმენტთან, რომლისთვისაც საკმარისი არ არის კანონის მშრალი სიტყვა. ჩვენ უნდა შევძრწუნდეთ ამ დოკუმენტის წინაშე. უნდა მივიღოთ მხედველობაში ის დროც, რომელიც ჩვენ გადავიტანეთ. კორბსის დანაშაულს ჩვენ უნდა შევხედოთ არა მარტო ერთი კაცის ბედის თვალსაზრისით, არამედ კიდეც უნდა მოვახერხოთ, რომ

იგი გადავაბათ მთელი ეხლანდელი თაობის დაავადებულ საკითხებს. რათა ეს ნათელვყო თქვენთვის, მე გიამბობთ, თუ ვინ არის ბრალდებული პაულ კორბსი და ვინ იყო ის დიდი და სამწუხარო ამბების წინა დროს.

ამ წამს ბორარდმა გადასცა თავის პატრონს სასწრაფოდ დაწერილი ბარათი. ფერერმა აიღო იგი და ხელახლა მიუბრუნდა ხალხს.

ვუბრუნდები 1914 წელს, ესე იგი, იმ ხანას, საიდანაც იწყება ამბები. ლოტარინგიაში, საარის ფერად ველზე, იმ ალაგას, საცა ეს პატარა დაკლაკნილი მდინარე ზედ ადგება უწინდელ საფრანგეთ-გერმანიის საზღვარს, მდებარეობს პატარა ქალქი საარვალდაუენი, ნახევრად გერმანული და ნახევრად ფრანგული. ასევე შერეული დარჩა იგი დღესაც.

რით არის ცნობილი საარის ველი?

შესანიშნავი გზატკეცილები და რკინისგზის უამრავი ლიანდაგები თამამად სჭრიან მდინარის ჭირვეულ ხვეულებს, რომლებიც ალაგ-ალაგ ინთქებიან გვირაბების ხახებში. ყველგან სჩანს განუწყვეტლივ მშრომელი ხელის კვალი. მაღაროები, ქარხნები და ფაბრიკები რიგ-რიგად მოსდევენ რაინდების ძველს ბუდეთა ნანგრევებს. გოტიურ პატარა სამრეკლოების გვერდით ასვერტილია ფაბრიკების საკვამლეები, იქვე ახლოს დგანან სიბერისაგან შერუჯული გერმანელთა პატარა სახლები და განიერ-მკერდიანი საქარხნო შენობანი. აი ეს ახასიათებს საარვალდაუენს. აქ დაიბადა და აღიზარდა პაულ კორბსი. ის ფიქრობდა მთელ სიცოცხლეში აქ ემუშავნა, ისე. როგორც ამას შეებიან ყველანი საარის ველზე.

საარვალდაუენი მოსაზღვრე ქალაქია და არაფრით განსხვავდება სხვა ასეთივე სამთომადნო სამრეწველო ალაგებისგან. მოსახლეობის ნაწილი ამუშავებს მთების ფერ-

დობებზე მიწის მწირ ნაჭრებს, ან აშენებს ქვემოთ მინდვრებზე აყვავებულ ბოსტნებს. მოსახლეობის უმრავლესობა კარლ ფერსტერის ქიმიურ საღებავთა ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეა. ეს ფაბრიკა ქალაქის გულია და მშვენება. რაღაც ხუთი წლის განმავლობაში მცირე სახელოსნო გადაიქცა ოთხ-საკვამლიან ბუმბერაზად. 1914 წელს გაზაფხულზე პაულ კორბსმა დაასრულა სამასწავლებლო სემინარია, მიიღო დიპლომი და დაბრუნდა ვალდაუენში. ამ დროს ის 19 წლისა იყო. გრძნობდა, გამარჯვებული იყო. მასწავლებლის მოწმობა საამურად შრიალებდა ახალი ტანისამოსის უბის-ჯიბეში და კორბსის გულს სიამაყით ავსებდა. ჩვეულებრივ 19 წლის ვაჟის თავი სავსეა ოცნებით, ფეროვანი გეგმებით და ნათელი ძლევამოსილი მომავლის რწმენით. მაგრამ კორბსი ისეთი ჯიშის ადამიანი იყო, ვინც ახალგაზრდობაშივე ეჩვევა დინჯს, რეალურს და პრაქტიკულ აზროვნებას.

როცა ახალგაზდა ვაჟი იგრძნობს თავის ჯიბეში საბუთს, რომელიც უფლებას აძლევს მას მიიღოს მონაწილეობა მოზრდილებთან ერთად ცხოვრების შენებაში, ყოველ საგანს და მოვლენას მის გარშემო ეძლევა სხვანაირი მნიშვნელობა და თითქო მას უახლოვდება. ასეთ წუთს ბუნებრივად იბადება სურვილი საფუძვლიანად იფიქრო შენს თავზე, დაჯამო წარსული, მიღწეული, აღნიშნო შეცდომები და დასკვნა გააკეთო მომავლისათვის. გარდა ამისა, 19-სა რომ შესრულდები, იქცევი მოზრდილად, ამოგდის ულვაში და წვერი, ეჩვევი პარსვას, და როცა სვამ „ბრუდერშაფტს“ ოცდაათ-ორმოცი წელის ვაჟკაცებთან, მაშინ მოკრძალებაც გეკარგება. კორბსი მეტად მორიდებული, ვარდისფერი, აყლაყუდა ჭაბუკი იყო. მას ჯერ კიდევ შერჩენოდა ბავშური გაწითლების უნარი. ეს ლურჯ-

თვალა ვაჟი ცდილობდა მასწავლებელივით სერიოზული ყოფილიყო, და ფიქრობდა, რომ ამას მუდამ მიაღწევდა თხელი მოკუმული ტუჩებით.

დიახ, აი ეს სიკვდილის ნიღაბი, თქვენს წინაშე რომ ზის როგორც ბრალდებული, 15-ოდე წლის წინად ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო და ჰყვაოდა, საესე ცხოვრების გეგმებით, მისწრაფებით და ოცნებით. მას სურდა ყოფილიყო მასწავლებლად პატარა მოსაზღვრე ქალაქში, ის ოცნებობდა მიეცა ნახევრად ფრანგ ნახევრად გერმანელ ბავშებისათვის ელემენტარული ცოდნა. ის ლამობდა მათ პატარა თავებში ჩაეჭედა გაერთიანებული გერმანიის იდეა. რაც შეეხება მის თვალსაზრის სხვადასხვა სარწმუნოებაზე, უნდა ითქვას, რომ მან დიდი ხანია ამას გვერდი აუხვია, და იცოდა მხოლოდ ერთი რამ: გერმანელი მასწავლებლის საქმე დიდი იყო. მას ბავშებისგან მაგარი გერმანელები უნდა მოემზადებინა.

როგორც უკვე აღვნიშნე. კორბსმა იცოდა, სად იყო საზღვარი ოცნებისა და სინამდვილის შორის, ამიტომ ის თავის თავს არ ატყუებდა. და იცოდა, რას უნდა მოლოდებოდა ცხოვრებისგან — მას სურდა ყოფილიყო მასწავლებლად საარვალდაუენში, და სრული უფლება ჰქონოდა ამისა.

მამა მისი, მოხუცი კორბსი, 25 წელიწადს იყო ქალაქის ფოსტის გამგედ. მას ყველა პატივს სცემდა. პაული ითვლებოდა სკოლაში პირველ შეგირდად, მორიდებულ ყმაწვილად და მშვენიერ მუსიკოსად. რაც შეეხება მის სამსახურში შესვლის პრაქტიკულ განხორციელებას, ამას ხელს უწყობდა ყველა გარემოება. სწორედ შემოდგომაზე უნდა გახსნილიყო ახალი სკოლა. რომელიც მეფაბრიკე

ბ-ნმა ფერსტერმა ააშენა თავის ფაბრიკის მუშათა შვილებისათვის.

ეს ბ-ნი ფერსტერი ნამდვილი შვილი იყო გერმანიისა. მან კარგად იცოდა, რომ მოქალაქე სკოლაში უნდა აღეზარდათ. პაულ კორბსი გრძნობდა, რომ ის იქნებოდა ფრიდრიხ პირველის დროის პრუსიელ განთქმულ მასწავლებელთა ღირსეული მემკვიდრე. ქალაქის გავლენიანი პირები — ბ-ნი ფერსტერი, მამა შნაბელი, ბ-ნი ლიბერმანი, რედაქტორი ადგილობრივ მუშათა გაზეთისა, ბ-ნი მილლენი, საქალაქო აფთიაქის პატრონი — ერთი სიტყვით, ყველა, ვისაც კი შეეძლო ეთქვა მის სასარგებლოდ ჯეროვანი სიტყვა ქალაქის საბჭოში და გაეწიათ პროტექცია კორბსის კანდიდატურისათვის. ყველა არწმუნებდა ბ-ნ კორბსს, რომ მისი შვილი სკოლას მიიღებდა.

იმ დღეს, როცა პაული შინ დაბრუნდა და ჯიბით ახალი დიპლომი მოიტანა, ბ-ნ კორბსს პატარა საოჯახო წვეულება ჰქონდა. პირველი მოვიდა ბ-ნი კორბსის მუდმივი პარტნიორი ნასადილევის-ქაღალდის თამაშისა, მილლენი— მუდამ ბუზღუნა და უკმაყოფილო კაცი. მალე მას მოჰყვა ბ-ნი ლიბერმანიც. ის მოვიდა პაულის დიპლომის სანახავად და დაჰპირდა, რომ მეორე დღეს მთელი ქალაქი ნახავდა გაზეთში, თუ როგორი იყო ეს დიპლომი. იგივე ლიბერმანი გაეშურა მამა შნაბელთან და მოიყვანა, როცა სამსამი დიდი ჭიქა ლუდი დალიეს. მოვიდა ბ-ნი დიუბონი. ინვალიდი, მუშათა კლუბის გამგე და ადგილობრივ სოციალ-დემოკრატების ლიდერი. ზეიმის გმირი არ სვამდა. იგი ესაუბრებოდა დედას, უნაწილებდა მას თავის სიხარულს და ემზადებოდა იმავე დღეს სადარბაზოდ მისულიყო ბ-ნ ფერსტერთან, რათა მისთვის დიპლომი ეჩვენებინა.

უნდა ითქვას, რომ ახალგაზდა კორბსი ბ-ნ ფერსტერს, მუსიკის მცოდნეს, ძალიან უყვარდა. პაული ყრმობიდანვე კარგად ხმარობდა ხემს, მიიღო მასწავლებლობის გამოცდაზე ოქროს მედალი და განსაკუთრებული მოწმობა მუსიკალური ნიჭისა. ის ჩქარობდა ყოველივე ეს ეჩვენებინა ბ-ნ ფერსტერისათვის.

კორბსი რომ იმ ჯიშისა ყოფილიყო, ვისაც შეუძლია ოცნება და გაბედვა, ის ალბად ასეთი დიპლომით მიაღწევდა ბერლინის კონსერვატორიას.

პაული ბ-ნ ფერსტერს თავის პატრონად სთვლიდა და ამიტომ ვერ სცნო შესაძლოდ დარბაზობა მეორე დღისთვის გადაედო — ეს უზრდელობა იქნებოდა, — და უარი სთქვა მიეღო მონაწილეობა ბავარულ ლუდის შესმაში. იქვე ოთახში გავიდა და გულმოდგინედ შეუდგა სადარბაზო სამზადისს.

თუ ვინმე დამსწრეთაგანმა კარგად არ იცის, რაოდენი სიამაყით ისტუმრებს სადარბაზოდ დედა თავის ერთას, ახლად კურს-დამთავრებულ შვილს, მომავალ პატრონთან, მე ამას მოკლედ უამბობ მას.

ახალგაზდა ქალიშვილს ნაკლები გულდასმით ამზადებენ საბალოდ. დედის თვალს არც ერთი წვრილმანი არ გამოეპარება.

— მოიცა, სადარბაზო ტანსაცმელს დაგიუთოვებ. რად ჩაიცვი? სულ დაგიჭმუჭნია.

— ხომ ხედავ, დედი, გამოსათხოვარ ნადიმიდან პირდაპირ დილის მატარებელს მოვაშურე, დაგვიანების მეშინოდა.

— კარგი, კარგი, ამ სახელურს ნუ გაიკეთებ, ყვითელია და პრიალიც ნაკლები აქვს. აი ეს აიღე, ხედავ როგორია? თვალსა სჭრის. ყელსახვევი კი სულ დაჭმუჭნილა. მოიცა, გადავახალისებ.

დედის სწრაფი ხელი ფერთხავს მტვერის ყოველ ნამცეცს. ფეხსაცმელი ახალივით პრიალებს. ცხვირსახოცს შინაური სუნნელობა ასდის (ბ-ნი მილლენის გამოგონილია). თმა ციალა და კვრივ ტალღებად აწყვია. დედის თვალი სინჯავს, ამხნევებს, ეალერსება. მაგრამ დედის ზრუნვა შესაძლოა ზოგჯერ საზღვარს გადასცდეს და მაშინ იგი ტკივილს იწვევს.

— ფრთხილად იყავ, — ოდნავი ოხუნჯობით ეუბნება დედა, — იქ გასათხოვარი ქალია.

დედა ვერ ხედავს, როგორ აელვარდა შვილის თვალი, რ·ოგორ შეუჩერდა ხელი, რომელშიც საწმენდი („ჩოთქი") ეჭირა. დედას გამოართვა ყელსახვევი და გაჯავრებით წაიბუზღუნა:

— რაა, დედი, ამდენ ხანს რომ ვერ მორჩი?

მაგრამ უცებ შენიშნა: დედის თვალებს ბინდი ეხვევა და ერთი კურცხალი გადმოვარდა. სიცხარე დედისადმი სიბრალულში გადავიდა. პაული უცბად მოტრიალდა და ყელსახვევი გაუწოდა:

— აჰა, შენვე შემიკარ, ძვირფასო დედი.

მაგრამ დედა ოთახში უკვე აღარაა. შვილი დაედევნა. ნეტა, სად წავიდოდა? ის ისევ ბრუნდება ოთახში, მისი თვალი ხალიჩის ქარგაზე დარბის და აშტერდება რთულ ჩუქურთმას, საიდანაც მკაფიოდ და მკაფიოდ შემოსცქერის მას ემმა ფერსტერის ოქროვანი თავი.

— ისევ მიწყრები? — ესმის უკნიდან პაულს.

— არა, დედილო. გენაცვალე, ყელსახვევი შემიკარი. ნუ მიწყრები!

— აი, საჩუქარი მოგიტანე. მე და ძამა შენმა დიდი ხანია დაგიმზადეთ. — და წინ-საფარიდან გამოიღო შამის სადღესასწაულო ჯოხი, რომელსაც სპილოს ძვლის თავი ჰქონდა, ნივთი ახალგაზდობის გაბედული ოცნებისა, ნიშანი მოზრდილობის და სიმწიფისა.

— სულ დამავიწყდა ეს ჯოხი. ესლა-ღა გამახსენდა, — როცა ასე შემომიტია, — რომ შენ უკვე მოზრდილიხარ. ჩემო ძვირფასო შვილო.

და ისევ ცრემლი და კოცნა, მხოლოდ სიხარულისა.

მეორე ოთახში სტუმრები ცხარედ კამათობენ. გაისმის ნამეტნავი ხმამაღალი სიტყვები. პაულს ზოგჯერ ესმის სიტყვები მასწავლებლის როლზე სახელმწიფოში:

— შვილები მკაცრად უნდა აღიზარდონ, განსაკუთრებით აქ, საზღვართან, რათა ისინი მაგარი გერმანელები გამოვიდენ, — ამბობს ბ-ნი ლიბერმანი.

— რაღა უთუოდ აქ, საზღვართან? — აცივდება ბ-ნი მილლენი, — ამით რის თქმა გნებავთ?

— რაღა უთუოდ აქ?! ჩვენ კარგად ვიცით, როგორი გერმანელებიც ცხოვრობენ აქ.

— გეკითხებით, რის თქმა გინდათ ამით?

— გეყოფათ, ბატონებო, — ამშვიდებს მასპინძელი.

— უმთავრესი ისაა, რომ ღვთის გეშინოდეს და მორჩილი იყო, — ამბობს შნაბელი: — არავითარი სოციალისტური აზროვნება, ეს მეტად მავნე რამაა. გარწმუნებთ, ღვთის შიში მდაბიოსთვის უმთავრესია.

— არ გეთანხმებით, — ყვირის ლიბერმანი. — მუშებს შეუძლიათ შეკავშირდენ კულტურული მიზნით.

— სისულელეა! მუშებს აერთიანებს ეკონომიური და სოციალური ინტერესი და არავის აქვს უფლება და არც შეუძლია აუკრძალოს მათ შეკავშირება, — ბურდღუნებს სოციალისტი დიუბონი: — და თუ გნებავთ, მე თქვენზე უარესი გერმანელი არა ვარ, მაგრამ თავდაპირველად მე სოციალისტი გახლავარ.

— ბოდიშს ვიხდი, ეგრე არ არის, — ცდილობს ლიბერმანი უპასუხოს. — თვითონ კაიზერ ვილჰელმიც სოციალისტია. მისი მმართველობით არც ერთ ერთგულ ქვეშევრდომს არ უნდა ეშინოდეს თავის ინტერესებისათვის. მართალია თუ არა?

— მართალია.

— აგრეა.

დაწყებული კამათი ინთქებოდა პატრიოტულ სიმღერებში. ცარიელ ჭიქებს არახუნებენ და ხელახლა ავსებენ.

პაულმა გადასწყვიტა ეზოზე გაეარა, რათა აევლო გვერდი იმ ოთახისათვის, საცა კამათით და ლუდით შეფიცხული ხალხი იჯდა.

ყოველი ქვა ქუჩისა მისთვის ნაცნობი იყო: ძველი ხეები, რიგიდან გამობერილ სახლებთან მოხვეული ქვაფენილი, პატარა მდინარე, მჩქეფარე, სწრაფად მიმავალი ქვების შორის და მასზე გადებული ქვის ხიდი, — აი ქალაქი, საცა პაული იცხოვრებს, იმუშავებს, შესაძლოა იგემოს სიყვარული და შემოქმედება.

სიყვარული და შემოქმედება.

დიახ, უნდა აღვიაროთ, რომ კორბსს ჰქონდა იდუმალი და ზოგჯერ შესაძლოა კადნიერი აზრები. უფრო კი ეს იყო სიზმრები, არა სურვილი, არც გეგმები, არამედ სიზმრები, ფარული, ღრმად მდებარე ქვეშეცნეულში. მას ორი

ასეთი სიზმარი ჰქონდა, ორივე ერთი-და-იმავესაგან გამოწვეული და ემმა ფერსტერთან გადაბმული.

პირველი სიზმარი — პაული მუსიკოსია, განთქმული, ყველასგან აღიარებული, მიღებული საერთო პატივით საზოგადოებისგან, ოსტატი. მეორე სიზმარი კი თვითონ ემმა იყო, როგორც ცოცხალი საჩუქარი მისი გამარჯვებისათვისა ცხოვრების სარბიელზე. შესაძლოა ამიტომ, როცა მან შეუხვია ნაცნობ ქუჩაში, საცა იწყებოდა ქვის მაღალი ღობე, შემოსილი უსურვაზით ზემოდან ქვეითამდე, შესაძლოა სწორედ ამიტომ, როცა ის გრძნობდა ჩრდილოვან სიგრილეს ძველი ხეებისა, რომლებიც იზრდებოდენ ქვის გალავნის გასწვრივ და გარს ევლებოდენ ფერსტერის ბაღსა და სასახლეს, — პაულს გული აუჩქროლდა დაჭერილ ფრინველსავით.

ფერსტერის სასახლის ბჭედან შორი მანძილი მოსჩანს. ქალაქი თითქო პატარად გამოიმზირება, ხოლო ფაბრიკის ვეებერთელა ადგილი, თითქო ხელისგულზე გაშლილი, ჰგავს თვითონ ფაბრიკის მაკეტს. სჩანს, ბ-ნ ფერსტერი სიამით შესცქერდა ხოლმე თავის ნახელავს. მისი მამული წარმოადგენდა მთელს განკერძოებულ პატარა სამყაროს, რომელსაც ჰქონდა ოთხკუთხი სუფთად დაგვილი ეზოები, ბასრი სუნი ჰაერში, შორიდანვე საგზნობი ადამიანის ფილტვებით, დიდი მრგვალი აუზები სიმჟავეებისოვის და განიერ-მკერდიანი შენობები.

პაული მრავალჯერ ყოფილა ამ ფაბრიკაში. ის ყოფილა იმ განყოფილებაში, საცა ქვას ფქვავენ, რომლისგანაც კეთდება საღებავის მთავარი ნაწილი, საცა სიმჟავეს ხარშავდენ, საცა მანქანების ბორბლები ტრიალებდენ, სა

ნაც მიგორავდენ ცალიერი ბოჭკები საწყობის განიერ ხა-
ხაში. საწყობის გვერდით მიდიოდა რკინისგზის ლიანდაგი,
საგანგებოდ გაყვანილი გაადვილებისათვის. პაულმა იცო-
და, რომ ეს ფაბრიკა იზრდებოდა და თანდათან დიდძალ
მუშას ნთქავდა. მან იცოდა, რომ მუშები კვირაობით ლუდ-
სა სვამდენ „მწვანე ეგერის“ ლუდხანაში, თამაშობდენ „კე-
გელბანს“ კლუბებში და ხშირად ჩხუბობდენ. მან იცო-
და ისიც, რომ პირველ მაისს მუშები სადემონსტრაციოდ
გამოდიოდენ.

ფაბრიკაში ხშირად ხდება ხოლმე უბედურება. ვთქვათ,
მანქანა ხელს მოსწყვეტს ვინმეს, სხვა ვინმე სიმჟავით დაი-
წვის. დაშავებულ მუშებს საავადმყოფოში წაიყვანენ. ზო-
გი გადარჩება, მეტი წილი კი კვდება. იყო ასეთი შემთხვე-
ვაც: ერთ განყოფილებაში თერთმეტი კაცი მოიწამლა და
ყველა გარდაიცვალა.

ასეთ შემთხვევისას მთელი ქალაქი დამწუხრებულია.
ხოლო მუშები ჩვეულებრივზე მეტს სვამენ.

ასევე დაიღუპა პაულის საუკეთესო მეგობრის ვილლი
კლემანსის მამაც. მას უცაბედათ შეასხეს სიმჟავე. ასევე
დაჰკარგა ხელი ბ-ნმა კრუკმა, რომელიც ამჟამად მეკარეა
მუშათა კლუბში. ასევე დაბრმავდა ბ-ნი რემპტერი, საამქ-
როში უფროსად ნამყოფი, ეხლა კი ინვალიდების ორგანი-
ზაციის მდივანი. დაიღუპენ: არტი და გლიუნნიც, — საში-
ნელი ცოცხალ-მკვდარი გონჯები, რომელთაც ფერსტერი
და საზღვევი სალარო ყოველთვე „კარგ ფულს“ აძლევენ.

ერთი სიტყვით, ეს ფაბრიკა განსაკუთრებული ქვეყა-
ნაა, საცა ადამიანი დღედაღამ პირისპირ უდგას საშინელ
ხიფათს, და მისი ცხოვრებაც სწორედ ესაა. პაულის პატი-
ვისცემა ფაბრიკისადმი გაძლიერდა მას შემდეგ, როცა ბერ-
ლინის ერთ გაზეთში ამოიკითხა რომ ეს ფაბრიკა სიამაყეა

გერმანიის ქიმიური მრეწველობისა და რომ მას უდიდესი მომავალი აქვს.

სწორედ ამაზე ფიქრობდა პაული, როცა ის ფერსტერის სახლის ბჭეს უახლოვდებოდა. ქუჩაში არავინ იყო. ქარხნიდან ბუნდოვანი ხმები ისმოდა. ეს იყო გული ვეება ლოკომობილის. პაულს ეჩვენებოდა: როცა ის გადააბიჯებს ამ სახლის კარის ზღურბლს, ისევ ბავშვად, ოდნავ უხერხულ ადამიანად გადაიქცევა. ასეთი იყო ხოლმე ის ამ სახლში. მთელი მისი მოჩვენებული სიმწიფე გაჰქრა სადღაც, და ის იმას-ღა ფიქრობდა, თუ როგორ დადგებოდა მობუზული ბ-ნ ფერსტერის წინაშე, ხოლო ემმას განსვენებული დედის-და ლუიზა და იმავ ემმას ამზრდელი პაულს შეკითხვებს მიახლის, ის კი, დარცხვენილი, მოკრძალებით გაწითლდება.

— არა, არ გავწითლდები, — თითქო უბრძანა თავის თავს. ამით უნდოდა თავი გაემხნევებია.

რომ უფრო გაემაგრებია თავის თავი. მან გაიხსენა ის იმედის გაცრუება, რომელიც მოჰყვა იდუმალ ოცნებებს. ემმა პაულს მხოლოდ დასცინოდა, ამასხარავებდა და აიძულებდა ყოველგვარი სისულელე ჩაედინა. გაახსენდა, რომ ერთხელ ემმამ ხეზე ასვლა აიძულა მას და შემდეგ კენჭები დაუშინა. მეორეჯერ აიძულა ბანზე ასულიყო პაული, თვითონ კი კიბე მიწაზე გადმოაგდო. ერთხელ კიდევ ბნელ საკუჭნაოში ჩაჰკეტა იგი. საცა დეიდა ლუიზა ინახავდა სამურაბე ქილების გრძელ რიგებს. ჰო, რა თქმა უნდა, ეს იყო ბავშური სიცელქე. რომლის გახსენებაც საამურია, რადგან ამის შემდეგ ემმა ნიადაგ პატიებას სთხოვდა პაულს და ყველას წინაშე კოცნიდა მას, ხოლო სრული ზავისათვის თავის ლოყას უშვერდა.

დიახ, დიახ, თავის ლოყას უშვერდა.

პაული და ემმა ერთად დადიოდენ სკოლაში. პირველ წლებში ემმა პირველი მოსწავლე იყო. იგი სიყრმიდანვე განსხვავდებოდა სხვა თავის მეგობრებისაგან, მათზე უფრო ჭკვიანი და ჭირვეული იყო. არა, საუკეთესო მოწაფედ შეიძლება ალისა მილლენი ჩათვლილიყო, მაგრამ ალისა სხვანაირი ქალიშვილი იყო. ემმას შინ გადია ჰყავდა. რომ მოესურვა, შეეძლო სკოლაში არც კი ევლო, მაგრამ ბ-ნი ფერსტერი დემოკრატი იყო: მან აიძულა თავისი ქალიშვილი სკოლაში ევლო და დამეგობრებოდა მდაბიო ხალხის შვილებს. ემმას მეგობრები იყვნენ პაულ კორბსი და ალისა მილლენი, მეაფთიაკის ქალიშვილი, დინჯი, შავთვალა, ნამდვილი პატარა ფრანგი-ქალი, ოდნავ ჩაფიქრებული და თავის განსვენებულ დედასავით მკაცრად პირდაპირი.

ალისას დედამ თავი მოიკლა. ქალბატონი მილლენი ძალიან ახალგაზდა იყო: ის-იყო სკოლიდან გამოვიდა, როცა მისთხოვდა მეაფთიაკეს. მას მეტად სურდა ექიმი გამოსულიყო, და, როცა მისი ქალიშვილი ალისა ოთხი წლის შესრულდა, მან ნებართვა სთხოვა ქმარს უნივერსიტეტში შესვლისათვის. მაგრამ ბ-ნ მილლენს ამის გაგონებაც არ სურდა — და პატარა სერიოზულმა ქალმა თავი მოიკლა. ამაზე იმ დროს დიდი განგაში ატყდა. გაზეთებში დაბეჭდეს. ერთხელ მის ძეგლზე გვირგვინი იპოვეს წითელლენტიანი, ოქროს წარწერით „ქალის უფლებათათვის მებრძოლს“. ბ-ნმა მილლენმა გვირგვინი მოგლიჯა ძეგლიდან და მრისხანედ მოითხოვა სასაფლაოს დარაჯის დათხოვნა.

ალისა დედას ჰგავდა. ის ყოველთვის საუკეთესო მეგობარი იყო პაულისა. ხდებოდა ხოლმე, რომ თამაშობის შემდეგ, რომელიც პაულის საწყენად თავდებოდა, ალისა უკან დაბრუნებისას ჰკიცხავდა:

-- შენ, დოყლაპიავ, რად ითმენ, რომ ასე გექცევა ემმა, რომ ასე გამასხარავებს? ემმა თუმცა მდიდარია, მაგრამ ამის უფლება არ აქვს. ხომ ხედავ, მე ასეთ ხუმრობას ვერ მიბედავს.

— ჰო, შენ... — ჩვეულებრივ უპასუხებდა პაული, მაგრამ არ სურდა აზრის დამთავრება, აზრი კი ასეთი იყო: რა თქმა უნდა, შენ ვერ გიბედავს, რადგან შენ ქალიშვილი ხარ და ჩემსავით, უბედურსავით, არ გიყვარს იგი.

პირველად ალისამ მიუთითა პაულს სერიოზულად იმაზე, რომ მან უნდა აირჩიოს გზა მუსიკოსისა. ალისას გულწრფელად სწამდა მისი მუსიკალური ნიჭი.

— შენ შეგიძლია ნამდვილი ოსტატი გამოხვიდე, პაგანინივით, მხოლოდ საჭიროა გულმოდგინე იყო, — ამას რომ ამბობდა, შუბლს იკრავდა, მაგრამ თვალებით უალერსებდა მას.

სკოლის დამთავრების შემდეგ ალისამ შეინარჩუნა მეგობრობა ვილლი კლემანსის, რომელიც ფაბრიკაში მუშად შევიდა. მათი მეგობრობა დაიწყო ჯერ კიდევ ალისას დედის სიცოცხლის დროს, რომელმაც (დედამ) მოხუც კლემენსის უბედურებისას მოიწვია ექიმი და საბრალო დაჭრილს უვლიდა სიკვდილამდე. მილლენის ოჯახში დარჩა კეთილი ხსოვნა პატარა ვილლი კლემენსის.

ალისა მიწაა, სინამდვილე. ემმა კი სულ სხვაა: მზის სხივი, თვალმომჭრელი, თავბრუდამხვევი.

ემმა ისე არ ლაპარაკობს ფრანგულს, როგორც სხვები. ისინი ლაპარაკობენ გარსშემორტყმულ სოფლების ფრანგულს, ემმა კი პარიზულად გამოსთქვამს სიტყვებს. გარდა ამისა, ემმა ქალიშვილია მეფაბრიკე ფერსტერის, რაიც თავის თავადაც ბევრს ნიშნავს.

პაულმა ისევ იგრძნო მორცხვობა, რომელსაც ჩვეულებრივ ემმას წიხაში გრძნობდა ხოლმე.

საკმაო იყო, რომ შესვენების დროს ემმას პაული რისთვისმე მასხარად აეგდო, რომ მას მშვენივრად მომზადებული გაკვეთილი დავიწყებოდა და უთუოდ ჩაერილიყო.

ასე ხდებოდა ვალდაუენის პირველდაწყებით სკოლაში, საცა ისინი ერთად სწავლობდენ, და ასევე გაგრძელდა საამბურგში, საცა პაული გიმნაზიაში დადიოდა. პაულს აქაც დასდევდა მისი ბოროტი გენია, ემმა. საკმაო იყო ეოცნება ემმაზე, რომ გაკვეთილზე უეჭველად დამარცხებულიყო. იგივე ემართებოდა პაულს დარმუშტადშიც კი, სამასწავლებლო სემინარიაში ყოფნის დროს, პირველ წლებში.

მოვიდა სიჭაბუკე. ეს ხანა ყველაზე მტკივნეული იყო. საინტერესო გაკვეთილის დროს დინჯი ყმაწვილი სამასწავლებლო სემინარიის მსმენელი, უცებ ოცნებას მიჰყვება და გულში ემმას ებაასება. პაული უპასუხებს ემმას ჭკუიანად და მნიშვნელოვანად. დიალოგი მუდამ მარჯვედ მიდიოდა, პაული ყოველთვის იმარჯვებდა. ერთხელ მან ისე შესტოპა ოცნებაში, რომ კიდეც გაბედა ეთხოვნა ემმასათვის, რათა მას მოეცადა, სანამ იგი მიაღწევდა მსოფლიო მუსიკოსის სახელს.

ასე მიდიოდა პაულ კორბსის სიჭაბუკის ხანა, სანამ იგი ჩაიცვამდა ჩამოშვებულ შარვალს. ხოლო ემმა ფერსტერმა დაჟინებით მოსთხოვა დეიდა ლუიზას გრძელი კაბის შეკერის ნებართვა.

უკანასკნელი საზაფხულო არდადეგი აღარ იყო წინანდელივით ბურუსიან-ბედნიერი. იდილია გათავდა. ემმა თავის უკანასკნელ არდადეგებს თითქმის სულ ზღვის კურორტებზე ატარებდა. პაული წამოიზარდა, რომელსაც აღარ შვენოდა მუდამ ხეებზე ასვლა. აღარც მისი ჩაკეტვა

შეიძლებოდა თაგვებით სავსე საკუჭნაოში. მხოლოდ ერთი რამ დარჩა — შემოდგომის კონცერტები, როცა ფერსტერის ოჯახი უკან ბრუნდებოდა და ახალგაზდა მუსიკოსს საოჯახო საღამოებზე იწვევდა.

კონცერტებს ესწრებოდენ დეიდა ლუიზა, ბ-ნი ფერსტერი, ქალაქის წარჩინებულნი და უცვლელი ბ-ნი კუგელი. ხოლო ამ გაზაფხულზე ახალი ვინმეც გამოჩნდა — ახალგაზდა ინჟენერი ოტტო ბარნეტი. რომელიც პაულმა პირველივე შეხვედრიდან შეიძულა.

ამ უტაქტო ახალგაზდა მუსიკოსს აწყენინა პირველსავე საღამოს. როცა პაულმა დაასრულა თავის ნომერი ემმას აკომპანიმენტით. ეს ახალგაზდა. თავის ხნისათვის ვაჟბატონი. მივიდა ემმასთან და გამარჯვება მიულოცა. პაულს ყურადღებაც არ მიაქცია. მთელი საღამოს განმავლობაში მას არ სურდა შეენიშნა პაული. ის მხოლოდ ემმას ართობდა, თავშეყვარებით ესაუბრებოდა და თავხედურად ათვალიერებდა. ემმა კი ყურს უგდებდა ამ „პიჟონის“ ყბედობას, ერთხელაც არ დაუცინია მისთვის. და მის თვალებში ისეთი გამომეტყველება მოსჩანდა, რომელიც პაულს უწინ არასოდეს არ ენახა.

ფერსტერის სახლის მორთული რკინის ბჭე ნახევრად ღიაა. გზა მოფენილია ზღვის ხრეშით. მოსჩანს ყვავილნარი, ჩრდილოვანი ხეები. ფანტასტიური ნაძვები, ათქვირეებული ბოოტას ხეივნები. თითქო გაქცეულნი, ყველგან სჩანს მებაღის მაკრატლის კვალი. გზები დაღვარულია ელვარე მზით. გზის გარდიგარდმო გაშხვართულა ფერსტერის ავი დოგი, კაიო. ეს კაიო სასტიკი მცველია ფერსტე-

რის სახლის. გრძელი ფეხებით ფრთხილად მიმავალმა პაულმა მოუარა ყვავილნარს, შესდგა და საათი ამოიღო.

— საშს 15 აკლია, ხუთი წუთით ადრე მოვედი.

გზა გააგრძელა, მაგრამ მოლზე, რომელზედაც ბებერი მუხის მუქი ჩრდილი იწვა, რაღაცამ გაიელვა. გამოჩნდა ქვიშის დიდი ოთხკუთხედი, მაღალი ბადით გარშემორტყმული. ოთხკუთხედში ვილაც კოხტამ, მოქნილმა გაირბინა და ხმა გაისმა:

— აუც.

— ემმა.

ოთხკუთხედის მეორე მხრიდან პასუხად ინგლისური სიტყვები მოისმა. ბ-ნი ინჟენერი ბარენტი ეთამაშებოდა ტენნის ემმა ფერსტერს.

ტენნისის პარტია გაუმართია და შესაძლოა სხვანაირი „პარტიაც“... პაულს გული ეტკინა, თუმცა ამის აღიარება ეძნელებოდა. ან რა ესაქმება პაულ კორბსს, რომ ემმა ფერსტერი ეთამაშება ბ-ნს ინჟენერს! გზა განიერ აივნისკენ მიდის. რა კარგი იქნებოდა, რომ ყოველივე ეს არ დაენახა! ეჰ, დეე იკვნესოს ამ უბედურმა სულელმა გულმა.

— გამარჯვებათ:

პაულმა ქუდი აიწია, მაგრამ ემმა ამ წამს ბურთს დაედევნა. პაულის სალამს ახალგაზდა ინჟენერმა უპასუხა.

ამ ფრანტმა უპასუხა მას, მაგრამ განა პაული მას მიესალმა? ამ წუთს ბარნეტი მიწას რომ ჩაეყლაპა, პაულს არ დაენანებოდა. ხოლო ემმას სიცილი ღრმად ეჭრება გულში, თითქო მას მასხარად იგდებს. ნამდვილად კი ემმა იცინოდა, რადგან ბურთი მარჯვედ გაჰკრა. რომ დამალოს თავის უკიდურესი არევა, პაული ენერგიულად და პირდაპირ მიაბიჯებს აივნისკენ.

რა თავხედია და კადნიერია ბ-ნის ძაღლი! კაიო დიდი ხანია იცნობს მას, მაგრამ ყოველ წელიწადს ერთი და იგივე მეორდება: არ სურს იცნოს პაული. ძაღლი უძრავად წევს, თითქო მარმარისაგან გამოკვეთილი. თუმცა კაიომ უნდა იცოდეს, რომ პაულ კორბსი ამ სახლის დიდი ხნის მეგობარია, მაგრამ არა, ის არ ცნობს მას.

და ასე ხდება ყოველთვის არდადეგის დასაწყისში. პაულმა იცის, რომ კაიო არა ჰყეფს, არც იღრინება, ის მხოლოდ თავის საშინელ თვალებს აბრიალებს. არც კი ადგება ალაგიდან, მაგრამ ბოლოს გადმოხტება ვეფხვივით, და პაულმა ისიც იცის, რომ კაიოს ერთმა ნაკბენმა შარშან სიცოცხლეს გამოასალმა მოზრდილი ბულდოგი ფერსტერის სტუმარ ნათესავის სამხედრო ატაშესი. პაულმა იცის აგრეთვე, რომ სამი წლის წინად კაიომ სულ გააშიშვლა ფერსტერის ბაღში შემოპარული ქურდი.

ნეტა რა იქნება ეხლა?

გული შეუჩერდა პაულს, სუნთქვა შეუგუბდა. საძაგელი ძაღლი ისევ შუა გზაზე წევს. პაული იძულებულია შეჩერდეს, რადგან ხელში ჯოხი უჭირავს, რომელიც კაიოს მხოლოდ აბრაზებს. პაული ცდილობს თავაზიანად გაუღიმოს, სახელი დაუძახოს, მაგრამ ენა გაუშრა, ხახა შეეხუთა და თავისთვის ანგარიშობს: შარვალი 35 მარკა ღირს, კაიოს ძალიან უყვარს შარვალის ფრეწა. ჰო, რასაკვირველია, კაიო პირველი შეგირდია ბ-ნი გეშკესი, ვალდაუენის პოლიციის უფროსისა, რომელმაც ასწავლა მას მოსამსახურე ძაღლის ყოველგვარი ეშმაკობა.

ამ ძაღლმა პაული სულ რომ დაასისხლიანოს, დიდებული იქნებოდა: ემმა ალბად იტირებდა, სისხლს რომ დაინახავდა და შეწუხდებოდა იმის გამო, რომ ვერ დაინახა, როცა ქუდმოხდილმა პაულმა სატენნისო ფორთან გაიარა.

— ნუ გეშინიათ კაოსი! ნურავითარ ყურადღებას ნუ აქცევთ, მას მხოლოდ თქვენი ჯოხი აღიზიანებს, — გაისმა დაჩრდილულ ფორიდან ხმა ბ-ნი ბარნეტის.

პაული ნაკბენივით მოტრიალდა. მისი შიში რისხვად გადაიქცა. მას სურდა ეთქვა რაიმე უხეში, მშოლტავი, მაგრამ ვერაფერი მოიგონა. მაგრამ საჭიროა, საჭიროა რაღაც უთხრას და ისიც ეხლავე, ამავე წამს.

— რა ბრძანებაა? ჩვენ ძველი მეგობარ... ნაცნობები ვართ, მე და კაიო,—პაული გრძნობს, რომ საშინელ სისულელეს როშავს და ამის გამო წითლდება. ის ძველი მეგობარია ამ ძაღლის? ძაღლისა?

ემმა მოვარდა ბადესთან და პაული იცნო.

— ჰაა, თქვენა, პაულ? გამარჯვებათ! თქვენ უკვე არდადეგზე ხართ?

— არა, სულ დავბრუნდი.

— ნუ თუ უკვე მასწავლებელი ხართ?

— დიახ, ფროილაინ ემმა, უკვე მასწავლებელი ვარ.

— ხედავთ, ბ-ნო ბარნეტ, რამხელა გაზრდილა ჩემი სკოლის მეგობარი! შეხედეთ! ახლო მოდით, პაულ!

„დამაბრმავებელი ლამაზი ქალია“, ისმის პაულის გულში. გადასდგამს რამდენიმე უხერხულ ნაბიჯს და ემმას უახლოვდება. შემდეგ მოსდევს რამდენიმე ჩვეულებრივი გაცვეთილი სიტყვა:

— მაშ, წადით, პაულ, მამა ალბად უკვე გელოდებათ. კაიოს გვერდში წიხლი ამოჰკარით, მართლა, რათ გიღრენო მუდამ? დროა გიცნოთ... პაულ, ყავაზე დარჩით და მაშინ მოვილაპარაკებთ ჩვენს მომავალ კონცერტზე.

ეხლა კი პაული სწრაფი და ბეჯითი ნაბიჯით მიდის. კაიომ-მიირბინა მასთან, კუდის ქნევაც იწყო ცუღლუტურად და აედევნა.

პაული ბედნიერია, თვითონაც არ იცის, რად. სურს იხტუნაოს.

რა ლამაზია ყოველივე ირგვლივ, რა მშვენიერია ეს ბაღი!

„როგორ მოიღუშა ბ-ნი ბარნეტი, როცა ემმამ ყავაზე მიმიპატიჟა! მაგრამ შეიძლება მე არც კი დავრჩე. დეე, ისინი ბედნიერები იყვენ... სიხარულს არ შეუშლი მათ".

აივანზე არავინაა. სიჩუმე და სიგრილე. დაწნული საბაფხულო ავეჯი. ირგვლივ გაფანტულია ნაცნობი ნივთები: დეიდა ლუიზას ხელსაქმის კალათი, დახეული ჩოგანი, რამდენიმე წიგნი, დასურათებული ჟურნალები, რომელთა გადაფურცვლა მუდამ უყვარდა პაულს.

სწორედ სამი საათია. ჰო, „მეფაბრიკეს საათი ყოველთვის სხვანაირად დადის",—გაუელვა თავში მუშურმა ანდაზამ, რომელიც მან ოდესღაც მოისმინა მუშების მიტინგზე. სხვათა შორის, მუშებს ძალიან სძულთ ეს ბარნეტი. ერთხელ დიუბონმა კარგად შეუკურთხა მას:

— თქვენ, ბ-ნო ინჟენერო, ჯერ კიდევ მეტად ახალგაზდა ხართ, — უთხრა საქვეყნოდ დარბაზში.

„მაგრამ მე ხომ სადარბაზოდ მოვედი ბ-ნ ფერსტერთან, მექარხნესთან, რომლისგანაც დამოკიდებულია ჩემი მომავალი", — თავიდან იშორებს ურიგო აზრებს პაული და მადლობით, პატივისცემით ივსება ფერსტერისადმი. პაული გრძნობს გულის აჩუყებას.

აივანზე მინის კარი გაიღო, ბ-ნი ფერსტერი გამოვიდა. საშინაო პიჯამა აცვია. მაღალი, მხარბეჭიანი ვაჟკაცია. სახე მრგვალი, სუფთად გაპარსული, კარგი სიგარების სუნი ასდის.

— აჰა, თქვენა ხართ, ახალგაზდავ! დაბრძანდით! ეს თქვენი დიპლომია? აბა ვნახოთ! დიდი სიამოვნებით. მე

შემიძლია ამ დიპლომით ვიამაყო და თქვენ შეგიძლიათ... დიდებულია, უნაკლოა.

— მე მუსიკალურ განათლების დიპლომიც მაქვს.

— ისედაც ვიცი. თქვენ მშვენივრად ხმარობთ ხემს და ამიტომ უეჭველად უნდა იკისროთ სკოლაში ნამდვილი ორკესტრის მოწყობა. მე ვფიქრობ, იკისრებთ, არა?

— მზადა ვარ.

— რაც შეეხება ჩემი მხრით დახმარებას თქვენი გაწესებისათვის, ამის გამო შემიძლია გაგიზიაროთ ჩემი კეთილი განზრახვა. რომ ეს საკითხი შორს არ გადაიდოს, მე დღესვე მოველაპარაკები ზოგიერთ პირებს საქალაქო მმართველობიდან. მე მგონია, შემდეგ კვირას მე და თქვენ ერთად მოველაპარაკებით პარაკლისის შემდეგ ქალაქის საბჭოს წევრებს.

— მზადა ვარ...

— მაშ, ნება მიბოძეთ, ბედნიერება გისურვოთ მუშაობაში, ახალგაზდა მეგობარო... რაც შეეხება ორკესტრს, ეხლა რომ გითხარით, მე ყოველ მხრივ დაგეხმარებით... მხოლოდ ერთი დიდი სათხოვარი მაქვს: ბავშები უნდა აღზარდოთ მაგარ, მორწმუნე მოქალაქეებად.

— ეს არ შეადგენს სკოლის პირდაპირ დანიშნულებას.

— როგორ?

— მე მსურდა მეთქვა, რომ ეს სკოლის პირველი მიზანი არაა, პედაგოგიური თვალსაზრისით მაინც.

— რა თქმა უნდა, მაგრამ თქვენ მაინც ხელი უნდა შეუწყოთ.

— მესმის.

— გადაეცით ჩემი სალამი თქვენს პატივცემულ მამას. ერთხელ კიდევ გილოცავთ.

— დიდი ხანია დაბრუნდი? მე კრეკსში ვიყავი ძალუა ანტონიასთან, ხუთი დღე დავრჩი... არა, თითქმის ერთი კვირა... ამიტომ შენი მოსვლა ვერ გავიგე.

— დღეს დილით დავბრუნდი შინ. შეგიძლია მომილოცო: დიპლომი მივიღე და სამუდამოთ დავბრუნდი.

— მოგილოცავ ვალდაუენის ახალო მასწავლებელო!

— გმადლობ.

— რა კოხტა ხარ! ჯოხიც კი გიჭირავს. შენ უკვე „ახალგაზდა ვაჟი" ბრძანდები, და ასეთი საზეიმო საბაბის გამოც კი შენი კოცნა უკვე უხერხულია. აჰა, უკანასკნელი იყოს... მოგილოცავ, ინებე!

და მეგობრებმა ნაზად აკოცეს ერთმანეთს ლოყებზე.

— აბა, როგორ ხარ? რა თქმა უნდა ფერსტერთან უკვე იყავი სადარბაზოთ.

— სწორეთ იქიდან მოვდივარ.

— ემმა შინ არის?

— არ მინახავს.

— თუმცა, რა თქმა უნდა. არც შეგეძლოთ ერთმანეთს შეხვედროდით. ეხლა ემმა დროს სულ ახალგაზდა ინჟენერთან ატარებს. უკანასკნელ ხანს აქაური ბებრუცანები მხოლოდ ამაზედა ყბედობენ. ამბობენ, მომავალ გაზაფხულზე ჯვარს დაიწერენო.

— ალბად. — და პაულს ყურები და კისერი წითლად აელანძა, გული შეეკუმშა.

გზაზე პატარა მრგვალი ქვა გდია. თითქო პაულს დასცინის. მან ასწია ჯოხი და ქვას დაარტყა. „მტვერი" როგორც რკალი ისე გავარდა... რა საწყენია! მამის საჩუქარი, სიმწიფის ნიშანი ორად გადატყდა, ხოლო ჯოხის თავი ნატკენ ხელში შერჩა.

— ვაი!

ალისას ესმის მისი ტრაგედია, გატეხილ ჯოხის ასაღებად იხრება და სერიოზულად შენიშნავს:

— ნამდვილი შავი ხისაა, აქ მომე, დღესვე შევუტან ხელოსანს ბ-ნ დიურფელს, ის გააკეთებს. ჰო, კარგი, ნუ გეწყინება. გავაკეთებინებ, ხვალვე მზად იქნება.

— ეჰ, ალისა!

— ოჰ, კარგი, კარგი! ვხედავ, რომ რაღაცათი გუნება გაგიფუჭე. ჯოხს წავიღებ და ხვალ მზად იქნება. ჩვენთან შემოიარე, შენს მოხუცებს უთხარი რომ...

— რომ ჯოხი ფერსტერთან დამავიწყდა.

— აი, ხომ ხედავ... წავიდეთ პაულ! არ გინდა? მაშ. ნახვამდის. დარჩი, დამშვიდდი. აქ დიდებულია. ხვალ ჩვენსა მოდი, ჯოხი მზად იქნება.

— ნახვამდის, ალისა! მაპატიე, აქ დავრჩები. მინდა მარტო ვიყო. რა კარგია აქ! არ მინდა, დაგაგვიანო, შენ ხომ შორიდან მოდიხარ, კრეკსიდან.

ჰო, ჰო.

პაული გზას აგრძელებს. ჯვარედინი, საცა ალისას შეხვდა, აღარ მოსჩანს. ალისა შორსაა. ნელნელა ხეებიც იმალებიან, ფერსტერის სახლის ირგვლივ რომ მოსჩანდენ. პაულის წინ იშლება ველი მთელი მისი მშვენებით.

პაული შესდგა და მთის სუფთა ჰაერი შეისუნთქა. მკაფიოდ მოაგონდა ახლო წარსული. მას ეგონა, რომ აქ სერიოზული მასწავლებელი კი არ დასეირნობს, არამედ უდარდელი სტუდენტი.

პაულმა ინახულა ყაჩაღების ძველი მღვიმე. წყალვარდნილი და არწივთა ბუდე. ის ავიდა რაინდების ციხე-დარბაზის ნანგრევებზეც და ყველგან იგონებდა ისეთ რამეს, რაც დაკავშირებული იყო ემმასთან.

ის მივიდა დიდ მრგვალ ქვასთან, რომელსაც მოსწავლენი ზიგფრიდის შურდულის ქვას ეძახდენ. პაულმა მტანჯავი არევა იგრძნო. სამი-ოთხი წლის წინად ამ ქვასთან უცნაური ამბავი მოხდა. ეგონა, თითქო გუშინ მოეხდარიყოს. მალულობას თამაშობდენ. პაული და ემმა მარტონი დარჩენ და ამ ქვის უკან დაიმალენ. მაძიებელთა ხმა ძლივს ისმოდა. უცებ ემმამ პაულს ხელი ხელში მოჰკიდა, ქვის ძირში მიიყვანა, ახედა თავის ცისფერი თვალებით და ოცნებით წარმოსთქვა:

— პაულ, შენ ყაჩაღი ხარ, მე კი — მდიდარი ვაჭრის ცოლი, რომელიც, ვთქვათ, შენ მოიტაცე და აქ მოიყვანე. რას მიზამ ეხლა?

პაული გაშეშდა მოულოდნელობისაგან. ნეტა, რა უთხრას ემმას, რომ მან არ დასცინოს?

— მე ალპიურ ვარდის თაიგულს შევკრავ და შენს ფეხებთან დავდებ. — მიუგო მან უცებ სასიხარულო კანკალით.

— სულელო, ყაჩაღი ქალს თაიგულს კი არ მიართმევს. არამედ გადაკოცნის. — მიუგო ემმამ და გაექცა განცვიფრებულ კორბსს.

ეტყობოდა, სასადილო ოთახში უკვე ყველა გამხიარულებულიყო, ბ-ნი ლიბერმანი ბოხი ხმით გუგუნებდა:

ვაჰ სუსანა, ვაჰ სუსანა,
ახტაჯანა გოგონაო,
ყოველ წლობით მუცელს იბერ,
და კაიზერს აძლევს ბიჭსა.

— ჰაა, როგორა ხართ, ბ-ნო მასწავლებელო? სადარბაზოთ იყავით? როგორ მიგიღოთ ფერსტერმა?

— რა საქმე გვაქვსთ ფერსტერთან? ჩემი გაზეთის მომავალ ნომერში წერილს დავწერ ჩემს ძვირფას ახალგაზდა

შეგობარზე და ამ წერილში გამოჩნდება მისი დიპლომის მთელი შინაარსი. საზოგადოებრივ აზრზე თუნდაც ნაძლევს დავდებ, ხომ იცით, ბატონებო, რა ძალა აქვს პრესას. — გუგუნებდა ლიბერმანი.

— ბატონმა ფერსტერმა სურვილი გამოთქვა, რომ ახალი გუნდი შევადგინო, გუნდი და, გარდა ამისა, ორკესტრიც.

— ორკესტრი! ეს მესმის, მაგრამ ფულს იძლევა? ფულს, ფულს იძლევა მეთქი, ბ-ნი ფერსტერი?

— დიახ, ყოველგვარ დახმარებას დამპირდა.

— აი ეგ მომწონს! საუბარიც ეგაა! მოგილოცავ ახალგაზდავ, თქვენი ბედნიერებისა იყოს!

დედის თვალი — მჭრელი, როგორც თვალი დედალი არწივის. სმენა — მახვილი, როგორც ჩასაფრებული მონადირის. იგი ჰგებულობს ნაბიჯზე, ხედავს თავის დახრაზე...

— რა დაგემართა, პაულ? ცუდათ მიგიღეს?

— რას ამბობ, დედი!

— აბა, აბა, მითხარი, ხომ ვხედავ, რაღაც ამბავი უნდა იყოს.

— დედი...

— შვილო, მე მითხარ, დედას.

და კუშტიან წარბებს დედის ხელი შლის. შვილის სახეზე ჩნდება ცბიერი ღიმილი.

— გეტყვი, თუ პირობას მომცემ, რომ საიდუმლოთ შეინახავ.

— გაძლევ.

— იცი, დედი, უცაბედათ ჯოხი გადამიტყდა.

— ეგ არაფერია. მე სულ სხვას ვფიქრობდი. მერე, ჯოხი რა უყავი?

— ალისამ მოისურვა დიურფელთან მიეტანა გასაკეთებლად მხოლოდ მამას ნუ ეტყვი.

— არ ვეტყვი. ალისას სად შეხვდი?

— ჰმ... ჰმ... ფაბრიკასთან შეეხვდი. კრეკსიდან მოდიოდა დეიდა ანტონიასაგან.

— რა ჭკვიანია ალისა!

— ჰო, ძალიან ჭკვიანი ქალია. მიამბო: ისევ სწავლობს. სურს ინჟენერ-ქიმიკოსი გამოვიდეს.

— დედას ჰგვანებია.

ქეიჟი ალბად კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ საათის შვიდზე აღელვებული მორიგი მოხელე არ მოვარდნილიყო ბ-ნ კორბსის წასაყვანად. მას როგორც ფოსტის გამგეს. სასწრაფოდ იწვევდენ ტელეგრაფზე.

სტუმრები დარჩენ, რადგან მოხუცმა კორბსმა სთხოვა მათ, მოეცადათ მის დაბრუნებამდე მაგრამ მალე ტელეგრაფიდან გზირი მოვარდა ბ-ნ ლიბერმანის წასაყვანად.

ბ-ნმა ლიბერმანმა გრძელი დეპეშა მიიღო ბერლინელ კორესპონდენტისგან. ფოსტის გამგე ჩაიკეტა თავის კაბინეტში. მან მიიღო შიფრიანი დეპეში, რომელიც, ეტყობოდა, ცირკულიარული იყო, რადგან მან მთელ ხაზზე გაიარა. რაღაც მეტად მნიშვნელოვანი მოხდა.

იმ დროს, როცა მოხუცი კორბსი უჯერო ხელით საიდუმლო ყუთიდან შიფრის ასახსნელს იღებდა, ლიბერმანმა მეორე ოთახში თავის დეპეშის ხმამაღლა კითხვა დაიწყო:

„სარაევოში, ბოსნიაში, სიკადეს ავსტრიის კრონპრინცის ფერდინანდის მოკვლა. ფერდინანდი და მისი მეუღლე, გრაფის ასული ჩოტეკი, დასჭრა სერბიის ხელმა. ამ ამბავს ავსტრია უდიდეს მნიშვნელობას აძლევს. ბერლინში ვენის მხარეზე არიან. კაიზერი აუდიენციას აღარ ნიშნავს. ინ-

ტერვიუს არ იძლევიან. მოსალოდნელია დიდი კონფლიქ-ტები“.

კორბსის ხელი შესდგა. კორბს ესმოდა რედაქტო-რის ხმა.

— გთხოვთ, არავის ერთი სიტყვაც არ უთხრათ ამაზე. ორი საათის შემდეგ ჩვენი გაზეთი „საარვალდაუენის ფოს-ტა“ სასწრაფო ნომერს გამოსცემს. საცა დაწვრილებით იქ-ნება აწერილი ყველაფერი. საჭიროა ეხლავე ვიშოვოთ ავს-ტრიის მემკვიდრის და მისი მეუღლის ფოტო-სურათები. ნახვამდის ბატონებო!

ლიბერმანი უკვე ქუჩაში იყო, კორბსმა ფანჯრი-დან დაუძახა:

— დაბრუნდით!

— არა მცალია. სასწრაფო ნომერი უნდა გამოვუშვა.

— თქვენთვის ერთი დეპეში კიდევ არის.

— ეხლავე.

მეორე დეპეშში ნათქვამი იყო:

„კრონპრინცი და მისი მეუღლე გარდაიცვალენ. სარა-ევოეს ამბავმა მთელი ქვეყნის ყურადღება მიიქცია. ავ-სტრია სასტიკ ულტიმატუმს ამზადებს. მკვლელი დაპატიმ-რებულია. ის აღმოჩნდა სერბიელი სტუდენტი პრინციპი. კაიზერის ინტერვიუ მოკლეა და ცხადი: გერმანია სოლი-დარობას უცხადებს თავის მოკავშირე ავსტრიას პოლიტი-კაში და იარაღშიაც“.

— ამბავი თუ გინდა. ეს არის! ამას ომის სუნი უდის.— შენიშნა აღელვებით ლიბერმანმა.

ბოლოს ბ-ნმა კორბსმაც ჩაიკითხა თავის შიფრიანი დე-პეში და უთხრა მორიგეს:

— დღეიდან ყველა დეპეშებს თუ ცნობებს, რომელნიც

ჩვენი გზით საზღვარგარეთ გაივლიან, მე თვითონ გადავათვალიერებ. გაიგეთ?

— გავიგე.

— ბ-ნ ფერსტერს მის სახელზე მოსული დეპეშები დაუყონებლივ გაუგზავნეთ გზირის ხელით. თუ არავინ არის, თქვენ თვითონვე გაიქეცით.

ორი საათის შემდეგ პატარა ქალაქის ქუჩებში გაისოდა მკვახე ხმა ძველი ინვალიდისა, გაზეთების ერთადერთ გამყიდველის:

— სასწრაფო გამოცემა! მეფის-მკვლელობა, სერბიის ხელით ჩადენილი!

პატარა ქალაქი შეკრთა. ხალხმა ყური სცქვიტა. წყნარი ფანჯრები მაგრად ჩაიკეტა და ლაპარაკი ჩურჩულად გადაიქცა.

პატარა მოსაზღვრე ქალაქები და სოფლები უჯრედებს ჰგვანან სახელმწიფოს კანზე. ისინი მალე გრძნობენ, საიდანაც უბერავს ქარი.

— ომი იქნება... შეიძლება ომი მოხდეს...

— მოსალოდნელი იყო საშინელი ამბები, რომელთაც შეეძლოთ ხვალვე წაელეკა ხალხი.

ამ დღეს როგორღაც უცნაურად ჩადიოდა მზე „ჩრფურა“ მთის გადაღმა. მზე ებრძოდა მომხდურ ბნელ ღრუბლებს და ბოლოს ჩასვლის წინ ცის ტატნობს ცეცხლი მოსდო და ჩაწვა. ქალაქი თითქოს იწვოდა. ხალხი შიშით შესცქეროდა ამ ბრძოლას ბუნებაში. ხელში სასწრაფოდ გამოსული დაჭმუჭნული ფურცელი ეჭირათ და კატასტროფას ელოდენ. მცხოვრებნი ღელავდენ. ამოტივტივდა ძველი წყენა, გაიხსენეს უწინდელი ანგარიშები.

— ვინ იცის, რა მოხდება?

მამა წნაბელმა ზარის მრეკავი გამოიხმო.

— საპანაშვიდო დარეკე, — უთხრა მას უცნაურ-ზეიმურ კილოთი. — ჩვენი საყვარელი მოკავშირე, კაიზერის გულითადი მეგობარი ფერდინანდი, კრონპრინცი და მისი ანგელოსი მეუღლე მზაკვრულად მოჰკლეს. მიიღე, უფალო, სული მათი!

საყდარი გაჭედილი იყო. აქ მოსულიყო მრავალი მოქალაქე, რომელიც დიდი ხანი საყდარში არ ყოფილიყო, და ამის გამო ჩურჩულებდენ:

— აჰა, მოვიდენ — ...პოლიტიკაა.

ასეთი გამოძახილი ჰპოვა სარაევოში სერბიელ სტუდენტ პრინციპის გასროლილმა ტყვიამ პატარა გერმანულ-ფრანგულ მოსაზღვრე ქალაქში, მზიან ივლისში 1914 წელს.

გეოგრაფიული რუკა, რომელიც ქვეყნის სახეს გამოსახავს, გარდაიქმნა. ფანტასტიური ლაქები, რომელნიც ევროპის სახელმწიფოებს შეადგენდენ, გარდაიქცენ საქარიშხლო ღრუბლებად. მრისხანე ღრუბლები მიესივნენ ერთმანეთს და მათი ცეცხლიანი კიდურები აფრქვევდენ ელექტრონის ნაპერწკლებს. ქუხილი ჯერ არ ისმოდა, მხოლოდ სატელეგრაფო მავთულები შემაზრზენად გუგუნებდენ. დედა-მიწა ჯერ კიდევ არ შეზანზარებულიყო, მხოლოდ ტელეგრაფის აპარატები ციებიანივით აწკაპუნებდენ კბილებს.

ავსტრია მიდიოდა სერბიაზე, რუსეთი — ავსტრიაზე, გერმანია — რუსეთზე, საფრანგეთი — გერმანიაზე. რუსეთი, ავსტრია, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ოსმალეთი — ერთმანეთს ელექტრონის კონებს ესროდენ. შემდეგ ზარბაზნებმაც დაიქუხეს. ღრუბლები ერთმანეთს დააწვნენ

და იქ, საცა ერთიმეორეს ეხებოდენ, გადასჭრიდენ მცხუნვარე მზეს და ღრუბელთა ანთებულ არშიებიდან მზიური სისხლი ისხმოდა.

— კაიზერმა ბრძანა!

— დოიტშლანდ, დოიტშლანდ ზეუბერ ალლეს!

— გაუმარჯოს ყველაზე დიდ სახელმწიფოს, საფრანგეთის რესპუბლიკას!

— ავიღოთ ელზას-ლორენი რეინამდე!

— ზღვის თეთრმა დათვმა გადმოცურა ლამანში!

— სერბია უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს!

— სარწმუნოების, მეფის და სამშობლოსათვის!

აინრიხები, ჰანსები, ვილლები, ფრიცები, ლუდვიგები, ბერნჰარდები, ჰარრები, არტურები, ვასილები, პეტრენი, ივანები, მარკები, იოსებნი, ბელები, ზოლტანები. სტეფანები, ალი-მაჰმუდები — მიდიოდენ, მიდიოდენ, მიდიოდენ.

ასე ბრძანეს კაიზერმა, კაროლმა, რესპუბლიკამ, მეფემ, თავადმა, სულთანმა და ფულმა.

მოსაზღვრე ქალაქ საარვალდაუენშიც ყველაფერი ყირამალა შეტრიალდა. ის აღარ იყო გუშინდელი ჩუმი ქალაქი, — ის გადაიქცა სამხედრო ბანაკად, ნიღაბიან ციხედ.

— ომი აქ ახლოს იქნება.

— ვინ გაიმარჯვებს?

— ამაზე დავაც შეუძლებელია.

პაულიც შეემზადა ომისთვის. ის წავიდა სტრასბურგში, პოლკში, კაპრალად.

სარაევოში მომხდარ მკვლელობაზე, კრონპრინცზე, უკვე აღარავინ ლაპარაკობდა. ეს ამბავი უბრალო, პატა-

რა ფაქტად გადაიქცა. ამბობდენ, გერმანია უნდა დავიცვათ, მას ყოველ მხრიდან მოეხიენო. ყოველი გერმანელი მოვალეა თოფი აიღოს: პატარა, დიდი, ქაბუკი, მოხუცი, ღვთისმოსავი, ურწმუნო. ბატონი, ლატაკი, მეფაბრიკე და მუშა.

ოტტო ბარნეტი სასწრაფოდ წავიდა ბერლინში მოსახსენებლად შესახებ საღებავთა ფაბრიკის მობილიზაციისა სამხედრო მიზნისათვის.

ბ-ნ ბარნეტის ამ მგზავრობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალ ამბებზე.

იმავე მატარებლით, რომელსაც პაულ კორბსი, ახლად-გამომცხვარი მასწავლებელი, რომელიც უსკოლოდ დარჩა, მოჰყვა სტრასბურგში, ეგერთა საკადრო ბატალიონში, რათა სახაზავის მაგიერ ხელში თოფი აეღო, — საარვალდაუენიდან წავიდა ოტტო ბარნეტიც, ინჟენერ-ქიმიკოსი, რომელსაც პორტფელში ჰქონდა ზუსტი გეგმა ფერსტერის ფაბრიკის სამხედროდ გარდაქმნისა, აირების ქარხნად.

ეს გეგმა პირველი იყო, რომელიც გენერალურმა შტაბმა მიიღო. შემდგომ საიდუმლო თათბირისა, რომელიც მოხდა გენერალთა და ქიმიურ მრეწველობის წარმომადგენელთა შორის, ოტტო ბარნეტი გამარჯვებული გამოვიდა. ეს მოხდა ნოემბრის დასაწყისში 1914 წელს.

ოტტო ბარნეტი ბერლინში დიდ ხანს არ დარჩენილა. როცა დაბრუნდა, ფერსტერთან ერთად კაბინეტში ჩაიკეტა და იქიდან შემდეგ წამოვიდა ბრძანებანი, ჩეკები, გეგმები და განკარგულებანი.

საარვალდაუენში საქმე სწრაფად მიდიოდა წინ: მუშებს ხელფასი აუწიეს, ფაბრიკაში სასტიკი დისციპლინა

დაადგინეს, ბევრი, ძალიან ბევრი მუშა დაითხოვეს და მათ მაგიერ ახლები მოიყვანეს.

ფაბრიკის ბჭესთან სამხედრო დარაჯი იდგა. ბ-ნ ფერსტერის ფაბრიკა დეკემბრის დასაწყისიდან აღარ ამზადებდა სალებავებს ქსოვილებისთვის, რკინეულობისა და სხვა მასალებისათვის, არამედ აკეთებდა სასიკვდილო მურს, რომელიც სწერდა საairო იერიშების დროს დამხრჩვალ ფრანგ-სალდათების სახეებზე სიკვდილს მქრქალი ფერადებით.

1914 წელს, შაბათს, პაულ კორბსმა თავის ბატალიონიდან რამოდენიმე დღით შვებულება მიიღო. პაული აღარ ატარებდა უბრალო საბეჭურებს, ის უკვე ეფრეიტორი იყო, რაც წარმატებას ადასტურებდა. მან მიიღო შვებულება ფრონტზე წასვლის წინა ხანში და სცადა საშობაო უქმეები გამოეყენებინა მშობლებთან გამომშვიდებისათვის., სამხედრო მუნდირმა ცოტად შესცვალა პაული. მართალია უხეშმა მაუდმა და ოდნავ ფანტასტიურმა ეგერის მუნდირმა „შეალამაზეს“ იგი, გმირული იერი მისცეს მას, მაგრამ მისი აყლაყუდა ტანი იბერებოდა სამხედრო ტანისამოსიდან და ეს მომავალი ახალგაზდა აფიცერი მაინც სიმპატიურ-მოუხეშავი გამოიყურებოდა.

მშობლები დიდის აღტაცებით შესცქეროდენ შვილს, მამა ამაყობდა როგორც სახელმწიფო კაცი, დედა კი ხარობდა ღრმად დაფარული დედური შიშით. „ვინ იცის. იქნებ უკანასკნელად ვხედავ მას“.

კმაყოფილი მამა ამაყობდა, რომ მან კაიზერს მაგარი სალდათი მისცა, რომელიც შესაძლებელია, — და ეს კი მცირე პატივი კი არ არის. — აფიცერიც გამოვიდეს, გერმანიის ჯარის აფიცერი.

ვალდაუენში მრავალი ახალი ამბავი ტრიალებდა. ჰაულმა გაიგო, რომ ფერსტერის ქარხანასთან სალდათები დგანან, რომ ამ ქარხანაში რაღაც აირს ამზადებენ, რომელიც, როგორც ამბობდენ, საჭირო იყო საჰაერო ფლოტისათვის, თუმცა იმაზე, რაც ფერსტერის ქარხანაში ხდებოდა, უბრალო მოქალაქეს ბევრი არ უნდა ელაპარაკნა, რადგან ეს სამხედრო საიდუმლოებად ითვლებოდა.

ჩამოსვლის დღესვე, ნასადილევს, პაული ქუჩაზე გადადიოდა და აფთიაკისკენ მიდიოდა, რათა ენახა ალისა, რომელიც საშობაო არდადეგს შინ ატარებდა.

ალისა თითქმის უკმეხად დაუხვდა თავის მეგობარს. პაული აღტაცებით ლაპარაკობდა ომზე, გერმანელთა თავდადებაზე, უსაზღვრო მამაცობაზე, და დააბოლოვა შთაგონებით:

— ეჭვი არა მაქვს, რომ ამ ომიდან გერმანიის დროშა გამარჯვებული გამოვა. ჩვენ ვომობთ, რადგან ჩვენს ეროვნულ უფლებებს ვიცავთ.

ალისამ მხრები აიწია და ცხადი დაცინვით შენიშნა:

— მანამდე, სანამ გერმანიის ჯარი შენსავით შიამიტ ხალხისგან იქნება, შეიძლება გწამდეს გერმანიის დროშის გამარჯვება.

პაული შეხტა ალისას აღმაშფოთებელი სიტყვის გამო. მასში გაიღვიძა გერმანელმა. საზღვარზე მცხოვრების პსიხოლოგიამ გაიმარჯვა:

— ჰო, თქვენ, მილლენები, მუდამ ფრანგები იყავით,— სთქვა გაფითრებულმა.

— შენ კი ტუტუცი ხარ, ჩემი ნათქვამი ვერ გაიგე.

— მაშ, როგორ უნდა გაგიგო?

აქ პაულმა პირველად მოისმინა სერიოზული და საკვირველი სიტყვები მუშებზე, რომელთაც ის ყოველთვის

ქალაქის გარე უბნებში ხედავდა. ეს იყო მისთვის მთელი აღმოჩენა. მას პირველად არ გაუგონია ლიბკნეხტის გვარი, მაგრამ ის, რასაც ალისა მასზე ლაპარაკობდა, წინანდელ გაგონილისაგან ძალიან განსხვავდებოდა. მან პირველად გაიგონა ამ გვარის გამოთქმა პატივისცემით. მან ისიც გაიგო, რომ არსებობს უფრო მაღალი იდეები, ვიდრე რწმენა გერმანულ დროშის გამარჯვებისა. როგორც ყოველთვის, პაული მწვავე ცნობისმოყვარეობით უსმენდა, თავის მეგობარს ალისას, რომელიც ფერსტერის ქარხანაზე ლაპარაკობდა. მართალია, იგი მოუთმრობდა ოდნავი ბორძიკით, ამბობდა, რომ ეხლა საარვალდაუენში მზადდება საზარელი ბოროტმოქმედება, რომელთან შედარებით წყალქვეშა ნავების ომი ბავშურ თამაშობად მოსჩანს. იგი უყვებოდა, რომ ქარხანაში ამზადებენ მხრჩოლავ აირს, რაიც გერმანიის სარდლობას სურდა ფრონტზე გადაეგდო. ამ აირით დაახრჩობენ ინგლისელ, რუს და ფრანგ სალდათებს.

— კაცობრიობა თანდათან ღრმად ეფლება ბოროტ ომში, რომლის გამოსავალს მხოლოდ ზოგიერთნი ხედავენ.

პაული ხარბად ყლაპავდა ალმოდებულ სიტყვებს, რომელთაც მასზე სრულიად მოულოდნელი შთაბეჭდილება მოახდინეს. მაგრამ მან ცოტა მოიფიქრა და სთქვა:

— ალისა, ჩვენ დიდი ხნის მეგობრები ვართ. უნდა გითხრა, რასაც შენ ამბობ, თითქმის ღალატია. ჩვენმა სიმართლემ უნდა გაიმარჯვოს, ალისა, გერმანიას ყოველი მხრიდან შემოუტიეს, ხომ უნდა მოვიგერიოთ?

პაული წასვლას აპირებდა, როცა ვილლი კლემენსი შემოვიდა

სამუშაო დღე იყო. პაულმა თავშეკავებული სალაბის შემდეგ გაოცება გამოსთქვა, რომ ვილლი ფაბრიკაში არ იყო.

— უკვე სამი კვირაა, მეგობარო, რაც იქიდან გამომაგდეს, — სთქვა ვილლიმ მწარე ღიმილით.

— რისთვის?

— ბ-ნ ბარნეტს არ მოვეწონე.

პაულმა ვილლის ხმაში ბარნეტისადმი მძულვარება იგრძნო და სიხარულით ჰკითხა:

— რას მეუბნები? შენ ხომ მისი საყვარელი მუშა იყავი?

— დიახ, მაგრამ მან გაიგო, ვინც ვიყავი. მინდოდა მესწავლა. ცხოვრების მიზნად არა მქონია გოგირდის ბოჭკების გვერდით ჩავძაღლებულიყავ, და, გარდა ამისა, აქ მე მივიღე — (ალისას თვალი ჩაუკრა) — „კარგი ოჯახური განათლება“, ერთი სიტყვით, როცა საღებავების მაგიერ აირის დამზადებას შევუდექით, — რაიც, სხვათა შორის, უკანასკნელ დროს მრავლად გადააქვთ რკინის ვეება ბალონებით, — პატარა უბედურება მოხდა. იმ ოთახში, საცა ამ ბალონებს ავსებდენ, ხუთ მუშას დამცველი ნილაბი გაუფუჭდა. ეს ჩემ დროს მოხდა. საკმაო იყო, ბარნეტს ონკანის ტარი მოეტრიალებინა, რომ მუშები გადაერჩინა, მაგრამ ის ასე არ მოიქცა. შემდეგ იმასაც კი ამბობდენ, ვითომ ნილაბები განგებ გაეფუჭებინოთ. როცა ხალხმა ყვირილი დაიწყო, იმ ოთახში ხალხი იხრჩობაო, ბარნეტმა ჩასჩურჩულა ფონ-გუდელს, ფაბრიკის ეხლანდელ სამხედრო უფროსს:

— მოდი, ვსცადოთ, როგორ ჰოქმედობს აირი.

მაიორმა მხოლოდ თვალი უქნია. მე ზურგის უკან ვიდექი და ყველაფერი ცხადად ვნახე და გავიგე. ბარნეტი

სამ წუთს დასცქეროდა საათს და ონკანს არ ამაგრებდა. იმ წამს, როცა მე გადავხტი ონკანის დასამაგრებლად, მან ხელი მკრა მერე საათს დახედა და თვითონვე დაამაგრა. როცა მუშები ოთახიდან გამოიყვანეს, ხუთივე სრულიად გალურჯებული იყო.

— ვინ არიან?—იკითხა ფონ-გუდელმა,—აქაურებია?

— ჰო, ფრანგებია. დასანანი არ არი, — უპასუხა ბარნეტმა, — სამი წუთი საესებით საკმარისი ყოფილა, — დასძინა მრავალმნიშვნელოვნად.

შემდეგ მან დაიწყო მუშების წინაშე საქვეყნო სინანულის გამოთქმა. უყვიროდა საამქროს გამგეს, რატომ არ მიიღო სიფრთხილის ზომები. მე სულ იქვე ვიდექი და ისე ვხედავდი ამ კომედიას.

ხუთი წუთის შემდეგ დამიბარეს. ბარნეტი როგორღაც სხვანაირად, ჩაციებით ჩამაშტერდა და მიბრძანა ჩუმად ყოფილვიყავ, თორემ, როგორც მან სთქვა, თვითონვე გამაჩუმებდა. მე კარგად მახსოვს მამა ჩემის ამბავი, და ვიცი, რას ნიშნავს, როცა გიბრძანებენ გაჩუმებას. მაგრამ მე არ გავჩუმდი. როცა პროფკავშირთა წარმომადგენელნი ოქმს ადგენდენ „უბედურ შემთხვევაზე“, მე მათ ყველაფერი ვუამბე, რაც ვნახე და გავიგე. მაგრამ დიუბონი ლიბერმანივით მოღალატე გამოდგა, — მან ჩემი ჩვენება ოქმში არ ჩასწერა, ათიოდე დღით დამაპატიმრეს და შემდეგ ფაბრიკიდან გამომაგდეს. გუშინწინ სამხედროდ გამიწვიეს. შობის შემდეგ მივდივარ სტრასბურგში, ეგერთა პოლკში ვიმსახურებ. იქ შევხვდებით ერთმანეთს, — დაასრულა ვილლიმ ჩამუქებული თვალების ციალით.

— ეგ ეგრეა, მაგრამ ბარნეტი ხომ ელსაზასელი ფრანგია!

— მით უარესი, — სთქვა ალისამ.

მეგობრები დაშორდენ ერთმანეთს, როცა ბინდი ჩამოწვა. პაულს გულზე მძიმე რამ დააწვა, ყურებში უზუზუნებდა. მას კი აქამდე ასეთი ცხადი წარმოდგენა ჰქონდა გერმანულ ომის სიმართლისა, მის წინაშე ასე კეთილშობილად ისახებოდა კაიზერი. „აჰ, ეს ნახევარ-ფრანგები, ისინი მხოლოდ შიშს ხედავენ და ყველაფერს შარს სდებენ".

ქუჩაში გამოვიდა და მოიცილა შავი აზრები, რომელნიც თავში ეჭრებოდა.

პაულისკენ დიდი ნაცრისფერი ავტო მოდიოდა. მან დაინახა შიგ მჯდომარე მსუქანი სამხედრო პირი.

„აფიცერი", — იცნო, მან და მაშინალურად მისცა მას სამხედრო სალამი. ავტო გასცდა მას, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე შესდგა.

— ეფრეიტორო, აქ მობრძანდით, — მოისმა კარგად ნაცნობი ყაზარმული ხმა.

პაული გაბრუნდა, ავტოსთან მიირბინა, დარჭობილივით შეჩერდა და პატაკი მიართვა:

— ეფრეიტორი კორბს სტრასბურგის ეგერთა ბატალიონისა. მაქვს პატივი გაძოვცხადდე, ბ-ნო მაიორო!

— ხელი ჩამოუშვი: გამარჯობა, — ლბილად უთხრა მაიორმა.

მაიორის გვერდით შებურული ქალი იჯდა, რომელიც პაულმა უცებ ვერ იცნო.

— გამარჯობათ, პაულ! — მოისმა ხმა ემმასი, რომელმაც მაიორის ზურგის უკნიდან გამოიხედა. — მაშ, ჩამოხვედით? რატომ აქამდე ჩვენთან არ შემოიარეთ? არ გეშინიათ, რომ გაგიწყრეთ? განა ასეთი უნდა მეგობრობა?

პაული ფშვინავდა და დაბნეული რაღაცას ბურტყუნებდა.

— გამიგონია, თითქო შენ მშვენივრად უკრავდე ვიოლონს. ფროილაინ ემმას სურს შობა ღამეს პატარა კონცერტი მოაწყოს. თავის თავად ცხადია მე მსურს იქა გნახო.

— მესმის.

— შობამდე მე მსურს რამდენიმე რეპეტიცია გავმართო, — უთხრა ემმამ. — მოდით. მამა ჩემს და დეიდა ლუიზას ძალიან გაეხარდებათ, როცა თქვენს დაბრუნებას შეიტყობენ, მითხარით, ბ-ნო მაიორ, რა აკერია მას ბეჭებზე? ნუ თუ უკვე აფიცერია?

— მე მხოლოდ ეფრეიტორი გახლავარ.

— ჰო, ეფრეიტორი თითქმის აფიცერია.

— როგორ მოგახსენოთ, — გადაიხარხარა მაიორმა, — ლეიტინანტს ჰგავს, მაგრამ განიერს კი არა, არამედ ვიწრო-ზოლებიანს.

პაულმაც გაიღიმა, მაგრამ ამ წამს ავტოს ბნელ კუთხიდან ბარნეტმა გამოიხედა. კორბსი ოდნავ შეკრთა.

— გამარჯვებათ, კორბს! რატომ აქამდე არ შემოიხედეთ ჩვენსა?

— მე მხოლოდ დღეს მოვედი.

— იმედი მაქვს, ივლით ჩვენთან, არა?

— მესმის.

— რა სამხედრო პირია! სულ „მესმის“ და „მესმის“, — გააჯავრა ემმამ. — შემოიარეთ!

აქ პაულმა თავის სიცოცხლეში პირველად გამოიჩინა ემმას წინაშე მედგრობა. მან სძლია აბნეულობა და თითქმის მშვიდი ხმით მიუგო:

— ბოდიშს ვიხდი, ფროილაინ ემმა (მას მოეწონა, რომ მან უბრალოდ ემმა უწოდა), მაგრამ მას შემდეგ, რაც მე სამხედრო სამსახურში შევედი, მე ერთხელაც არ დამიკ-

რავს ვიოლონი, და ვფიქრობ, კონცერტში მონაწილეობას ვერც მივიღებ.

— კარგი, რა დროს მორიდებაა! ჩვენ რამდენიმე რეპეტიციას გავივლით.

— ეფრეიტორ, თქვენ ბრძანება მიიღეთ, — უხეშად მიმართა ფონ-გუდელმა.

— მესმის. შემიძლია წავიდე? — ჰკითხა პაულმა ოფიციალურად.

ავტო ასრიალდა. პაული უცებ მოტრიალდა და ისევ ქვაფენილზე გადმოვიდა.

ავტო რომ მოშორდა, პაულმა მზერა დაუწყო, თუ როგორ ისროდენ ვეება შინები მარჯვნივ და მარცხნივ ახლად-მოსულ ზედმიკრულ თოვლს და მასში არეულ ტალახს. პაულმა სცადა გაერკვია, რას გრძნობდა ამ წამს. მას არ შეეძლო გახარებოდა ეს შეხვედრა. ეგონა, რომ მან მთელ სიცოცხლეში პირველად სცადა ურჩობა გაეწია ემმასთვის. შემდეგ სევდიანად შენიშნა:

— ძალა მაინც მის მხარეზეა. მიბრძანებენ. მაიორი მიბრძანებს და მეც ვემორჩილები.

როცა იგი ამ საღამოს ჩაწვა ლოგინში, რომელიც მას გამხმარ ყაზარმულ ლეიბების შემდეგ საუცხოვო ლბილად მოეჩვენა, და როცა იგი გარს მოიცო სახლის სისუფთავის სუნმა და მყუდროებამ, — მას დიდხანს ვეღარ შეეძლო დაძინება. მის თვალწინ მისცურავდენ და ერთმანეთს ებღაუჭებოდენ სულ სხვადასხვანაირი სურათები. ვილლი ბარნეტთან ერთად, ავტო მაიორთან ერთად, რომლებთანაც ისხდენ ბარნეტი და ემმა, ფერსტერის სახლში კონცერტის სურათი, — ყოველი ეს გადახლართული იყო ნახევრად ცხადს აკვიატებულ აზრებში, რომელნიც ხელახლა ბრუნდებოდენ მტანჯავად და რომელთაგანაც პაულს

თავი ვერავითარი გზით ვერ გაეთავისუფლებია. მარტო ისღა დარჩენილიყო სასიამოვნო, რომ ვილლისაც სძულდა ეს ბარნეტი. რომ ბარნეტი არამზადაა, ამაში პაული ღრმად იყო დარწმუნებული.

— რატომ ქლორისაგან აკეთებენ აირებს ცეპპელინებისათვის? — გაახსენდა მას დამცინავი კითხვა ალისასი.— ქლორი ხომ ჰაერზე უმძიმესია!.. უცნაურია...

— ჰე. ეს კითხვა ქალიშვილებისთვის არაა, — უგებს, პაული თავისთვის მეტად კმაყოფილი მოხდენილი პასუხით. — ეს სამხედრო საქმეა, ალისა, და შენ ტყუილად გსურს დაამტკიცო, ვითომ ქლორი ჰაერზე უფრო მძიმეა. ჩვენმა გენერლებმა იციან, რასაც აკეთებენ.

...ხოლო, რაც შეეხება „უბედურებას“, ბ-ნმა ლიბერმანმა ავტორიტეტულად განმარტა: — ტრიალებს მის თავში — ტყუილია, ვითომ ეს ხალხი ბ-ნ ბარნეტის გაუფრთხილებლობით დახოცილიყო. კომისიამ სცნო, რომ ისინი ყველანი მთვრალები იყვენ და საჰაერო ნილაბები სწორად არ ჰქონდათ ჩამოცმული. მათ დაარღვიეს ქარხნის წესები. არც ის არის მართალი, ვითომ ყველანი ფრანგები ყოფილიყვენ: ჰერმან პიკლერი, რომელსაც სამი ბავში დარჩა, ისიც მათ შორის იყო, ის კი ნამდვილი გერმანელია. ყოველივე ეს ახალგაზდა კლემენსის ცილისწამებაა.

თითქო ბ-ნ ლიბერმანს საკუთარი თვალით ენახოს საბუთის დედანი.

— რაც შეეხება ახალგაზდა კლემენსს, ის უბრალო 'მანტაჟს უწევდა ინჟენერ ბარენტს, რათა მას ეს ვაჟი გაეთავისუფლებია სამხედრო სამსახურისაგან „გაჩუმებისთვის“, საერთოდ ეს კლემენსი გაფუჭებული ახალგაზდაა. ის ანარქისტ რემპტნერის ცუდი გავლენის ქვეშ მოექ-

ცა. ამ რემპტნერს ომის დაწყებიდანვე საძაგლათ უჭირავს თავი. სოციალ-დემოკრატებს და მათ საუკეთესო მუშებს მოღალატეებს უწოდებს. როცა მუშათა კლუბში ლიბ-კნეხტის გვარს გაიხსენებდენ, ის და მისი ავარები ტაშს უკრავენ.

— ვინ არის ეს ლიბკნეხტი? მას ყველგან ლანძღავენ, ის კი, ჩემი ფიქრით, ამის ღირსიც არაა.

— მოუსვენარი კაცია, რაიხსტაგის წევრია, სოციალ-დემოკრატი არის... სურს შორს წავიდეს. ამიტომ აძლევს ხმას სესხის წინააღმდეგ. ორიგინალობს.

— ულამაზო საქციელია.

— მას მეტის-მეტად ელოლიავებიან. მან ჩაიდინა ღა-ლატი, რემპტნერი კი... მისი ბედი, რომ ორივე თვალით ბრმაა და ვერ ხედავს, როგორ ეზიზღებათ იგი. უმადური ბებერი ინვალიდი, რომელსაც დამზღვევი სალარო ინახავს.

— ამასაც უყვარს უხიაგობა, — გულკეთილად სთქვა მოხუცმა კორბსმა.

— მან უნდა იცოდეს, რასაც ამბობს.

პაულს დაესიზმრა, ვითომ ვიოლონს უკრავდა, მაგრამ ხემის მაგიერ მის ხელში ეგერთა გრძელი ხიშტია, ვიო-ლონის ნაცვლად მას თოფი უჭირავს და მას მასზე აჭრია-ლებს. ბებერ რემპტნერს თეთრ წვერზე ცრემლები ჩამოს-დის. აქვე ზის ვილლი, რომელიც მიბჯენია ხუთ ლურჯ ცხენდარს, რომ არ წაიქცენ. მერე — ემმა, ბარნეტი, მაიო-რი, ლიბერმანი... ყველანი ემორჩილებიან მას, ეგერთა ბატალიონის მწყობრის უფროსს, ახლად-გამომცხვარს.

შიშისგან გამოეღვიძა, შემდეგ დიდ ხანს არ დასძინე-ბია, ეშინოდა ძილში არ დატაკებოდა საკითხებს, რომლე-ბშიც მას არ სურდა ჩაეხედა. არ უნდოდა სცოდნოდა, რაც ირგვლივ ხდებოდა. ერთი რამ იცოდა: ომში უნდა წასუ-

ლიყო, უხდა შეესწავლა სასწრაფოდ ყველაფერი, რის ცოდნაც საჭირო იყო მომავალ აფიცრისთვის. ის იყო გერმანელი ეფრეიტორი, დისციპლინიანი, შეგნებული გერმანელი სალდათი.

ამ წუთს მას გულწრფელად სწადდა, ლბილ ლოგინიდან გადმომხტარიყო და ხელახლა მაგარ სალდათურ საწოლზე დაწოლილიყო, იქ, საცა საჭირო არაა ფიქრი, საცა მხოლოდ უნდა ემორჩილებოდე, საცა ყველაფერი ასე გარკვეულია, ცხადია და მკაფიო.

პაული სამჯერ იყო ფერსტერის სახლში რეპეტიციაზე, მაგრამ ვიოლონი მხოლოდ ერთხელ დაუკრა. პირველად რომ მივიდა, ემმა მკერავთან იყო გართული, მეორეჯერ —იწვა, თავი სტკიოდა.

პაულს გული უცივდებოდა, როცა ნაცნობი სახლის კარის ზღურბლზე აბიჯებდა. ეშინოდა გამომტყდარიყო, რომ ტყვედ ჰყავდა ჩავარდნილი იმ გრძნობებს, რომლებიც ასე შეუჩერებლივ იზიდავდენ მას ამ სახლისაკენ, ეს გაურკვევლად აბრაზებდა და აღელვებდა მას. პაული ზაფხულიდანვე ებრძოდა თავის თავს. ყაზარმამ თითქოს აიძულა დაევიწყა წინანდელი გრძნობა. მას ეჩვენებოდა: გრძნობა გამქრალიყო, შთანთქმულიყო, მას დაეძლია ეს წარსული თავის თავში და შეუძლია ეხლა „ცივად“ იფიქროს ამაზე.

ერთხელ მან გაიფიქრა კიდეც, რომ მძულვარებაც რომელსაც ის გრძნობდა ბარნეტისადმი, ინსტიქტიური გრძნობა იყო, აუხსნელი, და მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა ემმასთან. მან გადასწყვიტა, რომ შვებულების დროს ორჯერ ეწვევა ფერსტერებს სადარბაზოდ: ერთხელ — ჩამოსვლისას, ხოლო მეორეხელ — დაბრუნებისას.

ეს გეგმა დაარღვია მაიორ ფონ-გუდელის ნაცრისცერმა ავტომ.

ეხლა პაულს აღარ შეეძლო უკვე, თავის თავი ასე ენუგეშებინა: მადლობა უფალსა, ყველაფერი გათავდა და ის „მოჭკვიანდა". ემმას ცისფერი თვალების ერთმა გაელვებამ ყველაფერი გააქრო.

რეპეტიცია მოწყენით მიდიოდა. ემმა ცუდ გუნებაზე იყო. მან რამდენჯერმე დაამთქნარა, ცუდად უკრავდა როიალს, დიდ მოუთმენლობას იჩენდა. საერთოდ მისი დაკვრა დაუდევარი იყო, მას უყვარდა მხოლოდ გაღეზიანება როიალისა, ნოტებში და მელოდიებში თავის ფანტაზიის და პაროდიის შეტანა. მას არ შეეძლო მთლად გაჰყოლოდა მუსიკას.

ემმამ კარგად იცოდა, რომ კორბსს იგი უყვარდა. ეჩვენებოდა, თითქოს ეს ასეც უნდა ყოფილიყო, და ემმა ამით სარგებლობდა. და თუ ზოგჯერ „სათამაშო" ლამობდა საკუთარ ფეხზე ამდგარიყო, ემმა ფერსტერი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ამისთვის ხელი შეეშალა. ასე მოხდა რეპეტიციის დროსაც, პაულს არისხებდა უსწორო და ზერელე თამაში ემმასი. როცა ემმა ჩამორჩებოდა ხოლმე ტაქტში, ან ყალბ ნოტას აიღებდა, პაული მასწავლებელივით ფეხით აბაკუნებდა ტაქტს და სუსხიანი ხმით აწვდიდა სათანადო რიტმს. ემმა მაშინვე ხელს-იღებდა დაკვრაზე და პირდაპირ ჩამგონებელივით მიაცქერდებოდა ხოლმე პაულს. პაული უნებურად მოიხედავდა და მათი თვალები ერთმანეთს ხვდებოდენ. ეს ერთ წამზე მეტს არ გრძელდებოდა. პაული სასწრაფოდ აშორებდა თვალებს და ყურებამდე წითლდებოდა. რათა თავის მსხვერპლი სრულიად მოეხიბლა, ემმა ზე-დგებოდა და თითქო შემთხვევით პაულის მკერდს თავის მხარით ეხებოდა. მის თმასა და

კაბას მაშინ პაულისთვის კარგად ნაცნობი სუნნელი ასდიოდა, რომელსაც ის გაგანიერებული ნესტოებით ისუნთქავდა, რის გამოც მას თავბრუ ესხმოდა.

— ვა, რა უჩვეულოდ გიჭირავთ ხემი, — სთქვა ემმამ თითქო გულბრყვილურად და ხელიც შეახო ახალგაზდა ვაჟს. — რა დაშოთილი ხელები გაქვთ, პაულ, მე წინად არც კი შემიმჩნევია, ნამდვილი მუსიკალური თითები გაქვთ.

ამ სიტყვებმა პაულს გული აუჩქროლეს.

მის ტვინში აზრები იყინებიან, სახე კი, — ფიქრობს იგი, — იბადრება სულელურ და საცოდავ ღიმილში.

თითქო არაფერი მომხდარიყოს, ემმა ჯდება და მოწყენილი ხმით ამბობს:

— აბა, გავაგრძელოთ, მომეცით ტონი.

პაულის ხემი უჯეროა. იგი ყველაზე უბედური შეყვარებულია. სასაცილო ჯარისკაცუნა...

ემმას ტუჩებზე თამაშობს ცბიერი ღიმილი:

— რა დაგემართათ? ეს-არის ეხლა გამისწორეთ, ეხლა კი თვითონ გადასცდით.

პაული სცდილობს გონს მოვიდეს, გაფრინდეს მუსიკის ფრთებზე, გასცილდეს აქაურობას, რომ დაბრუნდეს როგორც გაშარჯვებული...

ეხლა ომია. ეხლა სხვა მუსიკაა საჭირო...

— აბა, ქვეით, — აგრძელებს ემმა მშვიდათ.

— ინებეთ.

და რეპეტიცია გრძელდება.

შობის საღამომ დაუვიწყარი განცდანი მოიტანა.

ფერსტერის სახლში წასაყვანად პაულს მოუყვანეს მაიორის ავტო. მეზობლები გაოცებით იცქირებოდენ ფან-

ჯრებიდან. ლაქიას თვით ბ-ნი ფერსტერისას ახალგაზდა მუსიკოსის უკან მიაქვს ვიოლონის კოლოფი. მამა გულაჩუყებით და ამაყად შესცქერის თავის შვილს, დედა ათვალიერებს მას, ყველაფერი რიგზე აქვს თუ არა.

— შვილი, ჩვენი შვილი, — ჩურჩულებენ მოხუცები. ფერსტერთან ხალხმა თავი ბლომად მოიყარა — ქალაქის ინტელიგენციამ, გარნიზონის და რკინისგზის მახლობელ ეტაპის აფიცრებმა. აქვე იყო ინჟენერი კუგელიც, გულჩახვეული, უხიაგი, ძველი უცოლო, რომელიც ფაქტიურად განაგებდა ქარხნის ქიმიურ ნაწილს. კუგელი დიდ სპეციალისტ-ქიმიკოსად ითვლებოდა. კუგელის უხეშობას და მტკიცე პირდაპირობას ბ-ნი ფერსტერი ითმენდა მხოლოდ მისი განსაკუთრებული ცოდნის გამო. კუგელი მეტად იშვიათად დადიოდა ამ სახლში, მხოლოდ ოფიციალურ სადარბაზოთ, ან მოხსენებისათვის თუ მოვიდოდა. მის საყვარელ ალაგად მუშათა კლუბი ითვლებოდა, საცა ის მუშებს თავის ლექციებით „ანათლებდა“.

— მე შემიძლია ისინი კარგად მაინც გამოვლანძლო, ყურს მიგდებენ, — ამბობდა კუგელი.

კუგელი მხარბეჭიანი იყო, სიგანით ერთ ალაბიანი. მხრებში ოდნავ მოღუნული იყო. ამოკაკლულ თვალებს უცნაურად აბრიალებდა ტიტველ წვეტიან ყბის ძვლებზე. ის საშინლად ილანძღებოდა და განკარგულების დროს გორილლასავით შლიდა უზარმაზარ და გრძელ ხელებს, რომელნიც თავდებოდენ ვეება ხელისგულებით. ზოგჯერ ეს ხელისგულები ისე იკუმშებოდენ მუშტებად, რომ შეეძლოთ ყოველ მოპირდაპირის შეშინება.

— კუგელი ფრაკით ჰგავს მოხდენილ მოჩვენებას, — შენიშნა ემმამ იმ წამს, როცა ცივი ქარით შეწითლებული პაული სალონში შემოვიდა.

— აჰა, მაესტროც აქაა, — განაგრძო მან და პაულს ხელი გაუყარა.

პაულმა მაშინვე იგრძნო, რომ ფეხქვეშ იატაკი ეცლება და სუნთქვა ეხუთება. მფეთქავი და გახელებული გული სისხლს მიაქანებდა თავისკენ, რომელმაც გასიება იწყო. შიშით წამახული სახით მან რამდენიმე ნაბიჯი გადაადგა ემმასთან ხელგაყრილმა, ემმამ სალონში ჩამოატარა და მამის სახლის მახლობლებს გააცნო. სიარულში კორბსი თანდათან შეეჩვია იქაურობას, და, როცა უკანასკნელ სტუმრებს ჩამოუარა, უკვე მკაფიოდ არჩევდა დამსწრეთ, ესმოდა მათი ხმა. მაგრამ მაინც ხან წითლდებოდა და ხან ფითრდებოდა. ემმას შეებრალა იგი.

— გაბედვით იყავით, დამშვიდდით! — უთხრა მან, დახრილმა.

მის ხმაში თანაგრძნობა ისმოდა. ამან პაული გაამხნევა. შვება მიეცა და გაიღიმა.

ემმამ დასტოვა პაული. სტუმრებმა თანდათან სასადილოში გასვლა დაიწყეს.

პაულს მეტად უცნაურად ეჩვენა, რომ მან მთელ საღამოს ერთხელაც ვერ ნახა ერთად ემმა და ინჟენერი ბარნეტი. ამან გული სიმშვიდით გაუვსო. ნავახშმევს სტუმრები სალონში დაბრუნდენ, საცა როიალი უკვე თავახდილი იყო და გვერდით მაღალი სკამი იდგა, რომელზედაც ვიოლონის ყუთი იდო.

ემმა მივიდა როიალთან. პაულმა სიმები გასინჯა. ამ დროს ბარნეტი ემმასთან მივიდა და უთხრა რაღაც. თუმცა ემმამ გაიგონა, მაგრამ არ მოისურვა უმალვე პასუხი გაეცა, და შემდეგ განგებ ხმამაღლა უთხრა:

— ერთი შეხედეთ, ბარნეტ, რა ლამაზი ხელები აქვს პაულს, მხოლოდ ამას წინად შევამჩნიე.

ბარნეტმა დამალული სიბორრტით გაიღიმა და თავაზიანად თავი დაუკრა.

ემმა მოუბრუნდა პაულს და თვალებში ჩააცქერდა. პაულმა იგრძნო, იღუპებოდა.

— აბა, შემომხედეთ, მხრებზე კი არა, სახეში თვალებში შემომხედეთ, შემომხედეთ, სულელო, ჯერ კიდევ ბავშო, თქვენ ხომ ჩემი სიყრმის მეგობარი ხართ.

პაულმა კინაღამ რაღაც ამოიძახა და ხელები მაგრად მოკუმშა.

ეს პაულს ღვთისგმობად მოეჩვენა, ირგვლივ ამოდენა ხალხი იყო. გარემომ პაულს ცივი სიდინჯე დაუბრუნა.

— ნუ, ემმა, ნუ, ძალიან გთხოვთ.

უკნიდან ააჩქარეს:

— დაიწყეთ, დააჩქარეთ!

— დაიწყეთ!

— დაიწყეთ!

პირველივე აკორდების შემდეგ ემმამ ერთი მერვედით დააგვიანა. პაულმა უნებურად დაიწყო ფეხით ტაქტის ბაკუნი.

ემმამ შეხედა. მის თვალებში ანათებდა მეგობრობა, თითქო მეტიც, ვიდრე მეგობრობა.

მუსიკალური განყოფილების დანარჩენმა ნაწილმა ისე ჩაიარა, თითქო პაულის თითები სიმებს კი არ ეხებოდენ, არამედ ელექტროს შიშველ მავთულებზე დარბოდენ. საღლონში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ბურგომისტრის ცოლიც კი სდუმდა. ემმას მილოცვა მიაყარეს, მაგრამ ის პაულზე უთითებდა:

— აი მაესტრო, აი ოსტატი, ამას მიულოცეთ!

პაულს ჯერ არ შეუწყვეტია მომლოცველთა საპასუ-

ხოდ ხელის ჩამორთმევა. უცებ მის მხარზე ვიღაცას მძიმე ხელი დაეშვა.

— ნება მიბოძეთ, ახალგაზდა მეგობარო, მოგილოცოთ. ნამდვილი სიამოვნება მომგვარეთ. — და მოხუცი გულჩათხრობილი ინჟენერი პაულს ხელზე ხელს უსვამს. — ყველაფერი კარგია, — ბოხი ხმით ბუხუნებს ინჟენერი, — ოღონდ სასინანულოა, ბატონებო, რომ ომით გატენილ დროს ყველაზე მომხიბლავი მელოდიაც კი უბრალოდ იკარგება.

პაულმა გაიგონა ეს სიტყვები, მაგრამ ერთბაშად ვერ მიხვდა მათ აზრს. ჰო, როგორც სჩანს, ზოგი სიტყვა უცებ კი არ სჭრის, არამედ დიდი ხნის შემდეგ. ზოგი აზრი პირველ ხანს გაუგებარია, ადამიანის შეგნების სიღრმეს ვერ სწვდება, მაგრამ შემდეგ, ცხოვრებაში, ისეთი წუთი დადგება ხოლმე, რომ მას ფორმა ეძლევა, ხდება ცხადი, და მაშინ ადამიანს უხარია ეს, როგორც უცაბედი აღმოჩენა.

სტუმრების თხოვნით ერთი ნომერი კიდევ დაუკრეს. ეს იყო ერთერთი მეტად გამტაცი რაპსოდია ლისტისა. დროგამოშვებით მელოდია ქვითინებდა, შემდეგ ტირილით ხარხარებდა, რათა ბოლოს სრულებით მიყუჩებულიყო.

პაული დაკვრის დროს უნებურად ეძებდა სტუმრებში ბ-ნ კუგელს. ის იჯდა ვეება მხრებით წინ-წამოწეული. ხელები მუხლებში ჰქონდა ჩაკუმშული. მისი თხელი, თმა კინკრიხზე იბზიკებოდა.

— ეს ჰუნგრულია? ძალიან მუსიკალური ხალხია.

— მადიარები ჩვენი მოკავშირენი არიან, — დაადასტურა მაიორმა. — ისე ომობენ, როგორც ნამდვილი გერმანელები. კარგი სალდათებია.

კონცერტის შემდეგ მაიორმა უამბო ფრონტის ამბები შესახებ მადიარებისა.

პაულმა შენიშნა, რომ ცეკვის წინ ბარნეტი ისევ მივიდა ემმასთან, მაგრამ მას ემმა მეტად ცივად დაუხვდა. ორკესტრმა რომ დაუკრა, ემმამ თვალებით ძებნა დაუწყო პაულს, როცა იპოვა, მივიდა და ხელი წაავლო ხელში და გამოსწია. უკრავდენ ტკბილ ვალსს. ემას სიახლოვე პაულს გულს ულონებდა. პაული ცუდად ცეკვავდა, უჯეროდ, ფორხილობდა. ემმამ წამსავე დაიუფლა ცეკვა. პაული ერთი წუთით მოსულიერდა, სცადა ხელთ-ეგდო თაოსნობა, მაგრამ ვერ მოახერხა. მუსიკა თანდათან ნელდებოდა. პაულის ფეხები მოედო ნახევრად გაღებულ კარს. აქ ბინდი იყო. საიდგანღაც საამური, თბილი ჰაერი შემოდიოდა. ემმა გაფიცხებული იყო...

— აბა, ჩქარა, მაკოცეთ! —მოესმა ხმა პაულს ყურთან.

სუნნელოვანი თავი მხარზე დაეცა მას. პაულს გული ეფლითებოდა. გახევებული ტუჩებით რაღაც ცხელს და სველს დაეწაფა.

— უცებ ნუ გამომყვებით, ჯერ ყველაფერი შეისწორეთ.

პაული დაბინდულ ოთახში დარჩა და ფანჯარასთან მივიდა. გარეთ თოვლს მოლურჯო იერი გადაკრავდა. ცხელი შუბლით გრილ მინას მიეყრდნო. მთრთოლვარე ხელები ტუჩებზე მიიდო. მას ვერ გაებედა, ცხადლივ წარმოედგინა ყველაფერი, რაც მოხდა, არ შეეძლო დაეჯერებინა პირველი კოცნა.

ალბათ ცეკვა შესწყდა, რადგან გაჩუმებულმა მუსიკამ ხელახლა დაიქუხა. პაულმა მიიხედ-მოიხედა, შესასწორებელი შეისწორა და სალონისკენ გაემართა. გახარებული

მიდიოდა ტალანში. შემდეგ დარბაზის კართან შესდგა ცეკვაზე არ ჰფიქრობდა.

— განა ამის შემდეგ შეიძლება სხვა ვინმესთან ვიცეკვო?

უცებ გაშეშდა. მის წინაშე ემმა ტრიალებდა ბარნეტის მკლავებში ჩახვეული. მას მაშინვე ეცა თვალებში: ცეკვას ბარნეტი განაგებდა. როგორ ირხევიან, რა ძლიერი ხელები აქვს ინჟენერს! ნეტა რაზე ლაპარაკობენ? ალბათ ემმა ინჟენერს რაღაც სასაცილოს უამბობს.

ბარნეტი დარბაზს ათვალიერებს, ვიღაცას ეძებს. იპოვა. მისი თვალი პაულზე შეჩერდა. ამ თვალებში კადნიერება და შეურაცყოფა მოსჩანს. ემმა ბაასს განაგრძობს, შემდეგ ისიც პაულს შეჰყურებს. მიბრუნდა. ორივე იცინის... მას დასცინიან.

„ბარნეტმა ყველაფერი იცის, ყველაფერი. ეს მხოლოდ თამაში იყო, იმისთვის მოგონილი თამაში, რომ ბარნეტი გაეღეზიანებინა, რომ იგი უფრო მეტად მოეზიდა“.

მეკარე გაოცებით აქნევს თავს, როცა პაულს ხედავს, რომელიც ჩქარობს მალე ჩაიცვას მაზარა და ისე გარბის, რომ ხიშტიანი სარტყელი არც კი შეუკრავს. ვიოლონის ყუთი კარს მიაჯახა და მაღალი ხმა ამოიღო.

ეხლა ყვავილნარის მაგიერ თოვლის მაღალი ზვინებია დადებული. ცივი ჰაერი გულზე აწვება. სწრაფი ნაბიჯების ქვეშ თოვლი ხრამუნებს.

პაული მხოლოდ მაშინ შესდგა, როცა ბჭეს დიდ მანძილზე გასცდა. ვიოლონის ყუთი ხმელ თოვლზე დასდო, მაზარა შეიკრა, სარტყელი მარჯვედ მოიჭირა და ისე ჩამოიწია მაზარა, თითქო ყაზარმაში იცვამდაო.

ბადრი მთვარე ღრუბელთა კრავის საყელოდან იცქირებოდა. ღობეები სდუმდენ. ფანჯრებიდან განათებული

თოვლი მკვდარ-თეთრად ბრწყინავდა, სადღაც გარეუბანში ძაღლები ყმუოდენ.

სახლში არავინაა. მხოლოდ მოხუცი მოსამსახურე უღებს მას კარს. დედა და მამა ბატონ მილლენთან სტუმრად არიან. მამა შნაბელიც იქაა.

სარკეში ჩაიხედა. იქიდან რევბრანტისებურ ნახატმა პირისპირ შემოხედა: სიბნელიდან მხოლოდ დაღლილი, დატანჯული თვალები იხედებიან. ხელებზე დაიხედა: თხელი, ლამაზი თითები.

შემდეგ იხდის მეტოდიურად, როგორც ყაზარმაში. მაზარას, შარვალს და ხალათს ისე აწყობს, როგორც წესდება მოითხოვს, სარტყელი სკამის საზურგელზე ჰკიდია, კრთის ყოველგვარ ხმაურზე.

— „ავტო ხომ არაა! არა".

მხოლოდ მაშინ ჩაეძინა, როცა მოხუცმა განნამ თავის სტუმრები გააცილა და თვითონაც ჩაიძინა საკანში. მან გაიგო დედმამის დაბრუნება. შემოსვლა...

მაგრამ ისინი მის ოთახში შემოსვლას, მის დახედვას არც კი ფიქრობენ. მხიარულება ბ-ნ ფერსტერთან ხომ მუდამ დილამდე გრძელდება ხოლმე.

შობის უკანასკნელ დღეს პაულის შვებულება თავდება. მაგრამ, რაც უფრო მეტად ახლოვდებოდა ეს დღე, იმდენადვე სუტდებოდა პირვანდელი მტკიცე გადაწყვეტილება.

— „არა, აღარ წავალ მათთან".

პაულის გუნება ჰგავდა ქაოსის ხმებს, როცა მუსიკოსები საკრავებს სინჯავენ.

მაგრამ აი ვიღაც ხელსა სწევს, ვიღაც უბრძანებს—სიჩუმე დაიცვას. სიჩუმე ჩამოვარდა. კაპელმეისტერი რაკუნით აძლევს ნიშანს და შემდეგ მისი ჯოხის აქნევასთან ერთად გაისმის მწყობრი არია.

— შვილო, წასვლამდე უთუოდ შეიარე ფერსტერთან სადარბაზოდ. ისინი ხომ ძალიან კარგად გექცევიან.

— ჰმ... ჰო, უეჭველად, მამა.

— ნურც მოხუც მილლენს დაივიწყებ.

ეს კი მის სმენას ასცდა. ალისას შესაძლოა სწყენოდა, რომ პაული მის სანახავად მასთან არ მისულიყო, ხოლო ეს აზრი სიხარულის ატეხილმა არიამ გაუფანტა.

პაული სადარბაზოდ ემზადება — და მისი გულის პირველი ვიოლონი უკვე სტირის მწარ-ტკბილი მელოდიით მომავალი გამოსალმების გამო.

დარბაზობა უფრო ლამაზი გამოვიდა, ვიდრე მას ეგონა.

მოხუცი ლაქია ანტონი დიდი პატივით დაუხვდა პაულს, როგორ შეშვენის ოჯახის მეგობარს. მან გააცილა პაული ბ-ნ ფესტერის კაბინეტში, საცა ყველაფერი ასე მშვენივრად იყო მოწყობილი. ყველგან — კარგად ნაკეთები ავეჯი. რა მრავალმნიშვნელოვანია კარადების მინების იქით ჩაწყობილი მძიმე ფოლიანტების გრძელი რიგები. ზემოთ აწყვია ქაშანური თასები ქიმიკური პრეპარატებისათვის და პლატინის წვრილმანი ჭურჭელი. მძიმე სარქველებით დაცობილი ქილები მხედრულად ჩამწკრივებულან. ფანჯარასთან — მძიმე მაგიდა, რომელზედაც აწყვია რეტორტები, მინის უჯრა და გაბერილი შუშები, წვრილი მილების ზიგზაგები კაბინეტს ლაბორა-

ტორიას ამგვანებენ. ყოველგვარი ფერის გრძელი რიგის ბოთლები ნიმუშებია მისი ქარხნის მურების. კედლებზე სურათები ჰკიდია სანადირო სცენებით. შემოსავალ კარის თავზე ჰკიდია ჩრდილოეთის ირმის ვეება რქები.

ეს ხომ გერმანული სახლია.

მძიმე ფარდები იშმუშნებიან... და ბ-ნ ფერსტერის მაგიერ, რომელსაც პაული ელოდა, ემმა შემოვიდა. ის აღარ იცინის უწინდებურად ირონიულად, გამანადგურებლად. უბრალოა და მორიდებული. ოდნავ აღელვებულიცაა.

— გამოსასალმებლად მოხვედით? სამწუხაროდ მამა არა სცალია, მაგრამ, მე მგონია, მის მაგივრობას გაგიწევთ.

— კეთილი.

— რად გაიქეცით, ცუდო ბალღო?

დუმილი ერთი წუთით.

პაული აზრებს იკრებს ცივ ჯაჭვად და ამავე დროს ფიქრობს: „უჰ, ნეტა შემეძლოს, ყველაფერი ვუთხრა"..

— თქვენც იცით, რატომ, — ოხრავს ის.

— ეხლა თქვენ ალბად გაფუჭებული ქალი გგონივართ?

— გაფუჭებული? რა ბრძანებაა! უჰ, რა სულელი ვარ... ბაპატიეთ. — და ბედნიერია, რომ მოახერხა ერთი გაზართული ფრაზის თქმა.

— პაულ, იმედი მაქვს, მალე ვნახავთ ერთმანეთს. კაიზერმა სთქვა, ამ გაზაფხულზე ომი გათავდებაო.

— მეც აგრე ვფიქრობ.

— მაშ, მოიხვეჭეთ სახელი ბრძოლის ველზე!

— რაც კი შემიძლია, გავაკეთებ.

— და ჩემზედაც იფიქრეთ.

— ვიფიქრებ.

— ემმას სახეზე სიხარული თრთის. მისი სახე მზესავით ბრწყინვალეა.

— პაულ, მეც ვიფიქრებ თქვენზე, — და ცხელი ხელები ჩაუწყო კორბსს მშრალ ხელისგულებში.

— სალამი გადაეცით ბ-ნ ფერსტერს და დეიდა ლუიზას...

— ერთს წუთს მომიცადეთ, ეხლავე დავბრუნდები, — და უხმოდ მიიმალა ფარდების უკან.

პაული ელოდება. ბედნიერია. ფარდები ისევ ირხევიან. ისევ იგივე ნაბიჯი.

— პაულ, აქ მოდით!

პაული ლბილ ნოხზე მიაბიჯებს, რომელიც მის სუსტ ბიჯებს ნთქავს. მეორე ოთახში თეთრი ფერი უფრო მეტია ვიდრე მზე. აქ ქალობა და მყუდროებაა. მთელი ოთახი თითქო ყვავილია, რომელსაც აუდის ნაცნობი სუნნელი.

— რომ გაგიადვილოთ ჩემი გახსენება, ეს მიიღეთ.

და ფოტო-სურათი გადასცა. სურათზე ემმა, მზეში გახვეული, საზაფხულო თეთრ კაბაში, მის თმაში ციალებს შუქი.

— მადლობელი.

ქალის თვალებისკენ პატარა ცხვირსახოცი აიმართა. პაული მის ხელს ეხება და ჰკოცნის.

— ემმა, ხომ იცით... უბრალო კაცი ვარ... როგორ აგიხსნათ... ჩვენ ხომ სიყრმის მეგობრები ვართ... რა სულელი ვარ... მაგრამ ხომ იცით, ბრალი არა მაქვს...

ვინ იცის, როგორ მოხდა, მაგრამ, როცა პაულმა ფერსტერის სახლი დასტოვა, შენიშნა, რომ ის პაწაწინა ლბილი ცხვირსახოცი, რომელსაც ეხლა ხელში ჭმუჭნიდა, ემმას ცხვირსახოცია. სახეზე მიიდო და ნაცნობი ტკბილი სუნნელი შეისუნთქა.

შესდგა, ცხვირსახოცის ლბილი კუთხეები ფრთხილად გაასწორა, ოთხად დაჭკეცა, ბედნიერი ღიმილით უბის ჯიბეში ჩაიდო ფოტო-სურათი და ცხვირსახოცი და ქალაქისაკენ გაეშურა.

საღგური გუგუნებს. ახლად-გაწვეულები მიდიან. ცრემლი. გამხნევება. სიამაყე, ცრემლების მფარავი, გაცილება.

პაულს დედის მთრთოლვარე ხელები აბნევით უჭირავს ის სხვა-ვინმეზე ფიქრობს.

„იმას რომ გავეცილებინე".

თავში იჭრებიან საყლერსო, მეტად პირდაპირი სიტყვები: „ფრთხილად იყავი, ნუ დაივიწყებ, რომ ხალხი ომის შემდეგაც დაგვჭირდება".

რის თქმა უნდოდა? რა ცივია და გაუგებარი ეს ალისა. მას არ შეუძლია აფრთოვანება.

„სადაა ჩვენი „ახალგაზდა მეგობარი", რათ იგვიანებს?" ირონიულად იგონებს უეცრად პაული, ახლად-გაწვეულებს ათვალიერებს და ეძებს ვილლის. ნუ თუ დაიგვიანებს?

მის გვერდით ფაბრიკის მოხუცი მუშა შვილს ეთხოვება.

— აჩვენე რალა იმ მამა-ძაღლებს, რა მაგარია გერმანული მუშტი.

პაული უკვე ვაგონში სდგას და სარკმელში იხედება. მისი თვალები ქალაქს ეალერსებიან. ჯერ ფაბრიკას შესცქერის, შემდეგ — ოდნავ მარცხნით მაღლა. ისმის პირველი ზარი. გამცილებელნი აღელდენ. ყველგან უხვად ღვრება ცრემლი. იქნევენ ცხვირსახოცებს. ამ წუთს მე-

სამე კლასის კარებ'მი ახალგაზდა ვაჟი გამოჩნდა ხის კა-ტარა ყუთით. ის არც კი ჩქარობს.

— აჰა, ვილლი!

პაული ფანჯრიდან ხელს უქნევს. იმან მეგობარი შე-ნიშნა, ვაგონ'ში შემომავალი. პაული აუჩქარებელ ნაბი-ჯებს ხედავს და ღიმილით ფიქრობს:

— ეჰ, მეგობარო, ორიოდე კვირის შემდეგ უფრო სწრაფად გაალაჯებ, .ეგერები სიარულს გასწავლიან.

მატარებელი უკვე დაიძრა. დედა სდგას ვაგონის ფან-ჯარასთან და სახე ტირილით ელმიჭება. ქალაქი მარცხნივ მიდის. პაკჰაუზის ჩარდახი სანახაობას ჰფარავს, შემდეგ კი ყველაფერი ხელახლა ჩნდება.

— დედი, დედი ნახვამდის!

წყლის საქაჩმა ყველაფერი დაჰფარა. აი საბარგო სად-გური. კარებთან, საფეხურებზე, ინჟენერი ბარნეტი სდგას. კორბსი იცნო:

— ბედნიერად, ბ-ნო კორბს! — და ხელს უქნევს.

პაულს იმდენად სიტყვები არ ესმის, რამდენადაც ხე-დავს მისი ტუჩების აშკარა დაცინვას. პაულის ზურგის უკნიდან ვილლი გამოჩნდა. ბარნეტს მუშტი მოუღერა:

— დედა აგიტირდება, ეშმაკმა წაიღოს შენი თავი, სისხლისმწოველო!

ჩოფურა მთამ ზურგი გამოაჩინა. ყველაფერი მიიმალა.

პაული გრძელ სკამზე ჩამოჯდა. ვილლი გართულია. სკამის ქვეშ თავის სალდათურ ყუთს სდებს. პაულს აზრე-ბი ვერ მოუკრებია. გულაჩუყებულია და გრძნობს, რომ დაღლილობა ერევა. როცა ვაგონებმა დაიწყეს რიტმების ახმაურება ლიანდაგზე პაულმა ხელი მიიტანა მუნდირის მარცხენა ჯიბესთან და ფრთხილად ამოიღო ცხვირსახო-

ცი. თავი დახარა და შეისუნთქა მათრობელი, ამაღელვებელი ნაცნობი სუნნელი.

ყაზარმა სრულებით ახალი ქვეყანაა: წესიერება, დისციპლინა, საქმიანობა და ღრმა, ნამდვილი აფრთოვანება გერმანელ სალდათების.

— დოიტშლანდ, დოიტშლანდ ჟუბერ ალლეს!

სიმართლემ უნდა გაიმარჯვოს. გერმანიას ყოველ მხრივ მტერი აკრავს. სურთ — წაართვან გერმანიას მის მიერ დაპყრობილი უფლებანი. სურთ — დაანგრიონ ცივილიზაცია, კულტურა, ტეხნიკა და გაორგანიზებული აზრი. სურთ — ძირიანად აღმოფხვრან ფოლადის მიერ ნაჭედი ეროვნული შეგნება, გერმანული სიმტკიცე. გამარჯვება სიმართლის მხარეზე უნდა იყოს, მაგრამ მან რომ გაიმარჯვოს, სკოლები უნდა ყაზარმებად გადააქციო, სასახლეები სამკურნალოებად, ქარხნები და ფაბრიკები ბრძოლის ნამდვილ ბაზისებად და ველები მებრძოლთა ძიძებად. სამშობლოს ყოველი შვილი საზღვარზე უნდა იდგეს. გერმანიის ყოველმა სალდათმა უნდა იცოდეს, თოფი რად მისცეს ხელში და ამ თოფს ის ნამდვილ ოსტატივით უნდა ხმარობდეს.

პაულმა ძალიან ადვილად შეითვისა სამხედრო ცოდნა მან გაოცებით შენიშნა, რომ ის სკოლაში საკმაოდ მოამზადეს საამისოდ.

„თითქო ამ ომს წინასწარ ხედავდენ“, ფიქრობდა იგი მიამიტურ აღტაცებით.

შვებულების შემდეგ ახალგაზდა ეფრეიტორი ახლადგაწვეულთა გასაწვრთვნელად დააყენეს.

ეს ძალიან კარგია. ჯერ ერთი, ახლად შეძენილ ცოდნას ის სხვებს გადასცემს, და, გარდა იმისა, ის ამ ცოდნას უფრო განამტკიცებს. მომავალმა აფიცერმა ხელქვეითები უნდა მოიმზადოს, რომლებთანაც ერთად იგი შემდეგ ფრონტზე გავა. ისინი მას შეეჩვევიან, იგი მათ ეცნობებათ, მის გამოცდილებას დაუჯერებენ და პატივს დასდებენ მის ავტორიტეტს.

წურთვნა ძნელი არაა, ნამეტნავად კი მისთვის, მასწავლებლისთვის.

— მარცხნივ! მარჯვნივ! დაწექი! გაიქეცი!

ფანქრის მაგიერ ტყვია, სახაზავის ნაცვლად თოფი. დიდი არაფერია. თავისთავად სამხედრო ცოდნა მეტად პრიმიტიულია. აი, მაგალითად: რატომ სწორი ხაზით არ მიდის ტყვია? გასაგებია — გადასროლილი ქვაც ხომ სწორი ხაზით არ მიდის, ისიც ნახევარ-რკალს აკეთებს. მოხვედრა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ არის თოფის ტუჩი დაყენებული. რა თქმა უნდა, ხელი არ უნდა კანკალებდეს. ნიშანში ამოღება მშვიდათ უნდა. სწორი სროლა გამარჯვების ნახევარია.

სიმართლემ კი უნდა გაიმარჯვოს.

ვილლი არც იმდენად ცუდი სალდათი გამოდგა, როგორც პაული ფიქრობდა პირველ დღეებში. ამ შავთვალა და ჩათხრობილმა ახალგაზდამ, ამაყმა და მწყინავმა სასკოლო მეგობარმა, თურმე თავის საქმე იცოდა. სროლის ერთ შეჯიბრებაში ის პირველი აღმოჩნდა და ასეულის აფიცრისგან ქება დაიმსახურა.

პაულს ეჭვი გაეფანტა. მას გულწრფელად უხაროდა მეგობრის გამარჯვება. ორივეს ეგონა, ფრონტზე ერთად წავიდოდენ. ვილლიმ სთხოვა პაულს, რომ ის თავის ასეულში გადაეყვანა. სწორედ ბატალიონის შედგენის წინ

მათ წაიკითხეს ბრძანება, რომ ქიმიურ მრეწველობის მუშა-ტეხნიკოსებისგან შესდგება განსაკუთრებული რაზმი. ასეთი ოციოდე აღმოჩნდა. ისინი ბატალიონში არ ჩარიცხეს და გადაიყვანეს მეორე ყაზარმაში, ცალკე ოთახში.

ბატალიონის გაგზავნამდე ვილლიმ პოზიციაზე პაულს იპოვა.

— ამ ყაზარმაში რას აკეთებთ? — ჰკითხა კორბსმა.

ვილლიმ შეხედა პაულს და ღიმილით თავი გააქნია:

— ვერ გეტყვით, ბატონო კაპრალო, ნაბრძანებია.

— სისულელეა! ხომ იცი, რომ შეგიძლია მე მითხრა!

— რაღა სწორეთ თქვენ უნდა გითხრათ? მაშინ შეიძლება ყველასაც ვუთხრა.

— ყოჩაღ, ვილლი, ყოჩაღ! სწორია!

შესძახა აღტაცებით პაულმა.

— მაგრამ შენ, ბ-ნო კაპრალო, თუ გერმანელ სალდათის პატიოსან სიტყვას მომცემ, გეტყვი.

— გაძლევ გერმანელი სალდათის პატიოსან სიტყვას.

ვილლიმ პაულს შეხედა. ის ცივად, მაგრამ ამავე დროს მეგობრულად ელაპარაკებოდა. ტუჩები გვერდზე აიღმიჭა, სანამ ლაპარაკს დაიწყებდა. მის სიტყვაში ოდნავი ირონია გაისმა:

— აბა, რა გიყო, გეტყვი, რასაც იქ ვაკეთებთ. თუმცა ეს საიდუმლოა და ამაზე ბრძანებაც არსებობს. ეს მართლა საიდუმლოა, მაგრამ გეტყვით თქვენ, პაულ. იცით? იქ სააირო რაზმს ამზადებენ. ვსწავლობთ, როგორ უნდა მოვიხმაროთ ფრონტზე აირი, ის აირი, რომელსაც ჩვენთან ამზადებენ, — ოდნავ შეჩერდა, ხმას დაუწია და დაუმატი: — ვალდაუენში. მე ყოველთვის მიკვირდა, როგორ ვამზადებთ ქლორიდან აირს. ჩვენ კი გვეუბნებიან, რომ აირს საჰაერო ფლოტისათვის ხმარობენ. სიცოცხლისთვის

ქლორი საშიშია და ჰაერზე უფრო მძიმეა. ეს მე წინათაც უცნაურად მეჩვენებოდა. ერთხელ ბარნეტს ვკითხე: რისთვის ხმარობენ მეთქი ამ აირს. მან შემომხედა, ეშმაკურად გაიღიმა და ჩვეულებრივი სიტლანქით მიპასუხა: „ხმა ჩაიკმინდე, ტუტუცო!“ მე, რა თქმა უნდა, ჩავიკმინდე ხმა.

ამ შემთხვევამდე ბ-ნი ინჟენერი ძალიან კარგად მეპყრობოდა: ის მასწავლიდა და, როგორც ამბობდა მოხუცი დიუბონი — სურდა „ტეხნიკოს-გამრეკავი“ გამოვეყვანე.

— მერე? რას სწავლობთ იქ?

— სწორეთ ეგ მინდოდა მეთქვა. აქ ნათლად დავინახე, რისთვისაც სჭირდებათ აირი. იმ რაზმს, საცა მე ჩამრიცხეს, სააირო რაზმი ჰქვია. სამხედრო ხელოვნებაში ეს სრულიად ახალი საქმეა. მას „სააირო იერიში“ დაერქმევა. ღამით, ქარი ჩვენი მხრიდან მტრისაკენ დაუბერავს, აირის ბალონებს პირს მოხსნით და პირი მტრის თხრილებისკენ წავა. იგი ფრანგებს „მცირე ხნით“ დააძინებს და მაშინ ჩვენი ჯარი შესძლებს დაუბრკოლებლივ გადალახოს მტრის თხრილები.

— მერე? — ჰკითხა სუნთქვაშეკრულმა პაულმა.

— მთელ ფრონტზე ასეთ იერიშებს ამზადებენ.

— გენიალურია.

— შეიძლება აგრეც ითქვას, — ცხადი უსიამოვნებით დაეთანხმა ვილლი.

მერე?

— რაღა მერე? აპირებენ გაზაფხულზე ეს აირი მეტად ფართედ გამოიყენონ. ფრონტის მრავალ ნაწილზე სააირო იერიშებს დავიწყებთ და დიდ გადამწყვეტ ბრძოლას შევუდგებით.

— ჰო, ეს ალბად ომის ბედს გადასწყვეტს.

— გთხოვთ, ბატონო კაპრალო, მაინც ჩუმად იყოთ, და თუ თქვენ შემთხვევით სადმე წამოაყრანტ....

— მე? ენაც რომ მომჭრან, არასოდეს!

— მაშინ, ცხადია, სულ ველარაფერს იტყვით.

— ერთი სიტყვით, შენ ასეთ რაზმში მსახურობ?

— ჰო, როგორც ქიმიკოსი.

პაულს ცხადლივ წარმოუდგა ფრონტი. სანგრები. მტრის თხრილები და ნელად მიმზოზავი აირის რძისებური ნისლი. აირი მიიზლაზნება სქელ კეცად.

— დაგვაცადონ, უჩვენებთ! მთავარი ისაა, რომ მტერმა წინასწარ არაფერი გაიგოს.

— ნუ გეშინია, ამაზე მთავარი სარდლობა ზრუნავს.

ვილლის წასვლის შემდეგ პაულს დიდი რწმენა მიეცა, რომ გერმანიის სარდლობა გაიმარჯვებდა.

„აი ეს მესმის! დიდებული მოუგონიათ! აირი უცებ გადასჭრის ომის ბედს. უნდა ავჩქარდე, რომ გამარჯვების დროს ფრონტზე ვიყო. უნდა ვისწრაფო, რომ შემდეგ შინ დავბრუნდე მორთული მკერდით და სავსე საღილეებით უნდა ვისწრაფოთ, ვინაიდან სიმართლის გამარჯვება ახლოა უკვე“.

მატარებლები, სადგურები, ახლად-მოხნული ველები, მშვენიერი გზატკეცილები, ტყეები, მდინარეები, ხევები, ხიდები,სოფლები, ჩალაზე გათენებული ღამეები, წვიმიანი დღეები, გაზაფხულის ჟუჟუნა წვიმები, წვირიანი გადასავალი ერთი გზატკეცილიდან მეორეზე მიტოვებულ ალაგებით — ყველა ეს ერთიმეორეს სცვლიდა. დღეები, კვირეები, თვეები — ერთიმეორეს მისდევდენ. სალდათები

კი სულ წინ ფრონტისკენ მიიწევდენ. პირველად ნანახი დაჭრილთა რიგები იყო. შემდეგ — აეროპლანები. საკუთარი აეროპლანები, რომლებიც იმით განსხვავდებიან მტრების აეროპლანებისგან, რომ მათ ირგვლივ ცაში არ დნება შრაპნელის მოთეთრო-რძისებური ბოლი. მაგრამ, აი, მტრის ფრინველები გამოჩნდენ. საჰაერო ზარბაზნები ისვრიან ტატნობის მკაწრავ ზუილა შრაპნელს. ხან იქ, ხან აქ ხეების შორის კაკანებენ ბედის-მცდელი ტყვიისმფრქვეველები.

პაულის ასეული შესდგებოდა ბრძოლაში გამოცდილ ძოხუც სალდათებისა და ახლად-გაწვეულ ახალგაზდებისაგან, უმეტესწილ ელზას-ლორენელებისგან, რომელთა შესახებ აფიცერთა საკრებულოში საიდუმლო ბრძანებებს კითხულობდენ. უნტერ-აფიცრებად ბავარელები და საქსონელები იყვენ, აფიცრებად კი პრუსსიელები და მეკლენბურგელები.

საფრანგეთის მიწაზე მიდიოდენ. საფრანგეთის მიწა — რა უცნაურია! იგი ისეთივე მიწაა, როგორც გერმანიისა: ასეთივე არხები, ასეთივე ხეები, ასეთივე მინდვრები, გზები, გამხმარი შარშანდელი ბალახი. ჰო, რა თქმა უნდა. ეს ფრანგული მიწაა, დაპყრობილი მიწა, მაგრამ აქ ხალხი სულ სხვანაირია. ელზასელ სალდათებს ხალხი ყველგან თბილად უხვდება. ისინი ადვილად ლაპარაკობენ ფრანგულს. პაული მათ გამოთქმას ძლივს არჩევს. გერმანელებს მოსახლეობა ცივად ხვდება, ზოგჯერ კი მტრულადაც. და ყველა, უკლებლივ ყველა, სასიკვდილოდაა დაშინებული. ხანდახან გხვდებათ სრულიად გადამწვარი სოფელი. სალდათები იმ ადგილებზე მიდიან, რომლებიც მიტოვებულია ამასწინად მომხდარ ბრძოლების გამო. თხრილები შეუკვრელ იარებივით პირგახსნილია. ყველგან ომის ნარჩენია:

ეკლიანი მავთული, რკინა, ცალიერ ვაზნების გროვები დ.ა.. საფლავები. უხვად მოსჩანს გაფანტული ცალკეული საფლავები და დიდი ბორცვები ძმური საფლავების, ცარცით შეთეთრებული ხის ჯვრებით. ყველგან ცარცია და კირი.

გმირთა გალლერეა.

ფრონტი თანდათან ახლოვდება. ნგრევის კვალიც მატულობს. მოსახლეობა თხელდება. ირგვლივ სასაფლაოს სიცალიერე, აქ მდგომი სალდათების რიგები გართული არიან ლაპარაკში, თუ როგორ შეუწყეს ნაღმები ქალაქის მთელ უბნებს. დროებით უკან-დახეულმა გერმანელებმა მტრები აიყოლიეს, მოჩვენებით გამარჯვების შემდეგ მშვიდი ძილის ნება მისცეს და ღამით აეფეთქეს. ამ სისასტიკემ პაული გააოცა. შიშით სცნობდა, რომ ასეთი რამის გამო გახარება არ შეუძლია.

ამ სანახაობამ, ამ ნანგრევებმა და სალდათების უბრალო თხრობამ სევდით გაავსეს იგი.

გზააბნეული მიაბიჯებდა იგი სალდათებში. ირგვლივ მღეროდენ რეინის პოსტების ჰიმნს. ისმოდა ყოჩაღური: „დოიტშლანდ, დოიტშლან ჲუბერ ალლეს“. ტვინი ყველაფერს ეკიდებოდა, ოღონდ კი ეს ეფიქრა:

— სიმართლემ უნდა გაიმარჯვოს.

დიდი მანძილის განვლის შემდეგ პაულს იშვიათი გამძლეობა აღმოაჩნდა. ჩვეულებრივ ჩუმად მიდიოდენ. ასეთ დროს იგი მარტო თავის თავს ეკუთვნოდა. იგი გრძნობდა, რომ მისი ცნობიერების უშორეს კუთხეში ფათურობს რაღაც გაურკვეველი, უფორმო, მოუსვენრობა, რაღაც პატარა, მაგრამ მტანჯველი, როგორც თვალში ჩავარდნილი მწერი. პაული სიმღერას იწყებდა. ცდილობდა შე-

რეულიყო ისეთ ჯგუფში, საცა საომო ამბების თხრობის მოყვარულნი იყვენ, და მათთან ერთად უკვირდა გმირობანი, აღტაცებული იყო და ამავე დროს თავისთვის ფიქრობდა: „თქვენ არაფერიც არ იცით. ფრონტზე საინრო რაზმები მოვლენ და მაშინ ყველაფერი გადაწყდება“.

აპრილის ღრუბლიან დღეს დიდი გადასვლის შემდეგ ბატალიონი შეჩერდა სრულებით თავმინებებულ სოფელში. რამდენიმე დღის განმავლობაში მკაფიოდ ესმოდათ ზარბაზნების გრიალი. ძლივს დაისვენეს და — ბრძანება: დაეწყვეთო. სოფლის ვიწრო ქუჩაში ვეება საბარგო ავტოები შემოიჭრა. სალდათებს უბრძანეს, თითო მწყობრი ცალკე ჩამჯდარიყო. იწყეს ჩაჯდომა. პაული მეშვიდე ავტოში ავიდა. სალდათებს უბრძანეს: ერთმანეთს მაგრად ჩაჰკიდეთ ხელები, რომ არ გადმოცვივდეთო. თოფები ლულებით ქვეით უნდა დაეშვათ.

პაული ერთი ხელით ერთ ხნიერ სალდათს მოეხვია, მეორეთი კი ავტოს ნაპირს მოეჭიდა. ჯერ გზატკეცილით მიდიოდენ. შემდეგ ხნულებზე გადაუხვიეს. მძიმე ყუმბარებმა აქ მრავალი უზარმაზარი ძაბრი ამოთხარეს. ავტოების ტკაცა-ტკუცში დროგამოშვებით მკაფიოდ ისმოდა ზარბაზნების გრიალი, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა. როცა პატარა ტაფობი გადასჭრეს, ნიავმა ტყვიისმფრქვეველების რაკრაკი მოიტანა. შოფერები ძაბრებს ფრთხილად უხვევდენ გვერდს. ხოლო როცა დროზე ვერ შენიშნავდენ, უკანვე ისე ბრუნდებოდენ, რომ სალდათები ავტოს ბაქანზე ბარბაცებდენ და ასეთ დროს გინებას ისროდენ. პაულის მეზობელი, ხნიერი ეგერი იდგა და ხშირად იმეორებდა იესოს, მარიამის და წმინდა იოსების სახელებს.

ის ლანძღავდა შოფერს და უწოდებდა ცოფიან ვირს, რომელიც წმინდა ოჯახს ვერასოდეს ვერ მიიყვანდა იერუსალიმში.

შოფერი დროგამოშვებით ცას შესცქეროდა და სთხოვდა სალდათებს, რომ იმათაც აეხედათ.

პაულის მეზობელი ისევ ბიბლიის კილოზე გადავიდა:

— იქნებ შენ გზის მაჩვენებელ ვარსკვლავს ეძებ, მეგობარო?

მისი ოხუნჯობა უეცრად შესწყდა, ავტო უცებ წესდგა. შოფერმა დაიძახა:

— გადახტით და თავს უშველეთ!

— პაული და რამდენიმე სალდათი ავტოს ქვეშ შეძვრენ.

ზედ ტყეზე, მის ნაპირთან, საცა ავტო მიდიოდა, გამოფრინდენ დამაყრუებელი ბზუილით მტრის აეროპლანები. ჩამოაგდეს სამი ყუმბარა.

„სტუმრობის“ შემდეგ ორი მოკლული და ხუთი დაჭრილი აღმოჩნდა. სალდათებმა თავმოყრა დაიწყეს. ფერწასული და დაბნეული იყვენ. ფრონტზე ნამყოფნი სხვებს ამხნევებდენ:

— ეს არაფერია, ეს მხოლოდ ხუმრობაა.

დახოცილები როგორც იქნა იქვე დამარხეს. დაჭრილები სანიტარს დაუტოვეს, და დაარიგეს საღამოზე საით უნდა გაეკვლიათ გზა.

პაულს ისევ გაჰკაწრა გულში:

„აი, რა უბრალოდ იხოცებიან“..

უეცრად მწვავე სირცხვილი მოედო. ავტოში ავიდა. მაზარა ბაქანის რაზას მოედო. შესაძლებელია თავის სიცოცხლეში პირველად გადმოისროლა ლანძღვა. ხნიერმა სალდათმა სიამოვნებით შენიშნა;

— როგორც ვხედავ, ტყვილად არ ყოფილხართ კაპრალი, მაგრად ილანძღებით. მე კი ძუძუმწოვარა მეგონეთ.

სწრაფად დაიძრენ. ისევ გზატკეცილი. იგივე ძაბრები, ავტოები მისვეულ-მოხვეულად მიდიან, ერთმანეთს ბატებივით მისდევენ. მოწინავე ავტო შესდგა. გზის გარდიგარდმო ცხენოსანი იდგა. აფიცერი მიუახლოვდა ავტოს.

— ჩამოდით! აფიცრები და უნტერაფიცრები — წინ!

შემდეგ ფეხით იწყეს სიარული გაჭიმული რიგებით. აეროპლანები ერთხელ კიდევ დაეწიენ, მაგრამ ყუმბარები არ ჩამოყარეს.

— ცის ფრინველებს კვერცხი აღარ აქვთ, — გაისმა თავაგლეჯილი შენიშვნა.

— ჩვენს წინ პარადს მართავენ, თუ რა ამბავია? — ნაძალადევი უკმაყოფილებით თქვა ჭაღარა ეგერმა.

სალდათები მოკუზული მიდიოდენ. ზურგზე ვაზნებით სავსე ჩანთები ეკიდათ.

დროგამოშვებით ჩერდებოდენ ხოლმე, ფეხსაცმელს ისწორებდენ, ზედმიკრულ ტალახს იშორებდენ, უფრო და უფრო ხშირად უმიზეზოდ ილანძღებოდენ უშვერი სიტყვებით.

თხელ ტყეში გადაუხვიეს. აფიცერმა ასეული დასტოვა, ცხენოსანთან მივიდა, რუკა ამოიღო. გეზის ასაღებად გამართეს საუბარი.

ტყეს მალე გასცილდენ. რკინისგზის ლიანდაგზე გადავიდენ. პაულმა შენიშნა, რომ ლიანდაგი დაჟანგებული იყო.

„დიდი ხანია აქ მატარებელს არ გაუვლია“, — გაიფიქრა.

ბექობზე სწრაფად ჩასრიალდენ და ჩირგვნარში განაგრძეს გზა. შემდეგ ბოგირზე გავიდენ, და, როცა დაბნელდა, მკვდარსა და ჩუმ სოფელში თავი ამოჰყვეს.

დასვენების ბრძანება მოვიდა. სალდათები სახლებში დააბინავეს. ცალიერ ფანჯრებს ფარდები ჩამოაფარეს. პაპიროსის ანთება მხოლოდ ერთიმეორისაგან შეიძლებოდა და სასტიკად აკრძალული იყო ეზოში ან ქუჩაში გასვლა ანთებული პაპიროსით.

დარაჯები დააყენეს და გვერდით ფოლადის რელსების ნაჭრები ჩამოუკიდეს. აეროპლანი რომ მოახლოვდებოდა, ეს ფოლადი უნდა დაერეკათ.

— ფრანგების აეროპლანი თავხედია, ჩვენი კი ბედოვლათია. — უკმაყოფილოდ ბურდღუნობდენ სალდათები.

მთელი დღე აქ იდგენ. ცხელ წყალში ოდნავ გამთბარ ხორცის კონსერვებს სჭამდენ. დაეხეტებოდენ. ეძინათ. როცა ბინდი წამოვიდა, დამწკრივდენ და სოფლიდან სწრაფად გავიდენ. მიწა ქვიანი იყო, შიშველი, მხოლოდ იქვე სოფელთან—ბუჩქნარი. დროგამოშვებით ისე მკაფიოდ ისმოდა ზარბაზნების გრიალი, თითქო სადღაც სულ ახლო მდგარიყო ბატარეია. ვიღაცამ ისიც კი სთქვა, ტყვიისფრქვეველთა კაკანი მესმისო. შუაღამემდე შეუსვენებლივ მიდიოდენ. თამბაქოს მოწევა აკრძალული იყო, მაგრამ გაუსწორებელი მომწევი პაპიროსს მაზარის სახელოში მალავდა და ჩუმად ეწეოდა, უნტერაფიცრები სალდათებში დაძვრებოდენ, ჰაერს სუნავდენ და ეძებდენ ბოლის ნაკვალებზე დამნაშავეს. მძიმე ჩანთა სალდათს სიქას აცლიდა.

პირველ ხანს აფიცრები სალდათებს ხშირად ასვენებდენ. ეხლა კი მალი-მალ დასცქეროდენ საათს და სალდათებს მიერეკებოდენ.

ოთხ საათზე დანიშნულ ალაგზე უნდა ვიყოთ. — ისმოდა რიგებში.

რომელ ალაგზე? კითხულობდენ ახალგაზრდა სალდათები.

— შვილო. ასლად-გამომცხვარ ნაზუქების დარიგებას უნდა მივუსწროთ.

პაულმა საათს დახედა. ორი სრულდებოდა. ოდნავ დაღლილობა იგრძნო. ხნიერი ლაკნერი, რომელსაც პაული დაუმეგობრდა. მის გვერდით მოდიოდა და კარგა ხანია აღარ იგინებოდა. ჩუმად იყო, ტუჩები მოკუმული ჰქონდა და მძიმედ სუნთქავდა. სალდათები ლონეს იკრებდენ და სწრაფად მიაბიჯებდენ.

ლაპარაკი მხოლოდ მაშინ ისმოდა, როცა აღმართს შეუდგებოდენ ხოლმე. ეგერები ხვნეშოდენ და შეძახილით ამხნევებდენ თავიანთ თავსაც და ერთმანეთსაც. ასეთ დროს სალდათებს დაძაბულობის გამო თავბრუ ესხმოდათ. ცეხები კრუნჩხვით. მაშინალურად მიდიოდენ, სისხლი საფეთქელში საშინლად სცემდა, კუნთები იჭიმებოდენ ტკივილით. ბატალიონი მომართულ მანქანასავით მიდიოდა. აფიცრებს შეეძლოთ რაზმი თუნდაც ჯოჯოხეთამდე წაეყვანათ და ამას არავინაც არ შენიშნავდა. გახელებულ ფარასავით მიდიოდენ. და პაულს ეგონა, რომ ასე დაუსრულებლად ივლიდენ. დაღლილობა და თვლემა აწვალებდა მას. უეცრად თავი ასწია და თეთრ-ლურჯი, დამაბრმავებელი შუქი დაინახა, რომელმაც ღამის ცა გადასჭრა.

პაული მაშინვე მიხვდა, რომ მტრის პროჟექტორმა რაზმს მიაგნო. დისციპლინა აღმოჩნდა. სალდათებმა წესდება შეასრულეს: ყველა ერთი კაცივით მიწაზე დაემხო და გზაზე დაყრილ ბრტყელ ქვას დაემგვანა

პროჟექტორი ნელა გაცოცდა სხვა მხარეზე. შემდეგ უცბად ისევ მოტრიალდა. მოტყუებული ხალხი, რომელმაც ადგომა დაიწყო, ისევ მიწაზე გაინარცხა და გაინაბა. აფიცრების ბრძანება მოვიდა:

— დარჩით და დაისვენეთ.

პაული მაგრად იყო მიწაზე მიკრული, მის სუნს ყნოსავდა და გრძნობდა, რომ ხალისდებოდა. მას სურდა, აქ დიდ ხანს წოლილიყო და კარგად გამოეძინა, მაგრამ მკაფიოდ ისმოდა ტყვიისფრქვეველის კაკანი, რაზმი ბრძოლის ზოლში მოხვდა. უცებ შორიდან, მტრის ზურგის უკნიდან, ქვემეხებმა დაიგრიალა. ყუმბარამ ჰაერი გასხეპა. სადღაც ახლოს დაეცა და ისე გასკდა, თითქო დაიკივლაო. მარცხენა ფრთა სალდათებისა გაიქცა.

— ალაგზე დარჩით! — ბრძანა აფიცერმა. — დაწექით!

ამ წუთს ხელახლა გამოჩნდა პროჟექტორის სხივი.

— თუ შეგვნიშნეს, ყველა აქვე დარჩება...

მეორე ყუმბარაც დაეცა. გაისმა მომაკვდავთა კივილი და ხიხინი.

— მარცხნივ! ბუჩქებში! ჩქარა!

ვისაც შეეძლო ბუჩქებისკენ გაიქცა, იქ შეგროვდენ მესამე ყუმბარა გასკდა. მოპირდაპირე სულ გზას ესროდა და პროჟექტორით გუმანს იღებდა.

დარჩენილი მძიმედ დაჭრილები მხეცურად აბღავლდენ.

პაული არხში იწვა დიდი ლოდის უკან. ძლივს მოეწყო იქ, როცა პროჟექტორმა ხელახლა დაუწყო გზას სინჯვა, მტერმა ერთი ყუმბარა კიდევ ისროლა. პროჟექტორმა, ეტყობოდა ვერაფერი შენიშნა და გეზი იცვალა. დუმილი ჩამოწვა. გზის გასაგრძელებლად მოემზადენ. უცებ, მოულოდნელად ხელახლა შემოიჭრა პროჟექტორი. ყველა დაწვა. ისევ აუტეხეს სროლა. პაულის ახლო გასკდა ყუმ-

ბარა. რკინის ნაჭრები ზუილით არახუნდა ქვებზე ჩამოცვენილ ლითონის ფულივით. პაულმა თავი მხრებში ჩაიგდო და არ იცოდა, ლოცულობდა თუ იგინებოდა.

სროლამ დიდ ხანს არ გასტანა. საათის განათებული ციფერბლატი სამის ნახევარს აჩვენებდა.

ყოველივე ახალი იყო და მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებდა. სროლა დაუსრულებელი მოეჩვენათ. მაგრამ, აი, პროექტორმა. როგორც ეტყობა, ამ ალაგისადმი ინტერესი დაჰკარგა და ისევ იცვალა გეზი.

— შეხე. ცას ჰკოცნის, — სთქვა ხნიერმა ლაკნერმა და ბუჩქიდან გამოძვრა. გარშემო მიწას ჩუმად მოუფათურა და იკითხა:

— ბატონო კაპრალო, ცოცხალი ხართ, თუ უკვე დაგაკერეს ცის ჯილდოები?

— არა, ბიძია ლაკნერ, აქა ვარ, აი ამ ქვის უკან ვზივარ.

— კაი ალაგიც აგირჩევიათ! იცით, თქვენს გვერდით რომ დაცემულიყო ყუმბარა, ეს ქვა სწორედ თქვენ ზურგზე ახტებოდა. რას ფიქრობთ ამაზე?

პაულს ეს მოხუცი მოსწონდა და გადასწყვიტა ეკითხა:

— მითხარით, ბიძია ლაკნერ, ასე ხშირად რათ იგინებით?

— ომი, ბატონო კაპრალო, ლოცვის გუნებას არ იწვევს. გარდა ამისა, გინებით გულს ვიფხან. ეს ძალიან შველის კაცს დარდში.

ფრონტიდან ძრავის ჩუმი რახუნი მოისმა და სიბნელიდან გზატკეცილზე გამოძვრა ლამპარ-ჩამქრალი მოტოციკლეტი. ახლად-მოსულმა ასეულის თავი გამოიწვია და გეზი უჩვენა:

— ასეული დასახმარებლად წავა ამ გზით, მარცხნით, პირდაპირ დამსხვრეულ სახლამდის. მუდამ პროექტორზე უნდა იფიქროთ... შემდეგ პატარა სოფელ კოტრას მიადგებით. იქ მეგზაური გელოდებათ.

— ადექით! მარშ — ნაბიჯით!

პაული წამოდგა და იგრძნო, რომ ფეხის ძარღვები უცახცახებდა. ცახცახი მკერდზე გადავიდა. შემდეგ კი მთელი სხეული მოიცვა.

— ალბად დაღლილობით მომივიდა, ან შეიძლება ცივმა მიწამაც მიყო. — ამხნევებდა თავის თავს.

ბრაზმა მოიცვა იგი, მაგრამ თავის თავს ვერაფერი უყო. კუნთები უხტოდა წვრილი კანკალით და სირცხვილით სწვავდა მას.

„ნუ თუ მეშინია?" — ჰკითხა თავის თავს.

უცბად რაღაც მოაგონდა. ზემო ჯიბის ღილი გაიხსნა, პატარა ცხვირსახოცი ამოიღო და ამაღელვებელი სუნნელი შეისუნთქა. თითქო დამშვიდდა.

რიგებში ჩურჩულმა გაირბინა. პოზიციის ამბებს გადასცემდენ ერთმანეთს:

— მეოთხე დღეა. იბრძვიან.

— აირი არ გამოდგა.

— რა არის სააირო იერიში?

— მერე ვნახავთ.

— ჩვენ მარქაფათ ვიქნებით.

— ამაღამ სახიშტო იერიში მზადდება.

— ბევრი ყოფილა დაჭრილი და მოკლული.

— ჩვენ გველოდებიან.

პაულმა ხელსახოცი უკანვე ჩაიდო ჯიბეში. მაგრამ მერე ხელახლა ამოიღო და ცდილობდა ახლო სადმე შეენახა, რათა იქვე ჰქონოდა ხელთან. ცახცახმა უკლო. ეხლა

მან გარკვევით იცოდა, რომ ცახცახი სიცივემ კი არა, მღელვარებამ გამოიწვია. და ეს ამბავი სწორედ ბრძოლის ხაზთან დაემართა.

„მაგრამ აღელვება შიში არაა", — უთხრა თავის თავს

ისევ მიდიოდენ, წინ პატარა კლდოვანი გორაკი მოსჩანდა. მის იქით ყრუდ ისმოდა სროლა. სალდათებმა თავიანთი თავი საფარში იგრძნეს. დაკლაკნილ გზატკეცილზე მიდიოდენ. ერთ მოსახვევის იქით არტილერისტები მძიმე ბატარეიას სდგამდენ. უცნაური იყო მათი დინჯი და განზომილი მუშაობა. სალდათები ფერდობზე ჩამოსრიალდენ. გზა ქვეით ჩამოდიოდა და პაულის თვალ-წინ გადაიშალა ფრონტის ღამური სანახაობა. თოფებს გაჭქონდათ ფიცხელი ტკაცა-ტკუცი. ტყვიამფრქვევლის რაკოაკი იშვიათად ისმოდა. ზოგჯერ ხელყუმბარა ფეთქდებოდა. ერთი მხრიდან მეორეზე განუწყვეტლივ ფრინავდენ სხვადასხვაფერი შუშხუნები და ცის შავ ხავერდს დარკალული ხაზები სერავდენ. ჩამოვარდნილ შუშხუნის შუქზე პაულმა დაინახა აკრიალებული მდინარე.

გზა სულ ქვეით და ქვეით ჩადიოდა. შემდეგ ისევ გასწორდა. თხრილების ჩირაღდანი ისევ მიიმალა. მხოლოდ ვაღლა ასროლილი შუშხუნები თვალს სჭრიდენ.

სოფელთან მივიდენ. სრულიად დანგრეულ სოფლის ბოლოს მეგზაური და რამდენიმე აფიცერი ასეულს ელოდებოდენ.

— ეგერები ხართ?

დიახ!

— შომყევით! ნუ ხმაურობთ! აქედან მტრის სანგრებამდე 300-400 ნაბიჯია.

პაულმა გაიგონა, რომ ასეულის უფროსმა მეგზაურს ჰკითხა, იერიში როდის დაიწყებაო.

— ჯერ ყველა მარქაფა ჯარი არ მოსულა.

სოფლის დაკლაკნილ ქუჩებში შენობათა კედლების უკან ხალხმა ისევ იგრძნო სიმშვიდე, მაგრამ, როცა ღია ალაგზე გადიოდენ, ერთმანეთს ეკვროდენ. სოფლის ბოლოს, უკანასკნელ სახლთან, მათ დაინახეს გაწოლილ სალდათების ბნელი გროვა. ეს იყო მათზე ადრე მოსული სამარშო ასეული.

ჩვენს ჩრდილო-აღმოსავლეთის ფრონტზე, რომელიც ვერ ჩაითვლებოდა ყველაზე უფრო მომქმედათ, გერმანელებმა პირველად სცადეს სააირო იერიშები. ეს საომარი ხერხი არ იყო საიდუმლო საფრანგეთის ჯარის მთავარ-სარდლობისათვის. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ საფრონტო ჯარმა, მოწინავე პოზიციაზე მდგომმა, აირების არაფერი იცოდა. და ფრანგი აფიცრებისთვის, ნამეტნავ კი მარქაფა აფიცრებისთვის, აირი სრულიად მოულოდნელი იყო. მე ამას თამამად ვამტკიცებ, რადგან ამ დროს მე თვითონ რესპუბლიკის ჯარში ვმსახურობდი ქვეითა ლეიტინანტად, და ჩემი ასეული სოუელ კოტრას მახლობლად იდგა. ჩვენ ვიდექით იურის მთის სიმაღლის „260“ ფერდობზე. იგი სხვებთან შედარებით პატარა მაღლობია. მაგრამ მთა „260“ მაინც ემთავრებოდა მიდამოს აქ მოხერხებული ადგილია სროლისათვის, დიდებული საზვერავი პოსტი. აქედან შესაძლო იყო მართვა ადგილობრივ მნიშვნელობის ბრძოლებისა, რაც ახასიათებდა ფრონტის ამ ნაწილს.

ერთი სიტყვით, თქვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ მე, ლუი ფერერს, მაშინდელ ქვეითა ლეიტინენტს, შემეძლო მტერთან შეტაკების დროს პირისპირ შევხვედროდი

პაულ კორბსს, გერმანელ ეგერთა კაპრალს. რადგან ფრონტის ამ ნაწილზე კარგა ხანი დავყავი, შემიძლია მოკლედ ავწერო ის ბრძოლა, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა პაულ კორბსისთვის.

იგი ასე დაიწყო. გერმანელთა იერიშის წინა-დღე წყნარი იყო. განგაში დილიდანვე ატყდა. მესამე მწყობრის სალდათმა უფროსისაგან ნებართვა მიიღო ენახა მისი სოფლელი პირველ მწყობრში. მას ეს ნებართვა მიეცა „წყნარი დარის" გამო. სალდათი წავიდა, მაგრამ მისი მეგობარი სადარაჯოზე, ბლინდაჟთან აღმოჩნდა და მოსული მას გვერდით ამოუდგა, თუმცა წესით ეს ნებადართული არაა. ისინი ფიცხელ საუბარში გაებენ და მტრისკენ რიგ-რიგად იხედებოდენ ფარის ნახვრეტიდან..

უცბად ერთმა მათგანმა უცნაური რამ შენიშნა. გერმანელთა თხრილები ჩვენს თხრილებზე გაცილებით უფრო მაღლა იყო და იქიდან რაღაცნაირი ბოლი თუ ორთქლი მოდიოდა. ეს სქელი სუდარა თეთრად ჩამოდიოდა ქვეით. მზე ახლად იყო ამოსული. კვამლი უცნაურად იფინებოდა და თანდათან ჩვენ სანგრებს უახლოვდებოდა.

გუშაგმა თავის მეგობარი გამომიგზავნა. მან მიპოვა და ნანახი გადმომცა. მე ვუბრძანე, დაუყოვნებლივ გაეღვიძებიათ მთელი ასეული. გამოუძინებელი სალდათები იშმუშნებოდენ, და, რადგან სროლა არ ესმოდათ, არავითარ ჩოჩქოლს არ იჩენდენ. მე მტკიცედ არ ვიყავი დარწმუნებული ჩემი ბრძანების სისწორეში და ვცადე ხელქვეით აფიცრებთან რჩევა გამემართა. სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა:

— გერმანელების სანგრებში ცეცხლი თუ გაჩნდა და ამიტომ მოდის იქიდან კვამლი. ჩემმა თანაშემწემ, მუდამ მხიარულმა, შენიშნა:

— საწყლები, მათი თხრილები ალბად დაზღვეული არ იყო.

— არა, გერმანელები რაღაცას გვიმზადებენ, — მიუგო მოხუცმა, სერჟანტმა, ჩვენი ასეულის ვეტერანმა.

— კეთილი, მაგრამ რას გვიმზადებენ?

უეცრად შევნიშნე: გერმანელთა თხრილებიდან ჩვენსკენ ვირთხების მთელი ჯოგი მორბის. ჩვენ მეგობრულად არ დავუხვდით, მაგრამ ვირთხები მაინც შემოცვივდენ თხრილებში.

— ცხადია, ცეცხლი გაუჩნდათ.

რამდენიმე ვირთხა, ჩვენს თხრილებს რომ მოუახლოვდა, პირზე ქაფმორეული ყირამალა გადავიდა, აფართხალდა და დაიხოცა.

დაახლოვებით ამავე დროს მოვარდა ჩვენთან თეთრი ტალღა. ნუშის მწვანე სუნი ვიგრძენით, რომელმაც ხალხს გული აურია. ავი რაღაც ვიგრძენით და ვუბრძანე უკან დაეხიათ და ტყვიაფრქვეველები მოეხსნათ.

სალდათები პანიკურმა ნერვიულობამ მოიცვა.

როცა უფრო მაღალ ადგილზე ავედით, ორი გამოუცდელი ახალგაზრდა რაღაც ნივთებისათვის ისევ თხრილებისკენ გაიქცა. ამ დროს სანგრები უკვე გაავსო თეთრმა ტალღამ. ერთი მათგანი თავზარდაცემული დაბრუნდა და სთქვა, რომ მარსელი კრუნჩხვით წაიქცა, და გვთხოვა, გვეშველნა და გამოგვეყვანა. რამდენიმე კაცი მისაშველებლად გაიქცა. ახალგაზდა მარჯვნივ და მარცხნივ იფურთხებოდა და ყვიროდა:

— გერმანელებმა მყრალი რაღაც გამოუშვეს.

ასეული უფრო შორს წავიყვანე და მარსელის მოყვანას ვუცდიდი. ამ წამს ჩვენს თხრილებზე გერმანელი

სალდათები გამოჩნდენ, რომელნიც მუხლამდე თეთრ ნისლში იყვნენ.

ისინი მოდიოდენ, რომ არც ერთხელ არ გაუსროლიათ. პირზე აფარებული ჰქონდათ რაღაც შემზარავი ნიღაბები ვეება საფრთხობი მინისთვალებით.

დავიწყეთ გიჟური სროლა. მომხდურნი ეტყობოდათ, ამისთვის მზად არ იყვენ, ამიტომ შეირხენ და უკან დაიწიეს. სროლა დიდ ხანს გაგრძელდა. მცირე ხნის შემდეგ შევნიშნეთ, რომ გერმანელები სროლაზე პასუხს არ იძლეოდენ.

ჩვენ უკანა პოზიციებზე დავიხიეთ. იმ დღეს ჩემს ასეულში უჭრილობოდ დაიღუპა 30 კაცი, სულ კი 70 დავკარგეთ: ნახევარი დაავადდა და ბრძოლის უნარი დაჰკარგა. 17 კაცი, მათ შორის მარსელი და ტყვიამფრქვევლის ორი საუკეთესო მსროლელი, იქვე დარჩა. ისინი ეყარნენ, გასიებული, გაშავებული, გადმოგდებული ენებით, ებრძოლნათ სიკვდილთან. ეს სჩანდა მათ დაღმეჭილ სახეებზე. დახოცილები თავიანთ საშინელ სანახაობით უძლეველ შიშს ჰგვრიდენ გადარჩენილებს.

—ეს რა არის? — ეკითხებოდენ სალდათები ერთმანეთს.

პოლკის ექიმმა უბრძანა სველი ტილოები დაედოთ ცხვირსა და პირზე და ასე ესუნთქათ. შემდეგ მე ამიხსნა. გერმანელებმა შხამიანი აირი გამოუშვესო.

ამ დღიდან ფრონტის ეს ნაწილი სრულებით განთავისუფლდა ვირთხებისგან, რომელნიც უამრავად დაიხოცენ აირის პირველივე იერიშის დროს.

ბრძანებებიდან სჩანდა, რომ გერმანელებმა ასეთივე ხერხით სცადეს ბედი ფრონტის სხვა ნაწილებზედაც და ალაგ-ალაგ ძალიანაც გაიმარჯვეს.

ჩვენი ადგილიდან 70 კილომეტრის მანძილზე დიდი ბრძოლა ატყდა. ჩვენს პირდაპირ მდგომი გერმანელები მთელ დღეს ჩუმად იყვენ. მიუხედავად ამისა, სიმაღლეზე „260“ საშინელი ალიაქოთი იდგა.

საღამოზე ჩრდილოეთის სუსტი ნიავი წამოვიდა. მცირე ხნის შემდეგ ჰაერში ისევ ვიგრძენი ნუშის სუნი.

— სველი ტილოები დაიდეთ და მხოლოდ ეგრე ისუნთქეთ! — ვუბრძანე ასეულს.

მაგრამ ეს არ გვშველოდა. როცა დაღამდა სალდათები პანიკურმა შიშმა აიყვანა. ყველგან გვრძნობდით ნუშის გულამრევ სუნს. ზოგი ისტერულად იმანჭებოდა და ჰკიოდა, და, როცა აირის თხელი ნისლი გამოჩნდა, სალდათებმა მტკიცეთ მოითხოვეს ბრძოლის ველიდან გაყვანა. მე ეს ამბავი შევატყობინე პოლკის უფროსს და უკან და წევის ბრძანება გავეცი.

დანარჩენი ასეულებიც შეშფოთდენ. მათ მუდმივი კავშირი ჰქონდათ ჩვენ სიმაღლესთან.

პოლკის უფროსმა ადიუტანტის პირით გვიბრძანა წინანდელ პოზიციაზე დაბრუნება. ძე ვემუქრებოდი, ვეურჩებოდი და მოვითხოვდი დაუყოვნებლივ შევენაცვლებინეთ.

იმ ღამეს ჩემს ასეულში თითქმის აღარავინ დარჩა.

დილაზე მარქაფა ჯარი მოგვაშველეს, მაგრამ მაინც იძულებული შევიქენით უკან დაგვეხია, ასე რომ სიმაღლე „260“ იმავე ღამეს ისევ დარჩათ გერმანელებს დავლად, რომ ერთხელაც არ გაუსროლიათ.

მეორე დილას ჩვენმა სარდლებმა გვიბრძანეს კონტრ იერიში დაგვეწყო. ატყდა უსასტიკესი ბრძოლა, საცა მრავალმა ფრანგ-მოქალაქემ სამუდამოდ დასდო თავი რესპუბლიკის სისხლით დასველებულ მიწაზე.

იმ დღეს გერმანელებმა რვა იერიში მოიგერიეს. ჩვენი ბატალიონი თითქმის სულ დაიღუპა. რიეკრაეზე გერმანელებმა მოახერხეს პოზიციების შენარჩუნება და ადვილად დაგვახევინეს უკან. ჩვენთან მოსული მაშველი ჯარი მაგარი გამოდგა. ეს ჯარი გაბრაზებული იყო გერმანელთა წინააღმდეგ ომის უჩვეული ხერხის ხმარების გამო ჩუმად გამოშვებული მხრჩოლავი აირი სალდათებს ახელებდა. ისინი გაშმაგებით მიიწევდენ ხელჩართულ ბრძოლისათვის. ვინც ღამით აირს პანიკური შიშით აყვანილი გაექცა, დღისით ვეფხვივით ეკვეთებოდა აშკარა იერიშს.

— ტყვე არ აიყვანოთ! — უყვიროდენ ისინი ერთმანეთს.

— ისე იბრძვიან, როგორც სინდიოფალა და მელა ქათმებთან. ჰყარან, — ყვიროდენ მუნდირიანი ფრანგი გლეხები.

ხმა გავრცელდა, ფრონტის ერთ ნაწილზე გერმანელებმა აირით მთელი პოლკი დაახრჩვეს და ფრანგებს ღრმად მოუარესო.

ბრძანებანი მოუწოდებდენ აფიცრებს ნამეტან ფხიზლად ყოფილიყვენ.

საღამოზე, უკანასკნელი იერიშის წინ, გერმანელებმა ისევ გამოუშვეს აირი. იგი ჯერ ჩვენ თხრილებისკენ მოლივლივებდა. ჩვენ უკვე ვამზადებდით ბრძანებას, რათა ჯარის ნაწილები უკან დაგვეწია. სალდათები ათვალიერებდენ, სად შეეფარებინათ თავი. უეცრად ქარმა გეზი იცვალა. რუხი სუდარა შეირხა და უკანვე გაბრუნდა. ქვევით „260“-ის ძირში გერმანელთა აირი ისევ გერმანელთა თხრილებს მიუცოცდა.

გერმანელები ამოცვივდენ თავიანთ საფრებიდან და უკან მოუხედავად გაიქცენ.

— აჰა, თვითონვე გარბიან! — ჰყვიროდენ ჩვენი სალდათები.

უმცროსი აფიცერი დიურანტი 50 სალდათით შეიჭრა გერმანელთა მიტოვებულ თხრილებში. გაძლიერებულმა ქარმა აირი გაჰფანტა და მათ შეეძლოთ უვნებლად დარჩენილიყვნენ იქ. სიმაღლე „260“ გერმანელებისთვის სახიფათო აღმოჩნდა. აქ გერმანელებისა და ჩვენი ხაზები თითქოს იკვანძებოდენ და იწყებოდა ასეთ მდგომარეობისას ჩვეულებრივი ხელჩართული შეხლა შიგვე სანგრებში.

გერმანელთა კარგად მოფიქრებულმა კონტრ-იერიშმა უკანვე გადმოგვყარა. იმ ღამეს ბევრი ჩვენგანი ჩაუვარდა მათ ტყვედ. დიურანტის გუნდს გერმანელები გარს შემოერტყენ. ჩვენ სალდათებს ტყვეობა არა სჯეროდათ და უკანასკნელ ტყვიამდე ისროდენ. დიურანტი დაკავებულ თხრილების ერთ კუთხეში მარტოდ დარჩა თავის მამაცი ბიჭებით. შემთხვევით გადარჩენილ მავთულებით მან გვთხოვა ღამით გაგვეგზავნა მაშველი რაზმი და ორი ტყვიამფრქვეველი. მოხალისენიც აღმოჩნდენ და ყველაფერი გააკეთეს.

ჩვენი ასეულის აფიცრები მთელ დღეს, ფიცხელი ბრძოლის დროსაც კი, სთხოვდენ უფროსებს:

— მოგვეცით რამ აირის საწინააღმდეგო.

ყველას მხოლოდ ეს აწუხებდა.

— ნიღაბიანი გერმანელი დაიჭირეთ! — იმეორებდა ზევიდან მოსული ბრძანება.

დიურანტი დაგვპირდა, რომ იმავე ღამეს მას ეყოლებოდა ნიღაბიანი გერმანელი.

კორბსის ასეული გაიფანტა და დანგრეულ ფრანგულ სოფლის ქვითკირის მძიმე გალავნების ძირს დაწვა. ელოდებოდენ ახალ განკარგულებას.

აფიცერმა უბრძანა სალდათებს არ დაშლილიყვენ ერთმანეთთან ახლოს ყოფილიყვენ, რადგან მალე უნდა წასულიყვენ. როცა სალდათები დალაგდენ, მწყობრთა უფროსებმა მოითხოვეს სურები:

— რაც წყალი დარჩა, გადაღვარეთ!

პაულის სურა მოხუცმა ლაკნერმა წაიღო, რომელმაც იკისრა ათი კაცისთვის მიეღო წყალი. ჭურჭელი მოაგროვა და წავიდა.

პაული ხავსიან ქვაზე გაწვა. თავქვეშ სავაზნე ამოიდო და მასზე ხელის გული შეჰყო, რომ სასთუმალი „ძალიან მაგარი" არ ყოფილიყო. მაგრამ დიდ ხანს ასე წოლა ვერ შესძლო. ვაზნები ხელს მწვავედ ატკიებდა. ჩანთის ხერგა ქსოვილის უკან საცვალი მოაფათურა და მარდათ ამოაძვრინა. უმალ შეულბილდა.

მოხუცი ლაკნერი მალე დაბრუნდა კმაყოფილი: როგორცა სთქვა, ცოტა „მაგრილებელი" მიიღო. სალდათები ხარბად დაეწაფენ სურებს. პაულმაც ოდნავ მოხვრიპა რომმა ღრძილები დაუწვა. ხველა აუვარდა.

— რას იტყვით, ბატონო კაპრალო? როგორც სჩანს, ეს რძე თქვენი გემოსი არაა! — დასცინოდა ლაკნერი.

უხერხული რომ არ ყოფილიყო, პაული გულახდით აღიარებდა, რომ რძე სჯობდა სურაში სხმულს. მაგრამ ამის თქმა არ შეიძლებოდა. ეს იქნებოდა წინააღმდეგ სამხედრო ვაჟკაცური ჩვეულებისა. პაულმა ერთი კიდევ ყლუნწა, ყანყრატო დაიწვა.

— ეშმაკმა წაიღოს მათი თავი და ტანი! — სთქვა მან თავის გამართლებით. — მეგონა, ღვინოს მაძლევენ მეთქი, რომი კი ჩემთვის სრულიად მოულოდნელია.

— რა შედარებაა, ღვინოს სჯობია! — სთქვა სალდათმა აღტაცებით.

პაულმა არაფერი უპასუხა, პურის ნაჭერი ამოიღო და პირის გასაგრილებლად ხარბად შეუდგა მას.

— კაპრალებო, წინ, წინ გასწით!

პაული სწრაფად წამოდგა და წავიდა.

ცალიერი, დანგრეული სახლის გამურტლებული ოთახი აფიცრებით იყო სავსე. შტაბ-აფიცერმა, რომელსაც კაპიტანის ხარისხი ჰქონდა, სთქვა მოკლე სიტყვა და განმარტა, თუ რა არის საჭირო იერიში. შემდეგ გრძელი ნივთი ამოიღო და გახსნა. ეს იყო ნიღაბი. მან დაიწყო მისი წამოცმა სახეზე.

აფიცრები გაოცებული იყვენ და კისრები ბალღურად ყამოეწიათ.

— აი ეს არის საჭირო ნიღაბი. სალდათებმა უნდა ისწავლონ ორიოდე მოქნევით მისი წამოცმა. ამ ნიღაბით არხეინად შეიძლება აირით მოშხამულ მინდორში გასვლა. ეხლა თქვენ, ბატონებო, ასეთი ნიღაბები თქვენს ხელქვეითებს უნდა დაურიგოთ და მათი გამოყენება წინასწარ ასწავლოთ. იქნება ვინმეს სურდეს მკითხოს რამე? იქნება თქვენთვის არის რამ გაუგებარი?

— არის, — სთქვა აყლაყუდა ფელდფებელმა. — თუ ეს ნიღაბი ისეთ ალაგზე გამოვიყენეთ, საცა ნახშირის დასასველებელი წყალი არ მოიპოვება, როგორ მოვიქცეთ მაშინ?

აფიცერმა ტლანქად გაიღიმა:

— მაწინ ყველამ თავის თავშივე უნდა იპოვოს საკმაო სისველე.

უნტერ-ოფიცერმა კაპიტანის გადაკრული სიტყვა გაიგო და გაიცინა.

როცა პაული თავის ასეულში დაბრუნდა, ყოველ სალდათს უკვე საჭირო ნიღაბი ჰქონდა. ლაკნერს მისთვისაც მიეღო. პაულმა სცადა მისი წამოცმა. ყოველივე თავის რიგზე იყო.

— უჰ, რა ლამაზი ხართ, ბატონო კაპრალო! — უთხრეს მას.

პაულმა სწრაფად მასწავლებელივით დინჯად განუმარტა ნიღაბის გამოყენების წესი.

რამდენიმე სალდათმა თავის წილი რომი დალია და სამარაგოდ წყალზე წავიდა.

სალდათები ბავშური ცნობისმოყვარეობით და სიფრთხილით იზომებდენ თავიანთ საკაზმულის ახალ დანამატს.

— ბიჭებო, სამასკარადოთ წავიდეთ!

სიჩუმე გაფრიწა მძიმე ყუმბარის ღმუილმა.

— აი, მუსიკაც მოგვაწოდეს! — სთქვა არდაბნეულმა ლაკნერმა.

გერმანელთა მძიმე ბატარეიამ შესამზადებელი ცეცხლი გააჩაღა, რამაც საერთო იერიშის ნიშანი მისცა.

არტილერია ფრანგების თხრილებს სრესავდა. შემდეგ მოიერიშეთა ზვავი წინ წამოიხეთქა. დასვენებული სალდათები კარგად ასრულებდენ ბრძანებას. პაულის მწკრივის წინ ადრე მოსული სამარშო ასეულები მიდიოდენ. ესენი იყვენ ბავარელები. ტანადი, ახოვანი ბიჭები მიდიოდენ ზანტად, მძიმედ, მშვიდათ. პაული საბოლოოდ გონს მოვიდა. რომმა იგი გაათბო და ოდნავ გააბრუა. ბოლოს

მისი ასეულიც დაიძრა. აფიცრები მწკრივებს სჭრიდენ და ისე მიდიოდენ. ყველას სურდა სცოდნოდა, წინ რა ხდებოდა. ნერვიულობდენ. თითქო თავისთავად ისპობოდა ყაზარმული წესი. ბრძანება არ ესმოდათ. რიგებს განაგებდენ ნიშნებით, შეძახილით, სტვენით. ყოველი ნაბიჯი აახლოვებდა სასროლ ხაზს. თოფისა და არტილერიის სროლა ერთ გიჟურ ქაოსად ერთდებოდა. წყვდიადი წეთხელდა. სალდათები უფრო და უფრო ნერვიულობდენ. ისინი გადაიქცენ ელექტრონით გაჟღენთილ მასსად. ხიფათმა ყველანი ერთად შეადუღა. რიგებში ახალ-ახალი ცნობა მოჟონავდა.

— აქ უკვე სამი დღეა იბრძვიან.

— საარო იერიშიც იყო.

— ფრანგები ჩვენს თხრილებში სხედან, ხიშტებით უნდა ამოვყაროთ.

— ხიშტებით მივიდეთ!

— აირი რიღასთვის არის?

რამდენიმე ფერწასული დაჭრილი გამოჩნდა. ისინი ხან მოხოხავდენ მიწაზე, ხან სწრაფად მოაბიჯებდენ და დაჭრილ ალაგს ხელით იფარებდენ... ბრძოლიდან უკანვე მიბაჯბაჯებდენ.

— სალამი გადაეცით! — უყვიროდენ სალდათები.

ეხლა მიწანაყარზე მიდიოდენ. აქ უკვე ბრძოლის ხაზი იყო.

აქ, როგორც სასროლზე, ტკაცუნებდა თოფები. სალდათებს სიფრთხილე ემატებოდათ, უნებურად იღუნებოდენ მიწაზე და ასე მიცოცავდენ.

„სირაქლემასავით სულელურად ვიმალებით", გაიფიქრა პაულმა.

როცა შესდგენ. აღარავის სურდა დაწოლილიყო. გზაზე ისევ რაღაც მაღლობია. კუნთები დაიჭიმენ, დაღლილი მკერდები მძიმედ სუნთქავდენ. პაულმა მოიხედა.

„მკვდარი ზოლია", გაიფიქრა მან.

იგი გაიჭიმა, ისევ წამოდგა და ზევით წავიდა. მაღლობით შიშველი გორაკი თავდებოდა. პატარა სერზე ავიდენ. პაულმა დილის ლურჯ შუქზე პატარა მდინარის ციალი დაინახა. წყლისკენ სირბილით დაეშვენ. მანძილი სწრაფად გადაჭრა პაულმა და უკან მოიხედა. გერმანელი სალდათების რუხი მუნდირები დილის ბურუსში გაითქვიფენ. მხოლოდ ნაბიჯთა მახლობელი ხმა ანიშნებდა, რომ მრავალი ხალხი მოდიოდა. სალდათებმა ერთი მანძილი გაირბინეს და მიწაზე დაწვენ.

„რა დიდებული მუნდირები გვაქვს!" ისევ გაიფიქრა პაულმა.

კვლავ რამდენიმე ნაბიჯი გაირბინა და დიდ რუხ ლოდს მოუარა. პირველად გაიგონა ახლოს ტყვიის ზუზუნი. როგორც გაფრენილმა ბუზანკალმა. გაიბზუილა მის ყურთან ფოლადის მარცვალმა.

„ნეტავ. საიდან ისვრიან?" გაიფიქრა მან. „მდინარის გაღმა ხომ ისევ ჩვენები დგანან?".

რუ ერთი გადახტომის სიგანისა აღმოჩნდა. მაგრამ ზოგმა მაინც ფეხით გაიარა. აქ უფრო ხშირად და ხშირად ზუზუნებდა ტყვია. კამანდირმა ასეული რომელიღაც არხისკენ გარეკა.

— საიდან ისვრიან?—გაოცებით კითხულობდენ სალდათები.

ბავარელთა ასეული უკვე მაღლობისკენ მიაბიჯებდა.

პაულის მწყობრი გადარბენით დაიძრა. როცა საქმე პაულის მწყობრზე მიდგა, მან პირველი სამეული გაიტა-

ცა და წინ გავარდა. მხოლოდ მაშინღა დაინახა, რომ წინმდებარე ბორცვი ჯერ კიდევ შორს იყო. შემდეგ პატარა ბუჩქნარი მოსჩანდა. გადიოდა რუ. ადვილად გადაახტენ მას და წნორის ტოტების მტვრევით გასწიეს წინ. გზატკეცილს მიაღწიეს, სწრაფად გადაიარეს და რუში ჩაწვენ

მოხუცმა ლაკნერმა წამოიძახა:

— ფეხი!

სალდათები შემოეხვიენ.

— შესანიშნავი ჭრილობაა, — სთქვა მასზე დაღუნულმა სანიტარმა:

— არ გაჰყიდი: ათას მარკას მოგცემ.

პაულმა გაჯავრებით შესძახა:

— ნუ სულელობ! ფეხი შეუხვიეთ და მისი საომარი საგზალი წამოიღეთ.

ისევ გზას გაუდგენ. პაულმა იგრძნო, რომ გუნება ისევ გაუფუჭდა. ჩუმად მოსწია რომი სურიდან. ხელსახოცი გაახსენდა, მაგრამ არ ამოიღო.

— შესდექით! ნიღაბები მოამზადეთ! — გადასცეს რიგებში ბრძანება.

სალდათებს ნაცრის ფერი დაედოთ. ნერვიულობა მოემატათ.

ზოგმა ნიღაბი აიკრა, მაგრამ მალე სული შეეხუთათ.

— შეუჩვევლობით მოსდით, კამერაში მეტი წყალი უნდა ჩაასხან.

— დაწექით!

ზოგი უკანვე რუსკენ გაიქცა ნიღაბის დასასველებლად, შემდეგ წამოიცვეს. და, როცა სუნთქვა გაუადვილდათ, ბავშვივით უხაროდათ. ბევრნი, მათ შორის პაულიც, სწრაფად ჰყლაპავდენ რომს.

— სურებს ნუ აჩახუნებთ! — სისინით უტევდენ ერთმანეთს.

ფრონტიდან ჩამიც არ ისმოდა. ზარბაზნების გრიალი შესწყდა. სიჩუმე აშინებდათ.

წამოდგენ და წავიდენ ბუჩქნარით. პაულმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და წაიფორხილა. წინ წაიხარა და მოკლული სალდათი დაინახა. პირველი მისი ფიქრი ასეთი იყო: „განა ამის ღირსია გმირი?“.

მაგრამ ისევ თავის გზას უნდა გადგომოდა.

დახოცილები უფრო ხშირად მოსჩანდა, ალბად გუშინ აქ ბრძოლა იყო. პაული შეკრთა. სადღაც ახლოს, იქნებ ოცს ნაბიჯზე, იქნება ორასზედაც, იგრიალა სროლამ. სროლის წემდეგ აიშოლტა შუშხუნა მოლურჯო ცაზე და მკრთალი სევდიანი ხვეულებით ძირს დაეშვა.

„აი სად ყოფილა თხრილები“.

ასიოდე ნაბიჯი კიდევ გაიარეს. გერმანელთა არტილერია ამუშავდა. ყუმბარები წინ წვიმასავით ცვიოდენ, ყვითელი ცეცხლივით სკდებოდენ, მიწას ურახუნებდენ და ირგვლივ ქვიშას და ქვას ჰფანტავდენ. ისეთი სალდათებიც აღმოჩნდენ, რომლებიც ამტკიცებდენ, რომ მათ დაინახეს ადამიანის სხეულის გაფრენილი ასოები. მარცხნივ ყვირილს შეუდგენ.

— ნიღაბები აიკარით! ხიშტი თოფს წამოაცვით!

სალდათები სწრაფად იკეთებდენ ნიღაბებს და ხიშტებს თოფებზე ამაგრებდენ. ისინი დახელოვდნენ პირი ღია დაეტოვებინათ და საჭიროებისას უმალვე ნიღაბი ჩამოეფარებინათ.

პაულმა შენიშნა, რომ წინ და მარჯვნივ თეთრი ნისლი ვრცელდებოდა.

აირი მოდიოდა.

პაული წამოდგა, წინ გაიხედა და შუშხუნას სინათლეზე დაინახა მაეთულის ხლართი. თვითონაც არ იცოდა, რად განერთხო მიწაზე. საიერიშოდ წამოსულებს ზარბაზნები უკნიდან დაუნდობლად უგზავნიდენ წრაპნელებს. ყუმბარები თითქო ერთ ალაგას ცვიოდენ.

პაულს ისევ წვრილი კანკალი აუვარდა.

— ხიშტები შეამზადეთ! მიდით! — მოისმა ოდნავ ხორხიანი ხმა ასეულის უფროსისა.

„თითქო სწავლაზე ვიყოთ", ამშვიდებდა თავის თავს პაული.

— უ-რაა! — ყრუდ გაისმა ყოველი მხრიდან.

სალდათებმა აიცვეს ნიღაბები დაა წინ გაექანენ. პაულიც გაიქცა. რაღაცამ გაჰკრა მის ხელს. პაულმა ხელი ჩასჭიდა მას და შენიშნა, რომ მაზარას სახელო ტყვიას გაეხია.

— „ერთი შეხე". — გაიფიქრა მან ბავშური ცნობისმოყვარეობით.

პაულს ეშინოდა, რომ ნიღაბით გაქცევა გაუძნელდებოდა, მაგრამ ეს ასე არ აღმოჩნდა. მართალია, ნიღაბში ძალიან ცხელოდა, მაგრამ იგი არ აწვებოდა. ერთხელ კიდევ წაიბორძიკა — კიდევ ერთი ხელებ-გადაყრილი სალდათი. პაულმა მაღლა ასწია ფეხი და გადაალაჯა.

„ცხენებიც კი არ ადგამენ ფეხს გვამს", — გაუელვა თავში.

ყოველივე ეს ერთ წუთზე მეტი არ გაგრძელებულა. უნებურად შესდგა. მის წინ თხრილებს ხახა დაეღოთ. ორმოში მისიანები იდგენ. ეგერები რომ დაინახეს, სროლა შესწყვიტეს, ნიღაბები ჩამოიცვეს და ალბად წინდაწინვე დამზადებულ ფიცრებით აცოცდენ ზევით, თხრილების მეორე ნაპირზე. პაულიც ჩახტა ორმოში და სწრა-

ფად აირბინა მარჯვე საფეხურიან ფიცარზე. უკნიდან აწვებოდენ და ამიტომ ასვლა უფრო ადვილი იყო. ხშირ ჯგუფად გაეშურენ წინ. კივილი არ ისმოდა, მხოლოდ განუწყვეტლივ გაისმოდა სროლის ჩლუნგი ხმა. ამ წამს ახლოს ყუმბარა დაეცა. იგი უკანასკნელი იყო. ხალხი შექუჩდა. ერთმანეთს ეჯახებოდენ, მაგრამ ეს მხოლოდ აფრთოვანებდა და ამშვიდებდა მათ. გზაზე მავთული გადაელობათ. მავთულს იქით გაჭიმული იყო სანგრები, საცა ელავდა თოფების ცეცხლი.

„აჰა, საიდან ისვრით?!“.

პაულმა მოიხსნა სელის ყუმბარა და გადაისროლა წინ. მარჯვედ მოხვდა! ყუმბარა თხრილში ჩავარდა და გასკდა. ამ დროს პაული წელამდე ქლორის ბოლში იდგა და შენიშნა, რომ ერთმა სალდათმა მავთულის ხლართში გზა გაიკვლია. იქ უკვე შექუჩულიყო რამდენიმე კაცი. პაულიც იქით გაიქცა. თხრილების ზევით, მაღლა, ფრანგი აფიცერი იდგა რევოლვერით და პირისპირ ესროდა. პაული პირველად ხედავდა ფრანგს ასე ახლო. ასე ახლო სროლის გამო მას მუცელი აეწვა. იყო რაღაც უჩვეულო. ვიღაცას ხელი წაჰკრა და ერთ ალაგზე მიწვა. რომელიც მოხერხებულად ეჩვენა. თოფი ასწია, დაუმიზნა და რევოლვერიან ფრანგს ესროლა.

„აფიცერს მოვკლავ“, გაიფიქრა.

თოფი გავარდა. აფიცერი დაეცა. პაული გაიქცა და თანაც ისროდა. აფიცერმა სცადა ადგომა... ხელი მხარზე მიიდო და გულალმა გადატრიალდა.

— აჰაა, — ყვიროდა ნიღაბიანი პაული და პირდაპირ აფიცრისკენ მირბოდა.

მისი ხიშტი ვიღაც მაღალ კაცს ხრამუნით შეერჭო მკერდში. დაჭრილმა ფართედ გაახილა თვალები. მძიმე

თოფით ნაკრავი ხიშტი ლბილად და ღრმად შეიჭრა ტანში. პაულმა გულისრევა იგრძნო. მას სურდა ნაბიჯი წაედგა წინ, მაგრამ მარცხენა ფეხი უარზე იდგა. პაულმა იგი გაისინჯა და მუხლის თავში მწვავე ტკივილი იგრძნო. ამავე წუთს რაღაც მაგარი მაგრად მოხვდა თავში. პაული წაიქცა. მას დაეცა კიდევ ორი კაცი. გერმანელის თავი მას მკერდზე დააწვა. ფრანგი თხრილებში ჩაგორდა. ვიღაცამ იდაყვზე ლურსმიანი ფეხსაცმელი დაადგა. ტკივილმა მოასულიერა და იგრძნო, რომ მისი ნიღაბი სველი იყო, თვალებიდან ცრემლი სდიოდა. ვიღაცამ მარცხენა მკლავში ხელი წაავლო და ასწია. პაულმა ხელი გამოსტაცა, ღონე მოიკრიფა და დიდი გაჭირვებით ასწია თავი. ნიღაბის მინიანი თვალებით დაინახა ფრანგი, რომელიც მის გვერდით ფართხალებდა. ირგვლივ თვალი მოავლო — ახლოს აღარავინ სჩანდა. დაჯახებული გროვა დაქანდა.

აირი ხან თხელდებოდა, ხან ისევ სქელდებოდა. პაულს ჩამხჩვალი კივილი მოესმა:

— ვიხ-ჩო-ბი, — გაბმით გაჰკიოდა ფრანგი აფიცერი.

პაულმა მოიკრიბა უკანასკნელი ღონე, მოკლულ გერმანელისკენ გადატრიალდა და ნიღაბი ააგლიჯა. გერმანელი სრულიად ცივი იყო. პაულმა კინაღამ ხელახლა დაჰკარგა გონება. ნიღაბი აფიცერს მიუგდო და ისევ წაიქცა.

მიწაზე გაიშხლართა და უნებურად გაიღიმა:

— არ დაიხრჩო, — გაიღიმა მან: — იცოცხლე!..

ფრანგმა მარჯვენა ხელით ნიღაბი აიღო და სწრაფად იწყო სახეზე ჩამოცმა. დასუსტებული პაული თავის ქნევით უწონებდა. შემდეგ დიდ ხანს იწვა გაუნძრევლად. მას ესმოდა, რომ თხრილის ნაპირზე იწვა და ნიღაბი არ უნდა მოეშორებინა.

ვიღაცა ლამობდა პაული წამოეყენებინა... ირგვლივ ფრანგულად ყვიროდენ. მას მკაფიოდ ესმოდა გინება. ერთმა სთქვა:

— ამ ღორებს ჩვენ არ ვათრევთ.

მაგრამ შემდეგ ცხადათ გაარჩია ბრძანება:

წინ გასწით! წაიღეთ:

ფრანგები დაიძრენ. პაულს არა სჯეროდა, რაც ხდებოდა, მაგრამ გუმანი ეუბნებოდა, რომ ის ტყვედ ჩაუვარდა ფრანგებს.

გერმანელმა კაპრალმა გადმომიგდო მე ნიღაბი. მე იგი დავიჭირე. მართალი მოგახსენოთ, ამას არ მოველოდი. მე ვსტაცე მას ხელი და ჩემსკენ მოვსწიე. რომ მისთვის ნიღაბი ამეგლიჯა, მკვდარი მეგონა, მაგრამ მან ხელი გამომტაცა. ძალა მელეოდა და ვგრძნობდი ბოლო მეღებოდა, და აი, სრულებით მოულოდნელად, გერმანელმა გადამარჩინა.

საბედნიეროდ ის ალაგი, საცა ჩვენ ვიწექით, საკმაოდ მაღლა იყო და აირი იქ ძალიან თხლად ამოდიოდა. მე სველი ტილოთი და ნიშადურით ვიცავდი თავს. გარდა ამისა, ქარი ჩვენი მხრიდან ჰქროდა. მე გამოსროლილი ნიღაბი დავიჭირე და ჯერ უკულმა გავიკეთე. მარჯვენა ხელით ვმუშაობდი, რადგან მარცხენა მხარი დამსხვრეული მქონდა. საერთოდ ტანის მთელი მარცხენა მხარე დამიზიანდა, რადგან კორბსის მეორე ტყვიამ ფეხიც გამიხვრიტა. ცნობიერება მაინც შემრჩა.

ჩემს გვერდით ჩემი ასეულის ფელდფებელი იწვა გერმანელთან ერთად. ორივე ერთმანეთს მეგობრულად ჩახვეოდა. უკანასკნელ შეტაკებისას ორთავე მკვდარი იყო.

გერმანელთა შემოტევა ჩაიფუშა. ქარმა ჩვენ შეგვიწყო ხელი. მოიერიწენი დაბნეულ ბრბოსავით უკანვე გაიქცენ, როცა გათენდა, ქარმა საბოლოოდ გაფანტა მოხეტიალე აირის ნისლი.

სიმაღლე „260" ჩვენ დაგვრჩა. იურის ქედის მთელი მაღლობი მდინარე კოტრამდე ჩვენს ხელში გადმოვიდა.

ცოტახნის შემდეგ სანიტარები მოვიდენ.

გერმანელ კაპრალს ფეხიდან სისხლი სდიოდა. მე ვსუსტდებოდი. სანიტარებმა ამიყვანეს. მე ვუბრძანე გერმანელიც აეყვანათ. სანიტარების უფროსმა, უნტერ-აფიცერმა, რომელსაც ხელში ფართე დაშნა ეჭირა, მკითხა:

— ცოცხალი, თუ მკვდარი?

— ცოცხალი! — ვუპასუხე აღელვებულმა. — თქვენ, თქვენ პასუხს აგებთ მაგის სიცოცხლისათვის.

მე რომ წამიღეს, უკმაყოფილო ბურდღუნი მომესმა:

— ეს ღორებიც უნდა ვათრიოთ, რაღა!

— უკვე გიბრძანე, გასწით!

დიდ ხანს მატარეს, ბოლოს იქ, საცა გზატკეცილი იურის ქედის ძირში ჩადის, ავტო გამოჩნდა. შიგ ჩამდეს. ძრავი ამუშავდა, ვუბრძანე მოეცადათ. უნტერ-აფიცერმა ბრძანება წეასრულა. კაპრალიც მაშინვე მოიყვანეს. სანიტარებმა ჩემ თვალწინ შეუხვიეს იარა, რომელიც აღმოჩნდა პატარა და სახიფათო არ იყო.

— ნუ თუ ამ იარის გამო დაჰკარგა მან ცნობიერება? — გაოცებით ვიკითხე.

— არა, გარდა ამისა, მას მაგრად ჩაჰკრეს თავში. — მიპასუხა სანიტარმა. — მთელი კეფა ჩამტვრეული აქვს.

ვუბრძანე დაჭრილი ჩემს გვერდით მოეთავსებინათ. ავტო სწრაფად აივსო დაჭრილებით და ქროლვით გაექანა.

ძ'ხე რომ ამოვიდა, ჩვენ ბრძოლის ხა'ზიდან უკვე 'შორს ვიყავით. ყოველ შემთხვევაში ეს ალაგი არ შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო პოზიციების მახლობლად.

დაჭრილები თანდათან ცნობაზე მოდიოდენ. ერთმა მათგანმა წენიშნა:

— აქ გერმანელი წევს... ბიჭებო, ჩვენ შორის ბოში არის!

— ეშმაკმა დასწყევლოს, ნუ თუ ეს მოსათმენია!

— გადავაგდოთ ეს ოხერი ბოში!

— დავახრჩოთ!

— ნახეს რალა ჩვენი ავტოთი წამოსაყვანი!

— ჩვენც არა გვყოფნის ალაგი და გერმანელები უნდა ვანებივროთ!?

სალდათები უფრო მეტად და მეტად ბრაზდებოდენ. მოსახვევში მათ წაავლეს ხელი ტყვეს და დაუპირეს გადმოგდება ავტოდან. ჩემი პროტესტი უნაყოფო იყო.

როცა პაული მოსულიერდა, მან იგრძნო ბასრი ტკივილი. შემდეგ მას მოესმა მისთვის კარგად ნაცნობი ავტოს ძრავის რაკრაკი.

„იქნება ჩამეძინა ავტოში და ყველაფერი ეს მეზმანა?".

მაგრამ არ დაუთავებია ამის ფიქრი, რომ ხელი წაჰკრეს ფეხში.

ბასრმა ტკივილმა კვლავ დაუბრუნა იგი სინამდვილეს. გაახილა თვალები და წამსვე გაიგო ყველაფერი.

— გადავაგდოთ!

— ხელი სტაცე ფეხში!

— ასწიე!

ხალხით გატენილ ავტოში შეშინებულ გერმანელ კაპრალს ყოველ მხრიდან უცქერდენ გაბოროტებული სახეები.

— რა გინდათ ჩემგან? — უნებურად შეეკითხა იგი.

მას კვლავ წაჰკრეს ხელი. მან იგრძნო დამწველი ტკივილი ფეხში და მუშტი თავში.

ავტო შესდგა. პაულმა სცადა დაჯდომა, მაგრამ უკან გადაიქცა. ნერვებმა უკანასკნელი სამი დღის განცდებს ვერ გაუძლეს და პაული ატირდა. შემდეგ ყური მიუგდო. ერთი ფრანგი ლაპარაკობდა. დანარჩენნი სდუმდენ. სველი სახე ასწია და დაინახა: სამი სალდათი, რომელიც მას გადმოგდებას უპირებდა ავტოდან, თავჩაღუნული ყურს უგდებდა აფიცერს. სანიტარი კი ლანძღავდა მათ. ამ წამს პაულის თვალები აფიცრის თვალებს შეხვდა.

— სირცხვილია აგდება დაჭრილი ტყვესი. მე ვუბრძანე ამ გერმანელის ამოყვანა ამ ავტო-ში.

— არ ვიცოდით, ბატონო ლეიტენანტო.

— მეტს ნუღა ლაპარაკობთ! გერმანელმა სიკვდილს გადამარჩინა.

პაული ისევ ლეიბზე წაიქცა.

იმ სალდათებმა, რომელნიც წელან ნაპირისკენ უბიძგებდენ, ფრთხილად გასწიეს იგი უკანვე. ის წელანდელ ადგილზე დაწვა. ერთი წუთის შემდეგ ვილაცამ თავქვეშ ფრთხილად შეუდო ჩალის სასთუმალი.

— ფრანგული გესმის?

— ჰო.

სალდათებს გაეხარდათ.

— ბოშს ჩვენი ენა სცოდნია!

ყველა გამხიარულდა. როგორც ეტყობოდა, სასიამოვნო იყო, რომ ტყვე მათ ენაზე ლაპარაკობდა.

— აი, როგორ მოხდა, პატივცემულნო მოსამართლე-ნო და მსაჯულნო, რომ 1915 წლის აპრილის უკანასკნელ რიცხვებში მე პირველად დავიცავი პაულ კორბსი ფრანგულ შოვინიზმისგან. დღეს ჩემი მდგომარეობა უფრო მეტად ადვილია. იქ მე საქმე მქონდა გახელებულ სალდათების ჯგუფთან, რომელთაც ის-იყო თავი მიანებეს ფრონტს. აქ კი, პატივცემულნო მსაჯულნო, მე პირისპირ ვდგევარ ისეთ ხალხთან, ვისაც ობიექტივურად შეუძლია გაერკვიოს მორალის საკითხებში. მე საქმე მაქვს უსამართლიანეს ფრანგულ სამსჯავროს წარმომადგენლებთან, რომელნიც ჰუმანურად და გონივრულად მოქმედებენ. მხოლოდ პროკურატურის წარმომადგენელი მაიძულებს გავიხსენო ყოველგვარ ადამიანობა-დაკარგული და გაბრაზებული სალდათები და ეს ბრმა სიძულვილი, რომელიც მე შევაჩერე აფიცრის ავტორიტეტით. ცოტა ხნის წინაღ ბრძოლებში ნამყოფი ხალხი, მოგეხსენებათ, ჩვეულებრივ ჰკარგავს ყოველგვარ ადამიანის ლოგიკას და ზნეობრივ გრძნობას, მაგრამ ის დროება უკვე შორსაა. იმ ბრძოლებმა დიდი ხანია გადაიქუხეს.

მაშ ასე. გუნება სწრაფად შეიცვალა. ფრანგი ულმობელი არ არის. როცა იარების შესახვევ ალაგას მოვედით, ტყვე-გერმანელი უკვე საყვარელი ამხანაგი გადაიქცა დაჭრილ სალდათებისთვის.

ისინი ცდილობდენ ავტოს ძრავის გუგუნი მაღალი ხმით დაეჩქმალათ და ეკითხებოდენ პაულს, სადაური იყო, რა ხელობისა, — ერთი სიტყვით, ასეთ დროისთვის შესაფერ კითხვებს უყენებდენ. ერთმა დაჭრილთაგანმა მიამიტური სევდით უსაყვედურა:

— აირის გამოშვება კი ღორობაა. ეს საქმე ტყვილად დაგიწყიათ.

— მართალია. თქვენი ორმოცდაორსანტიმეტრიანი ზარბაზნები და ფართე ხიშტები კიდევ მოსანელებელია, თქვენ კი აირიც გამოიგონეთ. ეს ტყუილად გიქნიათ.

— და „დუმ-დუმ"-იც მოგიგონიათ...

— არაა მართალი, — მიუგო კორბსმა, ეს ინგლისური ხრიკია.

როცა სალდათებმა გაიგეს, რომ კორბსი ლოტარინგიელი იყო, გაფიცხებით დაუწყეს ახსნა:

— გიყები ხართ. რისთვის გვეომებით? ჩვენ ხომ თქვენი თავისუფლებისთვის ვღვრით ჩვენ სისხლს!

როცა პაულ კორბსს იარა შეუხვიეს, იგი სადივიზიო მზვერავთა აფიცერმა დაჰკითხა. კორბსს გერმანულად ელაპარაკებოდა და მისი ჩვენებით ფრიად კმაყოფილი იყო.

კორბსი სცდილობდა ტკივილები დაედუნებინა და მზვერავს უპასუხებდა. მაგრამ, როცა მან ისეთი კითხვა მისცა, რომ კორბსს არ შეეძლო გულახდით ეპასუხნა, გერმანელმა სთქვა:

— მაპატიეთ, ბატონო აფიცერო, მაგაზე ვერ გიპასუხებთ.

აფიცერმა მიამბო, რომ კორბსმა მეტად ძვირფასი ცნობები გადასცა მას აირის შესახებ. გარდა ამისა, მანვე უამბო ზედმიწევნითი ინსტრუქცია გერმანელებისა შესახებ ნიღაბის ხმარებისა.

— წარმოიდგინეთ, მან შეგნებულად და გულახდილად მიამბო ყველაფერი, რაც აირს ეხებოდა. მიამბო, რადგან, როგორც ამბობს, იგი თვითონ ჰკიცხავს ბრძო-

ლის ამ მეთოდს. კორბსის პასუხმა ჩვენ ერთხელ კიდეე დაგვარწმუნა, რომ მთავარი ელემენტი აირის ქლორია. ეს კი დაგვეხმარება საშვალება მოვნახოთ მის წინააღმდეგ.

მზვერავმა დიდი მადლობა გამომიცხადა მისთვის, რომ მას მივგვარე კორბსი და მივაქცევინე ყურადღება ამ ტყვესადმი. მან აღმითქვა კარგად მოპყრობოდა მას და განმიცხადა, რომ შეეცოდებოდა ეტაპების გახლართულ ხაზებში მის უვნებლად გადაგზავნას. უნდა მოგახსენოთ, რომ იმ დროს ხშირად ხდებოდა ტყვეების გასამართლება ლინჩის წესით.

— წარმოიდგინეთ, — სთქვა აფიცერმა, — ორი კვირის განმავლობაში მხოლოდ მეორე გერმანელმა გაიარა ჩემს ხელში.

მე ვუამბე მას კორბსის თავგადასავალი და ისიც, თუ როგორ გადავარჩინე საწყალი.

სანამ ჩემ გზას გავუდგებოდი, მე მოვძებნე კარავი. საცა კორბსი იწვა. საკაცეთი მიმიტანეს. პაულს ძალიან გაეხარდა. სრულებით მოსულიერებულიყო. უკანასკნელად ვნახე მისი ნამდვილი სახე, მისი უბიწო-სევდიანი თვალები, ბავშურად აწეული ტუჩები და ოდნავ ამოსული ულვაშების გინგლი.

— ომის სიგიჟეა, — მითხრა მან გულახდილად. — წინად ეს არ ვიცოდი. მან, რაც მე ვნახე, მორალურად გამანადგურა. ამაზე არავითარი წარმოდგენაც კი არა მქონია.

— როგორც გეტყობათ, კაიზერზე გული აიყარეთ.

— ყველაფერზე. — სთქვა კორბსმა და ნელა მიესვენა სასთუმალს.

თვალები აბნევით დააშტერა ერთ წერტილს. ეტყობოდა, ძლიერ იტანჯებოდა. მე თვალი მოვკარი მის საწოლთან მდგომ სკამს, იქ ეწყო გერმანელის წვრილმანი:

ჯიბის დანა, საათი, კომპასი. უბის გახსნილ წიგნაკიდან მოსჩანდა არშიანი ცხვირსახოცის ბოლო და ქალის ნახევრად გამოწეული ფოტო-სურათი. ამ სურათს.დავხედე და კორბსს ვკითხე:

— თქვენი საცოლოა?

პაული როგორღაც უცბაურად აირია. სურათი უკანვე წიგნაკში შესწია. მის შუბლზე ოფლის ხშირი წვეთები გამოჩნდა, მთრთოლვარე ხელი სტაცა უბის წიგნაკს, მაგრამ წიგნაკი გაუსხლტა და ჩემს საკაცეზე დაეცა. მე დავიჭირე ეს წიგნაკი და არშიანი ხელსახოცი. ხელსახოციდან მეცა ნუშის გულისამრევი სუნი. მინდოდა მეთქვა, რომ მას ეს მოშხამული ჩვარი გადაეგდო, მაგრამ დროზე გადავიფიქრე. კორბსმა ფრთხილად ჩასდო უკანვე წიგნაკში ფოტო-სურათი. გულდასმით დაკეცა ოთხად არშიანი ხელსახოცი და თავქვეშ ამოიდო.

— ვიცი, სამხედრო თვალსაზრისით სწორად არ მოვიქეცი, რომ კაპიტანს' აირების ამბავი ვუამბე, — თითქო თავისთვის დაილაპარაკა მან. — ნამდვილად რომ ვთქვაო, ეს ფიცის გატეხა და ღალატია. მაგრამ მე აღშფოთებული ვარ... მე ვნახე გალურჯებული, აირით დამხვრჩვალი ხალხი. მე ვნახე ეს საშინელება და მივხვდი, რომ გერმანიამ ასეთი იარაღი არ უნდა იხმაროს. იგი გერმანელის გამოგონილი არ არის... არა, ბარნეტი ფრანგია, უფრო სწორეთ...მოღალატეა, წარმატების მდომი. ის ყოველივე ამას ემმასთვის სჩადის. ყველაფერი ეს ემმასათვის კეთდება... მაგრამ არ დაგანებებ მას... არ დაგითმობ.

კორბსი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ბურტყუნობდა. ეტყობოდა, მეტად დაღლილი იყო. სიცხე ერეოდა. თუმცა მეც საკმაოდ მაწამებდა სიცხე. რომელიც მატულობდა. სანი-

ტარებს წევხედე. ამწიეს და სწრაფად გამიტანეს კარავიდან.

ყოველივე, რაც ამის შემდეგ დაემართა კორბსს, წაბლონზე უფრო მეტია.

სამკურნალოები, მატარებლები, სუფთა, თეთრი, ჩუმი სამკურნალოები.

ფრანგები გადაიქცენ ჩვეულებრივ ადამიანებად. მიდიოდენ პაულთან: ექიმები, სანიტარები, სათნოების დეები. ექიმი ფრთხილად უდებდა იარაში ტამპონს და ელვისებური სისწრაფით უკერავდა გახეულ კანს თავისა. მისი აზრით ტყვეს მიელო თავში ბედნიერი ჭრილობა. ორიოდე სანტიმეტრით ზემოთ რომ მოხვედროდა, თავის ქალა ალბად გაუსკდებოდა.

— ვინ იცის, რა აჯობებდა? — ჩურჩულობს პაული.

— სისულელეა! ომი გათავდება და ყველაფერი კარგად წავა.

— ეჰ, ექიმო, თქვენ ფრონტზე არ ყოფილხართ, თქვენ არ იცით, რა ხდება იქ, — ოხრავს პაული.

შეხვევის შემდეგ ტყვე ისევ ლოგინზე გადააქვთ. ტკივილი თანდათან უნელდება. პაული ჭერის თეთრ ნახაზებს შესცქერის.

„თავდაპირველად ჩვენ ადამიანები ვართ“, ფიქრობს ის.

მატარებელი — ეს სულ სხვა საქმეა... იქ უხეშად, მხედრულად ყვირიან. იქ ხალხი გულჩახვეულია, მტრულად განწყობილია. დოყლაპიების ბრბო დაუნდობელია, ნურის მაძიებელია. გაისმის მოშხამული სიტყვები:

— თვლების ქვეშ უნდა შევყაროთ, აქ კიდევაც ეზიდებიან!

რად უვლით მაგ მკვლელებს?

როცა საჩქაროთ ხურავენ სანიტარულ ვაგონს, პაული შესცქერის ვაგონის ბნელ ჭერს. გულაღმა წევს და ფიქრობს:

„რა უბედურია ეს ხალხი. მათ კიდევ შერჩათ სიძულვილის უნარი".

საკვირველია, რა უბრალოდ მიაგნებს ხოლმე ადამიანი დიდ ხილვას. თითქო შემთხვევით მოხდაო. ტვინი სხვა რამით არის გართული, უეცრად აზრი იშვის, იგი ჩნდება სრულებით მოულოდნელი და ძიძგნის ადამიანს.

— კორბს, ბატონო მასწავლებელო, რა დაგემართათ? თქვენ ხომ სულ სხვანაირად გქონდათ წარმოდგენილი ცხოვრება? სად დაგეკარგათ საარვალდაუენის ახალი სკოლა? სადაა, შეგირდებო, თქვენი თავები, კომბოსტოს რიგებივით ჩამწკრივებული? სადაა ახალი ორკესტრი? ტკბილია, განა, ემმა ფერსტერის სნეული შეყვარება... კამათი და ლექციები მუშათა კლუბებში...

ამ კითხვაზე კიდევ შეიძლება რაიმე პასუხის პოვნა.

— მერე რაა, მე რომ მასწავლებელი ვარ? ხომ ამავე დროს სახელმწიფოს მოქალაქე ვარ! მე გერმანელი პატრიოტი ვარ! მართალია, ოდნავ სხვანაირად მქონდა ყოველივე ეს წარმოდგენილი... და თვითონ კაიზერიც სულ სხვას ლაპარაკობდა. მაგრამ მე ფიცი მივიღე... ბავშები მოიცდიან, ახალი ორკესტრი... არც ისე მნიშვნელოვანია. ხოლო, რაც შეეხება ფროილაინ ემმას, როგორც ეტყობა... ბედმა მე არ მარგუნა მასთან გაბედნიერება...

მაგრამ აზრი შეუპოვარია. იგი ასე ადვილად არ სთმობს თავის პოზიციებს.

— კორბს, კორბს, რათ ატყუებთ თქვენსავე თავს! თქვენ დაგავიწყდათ, რას ლაპარაკობდა ბარნეტზე და მსუქან მაიორ ფონ-გულდენზე თქვენი მეგობარი ვილლი, თქვენი სასკოლო ამხანაგი, რომელიც თქვენ მოასწარით გაგეცნოთ, როგორც პირდაპირი, პატიოსანი ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია სიცრუის თქმა! გახსოვთ თუ არა თქვენი გრძნობა იმ ღამეს, იერიშის დროს? და შემდეგ... რათ აართვით მოკლულ გერმანელს ნილაბი და გადაუგდეთ ფრანგ აფიცერს? რათ სტიროდით, როცა უამბობდით მზვერავს, თუ საიდან მზადდება აირი და როგორ უნდა მისგან თავისდაცვა? თქვენ ხომ იცით, რომ ეს ღალატია! მაგრამ თქვენ გესმოდათ შინაგანი ხმა, რომელმაც თქვენს გულში ყველა სხვა გრძნობა ჩაახჩო.

და იგივე ხმა იმეორებს, რომ ომი სიგიჟეა, და ყველაფერი, რაც ომის დროს ხდება, ბოროტმოქმედებაა.

კორბსი ეკამათებოდა თავის თავს. იგი ეკამათებოდა აზრს და ამბობდა, რომ იგი გერმანელი აღარ არის, რომ იგი სალდათიც აღარაა, რომ იგი უბრალო, წამებული ადამიანია. მაგრამ აზრი ყველაფერს სძლევს. კორბსი აღარ ეურჩებოდა. ის ყურს უგდებდა იმ დასკვნას, რომელიც ამ აზრმა გამოიტანა ცხოვრებისა და მორალის წინააღმდეგობიდან.

ის ჯერ აპირებდა თავი დაეცვა მომხდარის მსუბუქი ახსნით, მასსიური პსიქოლოგიით. ეს ხვედრია არა მარტო მისი, არამედ ბევრი სხვისაც. მაგრამ ვერ მოიგერია. წინააღმდეგობა ისევ აწვალებდა.

ომის მეორე წელს კორბსმა იპოვა ალმოდებული სიმართლე: პაციფისტათ გადაიქცა, ომის მოძულედ, ყოველგვარი ომის. გადაჭრით და გულახდით აღიარა, რომ მან შესძლო სრულებით მოსწყვეტოდა გუშინდელს.

მან იგრძნო, რომ ეს სიმართლე აბედნიერებს, მას ამ-შვიდებს, ჰარმონიულ-მთლიან ადამიანად აქცევს, და რო-მან ბოლოს ახსნა იპოვა.

კორბსს ჯერ არ გაჰქროდა იარაში ეთერის და იოდის სუნი, როცა მას ცეიხჰაუზიდან მოუტანეს დაჭმუჭვნილი. გამხმარი, სადეზინფექციოში გატარებული ტანისამოსი.

პაული ულონო ხელით იცვამდა ურჩ ტანსაცმელს. ბრძოლის შემდეგ პირველად დაინახა გამხმარი სისხლი, რომელიც შარვლის ერთ ალაგას, თითქო ლურსმით გა-ხეულ პატარა ნაჩვრეტის ირგვლივ მოსჩანდა. შემდეგ და-სახიჩრებული ჩაფხუტი დაათვალიერა.

კიდევ ორი სანტიმეტრი და... ჰო... ჰო...

ძლივს ჩაიცვა და თავისთავი ამ ნაჭუჭში უცხოდ ეჩვენა. გადარჩენილი ჩანთა მიუტანეს, სადაც საცვლისა და სუ-რის შუა იდო ხელსახოცში გულმოდგინედ გახვეულ-უბის წიგნაკი. პაულმა იგი გახსნა და შეამოწმა. ყველაფე-რი თავის ალაგზე იდო. იქვე იყო მისი „სასიკვდილო სა-ბუთი", როგორც სალდათები უწოდებდენ ხოლმე თუთია-ში შეხვეულს პირადობის მოწმობას. აქვე იყო ჩასაწერი წიგნაკი, ჯიბის დანა, საათი, კომპასი, არშიანი ხელსა-ხოცი და ფოტო-სურათი.

პაულმა დრო იხელთა: როცა მას აღარავინ უყურებდა. ხელსახოცი ცხვირზე მიიდო. მას ჰსურდა ზედმომდგარი ფხიზელი აზრები ჩაეხშო, ჰსურდა წარსულში გადასახ-ლებულიყო და... ნაცნობ და საამურ სუნის ნაცვლად ცხვირში ეცა ქლორის გამაბრუებელი სუნი.

პაულმა განიცადა იმ ადამიანის ტრაგედია, რომელ-მაც უკანასკნელი ბალავარი დაჰკარგა. პირველ წამს მა-

ჰსურდა ეს ჩვარი ნაჭრებად დაეგლიჯა და გადაეყარა, მაგრამ მერე საამისო ძალა აღარ ეყო. ნერვიულად ჩააგდო უკანვე ყველაფერი ჩანთის ხახაში.

სიარულს გადაჩვეული უჯერო ნაბიჯით ქვეით ეზოში ჩავიდა კიბეზე. ტყვეები შეიქუჩენ. მათ გვერდით იდგა ოთხი მოხუცი ფრანგი-სალდათი გრძელწვერა სერჟანტის მეთაურობით. მათ უნდა გაეცილებინათ ტყვეები სადგურზე საკონცენტრაციო ბანაკში გასაგზავნად.

ჩვენს წინაშე დევს პაულ კორბსის და ქალბატონ ალისა მილლენის მიწერ-მოწერა. ეს წერილები ანარეკლია იმ ცვლილების, რომელიც განიცადა ჩემმა კლიენტმა ტყვეობაში.

უკანასკნელ წერილებიდან მხოლოდ რამდენიმე გადარჩა. მათი ნაწილი ფრანგულმა სამხედრო ცენზურამ დააკავა. ნაწილი კი გერმანულმა სამოქალაქომ. ეს წერილები აჭრელებულია ამოშლილი ალაგებით. ეს ნამუშევარია გერმანელ ცენზორების. ის წერილები, რომელთაც ქ-ნი ალისა გზავნიდა, როცა გერმანიაში რევოლიუცია იზრდებოდა, უმეტეს წილად რჩებოდა ტყვეთა ბანაკის ფრანგი კომენდანტის კანტორაში. ამ წერილებს კორბსს არ აძლევდენ, თუმცა, მართალია, მათი ნაწილი მან შემდეგ მიიღო.

ეს მიწერ-მოწერა ასასიათებს არა მარტო კორბსს, არამედ საერთოდ უკანასკნელი ათეული ქარიშხლიანი წლის ხალხსაც.

„მატარებელში რომ ჩავჯექი, ჩემი წვალებაც გათავდა. ვცდილობდი ჩემს თავზე არ მეფიქრა, ჩემი თავი არ მეგრძნო და მგზავრობის სიამეს ავყო-

ლოდი. ეს მგზავრობა ყოველ შემთხვევაში უდარ-
დელი იყო, თუმცა არც იმდენად მოხერხებული. არ
ვიცი, რატომ ვიყავი აწეულ გუნებაზე.

აგვისტო იდგა და ის-იყო საავადმყოფოდან გა-
მოვედი. უნებურად ავყევი ილლუზიას, ვითომ თა-
ვისუფალი ყოფილვიყავი. მე მსურდა სიცილი დამე-
ყარა წვერიან სერჟანტის და ოთხ გუშაგ-ინვალიდი-
სათვის, რომელნიც გვდარაჯობდენ. ნეტა რათ გვყა-
რაულობენ? თქვენვე იფიქრეთ: სულ ერთია, მე ხომ
ვერსაით გავიქცეოდი? უკანვე ფრონტზე ხომ ვერ
დავბრუნდებოდი"... — ასე სწერდა პაულ კორბსი
პირველ წერილში ალისას, რომელიც იმ დროს
ფრანკფურტში სწავლობდა.

...„მე ალბად ბევრს ვოხუნჯობდი და მრავალ
კითხვას ვაყრიდი ხნიერ უნტერ-აფიცერს, რომელ-
მაც ბოლოს ჩაიბურტყუნა:

— ბევრს ნუ ლაპარაკობთ... აკრძალულიცაა.

თუმცა ყველა ჩემს გუნებაზე არ იყო. ჩემი ამ-
ხანაგები გაოცებული იყვენ ჩემი ოხუნჯობით, ხო-
ლო ერთმა სათადარიგო ბავარელმა მითხრა:

— გერმანელი სალდათი დამამცირებელ ტყვეო-
ბაშიც კი გულჩახვეული და ამაყი უნდა იყოს.

მე ვერ მოვითმინე ასეთი მამობრივი შენიშვნა
და იქვე მატარებელში ატყდა ჩემი პირველი კამა-
თი. უნდა გამოვტყდე მაინც. რომ ამხანაგებში თა-
ნაგრძნობა ვერ ვიპოვე. ამ კამათის გამო სურდათ
ჩემთვის ბოიკოტი გამოეცხადებინათ. ამ გადაწყვეტი-
ლებას ყველა დაეთანხმა. გარდა ერთი არტილერის-
ტის, ბერლინელი მუშისა. მაგრამ მე ამანაც ვერ

შემარხია. ჩვენ მივდიოდით საოცარ მშვიდს ბუნებაში. ყველგან ვხედავდით მზრუნველი ადამიანის შრომის ნაკვალევს. მე ხარბად ვაცქერდებოდი ყოველგვარ წვრილმანს, რომელსაც ჩემს თვალში დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა.

ზოგჯერ მწვავედ მჩხვლეტავდა აზრი:

„სადღაც, არც ისე შორს, ადამიანები ამ დროს იარაღით ეკვეთებიან ერთმანეთს, ხოცავენ, სწვავენ, ახრჩობენ, ანადგურებენ“...

გულწრფელად მენანება ჩემი თანამემამულენი.

მე და ბერლინელმა მუშამ ერთმანეთისა გავიგეთ და ვბაასობდით. თანაც ვცდილობდით თვლების რახუნი დაგვეხშო ლაპარაკით“...

ქალბატონი მალლენი უფრო ფრთხილია თავის საპასუხო წერილებში. ის ერიდება რაიმე კონკრეტიულზე ლაპარაკს. მაგრამ ამასთანავე არ მალავს სიხარულს პაულის აზროვნების შეცვლის გამო. პაული მოხერხებით უვლის გვერდს სიტყვა „ომსაც“ კი. მის წერილებში მოსჩანს გამოცდილი კონსპირატორი.

ამ წერილებიდან სჩანს, რომ ალისა მილლენმა იცის, რასაც სწერს, და შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამ დროს ის უკვე იყო პოლიტიკურ ორგანიზაციის აქტიური მონაწილე.

ქალბატონ მილლენის თავაზიანობის წყალობით შემდეგში მე დავრწმუნდი, რომ ალისა მართლაც იყო წევრი ელზას-ლორენელთა ავტონომისტების ლოჟისა, და ითვლებოდა ახალგაზდათა შორის ერთერთ მეტად აქტიურ მომუშავედ. გერმანულ რევოლიუციამდე ის გავიდა ამ ორგანიზაციიდან და მიემხრო სპარტაკელ ახალგაზრდათა კავშირს.

...„ფრანგები პირველად სასაცილო გეჩვენება. ისე გვიცქერიან, როგორც ჯაჭვებით შეკრულ მხეცებს. ისეთ მიამიტურ კითხვებს აძლევენ მოდარაჯე სალდათებს, რომ, როცა მათ სიტყვებს ვუთარგმნი ჩემს ამხანაგებს, ისინი ხმამაღლა ხარხარებენ.

ფრანგები ჩვენ არასგზით არ დაგველაპარაკებიან.

ერთხელ ფრანგულად მივმართე ერთ ფრანგ დედაკაცს, რომელიც გვაწტერდებოდა, შეეშინდა და გაიქცა. მე არ მინახავს, მაგრამ ამხანაგები ამბობდენ, თავზარდაცემულმა პირჯვარი გადაისახაო.

გზაში ტყვეები გვხვდებოდა, რომელნიც ომის დასაწყისშივე ჩაუვარდათ ფრანგებს. მოგვითხრობდენ, რომ გლეხები ჯერ სრულებით უარობდენ სამხედრო უფროსების ბრძანების შესრულებას შესახებ ტყვეების სასოფლო სამუშაოზე მიღებისა, მაგრამ, როცა დარწმუნდენ, რომ ჩვენ იმათზე ცუდად არ ვმუშაობდით, სოფლებს ცეცხლს არ ვუკიდებდით, მათ ცოლებსა და ქალიშვილებს არ ვაუპატიურებდით, ბავშებს არ ვახრჩობდით, ჭებს არ ვუწამლავდით, და ნამეტნავ, რომ ჩვენ არავითარი ასაფეთქებელი მასალა არ გვქონდა მათი სოფლების გასანადგურებლად, — ფრანგებმა აღიარეს მაწინ, რომ ჩვენც ისეთივე ხალხი ვიყავით, როგორც ისინი, და მუშაობაც შეგვეძლო. გლეხებს აღარ უკვირდათ, რომ ზოგს ჭროლა თვალები ქონდა, ზოგს კი შავი, და რომ სხვადასხვა სახელი გვერქვა, და დაიწყეს ჩვენთან დამეგობრება. ასეთი შემთხვევებიც იყო: სამხედრო უფროსები შემოდგომაზე გლეხებს

უბრძანებდენ ტყვეები ბანაკში გაეშვათ, მაგრამ ამის გამო ნამდვილი ჩხუბი ატყდებოდა ხოლმე.

ჩვენი ამხანაგების თქმით ამ ზამთარს ტყვეებს უკვე გლეხებთან სტოვებდენ. უფასო მუშა ზამთარშიც ხომ გამოდგება. ბოში თავის საკვებს აუნაზღაურებს.

ამ წერილში ცენზორს მრავალი ადგილი ამოუშლია. ერთ ალაგას იგი იმდენად გატაცებულია, რომ სტრიქონის პირდაპირ კითხვითი ნიშანი დაუსვამს. ეს სტრიქონი ძლივს აღვადგინე. 1916 წელს თებერვალში კორბსი სწერს: „რას არ მოიგონებენ „სახელმწიფო მოღვაწენი", რათა უფრო ადვილად მიუსიონ ადამიანები ერთმანეთს"

ტყვეობა სანახევროდ პატიმრობაა. ამ საპატიმროში ადამიანს ერთადერთიღა რჩება: ჩაუღრმავდეს თავის თავს, მისცეს ანგარიში თავის თავს, მომხდარ ამბებში გაერკვიოს.

სამხედრო ტყვე ის კაცია, ვინც სცენაზე თავის საბრალო როლი შეასრულა. იგი ომის სტატისტი არის, რომელმაც ბრმად თოფ-ზარბაზნის გრიალის მუსიკით გადაირბინა საზარლობის და სისხლით მორწყული სცენა, და, როცა კულისების უკან აღმოჩნდა, განცვიფრებული თვალებით იცქირება უკან, რათა დაინახოს როგორ მიდის წარმოდგენა. წარმოდგენა კი გრძელდება, თამაშის ნამდვილი აზრი ჯერ არ გახსნილა, მთავარ გმირებისთვის ნიღაბები ჯერ არ აუგლეჯიათ.

სამხედრო ტყვეების დიდი საკონცენტრაციო ბანაკი გაშლილია ქალაქის გარეთ, ბრტყელი გორაკის შიშველ

კალთებზე. ერთსართულიანი, ერთფეროვანი, გრძელი სის სახლები მჭიდროდ ეკვრიან მიწას. ეს მიწისქვეშა ჩარდა-ხებია, საცა ცხოვრობს ტყვეთა უფერული მასსა.

ჩარდახების გრძელ რიგებს და უხალისო ცალიერ ეზოს ირგვლივ გარს არტყია მაღალი ღობე, რომელზედაც გაუ-ჭიმავთ სქელი ხლართი ეკლიანი მავთულისა.

„მავთულიანი ღობე ჩვენი დროის ეკლიანი გვირგვი-ნია“ — სწერს პაული თავის მეგობარ ალისას.

პაულ კორბსი რამდენიმე ათასეულ სხვა ტყვეებთან ერთად ამ ბანაკში ელოდება იმ დროს, როცა კაიზერ ვილ-ჰელმი თავის დაპირებას წეასრულებს, შემოდგომაზე ომს გაათავებს.

რომელ შემოდგომაზე?

უკვე სამჯერ ჩამოცვივდა ხეებს ფოთოლი, ზარბაზნე-ბი აქამდე გრიალებენ.

ტყვეობაში ცხოვრება უსაქმობაა, მაგრამ ასეთი უსაქ-მობით იწვის აზრი. ეს კატორღაა ნახევრად. განცალკე-ვება ამახვილებს აზრს და ადიდებს კავშირს ნივთთა და მათ მნიშვნელობის შორის.

პაული უკვე დიდი ხანია აღარაა განმარტოებული კრიტიკოსი.

სამხედრო ტყვეებს უყვართ ოცნება, უყვართ გეგმების შენება, ისინი მუდამ ერთსა და იმავეზე ლაპარაკობენ — ზავზე, ისინი ოცნებობენ, თუ რა კარგი იქნება ცხოვრება ომის შემდეგ.

— კარგი იქნება!

იგონებენ, რა კარგი იყო ცხოვრება ომამდე.

— უჰ, რა კარგი იყო!

სამხედრო ტყვეებს უყვართ ლაპარაკი, თუ რის კეთე-ბას წეუდგებიან ისინი, როცა ზავს ჩამოაგდებენ. მაგრამ,

ეს გეგმები რომ განხორციელდეს, ამისათვის ჯერ ზავია აუცილებელი. ზოგიერთნი მათგანი მოუთმენელია, მათ სურთ ზავი ეხლავ ჩამოვარდეს. ზოგს ჰგონია, რომ ზავი იქნება მხოლოდ გერმანელების გამარჯვების შემდეგ, სხვებს უკვე აღარ სჯერათ ეს, და ისეთებიც არიან, რომელთათვის სულ ერთია, ვინ იქნება დამარცხებული თუ გამარჯვებული.

პაული ფანატიკოსია. მას უნდა ეხლავ ჩამოვარდეს დროებითი ზავი. მას ენანება ყოველი წვეთი დაღვრილი სისხლისა.

„ადამიანს უფლება არ აქვს მეორე ადამიანს თოფი მისცეს და თავის ძმას მიუსიოს“.

გაცეცხლებით და დაჯერებით სწერს იგი:

„წარმოიდგინე, დღეს გამიძახეს ჩვენი ბანაკის უფროსთან, გენერალ ფონ-გირლიცთან. როცა მე წარვსდექი მის წინ მან დამიყვირა:

— კაპრალო, თქვენზე ძალიან ცუდი ცნობები მაქვს.

— არ ვიცი, რა დავაშავე, ბატონო გენერალო.

— თქვენ, ახალგაზრდა ვაჟბატონო, გაბედეთ გაგერჩიათ მოქმედება მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისა. იცით თქვენ, რაა ეს? — მან ასწია თავისი დანაოჭებული თითი და ჩაიჩურჩულა:—სამშობლოს ღალატი.

— მაპატიეთ, მაგრამ ეს ჩემი რწმენაა, — აღშფოთებით ვუპასუხე მე.

— რაო? გატრიალდი და — მარშ! — დაიყვირა მან, ინდოურივით გაბრაზებულმა.

მობრუნებაც ვერ მოვასწარი, რომ დაიჩხავლა.

— მაგას მხედველობაში ვიქონიებ და ვეცდები, რომ შემდეგში კაიზერის მიერ ბოძებული მუნდირის შერცხვენა ველარ მოახერხოთ“.

წარმოიდგინე, ძვირფასო ალისა, რა დიდი წინააღმდეგობაა ჩემსა და ჩემი გაცვეთილი მუნდირის შორის. რომელიც ჯერ კიდევ გაჟღენთილია ჩემი სისხლით. ამას წინად დაღვრილი სისხლით“.

რათა გერმანელ ტყვეებს თავიანთი ცხოვრება როგორმე გაევსოთ, გაეცოცხლებინათ და აგრეთვე გაეფანტათ აზრები ზავზე, რომელიც ლოკოკინას სისწრაფით მოცოცავდა. საბანაკო ცხოვრება მოაწყვეს. დაარსდა ნამდვილი „საზოგადოება“ — პაწია საზოგადოება თავის მიზნებით, ინტრიგებით და დაჯგუფებით.

პაული ყოველნაირად ერიდებოდა აშკარა შეტაკებას. თუმცა ისიც შენიშნა, რომ უკანასკნელ ხანს იმის აზრებმა ამხანაგთა შორის სიახლის სიმწვავე დაჰკარგა. ცხოვრება წინ მიაბიჯებს.

სამხრეთ საფრანგეთში დაბანაკებული ტყვეები სიხარულის და ჩოჩქოლის არეული გრძნობით დაუხვდა რუსეთის რევოლუციის პირველ ცნობებს. სალდათების და აფიცერთა შორისაც ისეთებიც კი აღმოჩნდნენ, რომელთაც განაცხადეს:

— რევოლიუცია ყველაზე ნამდვილი გზა არის ზავისათვის.

ბანაკის ცხოვრება ყირამალა შეტრიალდა. სალდათებმა ცხარე კამათი დაიწყეს. ზოგი ამტკიცებდა, რუსეთის რევოლიუცია გერმანელთა იარაღის გამარჯვების შედეგიაო, და ზოგიც წინასწარმეტყველებდა, რუსების მაგა-

ლითს ყველა შეომარ ქვეყნის სალდათებიც მიჰბაძვენო. ამ უკანასკნელ აზრს უფრო ტყვე მუშები იზიარებდენ.

პაული ბანაკის სიმფონიურ ორკესტრში უკრავდა.

ერთი კონცერტის შემდეგ იგი გენერალმა ფონ-გირლიცმა მიიხმო და ისე უთხრა, თითქოს წინანდელი ბრაზი დაევიწყებინოს.

— კარგია, კაპრალო, კარგად უკრავთ. მაგრამ, ნიჭიერო ახალგაზრდავ, ეს კიდევ არ გაძლევთ უფლებას აღვირი აიხსნათ.

— ბატონო გენერალო!

— იმედია თქვენ არ ირიცხებით იმათ პარტიაში... სოციალისტების პარტიაში, რომელნიც მხოლოდ აფუქებენ ჩვენი ბანაკის სალდათებს.

— მე სისხლის-ღვრის წინააღმდეგი ვარ, ხოლო რევოლიუციაც სისხლის დაღვრაა.

— როგორც ვხედავ, ნამდვილი მუსიკოსი ყოფილხართ. — სთქვა ცხადი ირონიით გენერალმა. ეტყობოდა ძალიან კმაყოფილი იყო თავის-თავით.

მეორე ზამთრის დამლევს, ერთ უბედურ დღეს, როცა პაული რეპეტიციიდან თავის სადგომში დაბრუნდა, თავის „ბოქსთან“ ტყვე-სალდათს შეეჩეხა.

— ვინ გნებავთ?

სალდათმა თავი ასწია და პასუხის მაგიერ პაულს ხელი გაუწოდა.

— გამარჯობა, პაულ, ვერ მიცანით?

მის წინაშე მდგომს თვალი შავი ხელაბანდით ჰქონდა შეხვეული. მისი სახე ხშირი და შავი წვერით იყო შემოსილი. პაულმა ძლივს იცნო ვილლი კლემენსი.

— ვილლი, ნუ თუ შენა ხარ? დიდი ხანია მოხვედი?

— ერთი კვირაა აქა ვარ.

— რამდენი ხანია ტყვედ იმყოფები?

— 1916 წლის შემოდგომიდან.

—თვალზე რა დაგემართა?

— „ბრძოლის ველზე“ დავტოვე. ალისას წერილიდან გავიგე შენი აქ ყოფნა. მერე მითხრეს: შენ ხომ აქაც ცნობილი მუსიკოსი ხარ და ხანჯალივით ყოფილხარ აფიცრებთან.

პაულმა დასვა მეგობარი და უმალვე გაუზიარა თავის აზრები უკანასკნელ ამბებზე. მაგრამ, რამდენსაც მეტს უხსნიდა, იმდენად უფრო ცხადი იყო კლემენსის იმედის გაცრუება.

— მე შენი არაფერი მესმის. როგორც ამბობ, პაციფისტი და ანტიმილიტარისტი ხარ, ის კი ვერ გაგიგია, რომ მხოლოდ აჯანყებულ მუშებსა და სალდათებს, და ისიც მხოლოდ რევოლუციის გზით შეუძლიათ მოსპონ მსოფლიო ჟლეტა.

— რევოლიუცია ახალი ომია. არ შეიძლება ომი გავიმეოროთ, თუნდაც იგი სამოქალაქო იყოს.

— არ მესმის, პაულ! მაშ, როგორია შენი პროგრამა?

— მე პროგრამა არა მაქვს. მე პარტიას არ ვადგენ. მე მხოლოდ წინააღმდეგი ვარ ომის, ყოველგვარი ომის. შენც იყავი ომში და იცი, რა საშინელებაა იგი.

— მართალია, ეს ომი მართლაც... მე მესმის... მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ ის, ვინც იღუპება, სხვისი ინტერესებისთვის იღუპება.

— ნუ თუ შესაძლებელია, რომ ადამიანები საურთერთო დავას იარაღით წყვეტდენ? — ცხარედ ჰკითხა პაულმა.

ვილლიმ ჩაიცინა. მან გაიგო მეგობრის აზრი. ხელები მხრებზე დაუწყო და წყნარად მიუგო:

— შენ პატიოსანი კაცი ხარ, პაულ, მაგრამ ოდნავ წინ გარბიხარ. სამწუხაროდ, კაცობრიობა იძულებულია ჯერჯერობით მრავალთა საკითხი გადასწყვიტოს შეიარაღებული ბრძოლით.

— მე არა მწამს ასეთი ბრძოლის სამართლიანობა.

ძველი სასკოლო მეგობრები გარეთ გამოვიდენ და „დიდ რკალზე", ბანაკის ღობის გასწვრივ, გააბიჯეს.

პაული დიდ ხანს და ცხარედ ლაპარაკობდა. ვილლიმ გაუგო. ჩაცინებას ხშირ წვერში მალავდა და ცალი თვალით ალმაცერად შესცქეროდა მოსაუბრეს. ეტყობოდა, ვილლის ენანებოდა თავის მეგობარი.

მე მაქვს კლემენსის წერილები, ამ ხანებში ქ-ნ მილ-ლენთან მინაწერი. ასე სწერს:

„პაული ნამდვილი „წინასწარმეტყველია". ის ფანატიურ ცეცხლში იწვის, მაგრამ ის, რაც მას სწამს და რასაც სიცოცხლე შესწირა, საცოდავი ცდა არის ცალკეული გონების, საბრალო აზრებია, რომელნიც არ შეიძლება მასსამ გაიგოს. მე ვუთხარი მას:

— პაულ, სცადე და შენი აზრები სალდათებს გაუზიარე. დაგცინებენ. ისინი მატყუარად მიგიჩნევენ. სალდათები დიდი ხანია მაგგვარ ქრისტიანულ გუნებაზე არ არიან.

მაგრამ პაულმა მაინც ამიჩუყა გული თავის მიამიტობით და პატიოსნებით. შესაძლოა სხვებიც ააჩუყოს. უბედურება მხოლოდ ისაა, რომ ეს აზრები

ადვილად შეიძლება შეატრიალოთ მათ წინააღმდეგ, ვინც მას ჰქადაგებს“.

ამავე დროს ალისას კორბსიც სწერს. ის მოუთხრობს ვილლის ნახვას, უკვირს მისი გამოცველა და მებრძოლ სოციალისტს უწოდებს.

„შეიძლება მე მარტო ვიყო, — ამბობს ის, — შეიძლება ჩემს ნათქვამს არავინ უგდებს ყურს, მაგრამ მე ერთი მიზანი მაქვს დასახული: ეს მიზანი არის — გავამახვილო ხალხის ყურადღება ომისადმი და გამოვააშკარავო მისი სოციალური სიყალბე. კაცობრიობამ არ უნდა დაივიწყოს ეს ომი. ხალხმა უნდა ჩაიჭედოს ამ ომის საშინელება, რათა მომავალი თაობა ისევ არ აღმოჩნდეს „ომისთვის მზად“. ალბად ეცდებიან ეს ომი გადააქციონ „გმირობად“. მე ვეცდები ცხადვყო ამ ომის რეალური საშინელებანი. არ არსებობს გმირი ან გმირები. არსებობს მხოლოდ უბედური და ბეჩავი. არ არსებობს გმირული ღვაწლი, არამედ — ნებადართული ბოროტმოქმედება. არ არსებობს გამარჯვება, არამედ — განადგურება“.

ქალბატონ მილლენის პასუხი, როგორც მუდამ, ძუნწია და თავშეკავებული:

„მე ვგრძნობ, ძვირფასო პაულ, რომ ვილლი ცალი თვალით უფრო მეტს ხედავს ვიდრე შენ ორით. შენი თვალსაზრისი ძალიან ლამაზია და გამტაცი მაგრამ სახიფათოა და წვრილი. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ასეა. ომის მოსპობა მხოლოდ ომსვე შეუძლია. და თუმცა შენ მშვენიერი იდეის სახელით პროტესტს აცხადებ, მაგრამ მაინც სცდები: არსე-

ბობს საკითხები, რომელნიც აუცილებლად იარაღით უნდა გადაწყდეს“.

———

სანამ პაულ კორბსი სამარადო ზავს აღითქვამდა, დრო იცვლებოდა ისე სწრაფად, რომ ხალხს თვალსა სჭრიდა. ახალი აზრები გადმოდიოდა ამბოხებულ რუსეთიდან და უფრო მებრძოლი იყო, ვიდრე წარსული ომის აზრები. ოლონდ მებრძოლი სული სხვანაირი იყო.

პაული მწუხარებით აღნიშნავდა, რომ მის ახლობელთ უფრო ნაკლებ ესმოდათ მისი იდეები.

ჩარდახებში გაჩაღებული იყო მწვავე კამათი.

ერთხელ პაული ვილლის სანახავად წავიდა, რომელიც მოათავსეს მეორე მჭიდროდ დასახლებულ ჩარდახში. კამათი მალე გაცხოველდა. პაული მარადიული ზავის იდეას იცავდა. ვილლი არ უარყოფდა ამ აზრს, მაგრამ ეეჭვებოდა ამ აზრის დროულობა.

— მარადიული ზავი მშვენიერია, მაგრამ იგი ამ ჟამად საჩვენო არაა, ჯერ ერთი, ეხლა საჭიროა ამ ომის სისხლი ავიღოთ, და მეორეც, პროლეტარებმა მომავლისთვის უნდა თავიანთი უფლებანი დაიმკვიდრონ.

— მაგრამ ეს ხომ ახალი ომია, სამოქალაქო ომია?

— და ისიც როგორი!

— განა საკმაოდ არ დაიღვარა სისხლი? — ამოიოხრა კორბსმა.

წითელწვერა პრუსიელმა სალდათმა მშვიდათ ჩაურთო:

— ბატონო კაპრალო, თქვენ ალბად პატიოსანი კაცი ხართ, მაგრამ თქვენ რომ გცოდნოდათ. რომ მაგ აზრებით თქვენ ემსახურებით მხოლოდ ქვემძრომებს და მკვლელებს...

პრუსიელის მშვიდმა სიტყვამ კორბსზე ძლიერი და ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. იგრძნო უხერხულობა და მაშინვე გავიდა ჩარდახიდან.

კარებში ვილლის მწარე შენიშვნა მოესმა:

— ცინგლიანი, ქრისტე...

ამგვარმა კამათმა აიძულა პაული ყველა მეგობარს ჩამოშორებოდა. მაგრამ ნაღვლმა ისევ ადამიანებისკენ მიაგდო.

არ შეიძლება ითქვას, რომ კორბსს დაეკარგოს ამბავთა ძაფი. მაგრამ ის დაჟინებით ისევ ძველ პლატფორმაზე იდგა: „ომი საზარელი შეცდომაა კაცობრიობის ისტორიაში და მას უნდა ვერიდოთ“.

მაგრამ როგორ? რა გზით? პაულს ეგონა: ადამიანებს რომ შეეგნოთ და ცხადათ დაენახათ ომის საშინელება ისინი არასოდეს აღარ ჩაებმებოდენ ასეთ საქმეში.

პაციფიზმი პაულისთვის გადაიქცა ღრმა რწმენად, რომელსაც, მისი აზრით, შეეძლო გადაერჩინა კაცობრიობა ახალი სისხლისღვრის საშინელებისგან.

კორბსი გრძელ წერილებს სწერდა ქ-ნ მილლენს, მაგრამ მან ვერ მიიღო, რადგან დაპატიმრებული იყო სხვა ამსანაგებთან ერთად. ესენი თავიანთ თავს სპარტაკელ ახალგაზრდებს უწოდებდენ, რომელთაც გერმანიის ახალგაზდა რესპუბლიკაში რევოლუციის აფეთქების შემდეგ მალე დაუწყეს პოლიციელებმა ძლიერი დევნა.

„მე არ მიხარია ეს რევოლუცია, რომელიც არსებითად, თუნდ გარეგნულადაც, სხვა არაფერია გარდა სისხლისღვრის ახალი ფორმისა. მე მტკიცედ

ვიზიარებ თვალსაზრისს პრეზიდენტ ვილსონისას, რომელსაც ვთვლი ყველაზე უფრო ადამიანურად, ყველაზე უფრო პატიოსნად. მის მიერ ევროპაში ჯარის გამოგზავნა იყო ნაკარნახევი მხოლოდ ომის საჩქარო დასრულების სურვილით.

მე ვიზიარებ თვალსაზრისს ამ დიდ სახელმწიფოებრივ მოღვაწისას, რომლის აზრები პატიოსნურია, ნათელი და უბრალო.

ამერიკას არ შეეძლო და არც შეუძლია კიდევ დიდ ხანს უმზიროს ამ დაუსრულებელ სისხლისღვრას. ამერიკა ომის ბედში ხარბი ინტერესით კიარ ერევა, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ მალე მოსპოს იგი.

შენი რევოლუცია ხელახლა რევს და ნისლში სვევს ამბავთა ცხად მოხაზულობას და ხლართავს გორდის კვანძის ბოლოებს, რომელიც თითქმის გადაჭრილი იყო. საოცარია, რომ თქვენ ამას ვერ ხედავთ".

ცოტა ხნით ადრე პაულ კორბსმა პირველი წერილი მისწერა პრეზიდენტ ვილსონს, რომელშიაც ცდილობდა თავის აზრები განევითარებინა.

როცა ვილსონის პასუხი მოვიდა, ბანაკში აღარ იყო.

საფრანგეთმა მონათმფლობელივით ფართე ფალანგით ათასობით გარეკა გერმანელი ტყვეები რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთში ომით დანგრეულ და განადგურებულ მიწაზე. ამ ახალ მონებს ომის ნანგრევები უნდა აღედგინათ. გაგზავნილთა შორის პაულ კორბსიც იყო.

„ბატონო პრეზიდენტო!

მძიმე, სისხლიანმა ამბებმა, რომელთა არა მარტო მოწმედ, არამედ უნებურ მონაწილედაც ვიყავი, თავისი ნაყოფი გამოიღო. იმ დროს, როცა წარსული სხვებში იწვევს მხოლოდ უკმაყოფილებას, გაბოროტების გრძნობას და ბრაზს, მე ვცდილობ შევინარჩუნო მისი ხსოვნა, რათა ადამიანთა შორის აღვბეჭდო ზავისადმი მისწრაფება.

მე ხელობით მასწავლებელი ვარ, ბატონო პრეზიდენტო, დისციპლინიანი კაცი, და, როგორც ასეთი, არ ვაძლევ ნებას ქვეგრძნობებს, რომ დამიპყრონ. მაგრამ მათ, ვინც ომი დაიწყო, მათ, ვისი ინტერესითაც მოხდა ეს საშინელი სისხლისღვრა, დაე წეიგნონ, რომ ომიდან ამოხოხილს, დატანჯულს ხალხს სურს მშვიდობა, დაჯერება ხვალინდელის და ადამიანური ცხოვრება.

ბატონო პრეზიდენტო, მე მოგმართავთ თქვენ, როგორც ნამდვილ მატარებელს მარადიული ზავის აზრისა, როგორც მოციქულს!

მე ბევრი დავკარგე. თითქმის ყველაფერი. მე დავტოვე დედა, რომელსაც ჩემს სიცოცხლეში ვეღარასოდეს ველარ ვნახავ. მე დაჭრილი ვიყავი. აირით მომშხამეს. მე ჯანმრთელობა და ახალგაზდობა დავკარგე. ჩემს სახეზე ომის რუხი კვალი დარჩა. ხელები დამიმძიმდა. ჩემს სიარულში აღარ არის წინანდელი სიმაგრე და დაჯერებულობა. წელში მოვიხარე. თმა გამხიუნდა. ჩემი თვალები დღემდე იტანჯება ნახული საშინელებით.

მე გადავიქეცი ახალგაზდა მოხუცად.

ჩემს ირგვლივ ხალხი კბილებს აკრაჭუნებს და უსასტიკეს მომავალისთვის ემზადება. მე ვხედავ ამ მოზარდ ხიფათს და სადაც კი შესაძლებელია ვყვირი:

— „გადაარჩინეთ კაცობრიობა ომის სისხლისაგან!“.

ხომ მეცა მაქვს უფლება მოვითხოვო. მე ტრაგიკული ბედი მეწვია... თქვენ დაესწრებით ზავზე ხელისმოწერას, და აი — ათხოვეთ ყური უბრალო სალდათის ტიტინს, იმ სალდათისა, რომელიც სავსეა იმედით და რწმენით თქვენდამი, რომელსაც სჯერა თქვენი ჭეშმარიტად ადამიანური გრძნობა, აზრი და სწრაფვა“.

— — —

მიწერმოწერა გათავდა, როცა გერმანიაში იგრიალა რევოლუციის ქარიშხალმა. სამხედრო ტყვეები, და მათ შორის პაულიც, ნიჩბით და წერაქვით ეალერსებოდენ დაჭრილ გზატკეცილებს, ქალაქებს და სოფლებს.

„ჩვენ ვშლით ბოროტმოქმედების კვალს“, არა ერთხელ უთქვამს პაულს მუშაობის დროს.

— — —

ამ დროს ქვეყნის გამგენი მწვანე მაუდით გადაფარებულ მაგიდას მოუსხდენ, ერთ ბოლოზე დამარცხებულები ისხდენ, მეორეზე კი გამარჯვებულები. ერთ ბოლოზე ისხდენ მოკრძალებული სამოქალაქო კაცები, მეორეზე კი ბრწყინვალე ჯილდოებით მოკაზმული გენერლები.

— განა ამ ხალხს შეუძლია დაამყაროს ნამდვილი მშვიდობა? — ეკითხებოდენ პაულს ტყვეები.

— სადაც პრეზიდენტი ვილსონი არის, იქ მშვიდობა უზრუნველყოფილია. ხომ ის უკარნახებს!

პაული ყოველდღე სუნთქვა-შეკრული კითხულობდა ამბებს საზავო მოლაპარაკების მსვლელობაზე. უკვე აღარავის სჯეროდა, რომ ვერსალის საუცხოვო დარბაზებში დაიბადებოდა ზავი, რომელსაც შეეძლებოდა მშვიდობიანობის უზრუნველყოფა მომავალში.

ამ დროს ტყვეთა ჯგუფი, საცა პაულიც იმყოფებოდა, მუშაობდა პატარა ქალაქის აღსადგენად, გზატკეცილის და ხიდის შესაკეთებლად.

პაული დიდი ხანია ხალხს ჩამოშორდა, რომელიც მას ტლანქი და შარიანი ეჩვენებოდა. ვილლი კლემენსი, რომელიც უკან ყველა უკმაყოფილოს ბელადი იყო, პაულს დასცინოდა. როცა მუშაობა ქალაქს მიუახლოვდა, პაულს უფრო ხშირად და ხშირად უხვდებოდა წეხვედრა ფრანგებთან, რომელნიც აშკარად იჩენდენ თავიანთ მტრობას ტყვეებისადმი.

— ჩვენ თვითონაც შეგვეძლო ამ საქმის შესრულება, — ამბობდენ შინ დაბრუნებული ფრანგი მუშა-სალდათები, — ჩვენ თვითონაც არა გვყოფნის სამუშაო.

ტყვეთა გუშაგების ერთმა უნტერ-აფიცერმა შესძახა ფრანგებს:

— თქვენ მამულიშვილობის ერთი ნაპერწკალიც არ შეგრჩენიათ. ხომ იცით, ჩვენ გავიმარჯვებთ და უფლება გვაქვს ეს ხალხი ვაიძულოთ იმუშაონ.

— ვაიძულოთ? ადვილია აიძულო, ჩვენ კი თვითონაც არა გვყოფნის სამუშაო.

— უკეთესი იქნებოდა, რომ ჩვენთვის საკმაო სამუშაო მოეცათ.

დანგრეულ საყდრებს, დაცხრილულ სახლებს, დამახინჯებულ გზატკეცილებს ტყვეთა მრავალი რაზმები აკე-

თებდენ. ისინი ღრმა თხრილებით დაჭრილ მინდვრებს ასწორებდენ, მდინარეებზე ხიდებს სდებდენ...

პაულს მეტად ჩაშავებულ ფერებში ეჩვენებოდა გარემოცული სინამდვილე.

ერთხელ ტყვეები ღრმა ძაბრს წმენდავდენ. რამდენიმე კაცი მუშაობდა, ვეება ყუმბარა ამოჰქონდათ. იმ წუთს, როცა ეს საშინელება ბოლოს ზედაპირზე ამოიტანეს, შეშზარავი აფეთქება გაისმა. რვა სალდათი დაფლითა. რამდენიმე ათეული დასჭრა, ტყვეები აღელდენ. მოითხოვდენ ამ საქმის გამოძიებას და ტეხნიკურ ზედამხედველობას. კომისია დაარსეს. რამდენიმე დღის შემდეგ ფრანგ-აფიცერმა წაუკითხა ტყვეებს ამ კომისიის დასკვნა:

— „ყუმბარა, როგორც დასტურდება მისი ნატეხებით, გერმანულია. ამის გამო ფრანგ სარდლობას ამ საქმესთან არავითარი კავშირი არ აქვს და არასგზით მოპასუხე არ არის უბედურების გამო".

პაული გაფითრდა. სურდა რიგების წინ გამოსულიყო და ცინიკური დასკვნა დაედაღა. ტყვეები იმდენად აღელვებული იყვენ, რომ ერთს სიტყვასაც კი შეეძლო დიდი უწესობა გამოეწვია.

როცა აფიცერი ამ დასკვნას კითხულობდა, პირამდე შეიარაღებულმა გუშაგებმა ქუჩაში ტყვიამფრქვეველი გამოაგორეს.

პაულმა ერთი ნაბიჯი წასდგა, მაგრამ იმავ წამს ვიღაცამ უკანვე დასწია. ეს იყო კლემენსი. გადარჩენილი თვალით, საცა კიაფობდა უწინდელი ალერსი, კლემენსი ჩააშტერდა კორბსის გაფართოებულ, ბრაზით ანიებულ თვალის-გუგებს.

— პაულ, შეჩერდი! უნაყოფოა!

იმავ წუთს კლემენსი უფერულ ბრბოში გაჰქრა. პაულმა თავი ჩაჰქინდრა და უკანა რიგებში შეერია, საიდანაც ის ხედავდა ასვეტილ თოფის-ლულებს და ტყვიამფრქვეველთა აწეულ ცხვირებს.

ერთხელ კლემენსმა პაულს აჩვენა ალისას წერილი. ის სწერდა, დიდი ხანია საპატიმროდან გამოვედიო. ჩიოდა, რომ რევოლუცია სათანადო ფორმებს არ იღებდა და ახალგაზდობა სულიერად ძალიან დაეცა. წერილი სავსე იყო ვნებიანობით, რომელიც იმ დროს შეეფერებოდა.

სხვათა შორის, ალისა სწერდა, რომ ელზას-ლორენელთა ტყვეების უმრავლესობა უკვე შინ დაბრუნდა. ვინც ფრანგული ელზას-ლორენელთა ლეგიონებში მსახურებდა, ეხლა ყველა შინაა. დანარჩენებიც ნელ-ნელა ბრუნდებიან. ალისა აჩქარებდა პაულსა და კლემენსს, რომ ისინიც დაბრუნებულიყვენ.

— მე დღესვე მივსცემ პატაკს, აღარ მინდა აქ დავმჟავდე, — სთქვა კლემენსმა, — შენც გირჩევ, პაულ, ასევე მოიქცე.

პაულმა ცოტა ხანს იფიქრა, შემდეგ ჰკითხა:

— კიდევ რას იწერება ალისა?

— იწერება, რომ ჩვენი ქარხანა, აღარ მუშაობს, ბატონმა ფერსტერმა ქალაქი დასტოვა და ფაბრიკაში მარტო ინჟენერი კუგელი დარჩა.

— მაშ როგორღა ცხოვრობენ მუშები?

— მეც ეგ მაწუხებს.

— ეტყობა, ვალდაუენი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა: ის არც ფრანგულია, აღარც გერმანული. ხალხს

ალბად ძალიან უჭირს. ძალიან კი მინდა მალე დავბრუნ დე შინ.

მეგობრები ერთმანეთს დაშორდენ. მეორე დღეს პაულმა გაიგო, რომ კლემენსმა მართლა მისცა პატაკი, და რომ ის, როგორც ლოტარინგიელი, ფრანგ სარდლობამ უმალვე გაუშვა. კლემენსი ამბობდა, რომ ვერსალის ხელშეკრულებაში ამ საკითხზე ცალკე მუხლი არსებობსო.

მეორე დღეს პაულმა მუშაობის შემდეგ, მარტო რომ დარჩა, თავის თავს ჰკითხა: „მე კი, მე ვიღა ვარ? გერმანელი? გერმანელი ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, თუ საერთოდ ადამიანი?"

პაულმა თავის თავს ახალი საკითხი დაუყენა, რომელსაც ვერაფერი უპასუხა.

ბატონ ვილსონის წერილმა გააბნია თანდათან გაძლიერებული ეჭვები. პაული სამუშაოზე იყო, როცა ზედამდეგი უნტერ-აფიცერი მასთან მივიდა:

— კორბსი თქვენა ხართ?

— მე ვარ.

— ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ვილსონს თქვენ მისწერეთ წერილი?

— მე მივსწერე.

— პასუხი მოვიდა, შეგიძლიათ მიიღოთ.

და იქვე დაურთო:

— შეგიძლიათ სამუშაოზე აღარ გამოხვიდეთ. წადით. თქვენ ალბათ გაგიშვებენ.

პასუხი მოვიდა ოფიციალურ პაკეტით და დაწერილი იყო ფრანგულ ენაზე. მშვენიერ ნელ-თეთრ ქაღალდზე მკაფიოდ სჭვიოდა ოთხი სტრიქონი.

პრეზიდენტი ვილსონი აუწყებდა პაულ კორბსს, რომ წერილი მიიღო და ფრიად მოხარულია იმის გამო, რომ მისმა აზრებმა დაიპყრეს გერმანელი სალდათი, რომელიც სრულებით სწორად ერკვევა საკითხებში.

ვილსონი სთხოვდა პაულს უფრო დაწვრილებით განევითარებინა თავისი თვალსაზრისი ომზე, თუნდაც ამისთვის საჭირო ყოფილიყო მთელ წიგნის დაწერა. პრეზიდენტი არწმუნებდა, რომ ის ყოველ ღონეს იხმარდა, რათა ეს წიგნი გამოსულიყო.

პაულს ძალიან გაეხარდა. თვითონაც არ იცოდა, რა უფრო ძვირფასი იყო მისთვის: პრეზიდენტის პასუხი, წიგნის დაწერის შეთავაზება, თუ ტყვეობიდან შესაძლებელი განთავისუფლება.

ფრანგ-აფიცრებმა ხაზგასმული ზრდილობით გაანთავისუფლეს პაული და რკინისგზის მახლობელ სადგურამდე გამცილებელიც კი გააყოლეს. პაული თავით ფეხებამდე ახალი ტანისამოსით შემოსეს.

„წიგნს დავსწერ, უთუოდ დავსწერ. იგი უკვე მზადაა. ეს ჩემი ტყვეობის დღიურია. ოღონდ საჭირო იქნება ოდნავ მისი დამუშავება. რა ბედნიერებაა! ჩემს აზრებს ხალხი წაიკითხავს, ათასობით წაიკითხავენ“...

და გახარებული, სადღესასწაულო გრძნობებით სავსე, პაული მატარებელში ჩაჯდა.

უკანასკნელ სადგურზე ფრანგებმა ბეჭედი დაარტყეს გაშვების საბუთის მეორე გვერდზე, რომელიც ისედაც აჭრელებული იყო საეტაპო კომენდანტების შენიშვნებით.

თანახმად უკანასკნელი ბეჭედისა პაული აღარ ითვლებოდა გერმანელ ტყვე-სალდათად.

პაული გზას აგრძელებს. ერთი საზღვარი მოსდევს მეორეს, ერთი ხელისუფლება მეორეს. ბოლოს ისეთ ალაგას მოხვდა, საცა არ არსებობდა გარკვეული კანონი, საცა მართველობა თითქო ჰაერში ეკიდა. ეს იყო დედა-მიწის ის ნაჭერი, რომლის გამო ვერსალის დარბაზებში ასეთი მწვავე კამათი იყო გაჩაღებული.

პაული იძულებული იყო უკანასკნელი 12 კილომეტრი ფეხით გაეარა. იგი ფრანგ გუშაგმა შეაჩერა. ცოტა კიდევ გაიარა და ლოტარინგიის მუშათა გუნდს შეხვდა. როცა პაული ბინდისას მთის დაკლაკნილი ბილიკით ნაცნობ ქუჩებისკენ ჩადიოდა, ვალდაუენი ეჩვენებოდა ჩუმ, თითქმის უდაბურ ქალაქად. ნამეტნავ ძლიერ შთაბეჭდილება მოახდინეს პაულზე ფაბრიკის უკვამლო საკვამლეებმა, რომლებიც ეხლა უმიზნოდ აწეულიყვენ ცისკენ. ფაბრიკის შენობათა ჩამქრალი ფანჯრები, როგორც თვალები მკვდარი გიგანტისა, უჭყეტავდენ მოახლოვებულ ადამიანს.

დაბრუნების შემდეგ რამდენიმე თვეს პაული არსად არ დადიოდა.

ძლიერ მობერებულ მამისგან გაიგო მან, რომ სპარტაკელმა ვილლი კლემენსმა საქვეყნოდ გალანძღა მოხუცი დიუბონი, და, ვილლის სიტყვით, მუდამ უკმაყოფილო ბრმა რემპტერიც კი შემთანხმებელი და მოღალატე იყო.

მუშების უმრავლესობა, და მოხუცებიც კი, ვილლის მხარეზეა. და ეს გასაგებიცაა: მდგომარეობა კრიტიკულია, ფაბრიკა შეჩერებულია, ხალხს სამუშაო არ აქვს. ბევრმა. უფრო კი მან, ვინც აქ გადმოასახლეს ომის დროს,

ქალაქი უკვე დასტოვა. ზოგი ქუჩა სრულებით დაცარიელდა. ფულით დახმარება, რომელიც მუშათა ფონდიდან მოდის, იმდენად მცირეა, რომ სიცილს იწვევს, და იგი კართოფილისთვისაც არა ჰყოფნით. ბ-ნი ფერსტერი წავიდა, აქ დარჩენილი კუგელი უცნაურად იქცევა. მამამ აცნობა პაულს, რომ კუგელიც. როგორც ეტყობა, სპარტაკელებს თანაუგრძნობსო...

— ზოგნი კი ანარხისტსაც უძახიან, — დაუმატა მან.

ვალდაუენის მიწა დავას იწვევს. აი მხოლოდ ეხლაღა მოსჩანს, რა ხალხი ცხოვრობს აქ — საქვეყნოდ სჭამენ ერთმანეთს.

— აი, ფრანგები მოვლენ და მაშინ...

— ერთი სიტყვით, აქ ყველაფერი ყირამალა დატრიალდა... ხოლო ალისა მილლენი, — მას მუდამ უცნაურად ეჭირა თავი, — ეხლა სპარტაკელებს დასდევს, ამბობენ, ალისა ვალდაუენში პირველიაო.

———

პაულის წყნარი სიხარული ხანგრძლივი გამოდგა. ვერავითარ ჩრდილმა ვერ დაბინდა იგი, თუმცა უკვე ჩამოწვა ქარიშხალის ღრუბლები.

პაულმა თავის ოთახში ჩაიკეტა თავი. მუშაობდა. ერთხელ მამამ დახედა მის ხელნაწერს და განცვიფრდა: მისი შვილი სწერდა ფრანგულად.

— რა ამბავია, გერმანული დაგავიწყდა? — უწინდელივით მკაცრად ჰკითხა მამამ.

— არა მამა, მაგრამ ადამიანი ეროვნული ჩარჩოთი არ უნდა იზღუდებოდეს. ეროვნულზე მაღალი იდეებიც არსებობს.

— რა არის მასზე მაღალი? — ჰკითხა გაოცებულმა მოხუცმა, ფოსტმეისტერმა. — რა არის მეთქი მასზე მაღალი?

და მამა-შვილის შორის პირველად გაიმართა კამათი.

ის წიგნი ხელში მიჭირავს. მე ვფიქრობ, რომ აქ, ამ დარბაზში, ბევრია ისეთი, ვისაც ეს წიგნი წაუკითხავს, თავის დროზე მან დიდი გამარჯვება მოიპოვა საფრანგეთსა და ინგლისში. ეს წიგნი გამოცემულია ამერიკაში ექვს ენაზე. გერმანული და ფრანგული გამოცემა სულ გაიყიდა. ინგლისში იგი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად გადაიქცა. ბ-ნმა ვილსონმა მას დიდი თანხა მისცა პრემიად საგანგებო ფონდიდან. ამერიკულ და ევროპულ პრესამ თავის დროზე მას დიდი ყურადღება მიაქცია. იგი ერთი ის წიგნთაგანია. რომელსაც ერთა ლიგა მუდამ დიდს რეკომენდაციას უწევს. ამ წიგნს პაულ კორბსი დოქტორ ვილსონის წერილის შთაბეჭდილებით სწერდა. ამ წიგნში ტკივილის ყვირილი უფრო მეტია ვიდრე აზრი.

პაულ კორბსი უცბად გადაიქცა განთქმულ კაცად. ყოველ მხრიდან წერილები მიაყარეს. უნდა გამოვტყდე. უფრო მეტად ქალების წერილები იყო.

პაულმა არ დაჰკარგა სიდინჯე და მოკრძალება.

როცა დოქტორ ვილსონისგან დიდი თანხა მიიღო, ფულის ნაწილი იქვე შესთავაზა მუშათა კომიტეტს. თავის თანამემამულეებს პირველად დაელაპარაკა:

— მუშებს უნდა მივცეთ რამე. თორემ დიდხანს ვეღარ გასძლებენ.

ამ პატარა კრებას ვილლიც დაესწრო, რომელიც ჯერ უნდობლად მოეპყრა პაულს.

— ფაბრიკის ნაციონალიზაცია უნდა გამოვაცხადოთ. აი, რა არის ერთად-ერთი გამოსავალი. — სთქვა მოღუშულად კლემენსმა.

— ამას ჩვენ ვერ ვიზამთ.

ბ-ნმა კუგელმა, რომელიც აგრეთვე მოწვეული იყო სხდომაზე, სიტყვა ითხოვა.

მან საყვირივით ამოიძახა ბოხი ხმით. ყოველ სიტყვას ხაზს უსვამდა. ხალხი გაჩუმდა და გულდასმით უსმენდა ყურს.

— ერთად-ერთი გამოსავალია: ფაბრიკა უნდა ავამუშაოთ, და თუმცა ეს უცნაურათ გვეჩვენება, მაგრამ არც იმდენად ძნელია, ოღონდ საჭიროა საქმეს ჩავაკვირდეთ...

— მაშ, რას გვირჩევთ, ბატონო ინჟენერო?

— მე ხელმძღვანელობას ვკისრულობ. საქმე აი რა არის: თუ ვიშოვით ფეერსტერის წერილს, ან თუნდაც მუშათა საოლქო კომიტეტის დადგენილებას, მე მაშინვე შევუდგები საქმეს. საღებავთა დამამზადებელი მანქანები შენახულია და მთელია აგრეთვე მოწყობილებაც. სამუშაოს დიდი ნაწილი იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც ამბობენ ხოლმე, ფაბრიკის დემობილიზაცია მოვახდინოთ და დავდგათ მურებისათვის საჭირო მოწყობილება. ამ სამუშაოს ორიოდე თვე დასჭირდება. ესეც უნდა მოგახსენოთ; როცა 1914 წელს დეკემბერში საღებავების ფაბრიკა აირის ქარხანად გადავაკეთეთ, მთელს ამ საქმეს ოთხ კვირას მოვუნდით.

ნედლი მასალა?

-- ნედლი მასალის საკითხი მართლაც სწორად არის აღძრული, მაგრამ შემიძლია დაგამშვიდოთ: ნედლი მა-

სალით ფაბრიკა უზრუნველყოფილიᲐ რვა თვით, შესაძლებელია თორმეტითაც. მისი მარაგი იმიტომ დაგროვდა, რომ ფაბრიკა აირის ქარხანად სწორედ მაშინ გადავაკეთეთ, როცა ნედლეულის უმეტესი ნაწილი უკვე დამზადებული და ეზოებსა და საწყობებში იყო დაგროვილი. გარდა ამისა, აირის დამზადების დროინდელი ზოგი რამ სასარგებლოც დაგვრჩა. სათბობი მასალის საქმე უფრო ცუდათაა. მაგრამ ჩემი ფიქრით, სიძნელემ არ უნდა შეგვაშინოს, ნამეტნავ ეხლა, როცა ბ-ნ კორბსს დიდი კავშირი აქვს გავლენიან პირებთან.

— მოქალაქენო. თუ სასარგებლო ვიქნები, გთხოვთ გამომიყენოთ.

ბატონი ფერსტერი იწერებოდა, რომ მას ამ ჟამად არ შეეძლო მიეცა გადაჭრილი პასუხი. თუ მუშებს მაინც სურთ თავიანთი გაიტანონ. ქარხნის დემობილიზაცია მოახდინონ და სალებავების ფაბრიკა აღადგინონ. — და მეტი რა ძალა აქვს. მაგრამ ტეხნიკურ პასუხისმგებლობას ის ბატონ კუგელს დააკისრებს.

„ამ ჟამად ამბები ჯერ კიდევ არ გაშლილან, პოლიტიკური მდგომარეობა ჯერ კიდევ იმდენად არ გამორკვეულა, რომ“...

— ერთი სიტყვით, ბ-ნი ფერსტერი პოლიტიკას ეწევა, ბურღღუნებდა კუგელი: — მას არ სურს ცუდი გერმანელი გამოდგეს და შესაძლებლობას იტოვებს ფრანგებსაც მოურიგდეს... და თუმცა მე ბ-ნ ფერსტერის ხელმოწერა ვიცანი, მაგრამ აზრები მისი არაა. აზრები უკარნახა მას ახალგაზდა პატრონმა, ბ-ნ ბარნეტმა. ეს იმის სტილია.

— მაშასადამე, მეტს აღარ უნდა ველოდებოდეთ? — იკითხა ვილლიმ.

— საქონელს კი გავასაღებთ?—დაილაპარაკეს სხვებმა.

კუგელმა გაიღიმა. წერილების დასტა ამოიღო, სადაც ბ-ნ ფერსტერის ომისწინა მუშტრები კითხულობდენ, როდის და ფაბრიკის პროდუქციის რამდენი იმედი უნდა ჰქონდეთ მათ...

— ოღონდ საქონელი მიაწოდეთ.

ფაბრიკას მუშათა რაზმი იცავდა. სდუმდა დიდი განიერი ეზო და საწყობები. საწყობების შეუქედილ ჭიშკრებზე ჟანგდებოდა უშველებელი დაკიდული ბოქლომები.

ბატონმა კუგელმა კარი გაუღო პირველ ჯგუფს მუშებისას, რომელნიც გულაჩუყებით და დაბნევით ათვალიერებდენ მიძინებულ ქარხანას.

შემდეგ უცბად შეიცვალა ყველაფერი. ძილისებური სიჩუმის მაგიერ — რახუნი და ჟღარუნი. ხელოსანთა გუნდი დაესია ქარხანას. ყველგან — მუშათა ხელების ფათური. ვილლი წინ არის. ყოველგვარ დაბრკოლებებიდან ის გასაოცარი მოხერხებით ჰპოულობს გამოსავალს. ბ-ნმა კუგელმა პირველვე კვირას აღიარა:

— უკეთესი თანაშემწე მე ვერც კი წარმომედგინა.

დაძაბული მუშაობა საოცარ შედეგს იძლევა. ძლივს გაირბინა ორმა კვირამ, სავსემ შემოქმედურ სიხარულით, რომ ორი საამქრო უკვე მზად იყო ასამუშავებლად. ინჟენერი კუგელი ხშირად გამოსთქვამდა ხოლმე გულწრფელ გაოცებას მუშათა თაოსნობის გამო. მათ მოწყობილობის დაწყობაში მთელი რიგი ცვლილება შეიტანეს. დიდი კას-

რები სულ სხვანაირად დადგეს. მათ ეხლა ფანჯრებიდან მაგარი ნათელი ეფინებოდა. ჰაერ-საწმენდიც სულ სხვანაირად მომართეს, ვიდრე ბ-ნ ფერსტერის დროს იყო. საქაჩავები ჩაუწვეს ქვედა სართულში, ასე რომ ლიფტებს შეეძლოთ მსუბუქი დაჭიმვით ემუშავნათ. მუშებმა გაითვალისწინეს აგრეთვე ისეთი „წვრილმანები", რომელთაც კუგელი აღტაცებაში მოიყვანეს.

პაული ამ დროს ნახშირს ეძებდა. ამ საქმეში მას ალისა ეხმარებოდა. მან მიაღებია სანახშირო მაღაროების მუშათა ორგანიზაციებს დადგენილება წესახებ სათბობის საჭირო რაოდენობის გამოყოფისა, თუმცა იგი სადაო ზონასთვის მიდიოდა.

ფაბრიკა ოთხი თვით იყო უზრუნველყოფილი ნახშირით.

გამარჯვებულმა მხარეებმა გააღეს თავიანთი სახეები და ჩასჭიდეს კბილები დამარცხებულთა სხეულებს.

ვალდაუენელები ყოველდღე მოელოდენ ფრანგების მიერ მათი ქალაქის დაკავებას.

პაული სთხოვდა მოსახლეობას, სიმშვიდე დაეცვათ.

მხოლოდ რამდენიმე დღე დარჩა ფაბრიკის გახსნამდე. თავ-თავის ალაგას იდგა: ქვაბები, კასრები, მილები, საქაჩავები. დარჩენოდათ მხოლოდ მოესპოთ აირის ნარჩენნი, თავი დაეხურათ არმოხმარებული სიმჟავეებისათვის და განეცალკევებიათ ბალონები სახიფათო სხმულებით. პირველ რიგში საჭირო იყო გაეტანათ დიდი სააირო ბალონი. გადასწყვიტეს დაეძრათ იგი ადგილიდან და გადაეგორებინათ შორეულ კუთხეში. მუშებს აფარებული ჰქონდათ აირის საწინააღმდეგო ნიღბები და ისე მუშაობდენ.

მთელი ქალაქი ფეხზე იყო, ვინიცობაა უბედურება მომხდარიყო.

ბალონი მშვიდობიანად გადააგორეს ფარდულის ქვეშ. შემდეგ გასტენეს იგი თავამდე მიწით, და, რომ ვინმე შემთხვევით არ წასჩხირებოდა მას, ირგვლივ ეკლიანი მავთული შემოავლეს. მხოლოდ მუდმივი კანტროლისათვის დასტოვეს ერთი შესავალი.

მაგრამ მაინც დარტყმევას ან რაიმე გაუფრთხილებელ ბიძგს შეეძლო გამოეწვია დიდი უბედურება. ამიტომ გადასწყვიტეს, სრულიად გაენადგურებიათ როდისმე, უფრო მშვიდობიან დროს, ეს საშინელება.

საოკუპაციო რაზმის შემოსვლის სამი დღის წინ „შემთხვევით" გამოჩნდა ბ-ნი ფერსტერი თავის ოჯახით. მოვიდა ემმაც. ეხლა უკვე ბ-ნ ბარნეტის ცოლი, დეიდა ლუიზასთან ერთად. თვითონ ბარნეტი რატომღაც არ მოდიოდა.

პირველ დღეებშივე ფერსტერი არ ჩნდებოდა ფაბრიკაში. იგი შეიკეტა თავის კაბინეტში და იღებდა მხოლოდ კუგელს.

როგორც ამბობდენ, სადარბაზოდ იყო მასთან ბატონი ლიბერმანიც, რომელიც. უკანასკნელ დროს მოეწყო სამკურნალოს სალაროსთან...

— ფერსტერი დარჩება აქ და ხელმძღვანელობას გაუწევს ფაბრიკას, — ამბობდა მეორე დღეს ლიბერმანი.

— დროა, დრო, დიდი ხანია ხელფასი არ მიგვიღია, — ხმამაღლა სთქვა კლემენსმა, — უნდა გამოვიანგარიშოთ რამდენი გვერგება.

— რაღა თავიდანვე ხელფასზე დაიწყე ლაპარაკი? ფერსტერმა ჩამოსვლაც ვერ მოასწრო და შენ კი ეხლავე გინდა მიიღო ხელფასი. — აღშფოთდა ლიბერმანი.

არა თქვენ ჩემი ნათქვამი ვერ გაიგეთ. მე ბ-ნ ფერსტერისთვის უფასოდ ვიმუშავებ. მე სომ მასზე მდიდარი ვარ, მე ბანკის ქაღალდები დასტებით მიწყვია. — ბრაზით უპასუხა კლემენსმა.

მესამე დღეს პაული ფერსტერთან მიიწვიეს.

ბ-ნი ფერსტერი დაბერებულიყო, ჩუმი ხმით ლაპარაკობდა. ვამოსალმებისას პაულს არწმუნებდა, ასეთ მძიმე დროს ყველამ ერთმანეთს მხარი უნდა მისცესო. ამ დროს ნამეტნავ ძვირად ფასობს მეგობარი. რომელსაც შეიძლება დაეყრდნო. ის აჯერებდა პაულს. რომ მისდამი საუკეთესო გრძნობით და პატივისცემით არის გამსჭვალული. სირცხვილია, რომ ფაბრიკა მტრის მოსვლის დროს აამუშავეს. მაგრამ, მეორე მხრით, ხალხს ჭამა უნდა.

— მე ვემორჩილები გარემოებას, თუნდაც იგი ჩემთვის მეტად მძიმეც იყოს.

ფერსტერი ამ ჟამად არას გზით არ დაილაპარაკებდა იმ ფულზე, რომელიც მან გაიღო ფაბრიკის აღსადგენად. არა, ტყვილად გაახსენა ვილლიმ ეს საქმე. ეს მეტის-მეტი სიტლანქე იქნებოდა... ასეთ დროს.

მესამე დღეს ქალაქში საოკუპაციო ჯარი შემოვიდა.

რა უბრალოდ მიმდინარეობს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ამბები?

სადგურზე მატარებელი გაჩერდა. ფრანგი სალდათები გამოვიდენ. აფიცრები ბრძანებლობენ. რაზმი ეწყობა და ქალაქისაკენ მიიმართება. აკრავენ რამდენიმე ბრძანებას: დღეიდან ქალაქში ასეთი და ასეთი წესი იქნებაო. ახალი არაფერია. მაინც ამის გამო ზოგს ფერი მისდის. ზოგი წითლდება.

შემდეგ მეორე ამბავი. ერთ მშვენიერ დღეს ფაბრიკის საკვამლეები აბოლდენ წინანდელივით. მაგრამ ხალხი ამას როგორღაც სხვანაირად უყურებს. მის თვალში ამ ბოლს რაღაც სხვა მნიშვნელობა აქვს. იგი ნიშნავს გამარჯვებას ფაბრიკის აღდგენის ბრძოლაში, ეს ბოლი ნიშნავს შრომას. მშვიდობას, პურს და სიცოცხლეს. უნებურად გავიწყდება ყოველივე პირადული. გავიწყდება ბრძანებანიც კი. კედლებზე რომ გააკრეს.

პაულმა გადასწყვიტა უარი ეთქვა წარმომადგენლობაზე მუშათა კომიტეტში, საცა ის არჩეული იყო, და შესდგომოდა თავის საკუთარ საქმეს — სკოლას.

პაული საზოგადო მოღვაწე გახდა. ის წარმატებით ზრუნავს მუშათა საქმისთვის. ის არც თვითონ ზოგავს თავის თავს და არც სხვები ზოგავენ მას. ყოველ მხრივ აქებენ მას. ისიც ივიწყებს თავის თავს. ის სავსეა ფიქრებით სხვებისთვის. მას ყველა დაწესებულებაში იცნობენ. ის ხშირად დადის ქარხანაში ბ-ნ ფერსტერთან და სამხედრო მთავრობასთან. ყველგან სიამით უხვდებიან, იგი გახდა ცნობილი. იგი უყვარს ბ-ნ ვილსონს.

ემმას პაული ორჯერ ნახვდა. სრულებით დამშვიდებული იყო. ის დარწმუნდა, რომ დრომ საბოლოოდ განკურნა იგი ემმასადმი სიყვარულისაგან.

საქმე უამრავი ჰქონდა. საჭირო იყო კავშირი ჰქონოდა ფრანგ მუშების ორგანიზაციებთან. გაქცეულ გერმანელ ექიმის ნაცვლად უნდა ფრანგი ეპოვა. საჭირო იყო ფეხზე დაეყენებია მუშათა გაზეთი. მან გამოსთქვა იმ დროისათვის გაბედული აზრი: გაზეთის ერთი ნაწილი

ფრანგულ ენაზე უნდა ყოფილიყო, მეორე კი გერმანულზე.

ყოველდღიური საქმე მას სულ მეტად და მეტად ითრევდა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, იშვიათი მარტოობის წამს უფრო და უფრო დაჟინებით ურაკუნებდა აზრი:

— „სკოლისაკენ, სკოლისაკენ!“.

ფაბრიკამ საქონლის პირველი ნაწილი გამოუშვა. შაბათს სალაროს წინ მუშები რიგში ჩადგენ. ბ-ნმა ფერსტერმა ხელი არ აიღო თავის ძველ ჩვეულებაზე — მცირე ხელფასი მიეცა. მუშები ხელში გაოცებით ატრიალებდენ მიღებულ ფულს.

კლემენსს და კიდევ ოც მუშას ჯერ არ უნდოდათ მიეღოთ ფული, მაგრამ შემდეგ მეკანტორეს საანგარიშო ფურცლები მოსთხოვეს და ხელი მოაწერეს: „მიღებულია ავანსად“.

მეორე დღეს, კვირას, მუშებმა კლუბში მოიყარეს თავი და აღშფოთებით ლაპარაკობდენ აღებულ ხელფასზე. მოხუცი დიუბონი, პაული და ლიბერმანი შუაკაცებად აირჩიეს, ხოლო ვილლის ჯგუფიდან ცალკე წავიდა ფრონტელი ბუგეტი.

როცა შუაკაცები ფერსტერის სახლის ტალანში გადიოდენ, პაული პირისპირ შეეჩეხა ბარნეტს. ინჟენერი ბარნეტი იმ ხნის განმავლობაში ცოტათი შეცვლილიყო. მისი ვეება, წინწამოწეული ცხვირის გვერდებიდან წინანდელზე უფრო მეტის გამომეტყველებით ბრწყინავდენ წვრილი ეშმაკური თვალები.

— ჰაა, გამარჯვებათ, ბ-ნო კორბს!

— გამარჯვებათ, ბ-ნო ინჟენერო! სადა ბრძანდებოდით?

— დღეს ჩამოვედი, დედა-ქალაქზე გამოვიარე, — ჩუმად უპასუხა ბარნეტმა.

— ბერლინში ბრძანდებოდით?

— ბერლინში დიდი ხანია ვიყავი. გეუბნები დედა-ქალაქზე, პარიზზე გამოვიარე მეთქი.

— ჰო, ჰო, მართლა, დამავიწყდა, ჩვენ ხომ ეხლა საფრანგეთის მოქალაქენი ვართ.

შუაკაცებმა მოლაპარაკება ძალიან მალე დაასრულეს. პირველად დიუბონმა მოითხოვა სიტყვა. საქმეს მიკიბულ-მოკიბულად ატრიალებდა. ბუგეტმა ვეღარ მოითმინა.

— მუშები მოითხოვენ, საცხოვრებელი მინიმუმი მაინც მიეცით. ფაბრიკის აღდგენაზე ხარებივით ვმუშაობდით. ხელფასი უნდა ასწიოთ.

— თქვენ არავის აუძულებიხართ — ბრაზით სთქვა ბარნეტმა. — სამწუხაროდ, ეხლა მეტს ვერ მოგცემთ. ჯერ მოითმინეთ. ხელფასის აწევაზე უარს არ ვამბობ... კვალიფიციურ მუშებს მომავალ კვირიდან მოვუმატებ. ხოლო ამაზე მეტი ჯერჯერობით არაფერი შემიძლია.

— მაშინ ჩვენ კოლექტივურ ხელშეკრულებაზე აღვძრავთ საკითხს, — სთქვა ბუგეტმა მკვახედ. — ყველამ თავისი ინტერესი უნდა დაიცვას. რა შუაშია აქ კვალიფიციურობა? ყველანი თანაბრად ვმუშაობთ. თქვენ, ბურჟუებმა, უნდა გადაგვიხადოთ, თქვენ ფული გაქვთ.

— რაო? ეს ნამდვილი ბოლშევიკური ქადაგებაა! — შენიშნა ბარნეტმა.

— ოუ. საჭიროებამ მოითხოვა, ეგეც იქნება. ჩვენ, ფრანგ კომუნისტებსაც, ისევე შეგვიძლია დავიცვათ ჩვენი თავი მყვლეფელებისგან, როგორც — სხვები იცავენ. ნუ

გვკვებავთ დაპირებით!? მეფაბრიკე გვაიძულებს ვიმუშაოთ, მაშ ფულიც უნდა გადაიხადოს — და არავითარი ყალთაბანდობა.

ატყდა კამათი. მოხუცი დიუბონი დაჰპირდა ბ-ნ ფერსტერის განცხადება მუშებისთვის გადაეცა. თან ერთხელ კიდევ გამოსთქვა იმედი, რომ ხელფასს მოუმატებდენ.

გამოსალმების შემდეგ პაული მცირე ხნით დარჩა. ემმა შემოვიდა. ლაპარაკი ჩამოვარდა წიგნზე.

— თქვენი წიგნი წავიკითხე, — დაუდევრად სთქვა ბარნეტმა. — ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, თითქო გზააბნეული კაცი შველისათვის ჰკიოდეს.

ჰკიოდეს? მე იმაზე მეტიც არა მინდოდა რა, რომ სალხს ჩემი კივილი გაეგონა. —უპასუხა პაულმა მწვიდათ.

— მერე, რას გამოელით ამისგან? კაცთა შორის მშვიდობას?

დიახ.

— ხომ გაიგეთ, რას ლაპარაკობდა აქ ის ნასევრად პირუტყვი ბუგეტი? ეს ხომ ნამდვილი ომია? „ჩვენ, ფრანგი კომუნისტები" — რას ნიშნავს ეს? ბრძოლას. კლასობრივ ბრძოლას! ჩვენ ეს არ უნდა დავივიწყოთ. ომმა მოულოდნელი შედეგი მოგვცა. რაც ეხლა ხდება რუსეთსა და გერმანიაში, ყოველ წამს შეიძლება საფრანგეთის საზღვრები გადმოლახოს. იცით, რომ ამ დღეებში პარიზში ფრანგ კომუნისტებმა პოლიციელთა რაზმი გაჰფანტეს?

— ეს ეკონომიური დავაა.

— თქვენ როგორ გგონიათ? რისთვის მოხდა ომი? — უკან გადმოსძახა გაბრუნებულმა ბარნეტმა.

პაულმა ფერსტერის სახლი დამძიმებული გრძნობით დასტოვა. ბარნეტის სიტყვებში მან ომის გამოცხადება იგრძნო.

ამბებს დიდ ხანს არ ულოდინებიათ. ბ-ნი ფერსტერი მუშების გავლენით დაჰპირდა ხელფასის მომატებას, მაგრამ უცებ, მალე ამის შემდეგ, მოულოდნელად წავიდა და ფაბრიკის გამგებლობა ინჟენერ ბარნეტს გადასცა. მუშება მართლა მოუმატეს მცირეოდენი, სამაგიეროდ ბარნეტმა სამუშაო დროსაც მოუმატა. მუშები უკმაყოფილო იყვენ. მაგრამ მაინც მიჩუმდენ. უცებ ნახწირის კრიზისი გაჩნდა და ბარნეტმა წარმოება შეანელა. მის ფაბრიკაში მუშათა რიცხვი თანდათან კლებულობდა. ზოგი საამქრო დაიკეტა. ბუგეტმა და ვილლიმ მუშათა კლუბში მუშების კრება გამართეს. გუნება თანდათან ცხელდებოდა.

— საბოტაჟი... მეფაბრიკე საბოტაჟს გვიცხადებს...

აღმოდებული სიტყვები ნაპერწკლებივით სცვიოდ... პაული გულისტკივილით უგდებდა ყურს ამ სიტყვებს. კომუნისტების გამოსვლის გავლენით მუშებმა დაიწყეს პირადული წვრილ ინტერესების დავიწყება. უფრო მეტი და მეტი ორატორი გამოდიოდა.

გადასწყვიტეს ბარნეტისთვის პეტიცია მიეწერათ. ვილლის ჯგუფმა იკისრა მისი გადაცემა. ამ ჯგუფში ორასი კაცი ითვლებოდა. ყველა ახალგაზდა იყო, თითქმის ყველა — ფრონტელი. მათ მთელი დემონსტრაცია გამართეს. საგულისხმო სანახაობა იყო! ნენარჩუნებულ გერმანულ ხიშტებით შეიარაღებული ფრონტელები გაემართენ ბაირაღით ფერსტერის სახლისკენ.

აღელვებული პაული ქვაფენილით მისდევდა მათ. საქმე სისხლისღვრამდე რომ მისულიყო, პაულს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მებრძოლთა შუა ჩავარდნილიყო

მუშათა მოთხოვნით დაკეტილ რკინის ჭიშკართან მოვიდა ბ-ნი ბარნეტი და ნაძალადევი სიმშვიდით ჰკითხა, რა უნდოდათ მათ.

— ფაბრიკის საკსებით ამუშავება — ეს ერთი, ომის წინანდელი სელფასი — ეს ორი, და მუშათა კონტროლი — ესეც სამი.

ბარნეტმა რკინის კანკლედში გამოართვა პეტიცია და გადასცა მის გვერდით მდგომ ფრანგ აფიცერს, რომელიც აღმოჩნდა გარნიზონის უფროსის ადიუტანტი.

— ვინ დასწერა ეს? — გამოწვევით ჰკითხა აფიცერმა.

— ჩვენ ყველამ, — მიუგო ბუგეტმა.

— შენ, როგორც ვხედავ, მთავარი ამტეხი უნდა იყო.

— შეიძლება.

— შენ ვინა ხარ?

— ფაბრიკის მუშა, ბ-ნო ლეიტინანტო, გარდა ამისა, მე წელიწად-ნახევარი ვიმსახურე საფრანგეთის ჯარში, ელზას-ლორენის ლეგიონში.

— ეს მართალია?

დანარჩენებმა დაადასტურეს ბუგეტის სიტყვები.

— სწორეთ რომ ვთქვათ, რა გინდათ თქვენ? — გაცილებით უფრო დაბლა ჰკითხა აფიცერმა.

— ჩვენ გთხოვთ, რომ ამ გერმანელმა ვაჟბატონმა წარმოება არ შეამოკლოს, ეს საბოტაჟია! — ხმამაღლა გაიაცხადა ბუგეტმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ფრანგ აფიცერმა რაღაც უთხრა ბარნეტს, რომელმაც მას პეტიცია უკანვე გამოართვა. და ცხადი კმაყოფილებით სთქვა:

— პასუხს ხვალ მიიღებთ. ეხლა კი შეგიძლიათ წახვიდეთ.

დემონსტრანტებმა ერთსულოვნად დაიწყეს „ინტერნაციონალი“ და გატრიალდენ ქალაქისკენ.

დადარდიანებულმა პაულმა მთელი დღე შინ გაატარა.

———

ყველა ღონისძიება ფუჭი გამოდგა. დემონსტრაციამ შემდეგ მეფაბრიკესა და მუშებს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკება დაიწყო.

პაული მონაწილეობას არ იღებდა. იგი ჩამოშორდა მუშათა საკითხს და თავის თხოვნაზე პასუხს ელოდებოდა: მას სურდა ბავშვებისთვის ესწავლებინა.

მუშებმა ფერსტერს და ბარნეტს სასამართლოში უჩივლეს.

ვილლი და ბუგეტი სარჩელის გამო დადიოდენ სენდეიში მოსამართლეებთან.

ფაბრიკა მთელ ზაფხულს იდგა. მუშათა უმრავლესობა ელზას-ლორენის შუაგულში გადასახლდა. ისეთებიც აღმოჩდენ, რომელთაც მოისურვეს საფრანგეთის დატოვება და გერმენიაში წავიდენ. დარჩენილები შეუდგენ კართოფილის მინდვრებს, დავიწყებულ საველე მუშაობას და ნახევრათ მშივრები ელოდებოდენ, როდის შემოვიდოდა ბოსტნეული და კართოფილი.

შემოდგომა დადგა. ვილლიმ და ბუგეტმა სასამართლოს განაჩენი მოიტანეს. მუშებმა მოიგეს. მათ მიუსაჯეს ის თანხა, რომელსაც ისინი მოითხოვდენ ფაბრიკის აღდგენისთვის.

ამ ამბავმა ქალაქს ელექტრონივით დაუარა, ვილლი და ბუგეტი გამარჯვებულები დადიოდენ.

ფერსტერმა ფული გადაიხადა. ამის შემდეგ ბარნეტი და ემმა ვალდაუენიდან წავიდენ. ფერსტერის მახლობელნი ამბობდენ, ისინი პარიზში დასახლდენო.

მეორე დიდი ამბავი ის იყო, რომ საოკუპაციო საფოსტო მმართველობამ მოხუცი კორბსი სამსახურიდან დაითხოვა როგორც გერმანელი. მოხუცს პენსიაც კი არ დაუნიშნეს. დაახლოვებით იმავე დროს პაულმა პასუხი მიი-

ლო: იგი დანიშნეს მასწავლებლის თანაშემწედ ძალიან მცირე ჯამაგირით. მაგრამ ის ამითაც კმაყოფილი იყო.

მოხუცი კორბსი შეურაცხებით იტანჯებოდა, ქუჩაში აღარ გამოდიოდა და მალე ავადაც გახდა.

ამ ჟამად პაულისათვის ერთადერთი სიამოვნება და სიხარული იყო მივიწყებული ვიოლონი. ყოველდღე მას ხანგრძლივ უკრავდა. არაერთხელ წეუნიშნავს, რომ ხალხი ფანჯრის ქვეშ ჩერდებოდა. ორჯერ საჯაროდ გამოვიდა მუშათა კლუბში. რომელსაც ხალხი არც იმდენათ ეტანებოდა. ბ-ნმა ლიბერმანმა კლუბის სალექციო დარბაზი კინო-თეატრისთვის გააქირავა.

ზამთრის დასაწყისს პაულს მცირე ამბავი შეემთხვა. მან გადასწყვიტა შეეტყობინებინა პრეზიდენტ ვილსონისთვის თავის ქალაქში მომხდარი საშწუხარო ამბები და დაწვრილებითი წერილი დასწერა, სადაც ლაპარაკობდა ფაბრიკის გაჭირვებაზე, ქვანახშირის კრიზისზე და სხვ. ამ წერილში სხვათა შორის, სწერდა:

> „მე არ ვაპირებ კრიტიკით შეეეხო ვერსალის შეთანხმებას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ იგი ომის ხიფათს ვერ მოსპობს. ყველაფერი, რაც ჩემ თვალწინ ხდება, მრავალ მხრივ მაგონებს ომის დროინდელ უბედურებას. ახალი ხელისუფლება არაფრითაც არ არის წინანდელზე უფრო ჰუმანიური. წესრიგი როგორლაც დაირღვა. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იყოფა. უმუშევრობა ჰბადებს უკმაყოფილებას და სასოწარკვეთილებას“.

უნდა ითქვას, რომ წერილის ეს ადგილი არ მოეწონა ვალდაუენის ფოსტის ახალ გამგეს. შეიძლება სწორედ ამი-

ტომ მოხდა, რომ ფოსტის გამგემ შტამპი დაჰკრა: „მისამართის გაურკვევლობის გამო დაუბრუნდეს“, თუმცა ბ-ნ ვილსონის ვაშინგტონის მისამართი კალიგრაფიულად იყო დაწერილი. რამდენიმე დღის შემდეგ პაულმა წერილი უკან მიიღო. ფოსტის გამგემ გულახდილად განუცხადა მას:

— თქვენ როგორც საფრანგეთის ქვეშევრდომს, არ შეგშვენით ჩვენ შინაურ საქმეებზე მიწერ-მოწერა იქონიოთ უცხო სახელმწიფოს მეთაურთან. თუნდაც იგი ისეთი გულწრფელი მეგობარი იყოს ჩვენი. როგორიცაა ბ-ნი ვილსონი.

პაულმა წერილი არ გაგზავნა. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავდა, რომ ის ფოსტის გამგეს ეთანხმებოდა.

ასე გავიდა ერთი წელი. ამ ხნის განმავლობაში თითქო გამოირკვა ცხოვრების ახალი მოხაზულობა, პაული დაიმედებული იყო, რომ ხალხი ბოლოს დამშვიდდებოდა. ხან აქ, ხან იქ ომის ცეცხლი ამოვარდებოდა ხოლმე. პაული ყოველთვის განაბული ადევნებდა თვალყურს ამბებს. ზაფხულში ალისა მილლენი თავის მამას ესტუმრა. ალისა დადგა სერიოზული გონიერი ქალი. მუშაობდა პარიზში. წერდა კომუნისტურ გაზეთებში.

— შენ კიდევ გჯერა ფარისეველ ვილსონისა? — ჰკითხა ალისამ პაულს.

— მე მჯერა, რომ ხალხი გაიგებს, თუ რა არის ომი.

— შენ თვითონ კი გაიგე?

— მგონი გავიგე.

— ზავი, ეს ზავი კი მოგწონს?

— მე მგონია, ასეთი ზავიც კი სჯობია ომს.

— ბაგრამ ზავი რომ არ არის?

— როგორ თუ არ არის?

— ასე. არ არის, ომი გრძელდება, უფრო ცხადათ და ცხადათ ყალიბდებიან ფრანგული იმპერიალიზმი, ინგლისის საქვეყნო ბატონობა და ამერიკის მადა ევროპისადმი. გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი ფრონტი, გაცილებით უფრო დაუნდობელი, თუმცა არც იმდენად სისხლისმღვრელი, როგორც ვერდენისა იყო.

— რაზე მელაპარაკები?

— თუნდაც იმაზე რაც აქა ხდება. მეფაბრიკე კავშირს ჰკრავს სიმშილთან. ეს რა არი? მანევრია? როგორ გგონია, რით გათავდება ეს?

დიდ ხანს საუბრობდენ.

მეგობარმა უბრალო და წყნარი სიტყვებით გაუხსნა პაულს ცხოვრების ისეთი ახალი მხარეები, რომლებზედაც ის ფიქრსაც კი ვერ ჰბედავდა.

ამ საუბრის შემდეგ მეორე დღეს, პაულმა ერთერთ საშვალო კლასში გაკვეთილის დროს ჩამოაგდო ლაპარაკი ომზე. თვითონაც ვერ შეამჩნია, როგორ გაიტაცა ამ აზრმა. და ცხარე სიტყვა წარმოსთქვა, ბავშები ყურადღებით უსმენდენ.

— თქვენ, ახალგაზდა თაობა, არ უნდა წახვიდეთ ომში, ეს დაიხსომეთ. — დაასრულა მან სიტყვა.

ერთი დაბალი წავგვრემანი ბიჭი წამოდგა და პაულს ხმამაღლა ჰკითხა:

— თუ გვიბრძანეს, ბატონო მასწავლებელო?

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. აბნეული პაული შესცქეროდა მისკენ მიმართულ ბავშურ სახეებს და ოდნავ გასაგონი ხმით უპასუხა:

არ გიბრძანებენ... თუ თქვენვე არ მოისურვებთ.

არავინ იცის, საიდან გაიგო სკოლის გამგემ ეს ამბავი. იმავე დღეს მან პაულს შენიშვნა მისცა. თანვე მისცა წინადადება, რათა იგი საფრანგეთის განათლების სამინისტროს მიერ დადგენილ პროგრამას მტკიცედ გაჰყოლოდა.

— —

დეკემბერში ხმა გავარდა, ფაბრიკა ხელახლა ამუშავდებაო.

იანვრის დამლევს მოულოდნელად ჩამოვიდენ ბარნეტი, ემმა და თან სტუმრები ჩამოიყვანეს. მათ შორის რამდენიმე სამხედრო პირიც იყო. სტუმრებმა მალალწარჩინებული სამხედრო პირის მეთაურობით უმცროს შტაბ-აფიცრის და ბარნეტის თანხლებით ფაბრიკის მდებარეობა დაათვალიერეს.

— ნეტა რას აპირებენ? — კითხულობდენ უმუშევრები.

რამდენიმე ხნის შემდეგ პაულთან ორი ხნიერი მუშა მივიდა და სთხოვა ფერსტერთან წასულიყო და გაეგო, მართალი იყო თუ არა ის, რასაც ქალაქში ყბედობდენ.

პაული დიდ ხანს უარობდა, მაგრამ მოხუცებს უარი ვერ უთხრა.

— ბატონო კორბსო, თქვენ აქ კარგად გიცნობენ. მტრად არ მიაჩნიხართ, ჩვენ კი უკვე სამართალში ვიყავით მიცემული...

— კეთილი, ვცდი.

— გთხოვთ გაიგოთ, იქნება მართლა გვექნეს სამუშაო, თორემ ძნელია ახალი გაზაფხულს ხელდაკრეფილი დავუხვდეთ.

მართალი რომ ვთქვათ, პაული ოღნავ უხერხულობას გრძნობდა, როცა სადარბაზოდ მიდიოდა. ის არ მოელოდა, მაგრამ მას მეტად გულმხიარულად დაუსვდენ. მაშინვე გააცნეს იგი სტუმრებს, დაბალმა, სავსე აფიცერმა ბანჯგვლიანი ხელი ჩასჩარა:

— გენერალი ლაგურელლი.

— კაპიტანი ჟანუე, სამხედრო ინჟენერი.

— ქალბატონ ემმას სიყრმის მეგობარი, აქაური მუსიკოსი... ბოდიში... მასწავლებელი..

— ცნობილი წიგნის ავტორი.

— ძალიან საინტერესოა, წავიკითხავ. რაზე სწერს?

— პაციფიზმის შესახებ.

— ფრიად საინტერესოა.

— ბატონო. ჩვენ ყველანი პაციფისტები ვართ. — სთქვა ბარნეტმა.

— მე ოღნავ სხვანაირად მესმის პაციფიზმი, — შენიშნა პაულმა.

საუბარი სწრაფად გადავიდა მუსიკაზე. პაულს სთხოვეს მომავალ კვირას დაეკრა. მან დრო იხელთა და ფერსტერს თავის მოსვლის მიზეზი აუხსნა.

— მართალია, — მიუგო მან, — ამ ჟამად მოლაპარაკება გვაქვს გამართული პარიზთან და შესაძლებელია გაზაფხულზე ფაბრიკა ამუშავდეს. მუშებს, რა თქმა უნდა, ფრთხილად შევარჩევთ.

— ამბობენ, თითქო ფაბრიკა... — მაგრამ შეიძლება მართალი არ იყვეს... — იმუშავებს სამხედრო საჭიროებისთვის და...

— არა, მაგაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. გარდა ამისა, სამხედრო უწყებას დიდძალი საღებავი სჭირდება და შე-

საძლებელია ხვეული მოლაპარაკები ისე დატრიალდეს, რომ... ვითომ რატომ არაო?.

— —

ამბები სწრაფად ვითარდებოდა. გენერალ ლაგურელ-ლის სასწრაფო წასვლის შემდეგ ორი კვირა გავიდა. მუ-შათა კლუბში ბ-ნ ფერსტერის განცხადება გააკრეს. მუ-შებმა დაიწყეს ჩაწერა სამუშაოზე. ბევრი იმათგანიც დაბ-რუნდა, ვინც უკანასკნელ წელს ვალდაუენი დასტოვა. ფაბრიკა თანდათან ამუშავდა.

ხელფასს არა უშავდა რა. ბარნეტმა პარიზიდან ახალი მანქანები მოიტანა. ფრთხილად გადმოქონდათ ყუთები ვაგონებიდან, რომელნიც შიგ ფაბრიკის ეზოში მოაყენეს, ქალაქში ფული გაჩნდა. მაღაზიები გაიხსნა. ბავშები სკო-ლაში თითქო გამხიარულდენ.

ფაბრიკაში ისევ მოხსნეს ძველი მანქანების უმეტესი ნაწილი, რომელიც შარშან დასდგეს და მათ ნაცვლათ გამართეს ახალი არმატურა. მუშაობას პარიზელი ხელოს-ნები ხელმძღვანელობდენ.

შემდეგ ისევ მოვიდენ გენერალი ლაგურელი და კაპი-ტანი ინჟენერი. ჩამოვიდა აგრეთვე ფრანგ სალდათების ასეული, რომელიც ძველ ჩარდახებში დააბინავეს. ფაბ-რიკის ცხოვრება წინანდელ კალაპოტს უბრუნდებოდა და მრავალმხრივ ჰგავდა ომის წინა-ხანას: სამხედრო მთავ-რობის ნებადაურთველად აკრძალული იყო ფაბრიკის მი-წაზე ფეხის-დადგმა. დაქირავების დროს მუშებს რაღაც ფურცლებზე აწერინებდენ ხელს. საერთოდ ხალხი ცოტას ლაპარაკობდა.

მუშაობა გაჩაღდა. ყველასთვის ცნობილი „საიდუმ-ლო“ იყო, რომ ფაბრიკა სამხედრო უწყებისთვის მუშაობ-

და. მაგრამ, რას ამზადებდენ იქ, ჯერ ამისა არაფერი იცოდენ. მალე, ფაბრიკის გახსნის შემდეგ ბ-ნი კუგელი დაითხოვეს. მოხრილმა, ვეება კაცმა დინჯად მიიღო თავის უკანასკნელი ხელფასი. ის არ მალავდა, რომ გერმანიაში აპირებდა წასვლას. სადაც იგი მიიწვიეს. როცა მოხუც კორბსს ემშვიდობებოდა, ბატონმა კუგელმა პირდაპირ განუცხადა თავის აზრები:

— ყველაფერი ახალგაზდა ბარნეტის ეშმაკობაა. აი ნახავთ, ეს ადამიანი თავის სიცოცხლეს ჰორიზონტალურად არ გაათავებს. ეს კაცუნა ან დიდ წარმატებას მიიღებს. ან მალალ სახრჩობელაზე ავა. ფაბრიკის მუშაობის შარშანდელი შეჩერების აზრი ხომ მას ეკუთვნის! ბ-ნ ფერსტერს მისი ამუშავება აზრადაც არ ჰქონია. მას მტკიცედ სწამდა, რომ ვალდაუენი ხელახლა დაუბრუნდებოდა გერმანიას.

— კიდეეაც დაუბრუნდება,—აღელდა მოხუცი კორბსი

— მე და თქვენ, ძვირფასო კორბს, ამას ველარ მოვესწრებით. — ხელი ჩაიქნია კუგელმა. — მაგრამ ეს არაფერია, აი საინტერესო რა არის: როგორ იქცევა ბ-ნი ფერსტერი, გერმანელი პატრიოტი? მან თავის თავი ფრანგულ იმპერიალიზმს მიაქირავა. ის საფრანგეთის ჯარისთვის მუშაობს.

რას მეუბნებით?

— არხეინად იყავით. აგრეა. ისინი იქ შოკოლადის კანფეტებს არ ამზადებენ... ბ-ნ ფერსტერზე ჩემი აზრი ჯერ არ დამიმთავრებია. შემდეგ უნდა მოგახსენოთ: ბ-ნი ფერსტერი, უნდა აღვიაროთ, პატიოსანი კაცია. წარსული საუკუნის ადამიანია, კარგი კომერსანტია. კარგი მეფაბრიკეა, გერმანელი მეფაბრიკე... და აი, ასეთი ადამიანი ერთ წელიწადში ასე შეიცვალა... როგორ გგონიათ. ეს ვისი

ნამუშევარია? რა თქმა უნდა — ძვირფასი სიძის, ბ-ნ ოტ-ტო ბარნეტის. დიახ, დიახ. ეს ისევე ცხადია, როგორც ოხრა № 1. ბატონი ბარნეტი გაქნილი კაცია. იგი მონაწილეობდა ბერლინის რევოლიუციაში, კაიზერის გაგდებაში, შემდეგ იგივე მონაწილეობდა რევოლიუციონერების დევნაში, ფერსტერი აიძულა მან ფული გაეღო „ელზასის პასსიურ წინააღმდეგობის“ დასახმარებლად. მაგრამ, როცა მან დაინახა, რომ აქედან არაფერი გამოვიდოდა, ის უმალვე პარიზში განჩდა. სამ თვეში ბარნეტმა მოახერხა ჩაწერილიყო ლორენის ნამდვილ მრეწველად, ნაცნობები გაეჩინა და სამხედრო წრეებს დაახლოვებოდა, რომელთაც ეხლა საფრანგეთის პოლიტიკაზე დიდი გავლენა მოიპოვეს. ნამდვილად რომ ვთქვათ, ადვილი ასახსნელია მისი სიყვარული სამხედრო საქმისადმი. ომის დროს ბარნეტმა სამხედრო აირის კომბინაციის მეოხებით ძალიან წაიწია წინ. ვალდაუენის ქარხანამ ამ მხრივ რომ ძალიან ბევრი რამ ახალი გააკეთა. ბარნეტის ლაბორატორია სააირო ტაქტიკის ნამდვილი შტაბი გამოდგა. მე თვითონაც ბევრი ველაპარაკე ამაზე ბარნეტს. ის არ აერის ჰუმანური აირის მოხრე. მისი აირი არ აძინებს, ცხვირს არ აცემინებს, არა, მისი აირი დაუნდობლად ანადგურებს. მის უკანასკნელ აღმოჩენას არც სუნი აქვს და არც ფერი.. აირი ჰაერისგან არაფრით განსხვავდება. ბარნეტის აზრით ჰუმანური აირი უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფო საკუთარ მოქალაქეებს ებრძვის, საგარეო ომის დროს კი იგი ზედმეტი სანტიმენტალობაა.

ბ-ნი კუგელი შეჩერდა. მერე განაგრძო. უმთავრესად პაულს მიმართავდა:

— სხვათა შორის, ბარნეტს მცირე უსიამოვნება შეემთხვა. დიდი ძიების შემდეგ მან მოახერხა და გამოიგონა

გასაგიჟებელი აირი. იგი ისე მოქმედობს, რომ როცა სუსტ-ნერვიანი ადამიანი დაინახავს, თუ რა დღეს აყენებს ეს აირი სხვას, შეიძლება ჭკუიდან თვითონაც შეიშალოს. ეს აირი ჰაერზე მხოლოდ ერთი მეათასედით არის მძიმე. იგი უხსნის სულიერს კანის ცხრილებს და ძარღვებს და სხეულიდან მთელ სითხეს უშვებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ვისაც ეს აირი მოხვდება, მუმიად გადაიქცევა. ამ აირის მიზანთანაბარობას ასე ამართლებს ბარნეტი: ის გარანტიას იძლევა, რომ ჟრონტს მძორის საზარელი სუნი აღარ მოედება, რადგან ამ აირით მოკლული სულიერი არ იხრწნება. რას იტყვით ამის გამო? ხომ გენიალურია!

— დაუჯერებელია...

— საშინელებაა. მაგრამ ამ აირს პატარა ამბავი შეემთხვა. ბ-ნმა ინჟენერმა სწორედ იმ დროს მოახდინა უკანასკნელი ცდა, როცა რევოლუცია დაიწყო, ასე რომ ეს აირი დროებით მის საიდუმლოებად დარჩა. ბარნეტი წასკლამდე მუდამ თავის ლაბორატორიაში იყო ჩაკეტილი და რაღაცაზე მუშაობდა... მე მგონია, ამ საჩუქრის გარდა, ისეთი რამეც მოეპოვება ბარნეტს, რაც მეტად აინტერესებს საფრანგეთის სამხედრო უწყებას.

— მესმის, — დაიძახა პაულმა. — ჩვენი ფაბრიკა ამ აირის დამზადებას შეუდგება.

— არა, მარტო ამას კი არა, — დაამშვიდა პაული კუგელმა.

— მაგრამ ეს ხომ...

— არაფერი, ახალგაზდა მეგობარო, ეს კიდევ არაფერია. ეს, ასე რომ თქვათ, მხოლოდ კვირტებია. ვალდაუ-ენის ქარხანა იმდენად საქონლის დამამზადებელი არ არის, რამდენადაც დიდი ლაბორატორია. რომელიც...

— რომელიც, თუ დრო დადგა, შეიძლება ბაზად გადაიქცეს. არა?

— სრული სიმართლეა, ამიტომ ნუ გიკვირთ, რომ ბ-ნმა ფერსტერმა ასე მალე და ადვილად მოახერხა სესხის აღება. ამისთანა საქმისთვის ფული მუდამ იშოვება. ფაბრიკის მიერ ავანსად მიღებული ათი მილიონი ფრანკი იმის მაჩვენებელია, თუ როგორ უყურებენ ამ საქმეს ცენტრში... აბა, დროა წავიდე... ჰო, მართლა, პაულ, რაც შეეხება სასკოლო მეგობარს კლემენსს უნდა მოგახსენოთ: თამამი, პრინციპის მიმდევარი მეტად პატიოსანი და ჭკუამახვილი კაცია. გუშინ ჩემთან იყო. ქარხანაში პირობით მიიღეს. ბარნეტმა იცის მისი ფასი, მაგრამ ერთი რამ მაინც არ იცის: კლემენსი მას ორივე ბეჭზე დასცემს. დრო მოვა... აქ ბრძოლაა საჭირო, თორემ ისე არაფერი გამოვა. გუშინ თქვენზედაც გვქონდა საუბარი. კლემენსი ძალიან კარგი თვალით გიცქერით.

— დარწმუნებული ვარ, რომ ერთა ლიგას ჩვენი ქარხნის არსებობაზე არავითარი წარმოდგენა არ აქვს. უნდა როგორმე შევატყობინოთ მას.

— რას აპირებთ?

— ჯერ თვითონაც არ ვიცი, მაგრამ საჭიროა რაღაც გავაკეთოთ.

— კეთილი. კეთილი, ოღონდ კარგად მოიფიქრეთ.

მოხუცმა კორბსმა გააცილა სტუმარი, რომლის მოღუნული ზურგი ფანჯრის იქით გაცურდა. მამა დაბრუნდა.

— პაულ, გესმის?

— მესმის.

— მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ. შენს საქმეებში ბ-ნ კუგელს ნუ ჩარევ. თუნდაც მის წასვლამდე... ძალიან მთხოვა. გაიგე?

პაულმა მაძას შეხედა. მისი გამოხედვა სადღაც შორს იყო. მაშინალურად უპასუხა:

— გავიგე, მამა. გავიგე. რატომ რა უნდა გავიგო. რატომ?

...

იმ დღეს პაული კლემენსს ეწვია. ვილლის დაღლილობა ეტყობოდა და ცუდ გუნებაზე იყო. პაული რომ შევიდა ოთახში, არც კი წამოდგა. მჯდომარემ გამოუწოდა ხელი:

— მთელი დღეა ფეხზე ვარ, დავიღალე.

პაული დიდ ხანს არ დარჩენილა. მაშინვე უამბო, რისთვისაც მოვიდა. ცდილობდა ვილლისთვის თვალებში ემზირა და სიტყვა რომ დაასრულა, ჰკითხა:

— შენ შენი თავი რევოლიუციონერად მიგაჩნია და ყოველივე ამას ითმენ? ეს შეუძლებელია!

ვილლიმ ალმაცერად გაიღიმა და დაღლილი ხელი გაიქნია.

— იცი რა, ძვირფასო კორბსო, შენ ხომ უნდა გესმოდეს ზოგი რამ. რევოლუცია ერთ დღეში არ კეთდება. მისი შემზადება რთული საქმეა და მოითხოვს გამუდმებულ დღითიდღე დაძაბულ მუშაობას, არა ნაკლებს ვიდრე, ვთქვათ, სახლის აშენება, ან რკინის გზის გაყვანა. და ჩვენ შორის ზოგი ეზიდება აგურს და სხვა საშენ მასალას. ზოგი კი ამ მასალით აშენებს. მიზანი კი ერთია: რაღაცა ააშენონ და შემდეგ...

— არ მესმის.

— მე ვხედავ, რომ არ გესმის. აბა ერთი მითხარი, რა შეიძლება გაკეთდეს? რა შეუძლიათ ვალდაუენის მუშებს, რათა აქ აირი არ მზადდებოდეს?

— არ უნდა იმუშაონ.

— მაშინ სხვა მუშებს მოიყვანენ.

— არ უნდა შემოუშვან.

— მაშ ვის ხელშია სახელმწიფო, ძალა და ჯარი?

— ერთი სიტყვით, მუშებს გამოსვლისა ეშინიათ, არა?

— არა, გამოვალთ, მაგრამ ისე კი არა, როგორც შენ გგონია.

— მაშ როგორ?

კლემენსმა გულახდით და დაწვრილებით აუხსნა ვითარება. პაულმა გაიგო, რომ მუშათა მასსებს და კომუნისტებს არ ეძინათ. კლემენსმა უამბო, რომ მას მეიდრო კავშირი აქვს ცენტრთან და იქიდან ალისამ მრავალჯერ გამოუგზავნა ინსტრუქციები. პაული მიხვდა, რომ ის იმ-ყოფება მებრძოლ ბანაკის შუა, რომელნიც მუდამ წამს მზად არიან ერთმანეთს ეძგერნენ. ერთი მხრით სდგანან ორგანიზაციულად შეკრული მასსები, მაგრამ შიშველ-ხელებიანი მასსები, მეორე მხრით კი თავით ფეხებამდე შეიარაღებული სახელმწიფო ძალა ბარნეტთან ერთად. (პაულს მოთმინება დაეკარგა, მაგრამ კლემენსმა დაუმ-ტკიცა, რომ მისი აჩქარება უიმედობით აიხსნებოდა).

პაულს ეს სისტემა ეჩვენებოდა ნელად, უნდილად. იგი წვრილი შეხლა-შემოხლაა. მას ეხლავე სურდა ჭექა-ქუ-ხილი.

იმ ღამეს პაულის ფანჯარა რიჟრაჟამდე იყო განათე-ბული. ის წერილს წერდა ერთა ლიგას. ის ანიშნებდა უბე-დურების მოახლოვებას. ის მოუწოდებდა ზავის დაცვი-სათვის, მან დაწვრილებით ასწერა ყველაფერი, რაც ვალ-დაუენში ხდებოდა, და ერთა ლიგის სათანადო ორგანოებს სთხოვდა ამ საქმეში ჩარეულიყვენ, სამხედრო მრეწვე-ლობის ბაზა დაეხურათ და ახლად მოწოლილი ხიფათი აეცილებინათ.

შაბათს პაულმა უკვე დაითხოვა მოწაფეები, შინ დაბრუნდა და ის-იყო აპირებდა ვიოლონის ამოღებას. რომ კარის კაკუნი გაისმა.

— მობრძანდით! — სთქვა პაულმა.

კარი ფრთხილად გაიღო და უბრალოდ ჩაცმული უცნობი შემოვიდა. პაულმა შენიშნა, რომ მის ყოფაქცევაში იმდენად მორიდება არ იყო, რამდენადაც სიფრთხილე. ცალი თვალით პაულს სინჯავდა, ცალით კი ოთახს ათვალიერებდა. უცნობმა განურჩეველი ხმით ჰკითხა:

— პაულ კორბსი თქვენ ბრძანდებით?

— მე ვარ.

ახალმოსულმა ვიოლონს დაადგა თვალი. კარებთან იდგა. მოსცილდა და სთქვა:

— თქვენ ვიოლონს უკრავდით? ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის.

— ვისთან მაქვს პატივი?

— ეხლავე, ამავე წუთს ნებას მაძლევთ დავჯდე?

— ინებეთ!

— აი რას მოგახსენებთ, ასეთი საქმეა, — სთქვა ახალმოსულმა და ჯიბეში რაღაც მოიფათურა. მან იქ შეასწრო. რაღაც უხერხულად მდებარე მძიმე ნივთი და განაგრძო:

— საქმე ის არის, რომ თქვენთან ერთი დავალება მაქვს.

— არ მესმის.

— გთხოვთ ეს საბუთი გაიცნოთ, — უთხრა მან უკვე შეჩვევით და გაუწოდა პაულს პატარა თეთრი ოთხკუთხედი სადარბაზო ბარათი.

პაულმა ბარათის ხელში აუღებლად სწრაფად წაიკითხა:

„მარსელ ჟაკო, სიურტეს აგენტი“.

— რით შემიძლია გემსახუროთ?

სწორეთ მაგაზეა ლაპარაკი. თქვენ ჩემთან ერთად დაგჭირდებათ წამოსვლა. გთხოვთ ისეთი არაფერი ჩაიდინოთ, რასაც შეიძლება გარეშეთა ყურადღება მიექცეს. ამას თქვენივე ინტერესი მოითხოვს. ყველაფერს ემჯობინება, რომ სკოლის გამგეს რამდენიმე სტრიქონს მისწერდეთ: გადაუდებელ საქმის გამო პარიზში წავედიო. გარდა ამისა, კარგი იქნებოდა თან წამოგელოთ რამდენიმე წყვილი საცვალი და ამგვარი რამ. არ გირჩევთ წამოიღოთ ქაღალდი, ფანქარი, დანა და საათი. — დაუმატა მან სწრაფი თქმით.

— ეს დაპატიმრებაა?

— სრული სიმართლეა. — ძიუგო აგენტმა და წამოდგა.

მხოლოდ ეხლა შენიშნა პაულმა, რომ აგენტის პალტოდან ბრაუნინგის თლილი ლულა იცქირებოდა.

— იმედია, მეტი განმარტება არ გჭირდებათ! — უთხრა აგენტმა სრულებით ახალი ტლანქ-ოფიციალური კილოთი.

— სინდისის ქვეშ რომ გითხრათ, მსურს მიზეზი გავიგო.

ჟაკომ გაღიმება სცადა.

— ამ მხრივ ვერაფერს ვერ გეტყვით. მეც ამაზე მეტი არაფერი ვიცი. განკარგულება უშუალოდ საშინაო საქმეთა სამინისტროსაგან მოდის. მაინც იმედია, ბრალდებას მალე წამოგიყენებენ.

პაულს ვერას გზით ვერ შეეძლო გაეგო დაპატიმრების მიზეზი. თავისთვის ყველა ამბები გაიხსენა... ამას წინად ახალგაზდა გლიუკი წაიყვანეს, რომელსაც ირედენტაში

მონაწილეობას აბრალებდენ... შემდეგ რკინისგზის მუშა ტიურმერი დააპატიმრეს.

— ძალიან გთხოვთ სამზადისს დიდ ხანს ნუ მოანდომებთ, რადგან ჩვენი მატარებელი ერთი საათის და რვა წუთის შემდეგ გადის, მე კი ბილეთებიც უნდა ავიღო.

პაულმა ვიოლონის ყუთი დახურა, დაჯდა და მამას წერილი მისწერა. მოხუცი კორბსი ამ დროს სტუმრად იყო კრეკსში, თავის ძველ ნაცნობებთან. უკანასკნელ ხანს ის ძალიან შეეჩვია თევზაობას, ხოლო კრეკსის მახლობლად მდინარე საარში კარგი თევზი იპოვებოდა.

პაული სწრაფად სწერდა. შემდეგ ასევე სწრაფად შეემზადა. ძალიან აღელვებული იყო. ჟაკოს უძრავი ეშმაკური თვალები აღეზიანებდა. თავის თავს ბაყაყად გრძნობდა, რომელსაც გველი თვალით აჩერებს, როცა მისკენ გადასახტომად ემზადება.

პაულ კორბსი გაეცნო საფრანგეთის რესპუბლიკის საპატიმრო რეჟიმს და მიიღო ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს რეჟიმი იმაზე გაცილებით უფრო უკეთესი იყო, რასაც მასზე სწერდენ. მართალია, მას წაკითხული ჰქონდა დიდი მწერლების მიერ აწერილი საშვალო საუკუნეთა საპატიმროები, შემდეგ ბუნდოვანად მოიგონა მან კიდევ ერთი წიგნი, რომელშიც აწერილი იყო ვენეციის საპატიმრო ისეთი საშინელებით, რომ გული უფართხალებდა. — მაგრა პაულმა სცნო, რომ ფრანგული საპატიმროები მათზე უფრო უკეთესი იყო.

ხოლო იგი მაინც საპატიმროა. ყველაზე მეტად მას ის აწუხებდა, რომ დაპატიმრების მიზეზი არ იცოდა.

„რა დავაშავე? რა ჩავიდინე?“ — ეკითხებოდა თავის თავს.

ათასი რამ გაიფიქრა დაპატიმრების მიზეზსა და საყვედურს უმზადებდა გამომძიებელს, რომელსაც იგი ჯერ კიდევ არ გამოეძახნა.

იგი ფიქრებში უამბობდა გამომძიებელს, რომ ის სულაც არაა გერმანელი, რომ მან დიდი ხანია უკუაგდო ეროვნული შეზღუდულობა... მაგრამ დეე ნურც საფრანგეთი ელოდება, რომ პაული ფრანგ შოვინისტად გადაიქცევა. არა, ის ინტერნაციონალისტია ამ სიტყვის საკაცობრიო მნიშვნელობით. ადამიანია...

იქნებ ფიქრობენ, რომ კომუნისტია? არა, ის წინააღმდეგია შეიარაღებული ბრძოლის. უფრო სწორად რომ ვთქვათ, სოციალისტია, უფრო მეტი სოციალისტია, ვიდრე ალისა მილლენი, ან ვილლი კლემენსი... (არა, არა, ისინი ამ საქმეში არ უნდა ჩარიოს). მისი რწმენა — ზავია, შშვიდობა ადამიანთა შორის.

დიახ, ჯერ კიდევ რამდენი შესაძლებლობა დაურჩა ხალხს გმირობისათვის. ამ ჟამად ადამიანი რამდენად უმწეოა ბუნების სიმკაცრის წინაშე! ადამიანმა ჯერ კიდევ ცოტა იცის თავის თავისა! ამჟამად ადამიანი, ყველაზე უფრო სრულყოფილი სულიერი ამ ქვეყნაზე უკანა ფეხებზე მდგომ ცხოველზე მეტი არაფერია. მართალია, ამ ცხოველს შეუძლია ისევ ადამიანად გადაიქცეს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა სისხლისღვრა მოისპობა.

საუბარი თავის თავთან უფრო გრძელი და გრძელი გამოდიოდა, თანდათან ერთფეროვანი, უფრო მეტად ჰკარგავდა სიცინცხალეს, და ბოლოს შიში შეეპარა მას ამ კამათისა საკუთარ თავთან. ეს დიალოგი აუტანელად აწ-

ყებოდა მის ტკივილს. უკასუხო აზრები მის თავში შეფოთავდენ და ნერვებს უწეწავდენ.

ცალკეულში ორი კვირის პატიმრობის შემდეგ მან შემთხვევით მიიღო გაზეთის ძველი ნომერი. მერე უფრო ხშირად და ხშირად მისდიოდა. ერთ მათგანში პაულმა ამოიკითხა ცნობა, რომელმაც იგი მღელვარებით ააავსო. ეს პატარა საგაზეთო სვეტი მის ტვინში ბუმბერაზად სიმბოლოდ გადაიქცა. მან როგორღაც ფიზიკურად იგრძნო კავშირი თავის ბედისა და ამ საგაზეთო სვეტის შორის. შესაძლოა კორბსს, როგორც ყოველ პატიმარსაც, სჭირდა განცდათა მტკივნეული სიბასრე და მგზნებარება. მაინც უდავოა, რომ მისი ბედის და საგაზეთო სვეტის შორის მართლაც რაღაც კავშირი არსებობდა.

გაზეთში მოთხრობილი იყო რიფებთან ომის დაწყება. ეს იყო პირველი ცნობა დეპეშით საფრანგეთის სარდლობისა, რომელიც აჯანყებულ მარროკოელების წინააღმდეგ ომს აწარმოებდა.

კორბსი უკვე თვეზე მეტი იჯდა და ჯერ ერთხელაც არ გაეწვიათ დასაკითხავად. მან დაპატიმრების მიზეზიც კი ვერ გაიგო. ერთი ხანია მისი საკანის კედელს ვილაც ნერვიულად უკაკუნებდა. პაულს ჯერ არ უნდოდა ამ კაკუნზე ეპასუხნა, მერე კი მაინც გადასწყვიტა ეცადა. გასაუბრება დიდი გაჭირვებით მიდიოდა წინ. კაკუნი კარგად არ გამოდიოდა. მისი აზრი უფრო ნერვებით ესმოდა, ვიდრე გონებით.

მეზობელი ეკითხებოდა:

— მარტო ხართ?

— მარტო.

დიდი ხანია?

— ხუთი კვირა.

— მე კი ოთხი.

მალე ამის შემდეგ პაულმა იპოვა საპირფარეშოში ქაღალდის პატარა ნაგლეჯი, რომელზედაც ფანქრით მორზეს ანბანი იყო დაწერილი. იმ დღიდან მათ გაძლიერებული კაკუნი გამართეს.

მესუთე კვირის დამლევს პაულ კორბსის საკანთან მოულოდნელი ლაპარაკი გაისმა. კარი გაიღო და საპატიმროს მოხელის თანხლებით საკანში შემოვიდა ქალი და კაცი. პაულმა ალისა იცნო.

— აქ რას აკეთებ? — თითქო ხუმრობით ჰკითხა ალისამ.

კაცი აღმოჩნდა პარლამენტის გავლენიანი წევრი, რომელსაც კორბსის დაპატიმრების გამო შეკითხვა შეეტანა საპარლამენტო კომისიას ნებართვა მიეცა მისთვის პატიმართან პირადათ ესაუბრა. რა თქმა უნდა, ამ საქმეში ბევრი რამ გააკეთა კლემენსმა, რომელმაც პაულის მოულოდნელი დაპატიმრება ალისას აცნობა, იმან კი კომპარტიის საშვალებით საქმე პარლამენტამდე მიიტანა.

პაულმა უამბო, რომ იგი ჯერ კიდევ დაუკითხავი ზის. მას ეუბნებიან, რომ იგი პოლიტიკური დამნაშავეა, და ამაზე მეტი მან არაფერი იცის.

მეორე დღეს პაული კანტორაში გაიხმეს, რკინის გზის ლიტერი მისცეს უკანვე წასასვლელად და გაანთავისუფლეს. პაულმა ყველაფერი მდუმარებით მიიღო და არავითარი სიხარული არ გაამჟღავნა. საპატიმროს გალავანს გასცილდა, ოდნავ თავბრუ ეხვეოდა.

ის მილასლასდა ტრამვაის პირველ შეჩერებასთან, სანამ ვაგონში ჩაჯდებოდა, კიოსკში „ჰუმანიტეს“ ნომერი

იყიდა. მეთაურს თვალი დააბჯინა: „ფრანგულ იმპერიალიზმის უმწეობა“.

მგზავრები ეხლებოდენ მას. პაულმა განზე გაიწია. ვაგონები მიდი-მოდიოდენ. ის კი, სიხარულით დამთვრალი. ისე კითხულობდა ამ სტრიქონებს როგორც სასწაულებრივ ცნაურებას და ყოველ სიტყვას ათასჯერ იაზრებდა. გაზეთი ნილაბს ხდიდა საფრანგეთის სარდლობას. მას ერთ ერთ პოზიციაზე გაეშვა ახალი არაჩვეულებრივი შხამიანი აირი. რომელიც სახიშტო შეტევას სრულიად ზედმეტად ხდიდა.

სკოლის გამგემ კორბსს შეატყობინა, რომ იგი განათლების სამინისტროს საოლქო რწმუნებულს გადაჰყავს სამოსწავლო წლის დასაწყისიდან მეორე რაიონში, ეხლა კი მას შვებულება ეძლევა, რომელიც მას შეუძლია სადაც სურს იქ გაატაროს. პაულმა ეს ცნობა მშვიდად მოისმინა და განაცხადა, რომ სხვა ალაგზე გადაყვანის საწინააღმდეგო არაფერი აქვს.

სამოსწავლო წლის ბოლომდე ძალიან ცოტა ხანი დარჩა და პაული წასასვლელად შეემზადა. დღისით ის თითქმის არ გამოდიოდა თავის სახლიდან, რომელიც დღითიდღე ძველდებოდა. მას არ სურდა ხალხის ნახვა და ვიოლონსაც კი აღარ იღებდა.

პარიზიდან პაული წიგნებით სავსე ჩემოდანით დაბრუნდა. უკანასკნელ დროს ბევრს კითხულობდა, ბევრს სწერდა, ხოლო უფრო მეტად მობერებული კორბსი თის გარშემო უმწეოდ დაბაჯბაჯებდა და სულ იმეორებდა:

— ბატონი კუგელი ჭკუიანია, შინ დაბრუნდა.

— მამა, ჩემი სახლი იქაა, საცა ვმუშაობ.

— მაგრამ ხომ ხედავ, რომ აქ არ გასვენებენ!

ერთხელ საღამოს ვილაცამ დაურახუნა. შემოვიდა ვილლი. უხერხულად გაიღიმა და მაგიდას მიუჯდა:

— პაულ, მსურს პირისპირ მოგელაპარაკო.

მოხუცი კორბსი მეორე ოთახში გავიდა. თანაც ბურტყუნებდა:

— საიდუმლო... სულ საიდუმლოა...

— მოხუცს ნუ გაუწყრები, ვილლი. მას ჯერ კიდევ ჰგონია, თითქო მე და შენ ბავშები ვიყოთ.

— იმისთვის მოვედი, რომ ზოგიერთი ახალი ამბავი შეგატყობინო. ალისამ მომწერა. შენი დაპატიმრების მიზეზი გამოირკვა.

— ძალიან საინტერესოა.

— შენ ერთა ლიგას მისწერე აქაური საქმეები?

— მივწერე.

— პასუხი მიიღე?

— ჯერ არა.

— როგორ არა? კითხვა უნდა იცოდე. — ვილლი შეჩერდა, შემდეგ პაულს მხარზე ხელი სტაცა და უწინდელივით მეგობრულად წამოიძახა:

— პაულ, რას იტყვი რიფებთან ომზე?

პასუხის ნაცვლად პაულმა თავის მხრით ჰკითხა:

— მითხარი, ვილლი, ქარსნიდან ჰგზავნიან სადმე საქონელს?

— ჰო, ისიც რამდენს! შეიძლება პირდაპირ ითქვას: ვალდაუენიდან მარსელში. ჩვენი ნამუშევარის უმეტესი ნაწილი იქ მიდის. თუმცა... ამას წინად ვნახე: მისამართს პოლონეთისას და რუმინეთისას სწერდენ. გარდა ამისა, ჩვენთან პარიზელი ვაჟბატონები ბრძანდებოდენ...

— ჰმ, აგრე...

— ალისამ მოგიკითხა და რწმენა გამოსთქვა, რომ ორი თვის სანატორიუმი ზოგ რამეს გასწავლიდა.

მეგობრები გვიან ღამით დაშორდენ ერთმანეთს. ჭიშკართან ვილლის ბუგეტი უცდიდა. პაულმა ჰკითხა რატომ არ შეიხედა ბუგეტმა მასთან.

— არ მინდოდა ბატონ მასწავლებლის სახელისთვის ჩრდილი მიმეყენებინა.

— სისულელეა. მე უკვე საკმაოდ ვარ სახელგატეხილი

— არა უშავს რა, ღამე მშვიდობისა!

ბუგეტი წინ წავიდა. ვილლიმ პაულს წასჩურჩულა:

შეიძლება ბუგეტი ოდნავ უხეშ კაცად გეჩვენოს, ნამდვილად — კარგი ბიჭია. პარტიულ ორგანიზატორად გვყავს. ძალიან გამბედავი და სერიოზულია. მხოლოდ ერთი უბედურება სჭირს: სწავლა ეძნელება, წიგნი ეჯავრება. საცა გნებავს, წავა. დანას პირში ჩაიდებს და ყოველ დემონსტრაციაში ჩაერევა, ოღონდ წიგნზე ნუ დასვამ. ეჰ, რას იზამ: ჩვენ უნივერსიტეტ-დასრულებული ხალხი არა გვყავს და ისე ვმუშაობთ როგორც შეგვიძლია.

— —

ყველაფერი თავის რიგით წავიდოდა, რომ საზარელი უბედურება არ მომსდარიყო. ქარხანაში აფეთქებისგან 24 მუშა დაიღუპა. უმეტესობა ცოლშვილიანი აღმოჩნდა. ამ შემთხვევამ ძალიან გაამძაფრა მტრობა ქარხნის მპარეველთა და მუშების შორის.

მეორე დღეს ბუგეტი პაულთან მოვიდა და მუშების სახელით სოხოვა კრებაზე მოსულიყო. ისინი ემზადებოდენ მოთხოვნილების დასაწერად და სურდათ პაულიც დახმარებოდა.

პაული ხალისით დაეთანხმა და ბუგეტთან ერთად კლუბში წავიდა. კლუბი ძალიან გაცხოველებული იყო. მოთხოვნილებათა რიცხვი თანდათან მატულობდა. მდგომარეობა მწვავდებოდა, გაცილებით უფრო გართულდა. ვიდრე პირველ წუთებში მოსჩანდა.

სამხედრო დისციპლინა აიძულებდა მუშებს თავიანთ საჭიროებაზე გაჩუმებულიყვენ, მაგრამ მომხდარმა უბედურებამ ეხლა ძლიერ ააფორიაქა ისინი.

— ხელფასის აწევა.

— დახურულ შენობებში ექვსი საათის სამუშაო დღე.

— რიგრიგობით მუშაობა ჰაერზე და შენობებში.

— კონტროლი დასაცავ და გადამრჩენ აპარატებზე.

— საბინაო პირობების გაუმჯობესება.

— თავისუფლება მუშათა ორგანიზაციებს.

კრების შემდეგ პაული ქარხანაში წავიდა. სამხედრო სარდლობამ არ ისურვა დახოცილთა გვამები მიეცა ნათესავებისთვის, რომელთაც იერიშები მიჰქონდათ სამხედრო უფროსის კაბინეთზე.

— ვისი სახელით შუამდგომლობთ თქვენ? — ჰკითხა პაულს გენერალმა ფერწასულმა ლაგურელლიმ.

— მე წარმომადგენლად ვარ არჩეული, ბატონო გენერალო. —მოკრძალებით და წყნარად მიუგო პაულმა. — თუ დახოცილთა გვამებს არ დაანებებთ, შეიძლება ამას დიდი უსიამოვნება მოჰყვეს. შესაძლებელია მუშებმა გაფიცვა გამოაცხადონ.

— ამ ქარხანაში გაფიცვა შეუწყნარებელია, რადგან იგი სამხედრო ჯწყეებისთვის მუშაობს. — მოუჭრა ლაგურელლიმ.

— სცდებით ბატონო გენერალო. სინდიკატთან დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებაში მაგაზე არაფერია

ხალიჩაში. გარდა ამისა, რესპუბლიკის კახეთი გაფიცვა აკრძალული არ არის.

პაულის სიმტკიცემ და სიდინჯემ გავლენა მოახდინა ლაგურელზე, რომელმაც შესაძლებლად სცნო ცხედრები მიეცა, მაგრამ ერთი პირობით. კუბოები დაჭედილი უნდა ყოფილიყო.

კომიტეტმა მცირე თათბირის შემდეგ მიიღო ეს პირობა, მაგრამ შესწორება შეიტანა: უფლება დაიტოვა დახოცილთა ცხედრები გაესინჯა და აღენიშნა, ვინ რომელ კუბოში იდო.

ლაგურელიმ ჯიბიდან ამოიღო დაბეჭდილი ხელწერილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ყველაფერი შენახული იქნებოდა როგორც საშხედრო საიდუმლოება, და წინადადება მისცა წარმომადგენლებს ხელი მოეწერათ ამ საბუთზე. ყველამ ხელი მოაწერა. უნტერ-აფიცრის თანხლებით ქარხნის ეზოში გავიდნენ. საწყობის ჭიშკრის წინ გუშაგი იდგა, რომელმაც უნტერ-აფიცრის ბრძანებით კარი გაალო. ცარიელ საწყობის ბეტონის იატაკზე ეწყო გათლილი ფიცრებისაგან შეკრული კუბოების გრძელი რიგი. თავზარდაცემულმა პაულმა თვალი გადაავლო 24 ყავისფერ ძუმიას.

— გთხოვთ დააჩქაროთ ცხედრების გამოცნობა, — უხეშად აჩქარებდა უნტერ-აფიცერი.

პაული ამ საქმეში მონაწილეობას არ იღებდა. მას გაახსენდა ინჟენერ კუგელის ნაამბობი.

„ბატონ ბარნეტის მუმიები“, უბზუოდა აზრი ყურებში.

კუბოების თავზე ცარცით წააწერეს მიცვალებულთა გვარები. შემდეგ შემოვიდა ათი სალდათი, რომელთაც ფაცაფუცით დაიწყეს კუბოების დაბეჭდვა და დახრახნა.

სასაფლაოდან წამოსულმა პაულმა ბილიკზე გადაუხვია, რომელიც მთებისკენ მიდიოდა.

ძამა შნაბელი ფრანგულ ენაზე მოუწოდებდა მოთმინებისაკენ და ლაპარაკობდა უფლის დამსჯელ ხელზე და ძისი ნების სიბრძნეზე.

შემდეგ ლაპარაკობდა ახალმოსული ალისა მილლენი. მღვდლის ქადაგების დროს პოლიციის უფროსს ცრემლიც კი მოერია. მაგრამ, როცა ალისამ დაიწყო ლაპარაკი საფრანგეთის რესპუბლიკის იმპერიალისტურ აგანტიურაზე, როცა მან ნიღაბი ჩამოხსნა მაროკოს ომის ნამდვილ მიზეზებს, ბატონმა პრეფექტმა დაუყვირა:

— სიტყვას გართმევთ. ეგ აქ, მოსატანი არ არის.

— თქვენ არავის აურჩევიხართ თავმჯდომარედ. — დაუყვირეს მუშებმა.

დასაფლავება იმით გათავდა, რომ პოლიცია ჩაერია. ამ ჯერად დაპატიმრებას თავი დააღწია.

პაულმა მეტად მძიმე დღეები განიცადა. თავისი რწმენა ცალიერი და უიმედო ეჩვენებოდა.

———

ნელა მიდიოდა. ბილიკის ნაცნობ მოსახვევზე შეჩერდა და ოც ნაბიჯზე ზიგფრიდის ქვა დაინახა. ქვის აქეთა მხარეზე ნათლად მოსჩანდა კაცი და ქალი. ზურგით მისკენ იდგენ, ყოველივე დაევიწყათ ირგვლივ და ერთმანეთს ჰკოცნიდენ.

ის-იყო პაული გამოტრიალებას აპირებდა, რომ ამ წუთს ქალი და ვაჟი ერთმანეთს მოსწყდენ. ქალი ნაბიჯით გამოიქცა პაულისკენ. კაცი ქვას მიეფარა. პაულმა

ორივე იცნო. ესენი იყვენ: ემმა ბარნეტი და კაპიტანი ჟანუე.

პაულმა დაინახა, რომ ვეღარსად გადაუხვევდა. სახეზე აისახა გულგრილობა, წინ წავიდა და ემმას დაუდევრად მისცა სალამი. ემმა ნაძალადევი სიხარულით შეჩარდა. პაულს არ სურდა მას გამოლაპარაკებოდა. გრძნობდა, რომ ემმა მისთვის სრულებით უცხო იყო, უფრო მეტიც: მისი დანახვა ოდნავ აბრაზებდა კიდევაც. ამ დასკვნამ პაული გაახარა. პირველად უყურებდა ამრიგად ემმას, რომელიც უსიამოვნო, უზომოდ თეთრი, არაქალური მაღალიც კი ეჩვენა.

ემმას თხოვნით უკანვე გამობრუნდენ და ქალაქისკენ წამოვიდენ. გარეუბანში პაულს სურდა ემმას გამოსალმებოდა, მაგრამ ქალმა სთხოვა გაეცილებინა. კორბსი დასთანხმდა და კარგად ნაცნობი ბილიკი აირჩია, რომელიც პირდაპირ ფერსტერის სახლის ქვითკირის გალავანთან მიდიოდა. გზა ჯანაგრძეს.

— გახსოვთ, პაულ, — შეჩერდა უცბათ ემმა, — რამდენს დავრბოდით აქ ბავშობისას.

— ეგ დიდი ხნის წინად იყო, და, მართალი რომ ვთქვა. აღარც კი მახსოვს, — დამშვიდებით ტყუოდა პაული.

— ისე მეჩვენება, თითქო გუშინ ყოფილიყო.

ჭიშკართან ემმამ მოსთხოვა, რომ იგი სახლში შეეცილებინა.

პაულმა ჭიშკარი შეაღო.

მიდიოდენ კარგად ნაცნობ ტალანით ემმას ოთახისკენ. გასცდენ პატარა სალონის კარს.

— აქ მომიცადეთ, საბავშო ალბომს გამოგიტანთ. იქ ორივეს ნახავთ, თქვენ თავსაც და მეც. რამდენი ფოტოსურათი, რამდენი მოგონებაა!

უცებ პაულმა აღელვება იგრძნო. ამ სახლის სუნმა, ნაცნობმა მოწყობილობამ დაიწყო მისი სიმტკიცის გაფანტვა. დახედა საათს.

— ნახევარი საათია ჩემს განკარგულებაში.

— ნუ ჩქარობთ, დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს.

პატარა დარბაზში, რომელიც ოდესღაც საბავშო ოთახად ითვლებოდა, არავინ იყო. პაული მივიდა ღია ფანჯარასთან და უკანა ეზოს გადახედა. უცნაური სურათი ეცა. უნებურად ამოეფარა ფარდას და იწყო ქვევით ცქერა. ღია ფანჯრიდან მკაფიოდ ესმოდა სიტყვები.

პატარა ეზოში ქარხნის ყველა მოსამსახურეს და მოხელეს მოეყარა თავი. მათ შორის პაულმა დიდი გაოცებით დაინახა ორი ხელოსანი და რამდენიმე მუშა. მოხელეები შეიარაღებული იყვენ რევოლვერებით და შირის დიდი ჯოხებით. ჯგუფს რკალი გაემართა, ბარნეტი მათ შორის იდგა და უხსნიდა.

— ხომ ხედავთ, ეს ხელის ყუმბარას ჰგავს. ნამდვილად ასეც არის. მაგრამ იგი არ აზიანებს გარსის ნამტვრევებით. ყურადღება იქონიეთ, ბატონებო, ეს პატარა თხელგარსიანი ყუმბარა ფეთქდება მხოლოდ მაწინ. როცა მასში კაპსული სკდება. მასში აირი არის. ომში ამ ყუმბარას შეუძლია სამსახური გაუწიოს ქვეითა ჯარს და მზვერავ რაზმებს. ხოლო მშვიდობიანობის დროს იგი ემსახურება პოლიციას. ამრიგად, ყუმბარა გატენილია ჰუმანური აირით. იგი მომაკვდინებელი არაა და მისი ძალა სჭრის ნახევარ საათს. სულ ბევრი — 45 წუთს. აქ თქვენ ხედავთ ორნაირ ასეთ ყუმბარას. ლურჯი ყუმბარისგან ადამიანს ცრემლი მოსდის და ფილტვები ეკუმშება. ეს ყუმბარა იწვევს ქვითინს. ყვითელი კი სულ სხვანაირად მოქმედობს. მისი აირი ნესტოებით და სახის გზით ტვინში ადის, მის

გარსს აღეზიანებს, ნერვების ცენტრების ნორმალურ მუშაობას არღვევს და იწვევს მოწხამულ ადამიანში შეუჩერებელ, ხმამაღალ ხარხარს. მე ამ ჟამად მრავალნაირ აირს ვცდი. მათ შორის იქნება არა მარტო ცრემლისა და სიცილის ამტეხი, არამედ სხვანაირიც: ამტეხი ცეკვის, დამაძინებელი, ამამღერებელი და მზგავსი. ეს აირები, როგორც უკვე ვთქვი, უმთავრესად პოლიციისათვის არის გამოსაყენებელი, რომელიც შესძლებს ქუჩის დიდი უწესოებანი სწრაფად მოსპოს სისხლის დაუღვრელად.

კარი გაიღო. ემმა შემოვიდა. ხელში მძიმე და სქელი ალბომი ეჭირა.

— მაპატიეთ, გაცდევინეთ.

პაულის თვალებში ბინდი იწვა. ყურებში უბზუოდა. ის ფოტო-სურათებს ვერ ხედავდა. საათს დახედა და საჩქაროდ იწყო გამოსალმება. ემმა შეკრთა. და, როცა პაული უკვე კართან იყო, შეცვლილი კილოთი უთხრა:

— პაულ, მე მსურს გულახდილად მოგელაპარაკოთ

— ინებეთ.

— დღეს... თქვენ... ზევით მთაზე, ზიგფრიდის ქვასთან... დაინახეთ...

— არ მესმის. რა იყო ზიგფრიდის ქვასთან?

— როგორღაც უცნაურათ გეჭირათ თავი, ასე მომეჩვენა. — და ემმამ მსუბუქი კილო აიღო, — მაგრამ ვიცი, რომ თქვენთვის მუდამ არ ვყოფილვარ ასე განურჩეველი...

პაულმა ალმაცერად ჩაიცინა.

— ნახვამდის.

ემმა ჯერ კიდევ ილიმებოდა და გაოცებით შესცქეროდა სწრაფად მოხურულ კარს.

მუშათა კლუბის ირგვლივ გაცხოველება სუფევდა. შიტინგი იყო. ალისა მილლენი მოხსენებას კითხულობდა მაროკოს ომზე და მას უშუალოდ უკავშირებდა ვალდაუენის აძბებს.

მუშა-ქიმიკოსთა მდგომარეობაზე ილაპარაკა პარიზელმა ამხანაგმა. მან გადასწყვიტა მუშათა სინდიკატისათვის ეცნობებინა, რომ ვალდაუენში არ ასრულებდენ მუშების მიერ წაყენებულ მოთხოვნილებებს და ამიტომ გაფიცვა გამოცხადდა.

პაულმა გაიგო, რომ ნახევარ საათის წინად ბარნეტთან ახალი დელეგაცია წასულიყო.

— ყველგან გეძებთ, მაგრამ ვერ გიპოვეთ, — წყენით ეუბნებოდენ მუშები.

დანარჩენი დრო პაულმა გაატარა ალისასთან, ვილლი კლემენსთან და სხვებთან. ამ დღეს იგი ძალიან ჩაფიქრებული იყო და მდუმარე. ეს ალისამაც კი შეამჩნია.

— მესმის შენი გუნება. შენ შენს თავს ბრძოლის ბანაკში გრძნობ. ეს კი, რა თქმა უნდა, პეიზაჟს გიფუჭებს. ხომ მართალია? დამწვიდდი მეგობარო. ცხოვრება ადვილი რამ არ არის. ყველაზე უმცირეს უფლებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა მას ბრძოლით ჰპოულობ. ჩვენ კი, კომუნისტები, პატარა საქმეს არ შევდგომივართ.

— საქმე ეგ არ არის, — სთქვა დაბნეულათ პაულმა, — მე ეგ არ მაფიქრებს.

ერთი საათის შემდეგ დელეგაცია დაბრუნდა. ბუგეტმა ალშფოთებით უამბო ყველაფერი, რაც მან ნახა და გაიგო.

— ბარნეტს ჩვენთან ლაპარაკიც კი არა სურს. მან განაცხადა, ვინც ხვალ სამუშაოდ არ გამოვა, სიიდან ამოვშლიო. მისი აზრით, პროფკავშირის ორგანიზაციას ამ საქ-

მეში უფლება არ აქვს ჩაერიოს. ჩვენი ქარხანა სამხედროა და მისთვის ძალა აქვს მხოლოდ სამხედრო კანონს, და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ ამ ჟამად ქარხნის წინ გუშაგი არა სდგას.

ბუგეტმა ისიც უამბო, რომ ქარხნის მოხელენი და მოსამსახურენი შეიარაღებული დადიანო.

პაული წამოვიდა მუშათა კლუბიდან. მისი წასვლა ვერავინ შენიშნა. მიტინგი გრძელდებოდა. საღამოზე გაფიცვის კომიტეტი შეგროვდა. ოთხი დეპეში გაუგზავნეს ცენტრს და ოთხივეზე ერთი პასუხი მიიღეს:

„მოუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. გამოგზავნილია კომისია".

კომიტეტმა გადასწყვიტა გაფიცვა გამოეცხადებინა. ხოლო, რას გადასჭრის კომისია, მერე ვნახავთო.

ვილლი ყველას ეკითხებოდა, მასწავლებელი კორბსი ხომ არავის ენახა. მაგრამ მუშათა კლუბში პაული არ ენახათ.

გვიან ღამე, შინ რომ ბრუნდებოდა, ალისამ კორბსს კარი დაუკაკუნა. მოხუცმა უპასუხა, მთელი დღეა შვილი არ მინახავსო.

ღრმად პატივცემულნო მოსამართლენო და პატივცემულნო ნაფიც-მსაჯულნო! ეხლა მე გადავალ იმ მოქმედებაზე, რომელიც ბრალად ედება პაულ კორბსს. ქრონოლოგიურად ჩამოგითვლით ყველაფერს იმ რიგად, როგორც ამბები დატრიალდა.

კორბსი დაბრუნდა შინ გვიან ღამით. მისი მამა ამტკიცებს, პაული თითქმის დილამდე მუშაობდაო. ჯერ კითხულობდა. მერე ოთახში იქით-აქეთ დადიოდა და ბოლოს

მხოლოდ რიჟრაჟზე დაიძინა. როგორც გამოძიების ოქმიდან სჩანს, კლუბიდან გამოსვლისას პაულმა, როგორც ეტყობა, უკვე რაღაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. ის წავიდა ფერსტერის სახლში და ითხოვა მიეღოთ.

იმ დღეს ბატონი ფერსტერი უღონოდ იყო. ლოგინში იწვა და ასე მიიღო მასწავლებელი. უცნაურ ახალგაზრდას და ხნიერ მექარხნის შორის გრძელი საუბარი გაიბა. თავდაპირველად ბ-ნმა ფერსტერმა გაოცება გამოსთქვა იმის გამო, რომ კორბსმა სწორედ მას მიმართა, პაულს თვალები როგორღაც უცნაურად უბრწყინავდა. მისი ნაძალადევი სიმშვიდე აშინებდა ბ-ნ ფერსტერს.

„წარმოიდგინეთ, ამ ახალგაზდამ, რომელსაც მე და ჩემი ოჯახი საუკეთესოდ ვეჭცეოდით, ამ ახალგაზრდამ გაშიბედა და საყვედური მომახალა, ვითომ მე გავძდიდრებულიყავი... უმწეო და შეუკავშირებელი ხალხის ყვლეფით. ის ლამობდა დავეჯერებინე, რომ მე ჩემს ქარხანაში ამეკრძალა კაცობრიობისათვის ისეთი მავნე საქმე, როგორიცაა სამხედრო აირების დამზადება. მანვე მისაყვედურა, რომ მე სამხედრო პირებს ვემსახურები, და მთხოვა, ისევ საღებავების დამზადებას შევდგომოდი... საოცარია, რა უფლებებს იკუთვნებენ წვრილფეხა კაცუნები... ჩემს პირად საქმეში ჩარევას ჰბედავენ. მართალი მოგახსენოთ, კორბსის ამ დარბაზობამ მეტად ამაშფოთა. — ეუბნებოდა ბ-ნი ფერსტერი გამომძიებელს.—გამოვტყდები. სულ სხვა რამეს ველოდებოდი. მეგონა, ჩემთან დახმარებისათვის, შველისთვის მოვიდა მეთქი, რადგან ის იშ ხანებში დაპატიმრებული იყო და ამის შემდეგ უნდოდათ სხვა სამსახურში გადაეყვანათ. მე მზადაც ვიყავი დავხმარებოდი... მაგრამ თხოვნის მაგიერ კორბსმა ნება მისცა თავის თავს მკვახე საყვედური ეთქვა ჩემთვის. მაგალი-

თად ისეთ რასმე, ისეთ კადნიერულს მახლიდა... ვითომ მე სიბერის ჟამს ჩემ სიძეს დავემორჩილე, რომელიც სარისკო ავანტურაზე მიდის... უნდა მოგახსენოთ, კორბსი ძალიან აღელვებული იყო, ცრემლიც კი მოერია. დაჟინებით მთხოვდა თავიდან ამეცილებინა რაღაც შეტაკება მუშებსა და შეიარაღებულ მოსამსახურეთა შორის, და შიში გამოსთქვა, რომ ეს შეტაკება ლაგურელლს საბაბს მისცემდა იარაღი ეხმარა... მე ვუთხარი:

— ხომ ხედავთ, თქვენ თვითონაც გესმით, რომ ჩვენ მხარეზეა უფლებაც და ძალაც. სჯობია, მუშებთან წახვიდეთ და დააჯეროთ. ხოლო ბარნეტი ყველაფერს გააკეთებს, რაც კი შესაძლებელია, რათა უზრუნველყოფილ იქნას უხიფათოდ მუშაობა. რაც შეეხება ექვსი საათის სამუშაო დღეს, — ვუთხარი.მე — ეს საკითხი დროებით უნდა გადაიდოს-თქო, რადგან ჩვენს ქარხანას აღებული აქვს სასწრაფო შეკვეთა.

ამაზე მე მეტად უცნაური პასუხი მივიღე:

— ბატონო ფერსტერ! — წამოიძახა კორბსმა. — რა დაგიშავეს თქვენ, კარგსა და ჟანტიოსან მექარხნეს, მაროკოს რიფებმა?

ჩემს ბედზე ხმამაღალ ლაპარაკზე ჩემი ლაქია ანტონი შემოვიდა. ნიშანი მივეცი მას, რომ სტუმარი გაეყვანა. ამის შემდეგ ბარნეტი მოვიხმე. შექმნილ მდგომარეობის გამო დიდ ხანს ვითათბირეთ. იქვე დამსწრე გენერალი ლაგურელლი გვარწმუნებდა, არას გზით დათმობა არ შეიძლება, და რადაც უნდა დაგვიჯდეს, საჭიროა სამხედრო უწყების ავტორიტეტი დავიცვათო!

გამოძიების მასალა ამბობს, რომ უძილო ღამის შემდეგ. დილაზე, კორბსი მუშათა კლუბში გამოცხადდა. უნ-

და გვახსოვდეს, რომ მუშათა ჯგუფს მთელ ღამეს კლუბი არ მიუტოვებია. აქვე იდგენ მუშები თავიანთი ცოლშვილით. ევა ლიუზერს, ახალგაზდა ქვრივს, ბარნეტის 24 მუმიის ერთერთ ცოლს, ისტერია დაემართა:

— ყველას დაგახრჩობენ, თუ დაუთმეთ.

ქალები ტიროდენ. ბავშები რომ მტირალ მოზრდილებს უყურებდენ, თვითონაც ტიროდენ. გაანჩხლებული კაცები თავიანთ ცოლებს და დედებს შინ ერეკებოდენ.

უძილობით ფერწასულმა, არეულმა კორბსმა ბრბოსთვის სრულებით მოულოდნელად დაიძახა:

— ძმებო-მუშებო! მე ბ-ნ ფერსტერთან ვიყავი. მე ველაპარაკე ვალდაუენის ქარხნის ყოფილ პატრონს. ის ხომ მართლაც მხოლოდ ყოფილი პატრონია. ყველაფრის ნამდვილი ხელმძღვანელი და ყველა უბედურების გამომწვევი ინჟენერი ბარნეტია...

არც მანამდე და არც ამის შემდეგ კორბსს არ ელაპარაკნა ხალხის წინაშე გაშლილ ჰაერზე. კრიტიკას ვერ უძლებდა თქმა ბ-ნ პროკურორის. ვითომ სულ-ერთი იყოს, სად ილაპარაკო, გაფიცულ მუშების წინაშე ქუჩაში, თუ ბავშების წინაშე მასწავლებლის კათედრიდან. დეე. ბ-ნმა პროკურორმა უმტკიცოს ეს სურათი ხუთიოდ-შვიდეოდე წლის ბავშებს. რვა-თორმეტის ბალღები კი ულმობელად აიგდებენ მას მასხარად უმეცრებისთვის. ამრიგად, კორბსს ჯერ არასოდეს არ ელაპარაკნა მუშების აზვირთებულ ბრბოს წინაშე, და ამიტომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ დამამშვიდებელ, დასაჯერებელ სიტყვის მაგიერ მას გამოუვიდა მოწოდება ბრძოლისკენ. მე არ ვფიქრობ, რომ ქვეშეცნეულად კორბსი არ ყოფილიყოს მოზადებული ბრძოლისათვის, მე მგონია, რომ სიტყვის თქმის დროს ამ ქვეშეცნეულმა ძალამ სძლია. ბაგრამ

მიუხედავად ამისა, — მე ვამტკიცებ ამას. — დასაწყისში კორბსის განზრახვა იყო დაეჯერებია მუშები თავი შეეკავათ კონფლიქტის გამწვავებისაგან. მას სურდა დაეთანხმებინა მუშები, რათა შექმნილი მდგომარეობა მშვიდობიანად გაეთავებინათ.

(ორატორის უკანასკნელი სიტყვები დაჰფარა მაღალმა ტაშმა).

ჩემი ანალიზის სისწორეს ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ, როცა გულწრფელად გახარებული კლემენსი მოეხვია კორბსს და მილოცვა დაუწყო, მან ჰკითხა:

— განა რა ვთქვი? რათ უხარია ყველას?.. წყალი მომაწოდეთ!

კლემენსმა დაამშვიდა პაული და უთხრა, რომ ყოველივე მის მიერ ნათქვამი წმინდა ჭეშმარიტებაა. და მას. კლემენსს, პაულის ამ სიტყვის შემდეგ შეუძლია იამაყოს თავის მეგობრით რომელმაც ბოლოს მაინც მოახერხა თავი დაეღწია ლორწოიან მელანქოლიისაგან, რომელიც მას აქამდის ქვეით ითრევდა.

ხალხი ქარხნისკენ გაემართა. საყვირები განუწყვეტლივ მოუწოდებდენ მუშაობისთვის.

— ნუ თუ მაცეცხურებმა გვიღალატეს? — იკითხეს მუშებმა, როცა საკვამლეებიდან ამოსული ბოლი დაინახეს.

— ეგ მართალი არაა, ჩვენ აქა ვართ, — უთხრეს მაცეცხურებმა.

— მაშ მოსამსახურეებმა აანთეს?

— გადაცმულ სალდათების დახმარებით სურთ გაგვტეხონ?

— წავიდეთ ქარხანაში და ვნახოთ, ვინ გავა სამუშაოდ.

ეაობნის ჭიშკარი, როგორც ყოველთვის, ღია იყო. იქვე ხუთი სამოქალაქო ტანისამოსით გამოწყობილი კაცი იდგა. მუშებმა იცნეს ერთი მათგანი, გადაცმული უნტერ-აფიცერი იყო.

— გამარჯვებათ, ბატონო სერჟანტო! — უყვიროდენ მას აღელვებული მუშები.

გაფიცულ მასსას მოსცილდა კლემენსი, შემდეგ ბუგეტი და კიდევ სამი კაცი. მათ შორის კორბსიც იყო.

— შეიძლება ვნახოთ ბატონი ბარნეტი? — იკითხა ბუგეტმა.

— დილის შესვენებისას შეიძლება ნახოთ.—უპასუხეს.

— დღეს რა დილის შესვენება იქნება? — მოუჭრა კლემენსმა. — ჩვენ პასუხს ველით ჩვენს განცხადებაზე. კანტორაში წავიდეთ... გამოვიხმოთ.

კანტორაში წავიდენ. არჩეულები წინ მიდიოდენ პაული გაფითრებული იყო და მტკიცე ნაბიჯით ვერ მიდიოდა. კანტორის წინ იდგა გადაცმულ სალდათების და შეიარაღებულ მოხელეების ჯგუფი. არჩეულები დაუბრკოლებლივ შეუშვეს.

კანტორა იდგა ქარხნის კედლის გასწვრივ ერთსართულიან შენობაში. შუაკარი ამავე დროს შესავალი იყო მოხელეთა და ტეხნიკურ პერსონალისათვის ფაბრიკის ეზოში. აქ პაული ხშირად ყოფილა შარშან.

ინჟენერი პირქუშად დაუხვდა დელეგაციას. მის კაბინეტში ლაგურელლი და მისი ადიუტანტიც ისხდენ. ინჟენერს ჯერ სულაც არ უნდოდა ლაპარაკი დელეგაციასთან. მოხელეები, როგორც ეტყობოდა, შეშინებული იყვენ, თუმცა თავი ლაღად ეჭირათ. სალდათები სამოქალაქო ტანისამოსში მაინცა და მაინც კარგად ვერ გრძნობდენ თავს.

— არავითარი მიტინგი არ იყოს! გარდა ამისა, წესრიგის ყველა დამრღვევი სამხედრო კანონით დაისჯება. მომავალ კვირიდან ქარხანა ჩაითვლება, როგორც სამხედრო წამოწყება და სამხედრო კანონები ყველა მუშისთვის სავალდებულო იქნება.

— მაგასაც ვნახავთ, — სთქვა ბუგეტმა.

პაულმა შენიშნა, რომ ამ წამს ბარნეტმა მაგიდაზე რაღაც ღილს დააჭირა თითი. ლაპარაკის დანარჩენი ნაწილი აღარ გაუგონია. მისი ყურადღება უცნაურმა ხმაურმა მიიპყრო, რომელიც გარედან მოდიოდა. მან ნაბიჯი გადადგა მარჯვნივ, ფანჯარასთან მივიდა და დაინახა: შექუჩული მუშები უკან იხევდენ, მათ აწვებოდენ რევოლვერებით და შირის ჯოხებით შეიარაღებული კაცები, რომელნიც შემდეგ უკან გადმოხტენ და ხალხს რაღაც ესროლეს. ხალხში ზოგმა თვალის ფშვნეტა დაიწყო, ზოგი კი ისტერიული სიცილით იღმიჭებოდა.

გაოცებული აძაგძაგებული პაული უცნაურ სურათს შესცქეროდა და თვალი ვეღარ მოეშორებინა. მუშებმა, რომელთაც ის იცნობდა, დაჰკარგეს ადამიანური სახე. ზოგი გიჟივით კრუნჩხვით ხარხარებდა, ზოგი კი ტიროდა და სახეს ცრემლით და სისხლით ითხუპნიდა.

კლემენსი რაღაცას ყვიროდა და რაც ღონე ჰქონდა მუშტით მაგიდაზე არახუნებდა. ტალანში ფაცაფუცი ატყდა. დელეგაციის წევრებს სურდათ გასულიყვენ გარეთ, მაგრამ არ უშვებდენ. ლაგურელლი ფანჯარასთან იდგა კორბსის გვერდით და სპეციალისტის თვალით სინჯავდა ყუმბარების ძალას. უდარდელად გაიცინა და ბარნეტს დაუძახა:

— ბრწყინვალე წედეგია, ბატონო ინჟენერო! მოგილოცავთ!

ამ წამს კორბსმა ხელი სტაცა ყელში ბარნეტს. მოულოდნელი ძალით დაიქნია იგი თავისკენ და, როგორც ოქმი ადასტურებს, პირახგი გაუხია და ჟილეტს რამდენიმე ღილი დააწყვიტა.

— არამზადა, არამზადა! — ყვიროდა კორბსი.

საწერ მაგიდიდან რაღაც მძიმეს დაავლო ხელი, რაც კი ხელთ მოხვდა, და ინჟენერს დაჰკრა თავში.

რამდენადაც ვიცი. გენერალი ლაგურელლი ამ დროს ბუშა-დელეგატებს ამოეფარა. ადიუტანტმა კი რაღაც მიზეზის გამო ვერ მოახერხა ხალათიდან რევოლვერის ამოღება. კორბსმა ბარნეტს დაარტყა ფოლადის ჩაქუჩი, როშელიც შემთხვევით აღმოჩნდა საწერ მაგიდაზე. წაქცეულ ბარენტს მისცვივდენ. კორბსს ხელი არავინ ახლო. მან, ფერწასულმა შეშლილივით შესძახა:

— დეე ყველაფერი დაიღუპოს! — და გაიქცა.

კორბსი ვიწრო ტალანით გამოვიდა ქარხნის ეზოში. მან კარგად იცოდა ფაბრიკის მდებარეობა. ხელშეუშლელად გაიქცა უკანა ეზოსკენ და მიაღწია ჩარდახთან მავთულიან ღობეს და გაარღვია მისი თხელი ბადე. შემდეგ წამს ერთი სიმჟავიანი ბალლონი აფეთქდა. აირის თეთრი ღრუბელი ამოვარდა შუშხუნა სითხე მიესხა. პაული წაიქცა და იგრძნო, რომ ვიღაცა მიწაზე მიათრევდა.

პაული გაიტაცა კლემენსმა, რომელიც მას სირბილით მოსდევდა. კორბსის სახე მთლიან იარად იქცა. ტანი უცახცახებდა. კრუნჩხვით მოჭერილ ხელიდან ჩაქუჩს არ უშვებდა. მოცინარე და მოტირალე ხალხი უცებ გადაიქცა საპიორთა და მეცეცხლეთა რაზმად. სიმჟავის გავოცელება გაანაპირეს მანამდე, სანამ იგი მიაღწევდა აირით სავსე დიდ ბალონს. ყველაფერს იმდენი მიწა დააყარეს, რომ

ფარდული მთელ გორულად გადაიქცა. ქალაქი და ქარხანა გადაარჩინეს.

კორბსი ქალაქის საავადმყოფოში გაგზავნეს. ოპერაციის დროს უგონოდ იწვა და იმეორებდა:

— დეე ყველაფერი დაიღუპოს!

ზოგჯერ გრძელ სიტყვას ამბობდა ბურტყუნით. საიდანაც ერთი რამ იყო მხოლოდ გასაგები:

— მოსპეთ ომის ბაზა.

როგორც ადასტურებს სამკურნალოს ადმინისტრაცია, კორბსი საერთოდ მეტად წყნარი და ჩუმი ავადმყოფი იყო.

ზემოდაწერილ ამბავის ორი კვირის წემდეგ გაფიცვა გათავდა, ბარნეტი იძულებული იყო დაეთმო მუშებისათვის. თავის დროს ამ გაფიცვამ მეტად ფიცხლად დააინტერესა იმ მხარის საზოგადოებრივი და პოლიტიკური წრეები. კომუნისტ-დეპუტატებმა პარლამენტში დიდი სიტყვები წარმოსთქვეს. დაპატიმრებული ხელმძღვანელები და გაფიცვის კომიტეტი გაანთავისუფლეს.

უკანასკნელ სამ კვირას კორბსის სანახავად სამკურნალოში მისი მეგობრები მოდიოდენ. ალისა ავადმყოფს საყვედურს აყრიდა მისი საქციელის გამო. კლემენსი აღშფოთებულ ალისას ამშვიდებდა და შენიშნა:

— რა თქმა უნდა, პაულ. ჩვენს ბრძოლაში არსებობს გაცილებით უფრო ძლიერი კოლექტიური საშვალება და შენ ეს უნდა გცოდნოდა.

— რა კარგი პაციფისტი ხარ! — ჩაილაპარაკა ალისამ

— მე პაციფისტი აღარა ვარ. — მოისმა არტახებიდან პაულის სუსტი ხმა.

— ძეგობრებო, ეს ალაგი მაინცა და მაინც კამათისათვის არ გამოდგება. იმედია, კიდევ გვექნება საშვალება ყველაფერზე მოვილაპარაკოთ.

— აბა, ნახვამდის! განიკურნე!

მაგრამ ძველმა მეგობრებმა ვეღარ შესძლეს კორბსის ნახვა, რადგან ამის შემდეგ მასთან აღარავის უშვებდენ. ხოლო მეოთხე კვირის დამლევს იგი პატიმრად გამოაცხადეს და ბრალმდებლის ბრძანებით საპატიმროში გადაიყვანეს. მალე კორბსი საპატიმროს სამკურნალოში მოათავსეს და იქიდან მხოლოდ ამას წინად, განკურნების შემდეგ, გაგზავნეს წინასწარ დაპატიმრების სახლში.

და აი, დღეს იგი სამსჯავროს წინაშე წარმოსდგა.

ფერერმა დაბლა დაუხარა თავი ნაფიცებს, შემდეგ თავი დაუკრა თავჯდომარეს და ცივად ჩაუქნია თავი პროკურორს.

ბატონმა ბორარდმა სწრაფად შეაგროვა გაფანტული ფურცლები და კარისკენ წასულ პატრონს გაჰყვა.

ამ დღეს სასამართლოს შენობა გარშემორტყმული იყო ცხენოსან პოლიციით, რომელიც ცნობისმოყვარე ხალხს აწვებოდა და მთავარ შესავალთან არ უშვებდა.

გაზეთებმა, გარდა რესპუბლიკის პრეზიდენტის ოფიციალურ ორგანოსი, დაბეჭდეს ფერერის სიტყვა. ოფიციალური ორგანო ჯერ კიდევ ვექილის გამოსვლის დასაწყისამდე მოითხოვდა, რათა მას დაცვის უფლება წარმემოდა და ფრანგული მორალის ფუძეების დანგრევისათვის იგი პასუხისგებაში მიეცათ და მისთვის პრაქტიკა სამი თვით მაინც აეკრძალათ. იგივე გაზეთი აღშფოთებული იყო სასამართლოს თავმჯდომარის გაუბედაობით, რომე-

ლმაც თავის პირვანდელი გადაწყვეტილება შესცვალა და ფერერს სიტყვა არ წაართვა.

ეს იყო პროცესის პირველ დღეს, მეორე დღეს ფერერმა მაინც წარმოსთქვა ოთხსაათიანი სიტყვა.

როცა დილის სხდომაზე თავმჯდომარემ შარი მოსდო ვექილს იმის გამო, ვითომ ის რეგლამენტს არღვევდეს და სიტყვა წაართვა, ხალხმა ქუჩაში ბუმბერაზული დემონსტრაცია გამართა. მოსამართლენი და ნაფიცნი იძულებული იყვენ ვექილისთვის ოთხჯერ დაემატებინათ სალაპარაკო დრო.

უკვე მეორე დღიდანვე პროცესმა მძაფრი პოლიტიკური ხასიათი მიიღო.

დამცველის სიტყვის შემდეგ ნაფიცები მთელ დღეს თათბირობდენ. დიდძალი ხალხი იდგა სასამართლოსთან და განაჩენის გამოტანას ელოდებოდა. საღამოს ექვს საათზე ცხენოსან პოლიციის ძლიერი რაზმი გარს შემოერტყა სასამართლოს შენობას, სადაც შესვლა შეიძლებოდა მხოლოდ განსაკუთრებული ბილეთით.

პაულ კორბსს მიუსაჯეს სამი წლით დაპატიმრება ციხეში. ეს იმას ნიშნავდა, რომ მას სამი წელი ახალ კალედონიაში უნდა გაეტარებინა.

— გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას! — დაიძახა კორბსმა განაჩენის შემდეგ. მის მკვდარ სახეზე ხამხამებდენ დიდი სველი ცოცხალი თვალები.

სანამ დასასჯელების გუნდს კალედონიაში გაგზავნიდენ, ფერერმა კიდევ ერთხელ ინახულა კორბსი.

პაული სრულიად მშვიდათ იყო.

— ვექილო, გადაეცით ჩემს ამხანაგებს, რომ მე ამ სამ წელს იმ იმედით ვიცხოვრებ, რომ გამოვადგები იმ საქმეს. რომელიც...

— უთუოდ გადავცემ!

— რაც შეეხება თქვენს შრომას...

— რა სალაპარაკოა! მე საერთო-კაცობრიული მოვალეობა შევასრულე.

ახლე დაიწყო პოლიტიკური წარმატება ლუი ფერერმა, მომავალმა სახელმწიფო მდივანმა და შესაძლოა — რესპუბლიკის მინისტრმაც.